K 253·264
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ვეგეშიძე

ქართული კულტურა და ტრადიციები

ყაზბეგი
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მიხეილ გეგეშიძე

ეთნიკური კულტურა და ტრადიციები

-ეკ 713-

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

902.7
გ 263

ნაშრომი ეხება პრობლემის მეთოდურ-პრაქტიკულ საკითხებს. დახასიათებულია ეთნიკური (ხალხური) კულტურის ქმნადობისა და ანვითარების თავისებურებანი და ხალხური ტრადიციების სტაბილურ-დინამიკური დიალექტიკური ხასიათი, ახსნილია ეთნიკურ-ეროვნულ კულტურათა ურთიერთობისა და ურთიერთგამდიდრების თავისებუ ებანი. საგანგებო ადგილი ეთმობა ეთნიკური ტრადიციებისადმი თანამედროვე მეცნიერული და პრაქტიკული დამოკიდებულების საკითხებს, დახასიათებულია ტრადიციების სოციალური გაზომვის ხერხები, რაც უკავშირდება სასარგებლო ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციების მოვლა-შენახვისა და შემდგომი განვითარების, მეორე მხრივ, დრომოჭმული და სახეცვლილი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ საკითხებს.

გ $\frac{10602}{М\ 607(06)\ 77}$ 149 – 77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეც-ეიდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К 253.267
3

წინასიტყვაობა

ეთნიკური კულტურა და ეთნიკური ტრადიციები კონკრეტული ცნებებია, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეთნოსის ასევე განსაზღვრულ ცნებას. მაგრამ, მიუხედავად კონკრეტულობისა, ისინი უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენები არიან, ამიტომ მათი მეცნიერული შესწავლა განსხვავებულ ხერხებსა და მიდგომას მოითხოვს. ამას განაპირობებს ამ პრობლემების არა მარტო ცალკე საკვლევი ასპექტები, არამედ თვით ამ პრობლემების თვისება და ბუნება, რაც ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, სამართლის და სხვა მეცნიერების ინტერესების არეში ხვდება.

ამ პრობლემების დამუშავებაში საბჭოთა მეცნიერებას უპირატესი დამსახურება და შედეგები უკვე მოეპოვება, გამოიკვეთა კვლევა-ძიების საყურადღებო პერსპექტივებიც. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბოლო წლების მეცნიერული მიღწევები ეთნოსის თეორიის სფეროში.

პრობლემების მრავალფეროვნებისა და სირთულის პირობებში ისეთი მცირე ნაშრომის გამოჩენა, როგორიც წინამდებარე წიგნია, უთუოდ შექმნის მომეტებული და აუხსნელი გამბედაობის შთაბეჭდილებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი ნაბიჯი შესაძლებელია გამართლებული აღმოჩნდეს. ქართველი მკითხველი მეტ-ნაკლებად მაინც გაეცნობა ამ რიგის საკითხების მეცნიერული დაყენებისა და შესწავლის ისტორიას, კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის ცალკე თავისებურებებს. ამის საჭიროება კი განსაკუთრებით დღეს არის, როცა ჩვენი საზოგადოებრიობა ასე დაინტერესდა ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების ავ-კარგით.

რამდენადაც წიგნი პრობლემების თეორიულ-მეთოდურ და პრაქტიკულ საკითხებს ეძღვნება, მასში არ არის დახასიათებული კონკრეტული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები საგნობრივი თუ შინაარსობრივი თანმიმდევრობით. ასეთ მასალას ჩვენ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერჩევით ვიყენებთ სათანადო საბუთიანობისა და ილუსტრაციები-სათვის.

სპეციალური ლიტერატურის მონაცემებთან ერთად წიგნში გამოყენებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კონკრეტულ-სოციალური კვლევის შედეგები და თბილისის უნივერსიტეტში ჩვენი სალექციო კურსის მასალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

ეთნიკური კულტურა ხალხურ კულტურას ნიშნავს, მაგრამ არა ზოგადად ხალხის, არამედ კონკრეტული ხალხის კულტურას. კონკრეტული ხალხები, მაგალითად, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, უზბეკები, პოლონელები, ფრანგები და ა. შ. მეცნიერული ტერმინოლოგიით ეთნოსებადაც იწოდებიან. ეთნოსი კონკრეტული ხალხია, ეთნიკური კულტურაც კონკრეტული ხალხის კუთვნილებაა. იგი განსაზღვრავს მოცემული ხალხის ცხოვრების ისტორიულ იერსახეს, ასე ვთქვათ, ფიზიონომიას, რითაც ის სხვა ხალხებისაგან განირჩევა. ეთნიკური კულტურა რთული ისტორიული მონაცემია მრავალფეროვანი შინაარსით და მრავალწახნაგოვანი სტრუქტურით. მრავალფეროვანი შინაარსისა და მრავალრიცხოვანი კომპონენტების ინტეგრირება ეთნიკური კულტურის გამოვლინების სამ მთავარ — მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების — სფეროს გვაძლევს. მეცნიერული მსოფლმხედველობით ცნობილია ამ სფეროთა ურთიერთკავშირის კანონზომიერებანი. ამათგან წამყვანია მატერიალური ცხოვრების სფერო, რომლის შინაარსს განსაზღვრავს საწარმოო ძალთა განვითარება და წარმოებითი საქმიანობის ხასიათი. ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების კონკრეტული ურთიერთმოქმედების თავისებურებანი ეთნიკური კულტურის ქმნადობის, შენების სპეციფიკურ გამოვლინებას უწყობენ ხელს. ეთნოსის, ე. ი. კონკრეტული ხალხის წარმოქმნა-განვითარება ამავე პროცესებთან არის დაკავშირებული. ეთნიკური კულტურა შემადგენელი ელემენტების მიხედვით შეისწავლება. ასეთი შესწავლა კი ამ ელემენტთა ანდა, სხვაგვარად, მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოვლენათა ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირების კანონზომიერ შეცნობას ემყარება, რაც კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით არის მხოლოდ შესაძლებელი.

ეთნიკური კულტურის საერთო მოცულობაში ეთნიკურ ტრადიციებს მთავარი ადგილი უჭირავს.

ტრადიცია ზოგადი გაგებით ადამიანთა ერთგვაროვან ჯგუფურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვევასა და ქცევას აღნიშნავს, რომელიც წარმოქმნის შემდეგ გადაიცემა დროში და განაგრძობს არსებობას. ტრადიცია შეიძლება იყოს ძალზე ძველი და ახალიც, ახლად წარმოქმნილიც. ტრადიციების არსი და მნიშვნელობა მეტად ფართოა, რადგან იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. თავისი ხასიათით ტრადიციები შეიძლება იყოს რევოლუციური, პატრიოტული, ეთნოსოციალური, ეროვნულ-კულტურული, მხატვრული, ეთიკური, ესთეტიკური, სამხედრო-საბრძოლო, ლიტერატურული და ა. შ. შესაბამისად განსაზღვრულია ტრადიციების სამოქმედო არეებიც. ტრადიციები შეიძლება განიხილებოდეს დიდი სოციალური ერთობების, მათ შორის ცალკე ხალხების მასშტაბებით და საკუთარი ტრადიციების მქონე ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვ. კოლექტივების მიხედვითაც. ჩვენი მიზნის შესაბამისად აქ მსჯელობა შეეხება ამ მრავალფეროვანი სოციალური მოვლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს — ხალხურ ანუ ეთნიკურ ტრადიციებს და, მაშასადამე, გარკვეული მნიშვნელობით ეროვნულ ტრადიციებსაც.

ეთნიკური ტრადიცია ისტორიულ-სოციალური მოვლენაა, მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის არის დამახასიათებელი და აქვს ორმაგი სახე. ერთი — ტრადიცია, როგორც სოციალური წესებისა და ნორმების აღდგენის მექანიზმი, როდესაც ამ ნორმებისათვის მხარდაჭერა დაკანონებულია წარსულში მათი არსებობის თვით ფაქტით, მეორე — როცა ტრადიციის ცნებაში იგულისხმება ისტორიულად წარმოშობილი ისეთი სოციალური წესები და ნორმები, რომლებიც აღდგებიან იმავე წესით და აქვთ სოციალური მემკვიდრეობითობის თვისება. რომელიმე კონკრეტული ხალხის კულტურის ტრადიციულად აღდგენილი ელემენტები შეადგენენ ფართო მნიშვნელობით წეს-ჩვეულებებს, ამიტომ ხშირად წეს-ჩვეულებებსა და ეთნიკურ ტრადიციებს ერთმანეთისაგან არ ასხვავებენ. მაშასადამე, ხალხური ანუ ეთნიკური წეს-ჩვეულებები და ეთნიკური ტრადიციები დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსის ცნებებია. ამავე დროს, ტრადიცია დიალექტიკური ბუნებისაა — მყარიც და განვითარებადიც. ეს თვისება საზოგადოებრივი განვითარების პროცესში თავისებურ გამოვლინებას ახდენს, რაც განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს შეესაბამება და აგრეთვე საგრძნობ დაღს ასვამს საზოგადოებრივ პროფილს. მაგალითად, სპეციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული მნიშვნელობით „ტრადიციულ საზოგადოებებს“ უწოდებენ ისეთ ტომებს და ხალხებს, რომელთა სოციალური ცხოვრება თითქმის მთლიანად ხანგრძლივად მდგრად ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებზე და წესებზეა დაფუძნებული. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი წინსვლა სიახლეთა გზით მნიშვნელოვნად შეფერხებულია, შინაგანი საწარმოო და სულიერი კულტურის შემოქმედება სუსტია, საზოგადოებრივი პროცესი არ არის მასშტაბური. ჩვეულებრივ, ასეთი „ტრადიციული საზოგადოებები“ განვითარების მეტნაკლებად დაბალი საფეხურებისათვის არის დამახასიათებელი. ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ ასეთი საზოგადოებები ბევრი იცის მსოფლიოში. ზოგად ეთნოგრაფიაში მათ „პრიმიტიული საზოგადოებებიც“ ეწოდებათ. ესენი სწორედ ის ტომები და ხალხებია, რომელთაც ევროპის მეცნიერება XVIII—XIX საუკუნეებში განვითარების დაბალ საფეხურებზე მდგომთ გაეცნო. რამდენადაც ტრადიციულ საზოგადოებას ასეთი სპეციალური გაგება აქვს, მაშასადამე, ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს ისეთი საზოგადოებები, სადაც, ერთ შემთხვევაში, ცხოვრება მხოლოდ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზეა დამყარებული, ხოლო მეორე შემთხვევაში, საზოგადოება განვითარებულია, მისი სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები წინსვლას განიცდის, ამავე დროს მის ცხოვრებაში ტრადიციული ზნე-ჩვეულებებიც მრავლად არის შემონახული ცოცხალი საზოგადოებრივი ფუნქციით, რომელთა საუკეთესო ნაწილს მისი მატარებელი ხალხი უფრთხილდება, პატივს სცემს და ზოგჯერ ამ ტრადიციებით თავიც მოსწონს. საქართველო დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაა, მაგრამ ქართველი ხალხი არ არის „ტრადიციული საზოგადოება“ ზემოხსენებული მნიშვნელობით, რადგან მას ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ცივილიზაციური განვითარების რთული და საინტერესო გზა აქვს განვლილი.

ხალხური ანუ ეთნიკური ტრადიციებისადმი საზოგადოების შეგნებული დამოკიდებულება, მათი რაციონალური გამოყენება და შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივ საერთო პროგრესს კი არ აფერხებს, პირიქით, ხელს უწყობს. უფრო მეტიც. ცნობილია, რომ ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციები და მშობლიური ენა მთლიანობაში შეადგენენ ეროვნული კულტურის ძირითად ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხის ნაციონალურ იერსახეს, მის ეროვნულ ფიზიონომიას, ამ მთავარი ელემენტების შესუსტება, დამცირება ნოლზე დაყვანა იწვევს ერის მოსპობას. ისტორიამ კი ამის ბევრი მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალითი იცის, რაც, ჩვეულებრივ, მოჰყოლია დაპყრობებს, ძალადატანებას და ეთნიკურ ასიმილაციებს. ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალ ასეთ მოძალებას გაუძლო და საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. დღეს, როდესაც სოციალისტური ეროვნული კულტურის აყვავების, გაფურჩქვნისა და განვითარების ნამდვილად არნახული პირობები არსებობს, ქართული კულტურის განვითარებამ ახალი ეფექტური ელვარება შეიძინა. განვითარების ამ პროცესში თავისი ადგილი უჭირავს ეთნიკურ-ეროვნულ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს, რომლებიც დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში მონაწილეობს და თავისი მოქმედი სოციალური ფუნქციით ყურადღებას იპყრობს მეცნიერულად და საზოგადოებრივ-პრაქტიკულადაც.

როგორც ვთქვით, ეთნიკური ტრადიციები ცხოვრების ყველა სამეურნეო-მატერიალურ, სოციალურ და სულიერ სფეროში გვხვდება. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ რამდენადაც ეთნიკური ტრადიციები ცხოვრების წესს, ყოფის კონკრეტულ იერსახეს უკავშირდება, ხოლო ყოველივე ამას ძირითადად ადამიანის საწარმოო საქმიანობის ბაზისი განსაზღვრავს, საქართველოში, ბუნებრივ-საწარმოო პირობებით ამ ნაირგვარ ქვეყანაში, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები ეთნიკური ბუნებით ზოგადქართულია და ამავე დროს აქვს რეგიონალური, ტერიტორიულ-კუთხობრივი სპეციფიკა. ამ გარემოებას ანგარიშის გაწევა სჭირდება ქართული ტრადიციების შესწავლის, შეფასებისა და მათდამი დამოკიდებულების დროსაც.

ასე, მაგალითად, ეროვნული კულტურის საგანძურს შეადგენს ხალხური სამეურნეო-საწარმოო ტრადიციები, რაც უმთავრესად სოფლის მეურნეობის წარსულ, მდიდარ პრაქტიკაში გამოვლინდება. საქართველო ბუნებრივ-სამეურნეო პირობების საოცარი ნაირგვარობით ხასიათდება და ამ მხრივ საგრძნობლად გამოირჩევა სხვა ქვეყნებისაგან. ათეული საუკუნეების მანძილზე აქ ჩამოყალიბებულია რეგიონალური თავისებურებების მქონე მდიდარი საწარმოო ჩვევები და გამოცდილება, რომელთაგან ბევრი დღესაც სასარგებლოა. ხალხური საწარმოო ტრადიციები ყურადღებას იქცევს გეოგრაფიულ-ეკონომიური, კულტურულ-ისტორიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი პირობებისა და ადამიანის სასოფლო-სამეურნეო შრომის შეხამების

ეკოლოგიური ასპექტი, რაც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სადღეისო ამოცანებთანაც არის კავშირში. საქართველოს მთისა და ბარის მეურნეობრივი განვითარება და დარგობრივი შეთანაწყობა ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ნაყოფია და ასახავს ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელ გეობოტანიკურ კანონზომიერებას. ქვეყნის ვერტიკალური ზონალობა, კლიმატურ-რელიეფური სხვაობანი წარმოშობენ მიკროორეგიონალურ სპეციფიკას, რაც ანგარიშის გაწევას მოითხოვს პირველ რიგში მეურნეობრივი კუთხით. ბევრი რამ ამ მხრივ ისტორიული პრაქტიკით არის შემოწმებული, ამიტომ ხალხურ ემპირიულ საწარმოო ჩვევებსა და გამოცდილებას, საწარმოო ტრადიციებს ყოველთვის საგანგებო ყურადღება სჭირდება სამეურნეო სიახლეთა შემოტანისა და დანერგვის პროცესში. ტრადიციულ საწარმოო გამოცდილებას, როგორც მიკროეკოლოგიური ფაქტორების თავისებურ ინდიკატორს, დღევანდელი სამეურნეო დაგეგმვის პრაქტიკული კორექტორის მნიშვნელობაც აქვს. ეს არსებითია, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად იგნორირებული. მაგალითად, ცალმხრივი, „კაბინეტური" დაგეგმვის წინა წლების შემთხვევებმა, როცა გვერდი აევლებოდა ადგილობრივ სპეციფიკაში ღრმად ჩახედვის საჭიროებას, ბევრი დასანანი შედეგიც მოგვცა. აკი, თვით ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ, სამრეწველო მნიშვნელობის ხეხილის ბაღების გასაშენებლად საკმარისი არ ყოფილა მარტო ნოყიერი მიწის დიდი ფართობები, როცა სიმწიფეში შემავალ ნაყოფზე არახელსაყრელმა მიკროკლიმატურმა რეჟიმმა, კერძოდ, ძლიერმა ქარებმა, თურმე შეიძლება გამანადგურებლად იმოქმედოს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კოლხეთის დაბლობზე. ან ასეთი მაგალითი: მესხეთის მიწაზე, მის განსაზღვრულ მიკროორეგიონებში, ადგილობრივი პირობების ზუსტი გათვალისწინებით, კერძოდ, მზის, წყლისა და მიწის სიკეთის სწორი შეთანაწყობით ისტორიულად ჩამოყალიბებულა ტერასული მიწათმოქმედება. სწორედ ეს ფორმა იყო მეურნეობრივად ყველაზე ეფექტური ამ განსაზღვრულ გარემოში. მაგრამ ზემდგომი მგეგმავი ორგანოების ცირკულიარული მითითებებით ამ ოცი წლის წინ ეს ტერასები მასობრივად დაანგრიეს, რომ „ტრაქტორების უკეთ მოსაბრუნებელი სწორი ნაკვეთები მიეღოთ" (?). ცხოვრებამ აქაც საჭირო გახადა მომდევნო წლებში ტერასების ხელახალი აღდგენა-მოწყობა.

მსგავსი მაგალითები ბევრია არა მარტო სამეურნეო, არამედ სოციალური და კულტურული ცხოვრების სფეროშიც. მაგრამ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველივე ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ქვეყნის მომავალი განვითარების მთელ იმედებს მხოლოდ ტრადიციებზე ვამყარებთ. აქ მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნავთ ხალხური საწარმოო ტრადიციების მნიშვნელოვანი და სასარგებლო ნაწილის შემდგომ რაციონალიზაციასა და ჩვენი ცხოვრების წინსვლაში მათ ეფექტურ გამოყენებას. ზემო სვანეთის რთულ რელიეფურ პირობებში გამრჯე და გამჭრიახ მკვიდრ მოსახლეობას ძველთაგანვე შეუქმნია მთური საირიგაციო სისტემა, რომელიც დროისა და პირობების კვალობაზე ნამდვილად უნიკალურია და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ხალხური შრომითი შემოქმედების საგანძურში თვალსაჩინო ადგილს იკავებს. მცირე ირიგაციის ეს ტრადიციული ფორმა დღესაც ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს ადგილობრივ მეცხოველეობაში, როგორც სარწყავი სათიბი მეურნეობის საფუძველი. საირიგაციო მეურნეობის ეს ფორმა შეიძლება შევინარჩუნოთ და უფრო განვამტკიცოთ, თუკი თანამედროვე საინჟინრო ცოდნასა და შესაძლებლობებს საქმიანად მივაშველებთ ხალხურ ემპირიულ პრაქტიკას. სამწუხაროდ, დიდხანს ასეთი ნაბიჯი აქ არ ყოფილა გადადგმული.

ხალხური საწარმოო ტრადიციებისადმი დამოკიდებულებაში შეიძლება ყოველთვის სადღეისო პრაქტიკული მოსაზრებებით არ ვხელმძღვანელობდეთ, მაგრამ ანგარიშს ვუწევდეთ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებს. მაგალითად, ქინძმარაულის, ხვანჭკარის, ოჯალეშის და ზოგი სხვა ქართული საღვინე ყურძნის წარმოების ვერც რეალური და ვერც პოტენციური მასშტაბი ვერ გაუტოლდება თანამედროვე სამრეწველო ვაზის ჯიშებს, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში კი ყურძნის წარმოებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, საჭიროა პრაქტიკულად შევინარჩუნოთ დასახელებული ტრადიციული ჯიშები, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავენ ქართველი მეურნის საწარმოო-შემოქმედებითი ძიების მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ამავე დროს შემკულნი არიან ჩვენი ეროვნული ყოფის გამალამაზებელი სურნელებით და ეშხით, რითაც ყოველთვის შეგვიძლია ვიამაყოთ. იგივე იდეა უნდა დავუდოთ საფუძვლად ხალხური ტრადიციებისადმი ფრთხილ და სათუთ დამოკიდებულებას ცხოვრების განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა ხუროთმოძღვრება, მუსიკალური კულტურა, ქორეოგრაფია, მცირე ხელოვნება, სპორტი, ასევე სოციალური ქცევა, საოჯა-

ხო და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მორალურ-ეთიკური ნორ-
მები და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც კი ძნელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადოების დღევანდელი განვითარების პროცესთან უშუალო, ცოცხალ კავშირშია ის მრავალფეროვანი ეთნიკური ტრადიციები, რომელიც საკუთრივ სოციალური ცხოვრების სფეროში გვხვდება. მაშასადამე, მნიშვნელოვანი და არსებითია მათი როლი საზოგადოების სოციალური მართვის კონკრეტულ პროცესში. ნათესაური, ტერიტორიულ-მეზობლური, საოჯახო, საქორწინო და მრავალი სხვა ხასიათის სოციალური ურთიერთობა კარგად ასახავს ქართულ ტრადიციულ თავისებურებებს, რომლებსაც, თავის მხრივ, ზოგჯერ რეგიონალური სპეციფიკაც ახლავს. ეს ტრადიციები, როგორც ადამიანთა ჯგუფური ქცევისა და მოქმედების გამოხატულება, ემყარება სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლებს. მათ უკავშირდება და ხშირად კიდეც მოქმედებს მასზე ადამიანთა ახალი ფასეულობითი ორიენტაციები, ანუ სამოქმედო მიდრეკილებები. ყოველივე ეს ტრადიციების არსს უფრო რთულს და ძნელად ჩასაწვდომს ხდის. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა საზოგადოებრივ აზრს, მის გააქტიურებას და მისსავე ჩარევას ტრადიციების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების სწორი მიმართულების დასადგენად, ზოგჯერ კი უკვე უვარგისი და შეუფერებელი ტრადიციების უკუსაგდებად.

დღეისათვის მოიპოვება კონკრეტული ცნობები უკლებლივ ყველა კუთხისა და რაიონისა, სადაც ხალხი მოწონებით შეხვდა ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი აქტივის ზომიერ, საქმიან ჩარევას „სტუმარ-მასპინძლობის“ ფორმებში მათი მასშტაბების შეზღუდვის მიზნით, რადგან ლხინისა თუ ჭირის სუფრამ ბოლო ათწლეულში საოცარი ცვლილება განიცადა. ყოველივე ეს სრულიად აღარ ჰგავს ქართული სუფრის ტრადიციულ მწყობრიერს, მის ლაზათს. უფრო მეტიც, საეჭვო ხელგაშლილობის პირობებში როგორც ბედნიერების აქტმა — ქორწილმა, ისე მიცვალებულის „პატივისცემამ“ მატერიალური შეჯიბრის საპარადო სახე მიიღო და გაყალბებული, ემოციების სარბიელი გახდა. „დახმარებისა“ და „შემოწირულების“ ტრადიციას ამოფარებული ახალი ფორმები, რომლებიც თავისებურ აუქციონს დაემსგავსა, ნამდვილად მორალურ ტვირთად დააწვა რიგით მშრომელ ოჯახებს, რომლებსაც სინდისი ქენჯნით, რომ „სოფელს არ გამოაკლდნენ“. ასე დამახინჯდა ქართველი ხალხის ნათესაური და მეზობლური ურთიერთგაგების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადგომისა და დახმარების ძველი, კარგი ტრადიციები. ამიტომ დროული და გამართლებული ჩანს საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება და კორექტივები, რაც ასეთ პრაქტიკაში ჩარევას მოჰყვა.

გავიხსენოთ ომისწინა და შემდგომი წლების ერთი ფაქტი თბილისის ცხოვრებიდან. დაკრძალვის წესებში მაშინ ფართოდ იყო გავრცელებული გვირგვინების გამოყენება. გვაგონდება თანდათან რა მასშტაბებს იღებდა ეს წესი, რა უმოწყალოდ ნადგურდებოდა მცენარეული, ხოლო ამ საქმეზე ხელის მომთბობნი ფასებს რა სისწრაფით ზრდიდნენ. მაგრამ აბა, ვინ წარმოიდგენდა, თუ ისე სწრაფად და უმტკივნეულოდ შესაძლებელი იქნებოდა ამ ფართოდ გავრცელებული წესისათვის ზურგის შექცევა. უარის თქმა მასზე. ასე კი მოხდა. ჩანს, რომ საზოგადოებრივი აზრი საამისოდ უკვე შემზადებული იყო. მართალია, არც გვირგვინების, არც სასულე ორკესტრისა და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენება დაკრძალვის ქართულ-ხალხურ წეს-ჩვეულებებში ისტორიულად ღრმად ფესვგამდგარი და ხანგრძლივი ტრადიციების მქონე არ ყოფილა, მაგრამ მოკლე დროშიც მან ისეთი გავრცელება ჰპოვა ქალაქად თუ სოფლად, რომ მის ხელშეუხებლობაში ეჭვის შეტანა ძნელი იყო.

ცხადი ხდება, რომ სწორედ საზოგადოებრივი აზრის დონეზე და მისი გამოყენებით შეიძლება ეთნიკურ ტრადიციებში აქტიური და ეფექტური ჩარევა.. მაგრამ ამისათვის კი ჯერ თვით ამ საზოგადოებრივი აზრის მომზადებაა საჭირო, ხოლო შემდეგ მისი მზადყოფნის შემოწმება. დღის წესრიგში დგება მოქმედი ეთნიკური ტრადიციების სოციალური გარემოს კონკრეტული ცოდნა და ტრადიციების სოციალური გაზომვა.

ეთნიკური ტრადიციების სოციალური გაზომვა პირველ რიგში გულისხმობს ამ ტრადიციების თანამედროვე სამოქმედო ფუნქციის ძალისა და მასშტაბის საერთო და დიფერენცირებულ შემოწმებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და ფენაში. ეს უნდა გაკეთდეს სხვადასხვა მეთოდიკით, მაგრამ ერთ საერთო საფუძველზე — საზოგადოებრივი აზრის შესწავლით. ასე გაირკვევა შესასწავლი მოვლენის სიღრმე დემოგრაფიულ, სოციალურ-ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, ეთიკურ და სხვა ჭრილში, ხოლო ეს დაგვეხმარება შევიმუშაოთ სწორი დამოკიდებულება, თუნდაც პოლიტიკა, როგორც დადებითი და სასარგებლო ტრადიციების, ისე უარყოფითი, დრომოჭმული სოციალური მოვლენებისადმი. ჩვენი თანამედროვე საზოგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოებრივი განვითარება ტრადიციებისადმი აქტიურ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ქართველი მოწინავე საზოგადოება, როგორც ჩანს, წარსულშიც ყურადღებით ეკიდებოდა ეროვნული ტრადიციების ავ-კარგს. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა, მაგალითად, გასული საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში გაბნეული მონაცემები, რომლებშიაც გამოხატულია საზოგადოებრივი აზრის კრიტიკული დამოკიდებულება ცალკეული სახეშეცვლილი, ზოგჯერ კი დამახინჯებული ეროვნული ტრადიციებისადმი. მაგრამ ყოველივე ეს ფაქტების პასიურ კონსტანტაციად რჩებოდა. ქართული სამართლის ისტორიიდან ისიც ცნობილია, რომ ადრეულ ეპოქებშივე სამართლისა და კანონმდებლობის საფუძვლები საზოგადოებრივი ცხოვრების წესსა და ხალხის ზნე-ჩვეულებებს ემყარებოდა. მომდევნო ეპოქების სამართალში კი მკვეთრად გამოიკვეთა დიფერენცირებული სოციალური ინტერესები. ძველი წყაროებიდან ჩანს სოციალური მოვლენებისადმი კლასობრივი დამოკიდებულების შემთხვევები და ხალხის „ზნე-ჩვეულებათა და შეცოდებულობის განმართვის“ ანუ მოწესრიგების ცდები.

ამრიგად, ტრადიციები, როგორც ცოცხალი სოციალური ფუნქციის მოვლენები, განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს ექვემდებარება და აქვს ცვლილებების უნარი. ცხადია, ამ მხრივ მცდარია დასავლეთის მეცნიერებაში მიღებული თვალთახედვა, რომლის მიხედვით ტრადიცია განიხილება, როგორც ადამიანთა ჯგუფური ქცევისა და მოქმედების უცვლელი სტერეოტიპი, რომელიც თაობებში გადაეცემა, მაგრამ თითქოს სისრულეში მოდის ადამიანთა მოქმედების შეუცნობელი, მექანიკური გამეორებით. მაშასადამე, ამ გაგებით ტრადიციებს შეიძლება მიეცეს ერთ წერტილზე გაყინული უცვლელი მოვლენების კვალიფიკაცია რაც, ცხადია, მცდარი იქნება.

ეთნიკური ტრადიციებისადმი აქტიური დამოკიდებულება ამავე დროს შემოქმედებითად უნდა დაგვეხმაროს ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის შესაფერი ახალი ტრადიციების წარმოქმნასა და დამკვიდრებაში. ეს ცალკე, მნიშვნელოვანი საკითხია და ამჯერად მასზე სპეციალური მსჯელობის საშუალება არ გვაქვს. ზოგადად კი მაინც შეიძლება ითქვას, რომ ახალ ტრადიციებში, რომლებიც ჩვენს დროში, ზოგჯერ ჩვენ თვალწინაც ყალიბდება. უფრო ფართოდ ვემყარებოდეთ ჩვენი კულტურულ-ისტორიული წარსუ-

ლის კარგ ნაწილს, აღვადგენდეთ და შემოგვქონდეს მიმზიდველი ... სასარგებლო ფორმები ეროვნული კულტურის საუნჯიდან და ვუხამებდეთ მათ საზოგადოების სოციალური განვითარების ახალ შინაარსს. რესპუბლიკაში ამის ბევრი კარგი მაგალითი უკვე გვაქვს და საჭიროა ყოველი ადგილობრივი ასეთი ღონისძიების მხარდაჭერა და წახალისება, საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება.

როგორც ვხედავთ, კარგი ტრადიციების მოვლა, მისი სიწმინდის დაცვა ამავე დროს ფსევდოტრადიციული ქცევის ნორმების წარმოშობისა და განვითარების წინააღმდეგ ბრძოლა სოციალური განვითარების რთულ პროცესში მუდმივ ყურადღებას მოითხოვს, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ სხვა მნიშვნელობებთან ერთად განსაკუთრებულია აგრეთვე ტრადიციების პედაგოგიური მნიშვნელობა, საოჯახო-საზოგადოებრივ ტრადიციებში ზნეობის, ეთიკის, ესთეტიკის, ჰუმანიზმის და სხვა სოციალური კატეგორიების მრავალი ისეთი თვისებაა ჩაქსოვილი, რომელთაც ბევრ შემთხვევაში შეიძლება ეტალონის მნიშვნელობა ჰქონდეს და, მაშასადამე, ახალგაზრდობის აღზრდის პროცესში დიდ როლს თამაშობდეს. 1975 წ. 7 დეკემბერს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული იყო წერილი-ცნობა სათაურით „საგვარეულო თავშეყრა" (фамильный сход), რომელიც აფხაზეთის დღევანდელი ცხოვრების ერთ მომენტს ეხება. გაზეთი მოწონებით აღნიშნავს ასეთ ღონისძიების შინაარსს და ხაზს უსვამს მის თანამედროვე სოციალურ მნიშვნელობას. ერთი გვარის მატარებელი ადამიანების ანალოგიური შეკრებები ბოლო წლებში ჩვენც გვაქვს დადასტურებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ზემო და ქვემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი მესხეთი). ეს არის ფორმით შედარებით ახალი ტრადიცია, შაგრამ თავისი შინაარსით სოციალურ ურთიერთობათა ასევე ძველ, მყარ გაგებაზე აღმოცენებული. ცხოვრების რიტმმა და თავისებურებებმა დღეს ერთმანეთს განსაკუთრებით დააშორა ტერიტორიულად და სოციალურადაც გვარიშვილები და სწორედ სოციალური მოთხოვნილების კარნახით ხდება მათი პერიოდული თავშეყრა. ამ ტრადიციის სარგებლობა გაზეთის მართებული შენიშვნით თაობათა ურთიერთპატივისცემის, საჭირო სოციალური ურთიერთკონტროლის, ურთიერთდახმარებისა და სხვა ჰუმანურ თვისებებში უნდა დავინახოთ. ცხადია, რომ ასეთ ტრადიციას მხარდაჭერა და სწორი მიმართულებით განვითარება სჭირდება.

ბევრი ქართული წეს-ჩვეულება რელიგიურ საფარშია გახვეული. ცნობილია, რომ ქრისტიანობა და სხვა დიდი, სახელმწიფო რელიგიები, აგრეთვე წინაქრისტიანული, წარმართული რელიგიებიც ფართოდ მიმართავდა ხალხურ სულიერ საუნჯეს, მოხერხებულად იყენებდა ხალხურ სადღესასწაულო მოტივებს, საყოფაცხოვრებო ადგილობრივ ნორმებს, გართობა-მოლხენის ფორმებს, მათ შორის ხალხურ სპორტულ ღონისძიებებსაც რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ერთიან სისტემაში ჩასართავად, გადააქცევდა მათ რელიგიური რიტუალების შემადგენელ ნაწილად, რაც ამ რიტუალების მიმზიდველობას აძლიერებდა. ასე იქმნებოდა სარიტუალო ტრადიციები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე მოაღწია, უფრო მეტიც, შენარჩუნებული ძლიერი სოციალური ფუნქციის გამო, ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში დღესაც აქტიურ ძალას წარმოადგენენ და ხშირად სოციალურ მართვასაც კი აძნელებენ. ამავე დროს არის სიგნალები, რომ ზოგან, რესპუბლიკის პერიფერიებში და, სამწუხაროდ, ცენტრალურ ქალაქებში რელიგიური ტრადიციები არათუ სუსტდება, არამედ ფართოვდება, რწმენის თავისუფლება კონსტიტუციურ საფუძვლებს ემყარება, ამიტომ შიშველი ადმინისტრირება გამორიცხულია. ამავე დროს არც მშვიდად ცქერა შეიძლება ამ უარყოფითი მოვლენისადმი. როგორც ჩანს, აქაც საზოგადოებრივმა აზრმა უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი, საკითხი კი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. როგორი ახსნა შეიძლება მიეცეს, მაგალითად, ისეთ ფაქტს, როცა რომელიმე ტრადიციულ რელიგიურ დღესასწაულზე (ხატობაზე) მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გვერდით თავს იყრის ახალგაზრდობა. აშკარაა, რომ ამ ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობა აქ რწმენის ნიადაგზე არ არის მოსული. ისინი არ ლოცულობენ, მაშასადამე, ისინი სხვა მიზნით არიან მოსულნი. მართალია, ერთგვარ როლს ასრულებს უფროსი თაობის პატივისცემის ტრადიციის ძალა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდები ასეთ დღესასწაულებზე სანახაობრივი ინტერესით იყრიან თავს. მასობრიობა, დროის მრავალფეროვნად გატარების შესაძლებლობა იზიდავს მათ, არც ის არის დასამალი, რომ სოფლის თანამედროვე კულტურულ დაწესებულებებს უმეტეს შემთხვევაში სწორედ ეს მასობრიობის ფუნქცია აკლიათ და ღარიბნი არიან იმ საშუალებებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება, მათ კულტურულ ორიენტა-

ციაზე ქმედითი გავლენის მოხდენა. ღიმილის მომგვრელია, მაგრამ ამავე დროს ჩამაფიქრებელიც, რომ ახალგაზრდებს თურმე ხატობაზე დასწრება იმიტომაც ეხალისებათ, რომ იქ უცხოური კევი იყიდება, ან მაგიდის სატრიალებელ ლატარიაში „საინტერესო საგნები თამაშდება“. ამგვარი პასუხები ჩვენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგვისმენია. ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ახლად წარმოქმნილ საზეიმო თავშეყრაში, რომლებიც შრომითი საქმიანობის შეჯამებას, პროფესიული წარმატებების აღნიშვნას უკავშირდება და რომლებსაც კეთილ სახალხო ტრადიციად ქცევის ტენდენცია ახლავს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მასობრივი გართობისა და მოლხენის გონივრულ ორგანიზაციას, რომ ასეთი ღონისძიებების უშუალო საქმიანი ნაწილი ჩვეულებრივ მიტინგად ან საწარმოო თათბირად არ გადაიქცეს.

ეთნიკური ტრადიციების სპეციალური მეცნიერული შესწავლა პირველ რიგში ეთნოგრაფიის საგანია. ქართველი ეთნოგრაფების მრავალრიცხოვან კოლექტივს, კულტურულ-ისტორიული ტრადიციების კვლევის დიდი გამოცდილება აქვს. გამოვლინებული და შეკრებილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, დამუშავებულია ქართველი ხალხის სამეურნეო-მატერიალური, სოციალური და სულიერი ყოფისა და კულტურის მრავალი პრობლემა, ამჟამად ერთობლივად მზადდება დიდმნიშვნელოვანი განმაზოგადებელი ნაშრომი „ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა ეთნოგრაფებმა, ერთ-ერთმა პირველებმა საბჭოთა კავშირში, თავის დროზე მოჰკიდეს ხელი ყოფისა და კულტურის ცვლილებათა თანამედროვე პროცესების შესწავლასაც და, მიუხედავად მეთოდური სიძნელეებისა, ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს. ვფიქრობთ, ეს საქმე შეიძლება უფრო გაფართოვდეს იმ სადღეისო ამოცანებთან დაკავშირებით, რომელზედაც ყურადღების გამახვილებაა ამ წიგნის ერთ-ერთი მიზანი. დღეს სოციალურ მეცნიერებებს ახალი ამოცანები და ძიების ახალი ხერხები და მეთოდები გაუჩნდა. ეთნოგრაფიაც, როგორც ისტორიულ-სოციალური მეცნიერება, რომელსაც კვლევის საკუთარი სპეციფიკის გამო ყოველთვის ცოცხალ სინამდვილესთან აქვს საქმე, საპატიო ამოცანის წინაშეა — კიდევ უფრო გააფართოოს და გააღრმაოს წარსული ყოფის და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების შესწავლა და კვლევის შედეგებით არა მარტო გაამდიდროს ჩვენი ის-

ტორიული მეცნიერება, არამედ ეს შედეგები უფრო თამამად და საქმიანად დაუკავშიროს ჩვენი საზოგადოების დღევანდელ განვითარებას. ცხადია, რომ ეთნიკურ-ეროვნულ ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების მარტო ისტორიული მიზანდასახულობით შესწავლა არ კმარა, რადგან მათ საუკეთესო ნაწილს შენარჩუნება და შემდგომი განვითარება სჭირდება, ხოლო უკვე უვარგისს და დრომოჭმულს კი — შებრძოლება და უკუგდება. ყოველივე ეს მეცნიერულ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს. მეცნიერული თვალსაზრისითვე საჭიროა აგრეთვე საქმიანობის კოოპერირებისა და კოორდინაციის საჭიროება. ეთნოგრაფების გარდა ამ საქმეში აუცილებელია ისტორიკოსების, ფსიქოლოგების, ენათმეცნიერების, გეოგრაფ-ეკონომისტების, სამართლისმცოდნეებისა და სხვათა მონაწილეობა. საზოგადოებრივ-პრაქტიკული თვალსაზრისით კი ამ საკითხებს აქტიური და გონივრული დამოკიდებულება სჭირდება ადგილებზე პარტიული, კომკავშირული, საზოგადოებრივი აქტივის მხრივ. განსაკუთრებულია ამ საქმეში შემოქმედებითი ინტელიგენციის, პირველ რიგში, მწერლების როლი.

როგორც ითქვა, ეთნიკური ტრადიციები ნაციონალური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედი და მისი მაპროფილებელი ნაწილია, ამიტომ ზემოთ განხილული საკითხები ნაციონალური კულტურების განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების თანამედროვე აქტუალურ პრობლემებსაც უკავშირდება. ეს დამოუკიდებელი, დიდი საკითხია, ამიტომ აქ მხოლოდ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც ეთნიკური ტრადიციები გაყინული და უცვლელი არ არის, არამედ განვითარებადია, მაშასადამე, მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში ეს ტრადიციები არც მოწყვეტილი და კარჩაკეტილია. დღევანდელი ცხოვრება კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს ეროვნული კულტურის იზოლაციისა და კონსერვაციის უსაფუძვლობას, რადგან „იზოლაცია“ და „პროგრესი“ სოციალურად ერთმანეთთან შეუთავსებელი მოვლენებია. აქვე გასათვალისწინებელია ის ცნობილი ფაქტიც, რომ ამა თუ იმ ხალხის ტრადიციებს, კულტურას შეიძლება ეროვნული განუმეორებლობა ახასიათებდეს, მაგრამ ამავე დროს თავისი ფილოსოფიური, ეთიკური, სოციალური შინაარსით ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდეს.

ეროვნული კულტურის აყვავება და შემდგომი განვითარება, რაც ხალხთა კულტურების ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა
K253.26
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს ქმნის შინაგანი შემოქმედებითი წინსვლის, ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციების რაციონალიზაციის, განვითარება-განმტკიცების, ასევე ახლებური გონივრული გააზრების ხელსაყრელ პირობებს. ყოველივე ეს კი გამორიცხავს ეთნიკურ-ეროვნული კულტურისა და ტრადიციების ინდივიდუალურობის წაშლას, მათ ნიველირებას.

ნეგატიურ სოციალურ მოვლენებთან შეურიგებელი და გადაუდებელი ბრძოლის საჭიროებამ, რაც რესპუბლიკაში ბოლო წლების აქტიური პარტიულ-საზოგადოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარეობს, ბუნებრივად, მახვილი გაუკეთა ნამდვილად შეუწყნარებელ გამოვლინებებს ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სფეროშიც.

ამავე დროს თვით ჩვენი მოწინავე საზოგადოებრიობის შეხედულებები, განწყობილება, დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, როგორც ამას საზოგადოებრივი აზრის ბოლო ხანების ფართო გამოხმაურება ადასტურებს, ერთსულოვანია და სავსებით ნათელი — დროა ბოლო მოვუღოთ, ერთი მხრივ, ძველსა და დრომოჭმულ წეს-ჩვეულებებს, მეორე მხრივ, თანამედროვე პირობებში ჩვენს თვალწინ გაყალბებულ, ეროვნულობის ნიღაბს ამოფარებულ ფსევდოტრადიციებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წ. ნოემბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ სწორად და ობიექტურად აფასებს ჩვენი ცხოვრების ამ სფეროში შექმნილ ვითარებას და ნათელ, რეალურ პროგრამას სახავს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მახინჯ მოვლენათა აღსაკვეთად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ამოცანის გადაჭრა ადვილი არ არის და სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ჩვენი ეროვნული იერსახის ავ-კარგს.

ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში პარტიის მოწოდების პასუხად სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა ბევრ მახინჯ სოციალურ მოვლენას. მაგრამ თუ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო ახსნა-განმარტებითი ღონისძიებების გვერდით შესაძლოა და საჭირო მკაცრი ადმინისტრაციული წესისა და სამართლებრივი სასჯელის გამოყენება, ეს უკვე გაძნელებულია ხალხური ტრადიციებისა და წესჩვეულებე-

ბის სფეროში, რადგან აქ ბევრი მოვლენა სხვაგვარი წარმოშობისაა და ამიტომ ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სავსებით სწორად არის მითითებული ასეთი საკითხების მოგვარებაში ფრთხილი, თანმიმდევრული და გეგმაზომიერი დამოკიდებულების გამოჩენის საჭიროების შესახებ. მაგრამ, ამავე დროს ეს არ არის მოწოდება პასიური დამოკიდებულებისა და მოქმედების. საზოგადოების განვითარების ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველი სოციალური ღონისძიება საჭირო ეფექტს იძლევა მაშინ, როცა სტიქიურობა დაძლეულია და ყოველმხრივი ანგარიში ეწევა მოქმედების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს.

დღევანდელი ვითარება საფუძველს ქმნის ფართო საზოგადოებრივი აზრის უშუალო მხარდაჭერით აქტიური დამოკიდებულების საგანი გახდეს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ერთი შეხედვით შეუვალი და ხელშეუხებელი სფერო. აქტიური დამოკიდებულება, თავის მხრივ, დიფერენცირებული გამოხატულებისა უნდა იყოს.

ჩვენი, როგორც კულტურის ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, პროფესიული მოვალეობა გვიკარნახებს, რომ მხარი დავუჭიროთ ყოველგვარი ტრადიციის შენარჩუნებას მათი ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობის გამო და წარსულის სოციალურ-ეთნიკურ პროცესში უკეთ გარკვევის მიზნებისათვის — ტრადიციები ხომ პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროა მეცნიერებისათვის ასე საჭირო. მაგრამ როცა ყოველივე ამას საზოგადოების განვითარების, წინსვლის, პროგრესის კუთხით ვაფასებთ და ჩვენი ეროვნულობის დღევანდელი და ხვალინდელი დღის ინტერესებს ვითვალისწინებთ, სრულიად უყოყმანოდ ახალ, შემტევ პოზიციაზე ვდგებით, მაგრამ ეს შემტევი პოზიცია ცალმხრივ გაგებული არ უნდა იყოს. ახალ დადგენილებაში მკაფიოდ არის თქმული, რომ ეთნიკურ-ეროვნულ ტრადიციებში ძალზე ბევრია ისეთი ტრადიციები, რომლებიც საგანგებო მოვლა-შენახვას და შემდგომ განვითარებას საჭიროებს საზოგადოებრივი პროგრესის საერთო ინტერესებისათვის. მაშასადამე, საჭიროა ვასხვავებდეთ ტრადიციებისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში მავნესა და დრომოჭმულს, მეორე მხრივ, სასარგებლოსა და განვითარებადს. ისახება სპეციალური მეცნიერული კვლევის უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული პროგრამა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნიკური ერთობანი

მეცნიერებაში ეთნიკური ერთობების სხვადასხვა ფორმას ასხვავებენ, რაც გაპირობებულია ასეთ ერთობათა სიდიდით, გენეტიკური თავისებურებებით, შინაგანი კავშირის სიმტკიცით, საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების საფეხურებთან დამოკიდებულებით და რიგი სხვა ფაქტორით. ძირითადი პრინციპი, რაც ყველა შემთხვევაში საფუძვლად უდევს ასეთ ეთნიკურ ერთობებს, არის რეალურ საფუძველზე აღმოცენებული სოციალურ-კულტურული კავშირი ადამიანებისა, რაც ხანგრძლივი ტერიტორიულ-ეკონომიკური თანაცხოვრების პირობებში ნათესაური სიახლოვის ფსიქოლოგიურ შეგრძნებასაც კი აყალიბებს. გასათვალისწინებელია მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტიც, რომ ეთნიკური ერთობების ადრინდელი, თავდაპირველი სახეობების წარმოქმნის მომენტში, რაც უმთავრესად გვარ-ტომობრივი ურთიერთობის პირობებში ხდება, პირველ ეთნიკურ ერთობებს რეალური სისხლით ნათესაური კავშირი უდევს საფუძვლად.

ეთნიკურ ერთობათა შინაარსისა და ფორმის, ასევე ეთნიკური ისტორიის თეორიის საკითხები საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში საკმაო სისრულით არის დახასიათებული, რასაც ჩვენ ქვემოთ, ეთნოსისადმი მიძღვნილ ნაწილში, მეტ-ნაკლებად ვეხებით კიდეც, მაგრამ აქ მაინც გვინდა ცალკე გამოვყოთ ეთნიკურ ერთობათა პრობლემისადმი მიძღვნილი ახალი ნაშრომი გ. მელიქიშვილისა, რომელიც ფაქტიურად პირველი თეორიული ნაშრომია ქართულ ენაზე და რომელშიც მრავალი საკითხი ახლებურადაა გააზრებული[1].

ეთნიკურ ერთობებში ეთნოსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დღევანდელ ვითარებაში, საბჭოთა მეცნიერების განვითარების

---

[1] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ეთნო-სოციალურ ერთობათა სახეები: დაბეჭდილია ცალკე ნაწილად წიგნში: გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

ახალ დონეზე, თვით ცხოვრებამ გახადა საჭირო ეთნოსის თეორიის ახლებური დასმა და გაღრმავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში ბოლო წლებში ამ საკითხზე გაშლილმა თავისებურმა დისკუსიამ უდაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. შეხედულებათა ხშირად მკვეთრი განსხვავების მიუხედავად, ისტორიის მატერიალისტურ მეთოდოლოგიაზე დამყარებულმა კამათმა ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი დასკვნაც შესძინა მეცნიერებას, რომ ეთნოსი უნდა განიხილებოდეს როგორც რთული დინამიკური და განვითარებადი სისტემა, ხოლო ეთნოსის ძირითად მახასიათებლად მიჩნეული უნდა იქნას თითოეული ხალხის კულტურის საგანგებო, ცალკე ფენა ეთნიკური თავისებურებებისა და სპეციფიკის სახით. მაშასადამე, ხალხური (ეთნიკური) კულტურა უნდა ჩაითვალოს ეთნიკური სპეციფიკის გამოვლინების ძირითად სფეროდ[2].

ᲔᲗᲜᲝᲡᲘ

ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი საკითხის — ეთნოსის შესახებ საუბარი, ისევე, როგორც ეს თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება, ჩვენც მარტივი სქემატური მონახაზით უნდა დავიწყოთ.

ცნობილია, რომ მთლიანად ადამიანების ერთობლიობის აღსანიშნავად ვხმარობთ ტერმინს „ხალხი". ნათელია, რომ ეს არის ზოგადი სახელწოდება ხალხისა. ასევეა სხვა ენებშიც, ვთქვათ, რუსულად „народ", გერმანულად „Völk" და სხვ. მაგრამ, ამ ზოგადი მნიშვნელობის გარდა იმავე ქართულში (შესაბამისად სხვა ენებშიც) ტერმინი „ხალხი" შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობითაც იხმარებოდეს, როცა მას წინ ჩვეულებრივ, მსაზღვრელი ხვდება, ვთქვათ, „ქართველი ხალხი", „რუსი ხალხი" და ა. შ. ტერმინის ეს ორმაგი შინაარსობრივი მხარე მის გაგებასა და გამოყენებაში გარკვეულ სიძნელეს იწვევს. ამას თუ დავუმატებთ საკუთრივ ქართულში ტერმინის „ხალხი" ისეთ სპეციალურ მნიშვნელობასაც, როცა იგი ადამიანთა ისტორიული ერთობების ერთ-ერთი საფეხურის გამომხატველია (რუსული შესატყვისი „народность"), მაშინ საქმის სირთულე კიდევ უფრო ნათელი გახდება. საერთოდ უნდა ითქვას,

---

[2] Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, М. «Наука», 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქართულში დღეს დასაზუსტებელია შესატყვისი ნომენკლატურა[3].

ამჟამად ჩვენ ყურადღებას ვაჩერებთ ტერმინ „ხალხის“ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ადამიანთა არა ზოგად, არამედ კონკრეტულ, თავისებურ ერთობას აღნიშნავს, უფრო ზუსტად, გარკვეული ნიშნებით განსაზღვრულ ერთობას, რომელსაც „ეთნოსი“ ეწოდება და, რომელიც ეთნიკური ერთობების ყველაზე მაღალ და სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს. მაშასადამე, ეთნოსი გვაინტერესებს ტერმინ „ხალხის“ კონკრეტული მნიშვნელობით, როგორც, მაგ., „ქართველი ხალხი“||„ქართველი ეთნოსი“, „რუსი ხალხი“||„რუსი ეთნოსი“ და ა. შ.

ტერმინი „ეთნოსი“, როგორც მეცნიერული დანიშნულების ცნება აღებულია ძვ. ბერძნული ენის ლექსიკიდან, სადაც მას რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ტერმინის ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. ცნობილია, რომ ამავე ტერმინთან არის დაკავშირებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის ცნებები: „ეთნოლოგია“, „ეთნოგრაფია“, „ეთნოლინგვისტიკა“ „ეთნობოტანიკა“ თუ სხვ.

ეთნოსის ცნების საკითხი ზემოთ აღნიშნული გაგებით საბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაში შედარებით ახლახან, დაახლოებით 10 წლის წინ დადგა. ეს დრო ძირითადად მოხმარდა ამ საკითხის ირგვლივ მოსაზრებების, დებულებების გამოთქმასა და შემოწმებას, გაჩნდა სადისკუსიო სფერო, მსჯელობა დღესაც გრძელდება[4]. აქვე უნდა ითქვას, რომ საკუთრივ „ეთნოსის“ შესახებ საკითხის დასმისა და მისი რაობის გარკვევის ცდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გ. ჩიტაიას ეკუთვნის, რომელიც უკვე ადრევე შეეხო ეთნოსის შინაარსობრივ მხარეს და საგანგებო ყურადღება მიაქცია

---

[3] გ. ბ რ ე გ ა ძ ე, საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება, თბ., 1970; ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები (დასკვნები და განზოგადებანი), თბ., 1966.

[4] 1973 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. ბრომლეის ნაშრომი «Этнос и этнография», რომელშიაც შეჯამებულია ავტორის ხანგრძლივი ნამუშევარი ამ პრობლემაზე. აქვე მოცემულია სადისკუსიო საკითხების შეფასებაც. წიგნზე დაიბეჭდა რეცენზიები. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1975 წელს ნაშრომს მიაკუთვნა ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის პრემია.

ძველი ბერძნულის ლექსიკურ ფონდში ტერმინ ეთნოსთან ცნებების ἦθη, ἔθω — „ზნე“, „ჩვეულება“, „ჩვეულება მაქვს“ აზრობრივ სიახლოვეს. ამ საკითხისათვის გ. ჩიტაიას ცალკე ნაშრომი არ მიუძღვნია, მაგრამ სპეციალური მსჯელობა მოცემული აქვს ეთნოგრაფიული კვლევის პრინციპებთან და მეთოდებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთაც დავუბრუნდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საბჭოთა მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ეთნოსის ევოლუცია კიდევ ბუნდოვანი რჩება, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების განვითარებისა და ცვლის კანონზომიერებანი კარგად არის შესწავლილი. ამასთან, ცნობილია უკვე ადრევე შემჩნეული ფაქტი, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ცვლა, ჩვეულებრივ, არ ემთხვევა ეთნოსების || ხალხების ცვლას[5]. ერთნი თუ არსებობენ ორ ფორმაციაში (მაგ., ფრანგები, ინგლისელები), ან სამშიც კი (რუსები, პოლონელები), სხვებს მხოლოდ ერთ ფორმაციაში უწევთ ცხოვრება (ფინიკიელები, პართელები)[6]. დასმული საკითხები ეთნოგენეზის პრობლემას უკავშირდება.

ეთნოგენეზის პრობლემას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც წარსულის შესასწავლად, ისე მიმდინარე პროცესების გასაგებად. გასაკვირიც არ არის, რომ დღეს ეთნოგენეზის თემა სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა — ეთნოგრაფების, ისტორიკოსების, გეოგრაფების, ბიოლოგების, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების ყურადღებას იქცევს[7]. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ამასთან დაკავშირებით გამოთქმული სამართლიანი შენიშვნაც, რომ ბოლო წლებში ამ თემაზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან ნაშრომებს დასმული კითხვებისათვის პასუხი არ გაუცია და რომ საერთოდ მიღებული თეორია ეთნოგენეზისა ჯერ კიდევ არ არსებობს[8]. ამას იმით ხსნიან, რომ ეთნოგენეზი განსაკუთრებით რთული პროცესია, რომელიც მრავალი ფაქტორის — სოციალურ-ეკონომიური, გეოგრაფიული, ბიოლოგიური, კულტურული, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ფაქტორე-

---

[5] Ю. В. Бромлей, К вопросу о сущности этноса, «Природа», № 2.

[6] Л. Н. Гумилев, Этногенез и этносфера, «Природа», 1970, № 1, გვ. 46.

[7] იქვე. უნდა ითქვას, რომ ხალხების შესახებ მაგალითი ზუსტი არ ჩანს. აქ 1—3 შენიშვნით მოტანილი აზრები ჟურნალის («Природа») რედაქციას ეკუთვნის.

[8] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრ., (რედაქციის წინათქმა), გვ. 46.

ბის ზემოქმედებით მიმდინარეობს; თითოეული ამ ფაქტორის ფარ-
ლის დადგენა და, რაც უფრო ძნელი და უფრო მნიშვნელოვანია,
ამ ფაქტორების ურთიერთმოქმედების განსაზღვრა — ძალზე რთუ-
ლია. აი რატომ არის რომ ეთნოსის ცნების განსაზღვრაც, მისი ევო-
ლუციაც და მისი ურთიერთკავშირი ადამიანის მოქმედების სხვა
მხარეებთან დღეს მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად არის მოცემუ-
ლი[9].

როგორც უკვე აღინიშნა, სპეციალურ ლიტერატურაში ეთნოს-
თან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა ძირითადი პრინციპების
გაგებაში. სხვაობა პირველ რიგში თავს იჩენს ეთნიკური ნიშნების
კონკრეტულ განსაზღვრაში. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ რიგის
მთავარ ნიშნად მიიჩნევს ენას და კულტურას[10] (ჩამოთვლა მოცე-
მულია ი. ბრომლეის დასახელებული ნაშრომის მიხედვით. „Приро-
да", 1970, № 2), მეორენი უმატებენ ტერიტორიას და ეთნიკურ
თვითშეგნებას[11]. ზოგიერთი გარდა ამისა ფსიქიკური წყობის თავი-
სებურებებსაც მიუთითებს[12], ზოგი კი ეთნიკური ნიშნების რიცხვ-
ში აქცევს საერთო წარმოშობას და სახელმწიფოებრივ მიკუთვნე-
ბულობას[13]; მკვლევართა ერთი ჯგუფი ეთნოსის არსს ფსიქიკური
სტერეოტიპების თავისებურებებში ხედავს[14].

ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს ჩამოთვლილი ელემენტების
შესახებ დაწვრილებითი მსჯელობისა, მაგრამ ერთი ზოგადი მნიშვნე-
ლობის მომენტის შესახებ მაინც უნდა აღინიშნოს. პირველი შეხედ-
ვისთანავე კარგად ჩანს, რომ დაზუსტება სჭირდება თვით ეთნიკუ-
რი ნიშნების პრინციპებს. მთავარი აქ, ჩვენი აზრით, ის არის, რომ
ერთმანეთისაგან განსხვავდეს, ერთი მხრივ, ეთნოსის წარმოშობისა
და არსებობის პირობები, მიზეზები, ხოლო მეორე მხრივ, ეთნიკუ-

---

[9] იქვე.

[10] П. И. Кушнер, Этнические территории и этнические границы, М., 1951, გვ. 6.

[11] Н. Н. Чебоксаров, Проблемы типологии этнических общностей в трудах советских ученых, СЭ, 1967, № 4, გვ. 5.

[12] В. И. Козлов, О понятии этнической общности, СЭ, 1967, № 2, გვ. 26.; С. А. Токарев Проблема типов этнических общностей (к методологическим проблемам этнографии), «Вопросы философии», 1964, № 11.

[13] Г. В. Шелепов, Общность происхождения — признак этнической общности, СЭ, 1968, № 4, გვ. 65—73.

[14] Л. Н. Гумилев, О термине «этнос», Доклады отделений и комиссий Географического общества СССР, Л., 1967, вып. 3.

რი ნიშნები. პირობები და ნიშნები სხვადასხვა ცნებებია და აზრობ-
რივად ისინი ყოველთვის ვერ ფარავს ერთმანეთს. ვთქვათ, თუ ენი-
სა და ტერიტორიის ერთობა, ისევე როგორც ეკონომიკური ერთობა,
ეთნოსის წარმოშობის თავდაპირველ პირობად, ობიექტურ მიზეზად
უნდა მივიჩნიოთ, ასეთადვე ვერ ჩავთვლით ეთნიკურ თვითშეგნებას,
რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეთნიკური ნიშანია, მაგრამ არა ეთ-
ნოსის წარმოშობის თავდაპირველი, წინასწარული პირობა.

შემჩნეულია, რომ მსოფლიო ისტორიაში სპირალური სახის
სპონტანური საზოგადოებრივი განვითარების გვერდით არის კიდევ
ლოკალური რიტმები რომელიღაც სხვა წარმოშობისა, რომ სოცია-
ლური განვითარების საერთო კანონზომიერი რიტმი არ ემთხვევა ამ
ლოკალურ რიტმს, ამ შემთხვევაში — ეთნიკურ განვითარებას[15].
ერთი სწორი დაკვირვებით, როდესაც ევროპაში ფეოდალიზმი კა-
პიტალიზმით შეიცვალა, დიდი ნაწილი არსებული ხალხებისა იქცა
ნაციებად, ამასთან მათ საცხოვრისი არ შეუცვლიათ. ყოველ მათგანს
წარმოების წესი ჰქონდა ერთნაირი, მსგავსი, ხოლო ენას, რელიგი-
ას, ხელოვნებასა და განათლებას ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო.
მაგრამ ამ მრავალფეროვნებაში უწესრიგობა არ ყოფილა — ცხოვ-
რების ყოველი სტილი გარკვეული ხალხის მონაპოვარი იყო[16].

უნდა ითქვას, რომ ეს მეტისმეტად საყურადღებო დაკვირვებაა,
რომელსაც მნიშვნელობა აქვს საერთოდ „ცხოვრების წესის“,
„ცხოვრების სტილის“, „ცხოვრების ხასიათის“ ცნებების გასარკ-
ვევად.

სპეციალურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია ე. წ. „ჰორი-
ზონტალური“ და „ვერტიკალური“ კლასიფიკაცია ეთნიკური ერთო-
ბებისა, რაც, ჩვენი აზრით, საყურადღებოა[17]. ჰორიზონტალური
დაყოფის მიხედვით ხალხები ანუ ეთნოსები დაიშლებიან ანუ და-
ყოფიან ეთნოგრაფიულ ჯგუფებად და ამავე დროს გაერთიანდებიან
უფრო მსხვილ სისტემატურ რუბრიკებში — მონათესავე ხალხთა
ჯგუფებში, ანუ ეთნოლინგვისტურ ერთობებში. ვერტიკალურ კლა-
სიფიკაციას განაპირობებს ის, რომ სხვადასხვა ისტორიული ეპო-
ქის ხალხები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირ-

---

[15] Л. Н. Гумилев, Этногенез и этносфера, «Природа», 1970, № 1, გვ. 46—47.

[16] А. Н. Гумилев, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[17] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, Народы расы, культуры, М., 1971, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველდაწყებითი ასეთი ეთნიკური ერთობანი უკვე პირველყოფილ თემურ ანუ წინაკლასობრივ წყობილებაში გვხვდება. ასეთ ერთობებს „ტომობრივს“ უწოდებენ. ეს ერთობანი ისევე როგორც სხვა ეთნიკური ერთობებიც ყალიბდებოდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან რეალურ სამეურნეო კავშირში იყვნენ, ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე და ჰქონდათ გარკვეული კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებანი[18]. უფრო გვიანი ისტორიული ეპოქების ეთნიკური ერთობებისაგან განსხვავებით, პირველდაწყებითი ტომობრივი ერთობანი ეყრდნობოდნენ ნამდვილ ან მოჩვენებით სისხლით ნათესაურ კავშირებს, ე. ი. შედგებოდნენ ადამიანებისაგან, რომლებსაც საერთო წარმოშობა ჰქონდათ ანდა, ყოველ შემთხვევაში თავისთავს თვლიდნენ ასეთი წარმოშობით დაკავშირებულად. მართებულად არის მინიშნებული, რომ რამდენადაც ტომობრივ ერთობებში არ არსებობდა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალური განშრევება, მით უმეტეს, ანტაგონისტური კლასები, ამ ტომობრივი ერთობების კულტურა ერთიანი იყო — ეთნიკური და სოციალური სპეციფიკა კულტურისა პირველყოფილ ადამიანებთან მეტნაკლებად ემთხვეოდა ერთმანეთს[19].

ადრინდელი მყარი სოციალური ორგანიზაციის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ჯგუფებს შორის საქორწინო ურთიერთობათა ჩვევებსა და ნორმებს, გამოხატულს გვარის ეკზოგამურობასა და ტომის ენდოგამურობაში. ამ მომენტისა და სხვა აუცილებელი პირობების ერთობლიობის გათვალისწინებით შეიძლება დავუშვათ, რომ ტომი უკვე წარმოადგენს თავდაპირველ ეთნიკურ უჯრედს, თუმცა, მართებული შენიშვნით, ცალკეული ტომები არ შეიძლება ყოფილიყვნენ ძირითადი ეთნოსები პირველყოფილი საზოგადოებისა. უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ მონათესავე ან არამონათესავე ტომების დანაწევრებისა თუ გაერთიანებების პროცესში ადრევე დაიწყო ჩამოყალიბება უფრო მსხვილმა ტომობრივმა ჯგუფებმა, რომლებიც მომიჯნავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ლაპარაკობდნენ ერთი ენის დიალექტებზე და ჰქონდათ მრავალი საერთო თავისებურება კულტურისა. სწორედ ასეთი ჯგუფები უნდა ყოფილიყვნენ ძირითადი ეთნოსები ანუ ხალხები

---

[18] იქვე, გვ. 69.

[19] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქისა[20]. მომდევნო ისტორიულ ეპოქებში, კლასობრივი ანტაგონისტური საზოგადოებების პირობებში, ეთნიკური ერთობანი იმგვარად იცვლებიან, რომ ამ ერთობებში შემავალი ადამიანები ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ უკვე არა რეალური სისხლით ნათესაობით, არამედ ტერიტორიულ-მეზობლური ტიპის სამეურნეო-კულტურული ურთიერთობებით. შინაგანი სოციალური დიფერენციაცია თავის დაღს ასვამდა ცხოვრების წესს. კულტურისა და ყოფის ეთნიკური სპეციფიკა კლასობრივ საზოგადოებაში უკვე აღარ ემთხვეოდა სოციალურ სპეციფიკას[21]. საბჭოთა პოლიტიკურ და სამეცნიერო ლიტერატურაში წინაკაპიტალისტური ყველა კლასობრივი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ეთნოსების აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, იხმარება ერთი და იგივე ტერმინი — „ხალხი“, რომლის რუსული შესატყვისი „народность“ უფრო კარგად ასახავს რეალურ ვითარებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართულში მდგომარეობას ართულებს ტერმინ „ხალხის“ სამი განსხვავებული მნიშვნელობა: ზოგადი, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიური.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად ყალიბდება ახალი ტიპის ეთნიკური ერთობანი, რომლებსაც საერთოდ მიღებული სახელდებით „ნაციები“ ეწოდება. არსებობს ნაციის ცნობილი დახასიათება, რომელიც ი. სტალინს ეკუთვნის და, რომელშიც ოთხ ძირითად ნიშანში საგანგებოდ აქცენტირებულია ეკონომიური მთლიანობა და ინტერესების ფაქტორი. აღსანიშნავია, რომ ნაციის წარმოქმნის შემდეგ, როგორც წესი, ეთნიკური თვითშეგნება ნაციონალური თვითშეგნებით იცვლება. ნაციონალური მთლიანად ფარავს და ცვლის ეთნიკურს. ხდება ისეც, რომ განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში ზოგი ეთნიკური ერთობა, რომელიც ადრე იყო ჩამოყალიბებული, განაგრძობს არსებობას, მაგრამ ვერ გადაიქცევა ეკონომიკურად შემტკიცებულ ერთეულად, ე. ი. დამოუკიდებელ ნაციად[22]. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის ეპოქის ნაციებისა და ხალხების სხვადასხვა კლასებსა და

---

[20] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 70. ეთნოსზე ადრინდელი, წინამავალი და უფრო მცირე ეთნიკური ერთობის („ეთნოგრაფიული ჯგუფის“) სახელწოდებად ი. ბრომლეი გვთავაზობს ტერმინს „ეთნიკოსი“ (Ю. В. Бромлей, Этнос и этнография).

[21] დასახ. ნაშრ., გვ. 73, 77.

[22] დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, სოციალიზმი და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1964.

სოციალურ ჯგუფებს შორის კლასობრივი და კულტურულ-ყოფითი
ეროვნული ბიბლიოთეკა
განსხვავებანი ყოველთვის ძლიერ მნიშვნელოვანია, რამაც საფუძველი მისცა ვ. ი. ლენინს წამოეყენებინა დებულება „ორი ნაციის შესახებ თითოეულ ნაციაში“, „ორი ნაციონალური კულტურის შესახებ თითოეულ ნაციონალურ კულტურაში“. იგულისხმება გაბატონებული კლასების რეაქციული და მშრომელთა მასების პროგრესული კულტურის დაპირისპირება.

სოციალისტური ნაციების შესახებ საგანგებოდ აღარ ვილაპარაკებთ. ეს ცნობილია ყველასათვის. რაც შეეხება ნაციის გაგებას დასავლეთის ქვეყნებში, იქ ამ მხრივ სხვადასხვაობაა. ზოგჯერ ნაცია იქ წმინდა პოლიტიკურ აზრსაც ღებულობს და ემთხვევა სიტყვას „სახელმწიფო“[23].

ცნობილია, რომ თეორია ნაციისა, როგორც ადამიანთა ერთობის განსაკუთრებული სახეობისა და სხვა მასთან უშუალოდ დაკავშირებული მთელი რიგი ეთნიკური პრობლემები მთლიანობაში დამოუკიდებლად არ გვხვდება არც ვ. ი. ლენინის შრომებში და არც მარქსთან და ენგელსთან. არც ერთ მათგანს არ დაუტოვებია აგრეთვე ნაციის განსაზღვრა[24].

უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის მითითებული იმ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ერთი თავისებური მხარის შესახებ, რომ ძირეული ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ძვრების შედეგად ჩვენს დიად ქვეყანაში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი, ისტორიაში ჯერ არნახული სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა — საბჭოთა ხალხი, რაც სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს გარდა მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსული ენის გავრცელებასთან. აღნიშნულია ისიც, რომ ისევე, როგორც ყოველი სხვა ქვეყნის „ხალხი“ მოსახლეობის მრავალერიანი შემადგენლობით, როგორც, მაგ., „ბირმის ხალხი“. „ინდოეთის ხალხი“ და სხვ. საბჭოთა ხალხიც, რა თქმა უნდა, არ არის ნაციონალური ეთნიკური ერთობა. მაგრამ საბჭოთა ხალხის სოციალურ-ეკონომიური შემჭიდროებულობა, მისი კულტურის ერთობა (ნაციონალური ფორმების მრავალფეროვნებით), საერთო კომუნისტური იდეოლოგია და ნათლად შეცნობილი მიზანი — კომუ-

---

[23] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

[24] შდრ. В. И. Козлов, О некоторых аспектах национальной проблематики в трудах В. И. Ленина, СЭ, 1969, № 6, გვ. 17—18.

ნიზმის მშენებლობა, საფუძველს იძლევა განვიხილოთ საბჭოთა ხალხი, როგორც უმაღლესი ტიპი მრავალერიანი ისტორიული ერთობისა[25].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ ვნახეთ, ეთნოსის ძირითადი პრინციპების გაგებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ყველაზე მართებული შეხედულებით ეთნოსი არის სოციალური ერთობის ფორმა წარმოშობისა და განვითარების საკუთარი, სპეციფიკური ხასიათით. იგი არ ემორჩილება საზოგადოებრივ-ეკონომიური საფეხურებრივი განვითარების თვისობრივ ცვლას. არ არსებობს ფორმაციული ეთნოსები, თუმცა ამ საფეხურების მნიშვნელოვან გავლენებს განიცდიან.

ეთნოსს აქვს შინაგანი მთლიანობა გამოხატული განმასხვავებელი ნიშნების ერთობაში, რასაც განაპირობებს ეთნოსის სტრუქტურული სისტემა შემადგენელი კომპონენტების არა უბრალო ჯამით, არამედ რთული ფუნქციური კავშირურთიერთობებით. ცნობილია, რომ ეთნოსის ძირითად, განმასხვავებელ ნიშნებს შედარებითი სიმყარე და თვალსაჩინოება ახასიათებთ.

ეთნოსების შინაგანი რაობისა და განვითარების მექანიზმის შესასწავლად ძირითად და უტყუარ საფუძვლად რჩება კაცობრიობის განვითარების საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება. ეთნოსების ახალ საკლასიფიკაციო პრინციპებში გასაზიარებელია შეხედულება, რომ არსებობენ ისეთი ეთნოსები, რომლებიც გარეგანი და შინაგანი გავლენებით ძლიერ ცვლილებებს განიცდიან, რის შედეგადაც ისტორიულად ქრებიან, ისევე როგორც წარმოიქმნებიან ახლებიც და არსებობენ ე. წ. რელიქტური ანუ იზოლატი ეთნოსები, რომლებშიაც ხანგრძლივი დროის მანძილზე შინაგან მუდმივ, თუმცა ნელი ტემპით, განვითარებას განიცდიან ადრე სტაბილიზებული ტრადიციული თავისებურებანი. სუსტი ხასიათის კულტურული კონტაქტები და გავლენები იგულისხმება აქაც.

აღიარებულია, რომ ეთნიკური შინაგანი ერთობის ან ეთნოსებს შორის განსხვავებათა დასადგენად ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოქმედების ჯგუფურ თავისებურებებს. ჯგუფური მოქმედების საფუძველი და კონკრეტული გამოხატულება შრომი-

---

[25] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 85; С. Калтахчян, Советский народ — новая историческая общность людей, Правда, 17. III. 1972.; ბ. ლუტიძე, საბჭოთა ხალხი — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა, თბ., 1974.

თი-საწარმოო საქმიანობაა, რაც მატერიალური და სულიერი განვითარების მრავალფეროვნებაში გამოვლინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანთა საქმიანობის შედეგები ქმნის კულტურას (ფართო მნიშვნელობით), რომელიც შეიცავს არა მარტო განივთებულ შრომას, არამედ თვით ადამიანთა მოქმედებას, ქცევას გადაზრდილს ჩვევებში, ზნეში.

ადამიანთა ჯგუფური შრომითი-საწარმოო საქმიანობის ობიექტური საფუძველია გეოგრაფიული გარემო. ამ გაგებით ეთნიკური ცხოვრების სტილი ანუ ყოფა და ეთნიკური კულტურა განსაკუთრებით ეთნოსის წარმოქმნის საწყის ეტაპზე არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა და განსაზღვრული ლანდშაფტის ურთიერთმოქმედება და მისი შედეგები. ეს გამოვლინდება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების კავშირურთიერთობის სახით ცხოვრების ყველა სფეროში. ბუნებრივ საწარმოო ძალთა თვალსაზრისით ღარიბ და ერთფეროვან ლანდშაფტურ გარემოში ეთნოგენეზის პროცესი ნელა მიმდინარეობს. პირიქით, რთული, მაგრამ ერთნაირი საწარმოო საქმიანობით შეკავშირებული კოლექტივი ეთნოსად უფრო მალე იქცევა. განვითარების პროცესში ეს კოლექტივი დასახელებული რეგიონის ბიოცენოზში შედის, რაც კულტურის ქმნადობის სარბიელს წარმოშობს. სწორედ ასე გაგებული კულტურის სფეროში თავს იყრის ეთნიკური ერთეულის ყველა განმასხვავებელი თავისებურება, როგორიცაა კულტურის მყარი და მასთან, უშუალო დაკვირვებისათვის თვალსაჩინო კომპონენტები ენა — ეთნიკური ერთობის საფუძველი და ინდიკატორი, მატერიალური კულტურა, ხალხური ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი და სხვ.

ეთნოსის შინაგანი კულტურა ეს არის ურთიერთობათა მტკიცედ განსაზღვრული ნორმა კოლექტივსა და ინდივიდს, მეორე მხრივ, თვით ინდივიდებს შორის. ეს ნორმა იდუმალად არსებობს ცხოვრებისა და ყოფის ყველა სფეროში, რომელიც აღიქვება მოცემულ ეთნოსში და ყოველ ცალკე ეპოქაში როგორც ერთადერთი შესაძლებელი საშუალება თანაცხოვრებისა[26]. ქცევის კომპლექსური ნორმატივები ხელს უწყობს შინაეთნიკური სტრუქტურის შენარჩუნებას. ჰუმანიტარული დარგების ასპექტში ეს მოვლენა ცნობილია სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციად და მოდიფიკაცი-

---

[26] Ю. В. Бромлей, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ად. ბუნებისმეტყველურ ასპექტში კი ქცევის სტერეოტიპად. ენობრივი გამიის წყალობით ტრადიცია ქმნის ეთნიკური კოლექტივის სიმყარეს, როცა საქმე გვაქვს მეტნაკლებ, სტაბილურ ერთობასთან[27].

ეთნოსის ანუ შესატყვისი მნიშვნელობით ამა თუ იმ ხალხის შინაარსობრივი რაობის გასარკვევად, ვფიქრობთ, საინტერესოა ის ასპექტიც, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში სოციალური ფსიქოლოგიის სფეროს დაუკავშირდა. ყურადღება მიექცა იმ უნივერსალურ სოციალურ მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია ადამიანისათვის და, რომელიც გამოხატავს მის თვისებას დაჯგუფდეს ისე, რომ დაუპირისპიროს თავისი თავი და „თავისიანები" (ახლობლები, ხშირად კი საკმაოდ შორეულნი) მთელ დანარჩენ სამყაროს[28]. ადამიანთა კოლექტივების შინაგანი ერთობის შეგრძნება სოციოგენეზის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო მომენტია. ეთნოსშიც, როგორც ადამიანთა ერთობის გარკვეულ ფორმაში, იგივე სოციალურ-ფსიქოლოგიური მომენტი არსებით როლს თამაშობს. აქაც მთავარია ანტითეზა „ჩვენ" და „არაჩვენ" ანუ „ჩვენ" და „ისინი"[29].

მაგრამ თუ ყველა ეთნოსისათვის ეს სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორია საერთოა, სამაგიეროდ, თითოეული ეთნოსის შიგნით მოქმედებს საკუთარი ფსიქოლოგიის ნორმები.

ეთნიკური კოლექტივების წევრთა მოქმედებისა და ქცევის საერთო ხასიათისა და მათი თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმის ახსნაში დღეს სათანადო ყურადღება ექცევა ადამიანის ფსიქიკის ცალკე თავისებურებათა შესწავლას[30]. ამ მექანიზმის საფუძვლად აღიარებულია ადამიანთა ჯგუფების შიგნით ფსიქიკის განსხვავებული წარმონაქმნები, რომლებიც ფსიქიკურ სტერეოტიპად იწოდება. ამ უკანასკნელთა წარმოქმნა სოციალური მოვლენაა და არა ბიოლოგიური. არ არსებობს ადამიანთა თანდაყოლილი ფსიქიკური სტერეოტიპები.

ეთნიკური კოლექტივების კულტურის მრავალფეროვანი კომპონენტების მყარ ერთობას ცნობილი მეცნიერული განსაზღვრით ფსიქიკური წყობის ერთობა ეწოდება. იგი არის ეთნოსის ერთ-ერთი

---

[27] იქვე.

[28] Л. Н. Гумилев, Этногенез и этносфера, «Природа», 1970, I, გვ. 48; Ю. В. Бромлей, К вопросу о сущности этноса, «Природа», 1970, № 2, გვ. 51.

[29] Б. Ф. Поршнев, Социальная психология и история, 1966, გვ. 93.

[30] შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.

ძირითადი და მუდმივი ნიშანი[31]. ეთნოსის გარეგანი და შინაგანი სტრუქტურული პროცესები ამ ნიშანზე შედარებით ნაკლებად მოქმედებს. თუ ეთნიკური კულტურის ტრადიციები ნულზე დავიდა — ეთნოსი წყვეტს არსებობას. ამასთანავე, მეცნიერულად დაუშვებელია ეთნიკურ ერთობათა ფსიქიკური წყობის ცალკე ნიშნების აბსოლუტიზაცია.

საბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღება ექცევა საკითხს—რომ რასობრივი ნიშნები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არსებითი მნიშვნელობის ეთნიკურ ნიშნად, რომ ადამიანის ნიშანდობლივ თვისებებს შორის ეთნიკური გაერთიანებისა თუ გამიჯვნისათვის შეუდარებლად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მისი ფიზიკური იერია, მისი მოქმედების ჯგუფურ თავისებურებებს. საქმიანობა ადამიანთა ძირითადი თვისებაა, რომ იარსებოს უნდა პრაქტიკულად იმოქმედოს ადამიანმა, ხოლო ადამიანთა მოქმედების შესახებ მსჯელობენ შედეგების მიხედვით[32]. თავის მხრივ, ამ შედეგების ერთობლიობა წარმოადგენს კულტურას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რაშიც იგულისხმება ყველაფერი, შექმნილი კაცობრიობის მიერ თავის მატერიალურ და სულიერ განვითარებაში. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, კულტურაში შედის არა მარტო განივთებული შრომა, არამედ თვით ადამიანთა მოქმედება, ქცევა, გადაზრდილი ჩვეულებაში, ზნეში. კულტურის ყველა მთავარ ასპექტს — ტექნოლოგიურს, სოციოლოგიურს, იდეოლოგიურს საფუძველი საბოლოო ჯამში წარმოების ხასიათში ეძებნება.

ადამიანის საწარმოო საქმიანობის ობიექტური პირობაა გეოგრაფიული გარემო, უფრო ზუსტად ბუნებრივ-სამეურნეო პირობები. ადამიანის ურთიერთმოქმედება ბუნებასთან სხვადასხვანაირია სხვადასხვა ეპოქებში და გეოგრაფიულ რეგიონებში. ცხადია, რომ უშუალოდ ადამიანის ორგანიზმზე და ყოველ ადამიანურ კოლექტივზე ზემოქმედებს არა დედამიწა საერთოდ, არამედ განსაზღვრული ლანდშაფტი[33].

გეოგრაფიული ლანდშაფტი ზემოქმედებს ორგანიზმზე იძულე-

---

[31] Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, გვ. 49—51.

[32] Ю. В. Бромлей, К вопросу о сущности этноса, «Природа», 1970, № 2.

[33] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრ., გვ. 51; მისივე, Этнос и ландшафт, Изв. Всесоюзн. Геогр. общ., т. 100, 1968, № 3, გვ. 196.

ბით, აძლევს მიმართულებას მის მოქმედებას. ტყე, ველი, ტუნდრა, უდაბნო, მთები, წყლის გარემო, ცხოვრება კუნძულებზე და სხვ. თავის დაღს ასვამს ცხოვრებას. ეს სათანადო გამოხატულებას ახდენს ე. წ. სამეურნეო-კულტურული ტიპების ისტორიულ ჩამოყალიბებაში. კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში შესაფერი და გამართლებული სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდება[34].

ეთნოსი თავისი ჩამოყალიბების მომენტში მწარმოებლურად ეგუება განსაზღვრულ ლანდშაფტს. განაგრძობს მასზე ზემოქმედებას, იწყება ბუნების ანთროპოგენური ცვლილებანი. მყარი ლანდშაფტი ეთნოსის სტაბილიზებას იწვევს, ამასთან ამავე ლანდშაფტის ბუნებრივ საწარმოო ძალთა მრავალფეროვნება — ეთნოსის საწარმოო აქტივობას, რაც საერთო პროგრესის საფუძველიც არის. სწორედ მრავალფეროვანი, მაგრამ ერთიანი საწარმოო საქმიანობით შეკავშირებული კოლექტივი იქცევა ეთნოსად. როგორც ითქვა, ბუნებრივ საწარმოო ძალთა თვალსაზრისით ღარიბ და ერთფეროვან ლანდშაფტურ გარემოში ეთნოგენეზის პროცესი ნელა მიმდინარეობს. როგორც ვთქვით, განვითარების პროცესში ეთნიკური კოლექტივი დასახლებული რეგიონის ბიოცენოზში შედის, რაც კულტურის ქმნადობის სარბიელს წარმოშობს. აქედან გამომდინარეობს ის აუცილებლობა, რომ ეთნიკური კულტურის მიღწევების საზომი ყოველთვის კონკრეტული უნდა იყოს, რომ ყოველთვის საჭიროა სიფრთხილე ისეთი საკვალიფიკაციო ტერმინების ხმარების დროს, როგორიცაა „ველური", „პრიმიტიული" და სხვ. ეთნოსის განვითარება და ეთნიკური კულტურის გამრავალფეროვნება კონკრეტულ პირობებში და კონკრეტულ საცხოვრისში მიმდინარეობს, რომელსაც „ოიკუმენასაც" უწოდებენ. დროთა განმავლობაში ეთნიკური კულტურის სფეროში თავს იყრის ეთნიკური ერთეულის ზემოაღნიშნული ყველა განმასხვავებელი თავისებურება ანუ ნიშანი, როგორიცაა კულტურის მთავარი და ამასთან, უშუალო დაკვირვებისათვის თვალსაჩინო კომპონენტები: ენა — ეთნიკური ერთობის ინდიკატორი, მატერიალური კულტურა, ხალხური ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულება და სხვ. ყველაფერი ეს კი კონკრეტულია ფორმითაც და შინაარსითაც, როგორც უშუალო გამოხატულება ბაზისური და ზედნაშენური კატეგორიების, ასევე კონკრეტული ურთიერთმოქმედებისა.

---

[34] სამეურნეო-კულტურული ტიპების შესახებ იხ. Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

აქვე ყურადღებას იქცევს კვლევის ის ასპექტიც, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ადამიანთა ჯგუფური საწარმოო საქმიანობის შედეგად აღმოცენებულ ჯგუფური ქცევისა და მოქმედების ფსიქიკურ მექანიზმს. დადგენილია, რომ რამდენადაც ადამიანები შედიან დედამიწის ბიოსფეროში, მათ არ შეუძლიათ აიცდინონ ბიოქიმიური პროცესების ზემოქმედება, რომელიც უყალიბებს მათ ქვეცნობიერებას ანუ ემოციების სფეროს. ამ ფართო და საინტერესო პრობლემებიდან ამჟამად შეიძლებოდა ერთი საკითხი დაგვესახელებინა ადამიანთა ქცევის სფეროდან, რომელიც ქცევის იმპულსად იწოდება და, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში პასიონარობის სახელითაც არის ცნობილი. მიაჩნიათ, რომ პასიონარობის სტიმული ყველა ადამიანისათვის სხვადასხვა დოზითაა დამახასიათებელი და სხვადასხვა თვისებაში ვლინდება: ძალაუფლებისადმი სიყვარულში, მედიდურობაში, პატივმოყვარეობაში, სიხარბეში, შურში და სხვ., რომლებიც თანაბარი სიადვილით წარმოქმნიან გმირობას და ბოროტმოქმედებას, აღშენებას და ნგრევას, სიკეთეს და ბოროტებას. ზემოაღწერილ თვისებებს ხსნიან ფსიქოფიზიოლოგიური კონსტიტუციის თავისებურებებით[35].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული შეხედულებით ენდოგამიის საზღვრები ეთნოსის თავისებურ გენეტიკურ ბარიერს წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ეთნოსს გენეტიკური ერთეულის ხასიათს აძლევს[36]. ამიტომ, შესაბამისად, უმართებულო ჩანს შეხედულება, თითქოს საერთო ნათესაური წარმომავლობა ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი არ იყოს. საერთო ნათესაური წარმომავლობა ეთნოსის საწყისი საფეხურისათვის ობიექტურ რეალობად არსებული მატერიალური ნიშანია, რომელიც საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების სპეციფიკის შესაბამისად დროთა განმავლობაში პირვანდელი მნიშვნელობიდან სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნიშანში გადადის და თავისებურ, კოლექტიური ეპონიმურობის მნიშვნელობას ღებულობს, ე. ი. მომდევნო ეპოქებში საერთო ნათესაურ წარმოშობას რეალური მნიშვნელობით ცვლის ეთნიკური მიკუთვნებულობა. დღეს არსებული ეთნოსებისათვის ეთნიკური მიკუთვნებულობა ეთნოსის აგრეთვე ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია. ეს ნიშანი — საერთო ნათესა-

---

[35] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრ., გვ. 49. ეს შეხედულება გაკრიტიკებულია.
[36] Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, გვ. 115.

ური წარმომავლობა — ეთნიკური მიკუთვნებულობა სოციოგენეზის თვალსაზრისით ბიო-სოციალურ კატეგორიათა რიგს უნდა მიეკუთვნოს. საკითხის ეს საყურადღებო ასპექტი დღეს მეცნიერული დაკვირვების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი გახდა[37].

ეთნიკური თვითშეგნება ცნობიერების კატეგორიათა რიგს ეკუთვნის, არ არის თანდაყოლილი რამ, მაგრამ ამავე დროს თაობიდან თაობაში მემკვიდრეობით გადაცემის ობიექტს წარმოადგენს[38]. ეთნიკური თვითშეგნება ყალიბდება ბავშვის მთელი განვითარების მანძილზე მოწიფულობამდე. ეს კი უშუალო კავშირშია აღზრდასთან და განათლებასთან ოჯახში, სკოლაში. ეთნიკური თვითშეგნების ასეთი მიმღეობითი მემკვიდრეობა მოქმედებს ხალხის, ეთნოსის ისტორიული არსებობის მთელ მანძილზე. სავსებით სწორად შენიშნავენ, რომ ეთნიკური თვითშეგნება ადამიანთა უმრავლესობაში, როგორ ეთნოსსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, დიდს თუ მცირეს, განუყრელად არის დაკავშირებული თავისი მშობლიური ხალხის მხურვალე სიყვარულთან, მისი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მიღწევების და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წვლილის სიამაყის გრძნობასთან[39].

ადრინდელი ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა ანთროპოლოგიური მეცნიერების მონაცემებს, განსაკუთრებით კი ეთნიკურ ანთროპოლოგიას, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ეთნიკური და რასობრივი ერთობების თანაფარდობას, იკვლევს ცალკე ხალხებისა და მათი მონათესავე ჯგუფების რასობრივ მიკუთვნებულობას და რასობრივ შემადგენლობას[40]. ეთნიკური ანთროპოლოგიის დაკვირვების ობიექტებია ცოცხალ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფები ან ადამიანთა ჩონჩხების (განსაკუთრებით თავის ქალის) სერიები, რომლებიც შეფარდებულია განსაზღვრულ ტერიტორიასთან და განსაზღვრულ ისტორიულ

---

[37] Ю. И. Семенов, Как возникло человечество, М. 1967.

[38] გ. მელიქიშვილი, ეთნო-სოციალურ ერთობათა სახეები: მის წიგნში: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“, თბ., 1973, გვ. 111, 114 და სხვ.

[39] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[40] იხ. მ. აბდუშელიშვილი, მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, თბ., „მეცნიერება“, 1971.

პერიოდთან. ასეთი არეალობრივი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ერთი სახეობის პირით იწოდებიან, როგორც ანთროპოლოგიაში, ისე ბიოლოგიაში, პოპულაციებად. ძველი თუ თანამედროვე პოპულაციების შესწავლის დროს ანთროპოლოგები გამოყოფენ მათთვის უფრო მეტად დამახასიათებელ სხეულებრივ თავისებურებებს, რომლებსაც ანთროპოლოგიური ტიპები ეწოდებათ. კვლევაში მეტი ყურადღება ექცევა კონკრეტულ პოპულაციებს, რომლებიც რაც უფრო მცირენი არიან, მით უფრო გენეტიკურად შედარებით ერთგვაროვნობას გამოხატავენ. ბოლო წლებში ანთროპოლოგების მთავარი ყურადღებაც „მცირე პოპულაციების" შესწავლაზეა გადატანილი, რომელთა წევრები დაკავშირებულნი არიან არცთუ ძალიან შორეული ნათესაობით, ე. ი. წარმომავლობენ წინაპართა ერთი შედარებით ახლო ჯგუფიდან. ასეთ პოპულაციებს განეკუთვნებიან მომცრო გვარტომობრივი დანაყოფები (იქ, სადაც ისინი შემორჩნენ), განაპირა ტერიტორიების, შორეული მთის ხეობების მოსახლეობა, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში — სოფლებისა ან მცირე ქალაქების მოსახლეობა, სადაც სხვა ადგილების მკვიდრთა ნაკადი მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ასეთი მცირე პოპულაციები (ვ. ბუნაკის მონაცემების მიხედვით 1500—4000 კაცამდე) უახლოეს ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში „დემებად" იწოდებიან (ნაწარმოებია სიტყვიდან „დემოსი" — ხალხი). დემების ანთროპოლოგიურ იზოლაციას, ჩვეულებრივ, ხელს უწყობს ენდოგამია[41]. საბჭოთა ანთროპოლოგიური მეცნიერება ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს ჰემატოლოგიური გამოკვლევების სიფრთხილით გამოყენების საჭიროებაზეც სოციალურ სფეროში. საერთოდ კი ამ ხასიათის გამოკვლევების არსი შემდეგშია: როგორც ცნობილი გახდა, ეთნიკური ჯგუფების გენეტიკურ დახასიათებაში მეცნიერებისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სისხლის გამოკვლევებს, ცხადია, ანგარიში ეწევა საერთოდ ამ საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულების საჭიროებას ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მავნე ასპექტების გამო. სისხლის ჯგუფები, ერითროციტების ფერმენტები, ჰემოგლობინი და შრატის სხვადასხვა ცილები მატარებელნი არიან მემკვიდრეობით განპირობებული მოლეკულიარული სახესხვაობისა. გენების გავრცელება, რომლებიც კონტროლს უწევს ცილის ამ ვარიანტების გამოჩენას,

---

[41] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 111—112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებულია გენეტიკურად დაკავშირებულ ერთობებზე — პოპულაციებზე. ადამიანთან ამას მივყევართ გენების განაწილების ეთნიკურ განსხვავებებთან და ზოგიერთი ცალკეული ეთნიკური ჯგუფისათვის იქმნება მთელი რიგი ასეთი გენეტიკური თავისებურების განუმეორებელი შეფარდება[42]. ანთროპოლოგიურ ჰემატოლოგიაში დღეს სათანადო ყურადღება ექცევა სისხლის შრატისეული ცილის, ე. წ. ჰაპტოგლობინის ძირითადი ტიპების ეთნოგრაფიას. საკითხის უაღრესი სპეციალურობის გამო თავს ნებას ვერ მივცემთ და ვერც შევძლებთ მის არსში უფრო ღრმად შევიჭრეთ, მაგრამ ერთს მაინც ვიტყოდით ზოგადად, რომ სისხლის ფაქტორების განაწილება და კერძოდ, ე. წ. გენების სიხშირის დისპერსია, როგორც ეს აღნიშნულია საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში, დამოკიდებულია არა მარტო ბიოგეოგრაფიულ, არამედ სოციალურ ფაქტორებზე, კერძოდ, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე. მაშასადამე, არსებობს ღრმა შინაგანი ურთიერთკავშირი და ერთგვარი პარალელიზმი ბიოლოგიური და სოციალური ხასიათის მოვლენებს შორის[43].

ეთნიკური ანთროპოლოგიის საინტერესო და მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს აგრეთვე ეთნიკური დერმატოგლიფიკა, რომლის დაკვირვების საგანია ხელის მტევნისა და ფეხის ტერფის კანის ნახჭები — ხაზები, როგორც ერთ-ერთი მაჩვენებელი პოპულაციების გენეტიკური სიახლოვისა[44].

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საერთოდ ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის ეთნოგენეზის ზოგადმეცნიერული თეორია, რაც პირველ რიგში გამოწვეულია ამ თეორიის დასაყრდენი საფუძვლების მრავალფეროვნებითა და სირთულით, თავს ნებას მივცემთ მეცნიერული სიფრთხილის საჭიროების გათვალისწინებით გამოვთქვათ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება ჰიპოთეზის დონეზე ქართველთა ეთნოგენეზის დასაწყისი სტადიის შესახებ.

ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ რადგან წიგნი თავისი პირდაპირი დანიშნულებით ეთნოსთან დაკავშირებული ზოგადთეორიული საკითხების კვლევა-შესწავლაში სპეციალური ლიტერატურის მონაცემების თავმოყრასა და ერთგვარ სისტემატიზაციას ემსახურება,

---

[42] А. А. Воронов, Этногеография основных типов гаптоглобина – сывороточного белка крови, СЭ, 1968, № 2, გვ. 69.

[43] А. А. Воронов, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

[44] იქვე, გვ. 79.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასში კონკრეტული ეთნოსების, ამ შემთხვევაში ქართველთა ეთნოგენეზის გადაუწყვეტელი პრობლემური საკითხების შეტანა შესაბამისი კვლევის პროცესის უჩვენებლად, წიგნის მთლიან სტრუქტურას არღვევს და ერთგვარად ულოგიკოსაც ხდის.

მაგრამ, ვიმეორებთ რა, რომ შეგნებული გვაქვს პრობლემური საკითხისადმი სიფრთხილით დამოკიდებულების საჭიროება, წიგნის პირველ ნაწილში განხილული ზოგადთეორიული მაჩვენებლების გამოყენებით შესაძლებლად ვთვლით ზოგიერთი საკითხის მსჯელობისათვის დაყენებას. გზა დედუქციურია, თუმცა ეს პრინციპი ისტორიოგრაფიაშიც არის დაშვებული.

ქართული ეთნოსის წარმოქმნის საწყისი ეტაპის შესახებ მსჯელობის წინაპირობად ანუ საწყის მოცემულობად უნდა მივიჩნიოთ როგორც სტაბილურ-სტატისტიკური პოზიცია — გვარტომობრივი ერთობის არსებობა, რომელიც ერთი ენის მატარებელი იყო. ეს ტომობრივი ერთობა ხასიათდებოდა გამოკვეთილი ენდოგამურობით, ეს ენა იყო ის საერთო მონაცემი, რომელსაც ენის დიფერენციაციის შემდგომმა პროცესებმა მას ჩვენი დღევანდელი გაგებით ფუძე ენის ხასიათი მისცეს. ენათმეცნიერულად „ქართული“ ფუძე ენის ისტორიული არსებობა დადასტურებულია.

უნდა დავუშვათ, რომ ქართული ეთნიკური ერთობა ძალზე ადრევეა გამოკვეთილი დღევანდელი საცხოვრისის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ფარგლებში. ქრონოლოგიურად ეს მოდის არქეოლოგიური ტერმინოლოგიით ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაზე (V—III ათასწლ.) და წინ უსწრებს საერთო ფუძე ენიდან ქართველური ენების გამოყოფის პროცესს. ამ ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების მატერიალური საფუძველი იყო მწარმოებლური მეურნეობის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია) დარგობრივი სტაბილიზაცია ლანდშაფტურ-მეურნეობრივი ზონალობის პირობებში[45], რაც ქართული ეთნოსის საწარმოო საქმიანობის პროფილის ძირითად ნიშნად დარჩა მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენს დრომდე, ხოლო ამ პროცესის ბიო-სოციალური პირობა კი იყო ორგანიზებული ენდოგამურობა იმ ტომებისა, რომლებიც ძირითად ეთნიკურ უჯრედებად იქცნენ და დასაწყისი მისცეს ტრადიციული კულტურის მიმღეობით მემკვიდრეობას.

---

[45] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1976.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემები კვლევის თვალსაზრისით დაწინაურებულია და წარმატებაც არის მოპოვებული. ამ დღეს ჩვენ არ მოგვეთხოვება, ცხადია, ამ საკითხის არც ისტორია და არც ისტორიოგრაფია. გვინდა მხოლოდ გავიხსენოთ ერთი ნაწილი ამ სამუშაოსი, რაც ქართული ეთნიკური ნომენკლატურის სფეროს განეკუთვნება. ამ საკითხს თავის დროზე სხვადასხვა კუთხით შეეხნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, გ. მელიქიშვილი. ამავე საკითხს ბოლო ხანებში სპეციალურად მიეძღვნა საინტერესო ნაშრომი ა. აფაქიძისა, რომელიც წაკითხული იყო 1966 წ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე სახელწოდებით „ნათესავით ქართველი", ხოლო შემდეგ შემცირებული სახით დაიბეჭდა ა. შანიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „ორიონი" (1967 წ.)[46].

მსჯელობის საგანია სათანადო ტერმინები „ტომი", „თესლი", „ნათესავი", „ერი". ნაჩვენებია მათი სიძველე, ურთიერთმიმართება, მნიშვნელობათა ისტორიული ცვლა და ამ ტერმინების აზრობრივი შეხვედრები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ტერმინები ეთნოსის შინაარსის შემცველნი არიან და ამდენად, დასმული საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობის მქონენი. ეს განსაკუთრებით იმ ნაწილზე ითქმის, რომლის მიხედვით ეთნოსი გენეტიკური ერთეულის მნიშვნელობას ღებულობს. როგორც ჩანს, ქართული ენობრივი მასალა თავის სიძველით და შინაარსობრივი სისავსით ამ საკითხს უშუალოდ ეხმაურება.

ქართული ეთნოსის წარმოქმნის ასეთი გაგება საფუძველს ქმნის ვიფიქროთ, რომ მომდევნო ეპოქებში ქართულ-ზანურ-სვანური ენების მატარებელი ჯგუფები გენეტიკურად განსხვავებული ეთნიკური ერთობანი კი არ ყოფილან ცალკე ტომობრივ-ეთნიკური წარმოშობის ჯგუფების სახით, არამედ ერთი ეთნოსის ტერიტორიული განფენებანი, რის შემდგომ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ ამავე ეთნოსის შინაგანი ინვარიაციული ცვლილებების შედეგად ახალი ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფების გაჩენა (როგორც, მაგ., მოსხები, კოლხები... ან შემდგომ ქართლელები, გურულები, აჭარლები თუ სხვანი). ამრიგად, ქართული ეთნოსი შედიოდა პირველყოფილ-

---

[46] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში: ა. შანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „ორიონი", თბ., 1967.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემური, ადრე კლასობრივი, ფეოდალური, კაპიტალისტური წყობილების შესაბამისი ადამიანთა ისტორიული ერთობების (ტომი, ხალხი, ნაცია) შემადგენლობაში. ქართული ეთნოსი დღესაც თავის შემდგომ განვითარებაშია.

ადამიანთა შინაგანი ერთობით განსაზღვრული ჯგუფის, ე. ი. ეთნოსის (თანაბარი გაგებით ამა თუ იმ ხალხის) ცხოვრების სტილს ანუ ეთნიკურ ყოფასა და კულტურას შეისწავლის სამეცნიერო დარგი — ეთნოგრაფია. ამასთან ეთნოგენეზის პრობლემა სხვა მეცნიერების (ისტორია, გეოგრაფია, ფსიქოლოგია, ბიოლოგია...) კვლევის საგანიცაა.

რამდენადაც ცხოვრების თითოეული ეს სტილი განსაზღვრული ხალხის ანუ ეთნოსის მონაპოვარია, ხოლო ეთნიკური და ზოგადსოციალური პროცესები კი თავისი ბუნებით განსხვავდებიან, ამდენად ეთნოგრაფიის არც სპეციალური საგანი და არც კომპეტენცია არ არის მხოლოდ პირველყოფლობის (გვაროვნულობის), ან ფეოდალიზმის თუ კაპიტალიზმის, ე. წ. წარმოების წესით განსხვავებული სოციალურ-ეკონომიური ფორმაციების სპეციალური კვლევა.

ეთნოგრაფიის დანიშნულების ასეთი მცდარი გაგება ქრონოლოგიურად უნდა მომდინარეობდეს ამ დარგის მეცნიერული ჩასახვისა და განვითარების პირველი ფაზიდან, როცა ბურჟუაზიული მეცნიერების ყურადღება ობიექტურად მიპყრობილი იყო პირველყოფლობისადმი. მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში ეთნოგრაფიის საგნის სტრუქტურის საკითხი უშუალოდ არ მდგარა.

მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე აგებული ეთნოგრაფია დღეისათვის მნიშვნელოვანი წარმატების მქონეა, ამასთან, იხვეწება მისი კვლევის სფეროც, საგანიც, მეთოდებიც. ასეთ ვითარებაში ეთნოგრაფიის ე. წ. სამეცნიერო ცნებების აპარატში ბევრი რამ დასაზუსტებელი რჩება. დასაზუსტებელი ჩანს ცნება „გადმონაშთი“ — ეთნიკური კულტურის განვითარების საქმეში გაუგებრობათა შემცველი და გამომწვევი. იგი შეიძლება შეიცვალოს ცნებებით „ტრადიცია“, რომელიც მოვლენათა განვითარების უწყვეტობას უკეთ გამოხატავს. უზუსტობანია ეთნიკურ ნომენკლატურაში — გაურკვეველია „ეთნიკური ჯგუფის“, „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ ცნებები და მათი ეთნოსთან მიმართება და სხვ.

ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების განვითარების დღევანდელ პირობებში ეთნოგრაფიის წინაშე მნიშვნელოვანი პერსპექტივები იშლება.

საბჭოთა მრავალერიან ძმურ ოჯახში ყოველი ეთნოსი და ეთნიკური კულტურა უკლებლივ მძლავრ აღმავლობას და შემდგომ განვითარებას განიცდის. ამის საფუძველია ხალხთა მეგობრობა და დაახლოება — სოციალისტური წყობილების უდიდესი მონაპოვარი. ეთნიკური კულტურის განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესებმა ჯეროვანი მეცნიერული ყურადღება მოითხოვა, მეცნიერულ მიდგომაში კი ამოსავალი გახდა ერებისა და ეროვნული კულტურების საერთო პატივისცემა.

ამრიგად, ეთნოსის ნიშნების განხილვა გვიჩვენებს, რომ ადამიანთა განსაზღვრულ ერთობას, ადამიანთა კოლექტივს, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს, აუცილებლად უნდა ჰქონოდა ერთი განსაზღვრული ტერიტორია, რომელზედაც ცხოვრება, არსებობა, მაშასადამე, საარსებო საშუალებათა წარმოება ადამიანთა შორის რეალურ კავშირებს აღმოაცენებდა. ამიტომ, ცხადია, რომ ასეთი ტერიტორიის არსებობა წარმოადგენს ყოველი ეთნოსის წარმოქმნის აუცილებელ პირობას. მაგრამ ხდება ისეც, რომ ისტორიულად ეს ტერიტორია იცვლება, ამიტომ ხშირია განსხვავება ეთნოსის თავდაპირველი წარმოქმნისა (მშობლიური) და ახლანდელი საცხოვრისის ტერიტორიებს შორის. ამის მაგალითი ისტორიაში ბევრია. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, მაგალითად, რომ რუსების ეთნიკური ტერიტორია თითქმის განუწყვეტლივ ფართოვდებოდა, ასევე ითქმის არაბების, ამერიკელების, მალაელების, ჩინელების შესახებ[47].

ასევე აღნიშნულია, რომ თუ რომელიმე ხალხის განსახლების დროს ხდება მისი ცალკე ჯგუფების გეოგრაფიული მოწყვეტა, რაც უფრო ხშირია საზღვაო გზით გადასახლების დროს, მაშინ ძირითადი „მშობლიური“ ხალხისაგან გამოიყოფა ახალი დამოუკიდებელი ეთნოსები[48]. სწორედ ასე დაემართათ ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს, ჰოლანდიელებს და დას. ევროპის სხვა ხალხებს, როცა კოლონიალურ პერიოდში (XVI—XIX სს) მოხდა მათი განსახლება ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანიის მკვიდრი მოსახლეობისათვის წართმეულ და დაპყრობილ მიწებზე. ასეთ ახალ ეთნოსებს წარმოადგენენ ამერიკელები,

---

[47] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15.

[48] იქვე, გვ. 15.

ინგლისელ-კანადელები, ფრანგი კანადელები, ლათინური ამერიკის ... თითქმის ყველა მსხვილი ხალხი, ინგლისელ-ავსტრალიელები, ინგლისელ-ახალზელანდიელები და სხვა მრავალნი[49].

ეთნოსის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ეკონომიური ბაზის არსებობა. ცხადია, რომ ადამიანთა დიდი კოლექტივის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს, აუცილებელია, რომ ეს ხალხი არა მარტო ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობდეს ერთ ტერიტორიაზე, არამედ თავის შიგნით იმყოფებოდეს რეალურ სამეურნეო ურთიერთობაში. ყოველი ეთნოსი თავისი ფორმირების პერიოდში შედგება ადამიანთა კოლექტივებისაგან, რომლებიც ეკონომიურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი[50]. მაშასადამე, ეკონომიკური შინაგანი კავშირები არის ეთნოსის როგორც ჩასახვის, ისე მისი განმტკიცების, ეთნიკური კონსოლიდაციის პირობა. ამ პროცესში დიდ როლს თამაშობდა სხვადასხვა სახის კოლექტიური სამუშაოები (სარწყავი და ამოსაშრობი, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა). დროთა განმავლობაში შესაძლებელია ეკონომიკა და ეთნოსი ერთმანეთს მოსწყდნენ, ამიტომ შინაგანი ეკონომიკური კავშირების არსებობა, მართალია, ერთი აუცილებელი პირობაა ყოველი ხალხის, ეთნოსის წარმოშობისა, მაგრამ შეიძლება გარკვეულ პერიოდში ის აღარ იყოს ყოველი ეთნოსის დამახასიათებელი ნიშანი.

ცალკე ეთნოსების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი უმნიშვნელოვანესი ნიშანია კულტურული თავისებურებანი, რომელიც გამოუმუშავდება ყოველ ხალხს თავისი ისტორიული განვითარების პროცესში და გადაეცემა თაობიდან თაობას. ამ ურთიერთდაკავშირებული თავისებურებების ერთობლიობა შეადგენს მეცნიერული გაგებით ე. წ. „ეთნიკურ ტრადიციას"[51]. დღეს უკვე დადგენილია, რომ ასეთი ტრადიციები ყალიბდება ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში თითოეული ხალხის ეთნოსის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ და ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით[52]. დადგენილია აგრეთვე, რომ წარმოშობის შემდეგ ეს ტრადიციები მტკიცე,

---

[49] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[50] იქვე, გვ. 21.

[51] იქვე, გვ. 25.

[52] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მყარი ხდებიან და ხანგრძლივად შემოინახებიან მაშინაც კი, როცა მოცემული ხალხის ცხოვრების პირობები ძლიერ შეიცვლებიან[53].

საყურადღებოა საკითხის მეორე მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც აგრეთვე დასმულია სპეციალურ ლიტერატურაში — როგორ გავიგოთ ხალხის ეს კულტურული სპეციფიკა. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია შეხედულება, რომ კულტურული სპეციფიკა არ უნდა იყოს გაგებული მხოლოდ სიტყვის ვიწრო „ეთნოგრაფიული" მნიშვნელობით, როგორც წარსულში ჩამოყალიბებული მატერიალური და სულიერი კულტურის ტრადიციული თავისებურებების უცვლელი ერთობლიობა. აქ საქმე ეხება ამა თუ იმ ხალხის კულტურულ მიღწევებს მთლიანად, მის წვლილს თანამედროვე მსოფლიო კულტურაში. ამიტომ სავსებით სწორად არის შენიშნული, რომ ჩვენს სინამდვილეში ადამიანები განსაზღვრავენ თავის მიკუთვნებულობას ამა თუ იმ ეთნოსისადმი არა მხოლოდ იმით, რომ ისინი ცხოვრობენ მსგავსი ტიპის სახლებში, იცვამენ ერთი თარგის ტანსაცმელს, უყვართ ერთი და იგივე საჭმელი ან მღერიან ერთსა და იმავე სიმღერებს, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია და ეთნოგრაფიის სპეციალურ საგანს შეადგენს, არამედ უფრო იმით, რომ ეს ადამიანები არიან თავისი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მფლობელნი, გამგრძელებელნი მისი პროგრესული შემოქმედებითი ძალღონისა სამეურნეო, საზოგადოებრივი, კულტურული საქმიანობის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში[54]. ამრიგად, ამა თუ იმ ხალხის კულტურული სპეციფიკის დასადგენად, გამოსაცნობად მხედველობაშია მისაღები თვით ამ კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული, უწყვეტი განვითარება. მართლაც, ეთნიკური ტრადიციების შესახებ მსჯელობისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ თვით ეს ტრადიცია, როგორც მოვლენა, სოციალური ფუნქციის მატარებელია და მაშასადამე, ის თავისი შინაარსით მეტ-ნაკლებად შეეფარდება კონკრეტულ ისტორიულ პირობებს და კიდეც არსებობს მასში. თუ მოვლენა ტრადიციულია, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მას განვითარების გარკვეული, ზოგჯერ მეტად ხანგრძლივი გზა აქვს გამოვლილი და ამ გზაზე მას ცვლილებებიც განუცდია. ეს პირველ რიგში შეეხება მოვლენის შინაარსობრივ მხარეს, რაც მისი ფუნქციის გამომხატვე-

---

[53] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

[54] იქვე, გვ. 25.

ლიც არის და მისი ხანგრძლივი არსებობაც ფუნქციის მატარებლობით არის შეპირობებული. ქრონოლოგიურად ხანგრძლივი წყვეტილის მქონე ტრადიციები ფაქტიურად არ არსებობენ, ვერც იარსებებენ.

კულტურული იერის, სახის თავისებურება არის ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც ხდება ხალხების ერთმანეთისაგან განსხვავება, გამიჯვნა მაშინაც, როცა ეს ხალხები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, დიდი ხანია საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მჭიდროდაც არიან ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებულნი. მაშასადამე, შეიძლება არსებობდნენ ხალხები საერთო ტერიტორიის, საერთო ეკონომიური ბაზის და საერთო სალაპარაკო ენის მქონენი, მაგრამ არ არიან და არც შეიძლება არსებობდეს ორი ხალხი სავსებით ერთნაირი კულტურით. თუ ხალხი კარგავს თავის კულტურულ სპეციფიკას, ის წყვეტს არსებობას როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ეთნოსი. სწორედ ასე შეემთხვა ბევრ ხალხს, რომლებიც, მართალია, ბიოლოგიურად არ გადაშენებულან, მაგრამ გაქრნენ ისტორიული ასპარეზიდან, რადგან კულტურული თვალსაზრისით სავსებით შეერწყნენ მეზობელ ეთნოსებს[55].

კულტურული სპეციფიკის მიჩნევა ყოველი ეთნოსის ძირითად ნიშნად, რაც ყველა, გამონაკლისის გარეშე, შემთხვევაში საშუალებას იძლევა გამოვარჩიოთ იგი სხვა ეთნოსებისაგან, პირველ რიგში წამოჭრის ენის საკითხს, რომელიც აგრეთვე მთავარ ეთნიკურ განმსაზღვრელად ითვლება. სწორია ამასთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულება და შეფასება, რომ ენა ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მასზე მოლაპარაკე ხალხის კულტურასთან, რამდენადაც მისი სულიერი კულტურა მნიშვნელოვან წილად ყოველთვის გამოიხატება მისივე მშობლიური ენით[56]. ხშირად ენას კულტურის არსებობის ფორმასაც უწოდებენ, ანდა განიხილავენ ერთ-ერთ მის ელემენტად.

ეთნოსების ცვლა და ცვალებადობა დაკავშირებულია ეთნიკური ტერიტორიების შემცირებასთან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ისეთ სოციალურ-ისტორიულ მოვლენებთან, როგორიცაა გამანადგურებელი ომები. ეპიდემიები, შრომისა და ცხოვ-

---

[55] Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[56] იქვე, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მძიმე პირობები კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის დროს. მაგრამ მთავარ როლს ეთნიკური ტერიტორიების შემცირებაში, როგორც ეს ისტორიული პრაქტიკით არის შემოწმებული და სათანადოდ შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში, ასრულებს ასიმილაციის პროცესები, ე. ი. უფრო მსხვილი ხალხების მიერ მცირე ხალხების თანდათანობით შთანთქმა უცხო ენისა და კულტურის მშვიდობიანი თუ ძალდატანებითი შეთვისების გზით[57].

ენა და ეთნოსი

როგორც დავინახეთ, ენა არის არსებითი შემადგენელი ელემენტი ეთნოსის ანუ თანაბარი მნიშვნელობით ერის (ნაციის) ცნებისა. მართალია, სხვადასხვა ხალხის (ეთნოსის) ისტორიულ განვითარებაზე დაკვირვების შედეგად ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, თითქოს ენა ყოველთვის არ არის ეთნოსის ძირითადი და მუდმივი დამახასიათებელი ნიშანი, მაგრამ ამ შეხედულებას სათანადო გაგება სჭირდება და მისი განზოგადებაც, ალბათ, არ შეიძლება.

საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი დროის მანძილზე მართლაც არა ერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ამა თუ იმ ხალხის (ეთნოსის) თავდაპირველი ენა შეცვლილა მეორე (სხვა) ენით და ამ ხალხს მაინც განუგრძვია არსებობა თავისი ეთნიკური მეობით. მაგრამ, ჯერ ერთი, ამ მოვლენას შემთხვევითი და არა ზოგადი ხასიათი აქვს და, მაშასადამე, იგი კანონზომიერ მოვლენად ვერ ჩაითვლება, მეორეც, ყოველთვის ანგარიშგასაწევია ის კონკრეტულ-ისტორიული პირობები, რომლებშიაც ეს მოვლენა მიმდინარეობდა.

როგორც ვიცით, ეთნოსი სოციალური წარმონაქმნია და გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის გამოხატულება. ეს ერთობა კონკრეტულია და ეფუძნება ამ ერთობაში მოქცეული ადამიანების ცხოვრების გარკვეულ წესს ანუ სტილს, საწარმოო-მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის გარკვეულ მთლიანობას. სწორედ ეს გარკვეული განსაზღვრულობა ანიჭებს ცხოვრების ანუ ყოფის მოცემულ წესს და კულტურის მოცემულ მთლიანობას თავისებურ იერს, სპეციფიკას, ამ გაგებითვე ეწოდება ასეთ კულტურას თვითმყოფადი.

---

[57] იქვე, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად ნათელია, რომ მოცემული, ხალხის ცხოვრების ერკვეული წესი და კულტურის ასევე გარკვეული, სპეციფიკური მთლიანობა ჩამოყალიბებულია ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფების ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საწარმოო, სოციალური და სულიერი ურთიერთობის პირობებში, ხოლო ასეთი თანაცხოვრებისა და ურთიერთობის უმთავრესი საშუალება იყო ენა, როგორც ამ ურთიერთობის სარეალიზაციო ინსტრუმენტი. ენა ხომ ზოგადი დანიშნულებით ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებაა.

მიღებულია, რომ საზოგადოებრივი განვითარების ყოველი მონაპოვარი, რომელ სფეროსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ის — მატერიალურ-საწარმოოს, სოციალურს, სულიერს — გააერთიანონ კულტურის ცნებაში მისი ფართო მნიშვნელობით. მიღებულია აგრეთვე, რომ ადამიანთა გარკვეული და განსაზღვრული ჯგუფების ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საწარმოო — სულიერი ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული კულტურის სპეციფიკურ მთლიანობას ადამიანთა ამ გარკვეული ჯგუფების ფსიქიკური წყობის ერთობა ეწოდოს.

მაშასადამე, ასევე სავსებით ნათელი ხდება, რომ ადამიანთა ამ განსაზღვრული ჯგუფების ცხოვრების განსაზღვრული წესიც და კულტურის სპეციფიკური მთლიანობაც ერთი ენის საფუძველზე აღმოცენდება, რომ კულტურის სპეციფიკური მთლიანობა, გამოხატული მოცემული ხალხის ფსიქიკური წყობის ერთობაში, იქმნება და შემდგომ რეალიზაციას ახდენს ერთი ენის საშუალებით.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ენა არის ამა თუ იმ ხალხის ანუ ეთნოსის ძირითადი ეთნიკური ნიშანი, რომელსაც ეთნოსისათვის, როგორც სოციალური ორგანიზმისათვის, პირველ ეტაპზე ჯერ სამშენებლო, ხოლო შემდგომ მისი გასავითარებელი და ამავე დროს შემნახველი მნიშვნელობა აქვს.

ზემოხსენებულ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ ხალხის (ეთნოსის) თავდაპირველი ენა შეცვლილა სხვა ენით, ყოველთვის სახეზე გვაქვს მოცემული ეთნოსის განვითარების მეორადი საფეხური, რომელიც ცხადია, იწვევს ძირეული ეთნიკური ნიშნების არსებით ცვლას, ძირითადი ეთნიკური სპეციფიკისაგან დაშორებას და ხშირ შემთხვევაში სახეზე დარჩება თავდაპირველი ერთიანი წარმოშობის ანუ ეთნიკური მიკუთვნებულობის ფორმალური ელემენტი, მაშასადამე, ეთნიკურობის მხოლოდ გახსენება. ეს იმიტომაც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მშობლიური ენა ეთნიკური ანუ ეროვნული თვითმყოფადობის უმთავრესი გამომხატველია.

ეთნიკური ერთობის რაობის განსაზღვრაში ენის ერთ-ერთი ძირითადობა იმ ობიექტურ მოვლენაშიც მდგომარეობს, რომ ენობრივი ნიშანი, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი ოდენობა, არ არის ბუნებრივი ნიშანი. ენათმეცნიერებაში დღეს უკვე გადაწყვეტილია ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დასმული საკითხი იმის თაობაზე — სახელი, როგორც ლექსიკური ერთეული, ბუნებრივი ხასიათისაა თუ შეთანხმების შედეგი. ენობრივი თვალსაზრისით სახელი, როგორც ამა თუ იმ მოვლენის აღმნიშვნელი, მხოლოდ შეთანხმების საფუძველზეა გაჩენილი. ენობრივი ნიშანი ყოველთვის ბგერათა განსაზღვრული კომპლექსია და ამ ნიშნის მიღება და დაწესებაც ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში ხდება[58], ამიტომვეა, რომ ყველგან ყოველთვის ერთ მოვლენას ერთი და იგივე სახელი არა აქვს, სხვაგვარად — ერთი რომელიმე მოვლენა თუ საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელს ატარებს. ამ შემთხვევაში მცირე გამონაკლისია ე. წ. ხმაბაძვითი სიტყვები, როცა ერთი და იგივე გარეენობრივი ხმიერება სხვადასხვა ენაში მეტ-ნაკლებად მსგავსი ბგერადობის სიტყვებით აღინიშნება[59].

აქ აუცილებელი არ არის ვრცლად საუბარი იმ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების შესახებ, რომ ენა ადამიანთან ერთად შეიქმნა და რომ ენა ადამიანის ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებათაგანია. ისიც ნათელია, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება ენის გარეშე შეუძლებელია და რომ ადამიანთა საზოგადოება ერთდროულად ენობრივი კოლექტივიც არის.

მაგრამ აქ საგანგებოდ უნდა მაინც ითქვას ენათმეცნიერებაში შემჩნეული და დადგენილი ზოგიერთი კანონზომიერებისა და თავისებურების შესახებ, რასაც მნიშვნელობა აქვს ენის საკომუნიკაციო ფუნქციის გასაგებად. ასე მაგალითად, მართალია, დამტკიცებულია, რომ კავშირი ბგერათკომპლექსსა და მნიშვნელობას შორის არ გამომდინარეობს ბგერათკომპლექსის ბუნებისა და ამ ბგერებით აღნიშნული მოვლენის ბუნების შინაგანი კავშირიდან და, რომ ამ თვალსაზრისით ენობრივი ნიშანი ნებისმიერია, მაგრამ ენობრივი კოლექტივის წევრთათვის, ე. ი. ენის მომხმარებელთათვის

---

[58] იხ. ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 22—23.
[59] იქვე.

ბგერადობისა და მნიშვნელობის კავშირი არ არის ნებისმიერი. ეს ეს ნიშნავს, რომ მოცემულ ენობრივ კოლექტივში ენობრივი ურთიერთობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამ კოლექტივის წევრებისათვის (საუბრის მონაწილეთათვის) სავალდებულო არ ყოფილიყო გარკვეული ბგერადობისა და გარკვეული მნიშვნელობის კავშირი[60]. ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ-ერთ სპეციალურ ნაშრომში ასეთი მარტივი და ნათელი მაგალითია დასახელებული — კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ მაგალითად, მუხა ყველა ქართველისათვის სწორედ ამა და ამ ჯიშის ხეს არ აღნიშნავდეს[61].

ენისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის პრობლემაში ყურადღებას იქცევს მეცნიერულად დადგენილი კანონზომიერება, რომ თუ საგნობრივი მიმართების (ე. წ. წმინდა სემანტიკური) თვალსაზრისით ლექსიკის განხილვა შედეგად გვაძლევს საერთოდ ადამიანური ენის ლექსიკურ შესაძლებლობათა ერთგვაროვან სურათს, სამაგიეროდ, საგნობრივ მიმართებასთან ერთად კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ვითარების გათვალისწინება უკვე განსხვავებულ სურათს წარმოქმნის. ენათმეცნიერებაში გარკვეულია, რომ ყოფის თავისებურებანი განსაზღვრავენ იმ თავისებურებას, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკურ ფონდთა შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა[62]. ეს მოვლენა კი იმ ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს, რომ ენობრივი კოლექტივი არა მხოლოდ ენით დაკავშირებული ჯგუფია ადამიანებისა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საერთო საქმიანობით, საერთო საზოგადოებრივი ცხოვრებით და სწორედ ამიტომ ენითაც, და, რადგან სხვადასხვა ენობრივი კოლექტივი, ჩვენი მსჯელობის შემთხვევაში კი სხვადასხვა ეთნოსი, ერთმანეთისაგან ყოფა-ცხოვრების ბევრი თავისებურებით განსხვავდება, ეს განსხვავება უკუფენილია მათ ლექსიკურ ფონდშიც[63].

ენისა და ენობრივი კოლექტივის, კერძოდ, ენისა და ეთნოსის კავშირ-მიმართება სავალდებულო ხასიათისაა, რაც ენათმეცნიერებაშიც დამტკიცებულია. უფრო მეტიც, გამოვლინებული და შესწავლილია ამ მოვლენის ბევრი საინტერესო ასპექტი და ნიუანსი. ამიტომ, რამდენადაც ამ წიგნში მსჯელობა ძირითადად შეეხება ტრა-

---

[60] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 24 აქ ავტორი მიუთითებს ნაშრომზე Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики (пер. с французского, М., 1933).

[61] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[62] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

[63] იქვე, გვ. 48.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიციებს, ჩვევებს, ჩვეულებებს და ამ მოვლენების ქმნადობისა და განვითარების ეთნოფსიქოლოგიურ და სოციალურ თავისებურებებს, მიზანშეწონილად ვცნობთ მივმართოთ რამდენიმე საყურადღებო მაგალითს სპეციალური ლიტერატურიდან. დადგენილია, რომ ყოველი კონკრეტული სიტყვა რომელიმე ენის სიტყვაა და არა „საერთოდ“ სიტყვა, როგორი ფართო გავრცელებაც არ უნდა ჰქონდეს მას, ან თუნდაც შემოსული იყოს ის ამ ენაში. რადგან ის აღსანიშნთა და აღმნიშვნელთა სისტემებში მოექცა, ის ამ ენის საკუთრება, ამ ენობრივი სისტემის წევრი ხდება. აქედან გამოჰყავთ მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ყოველი სიტყვა გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილებაა და მისი ფუნქციონირება ამ ენობრივი კოლექტივის ენობრივი ჩვეულებით არის შეპირობებული. ენობრივი ჩვეულება კი ენობრივი კოლექტივის ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრების წარმონაქმნია. ეს ჩვეულება მოიცავს მოცემულ ენაზე მეტყველის საარტიკულაციო ბაზისის — სამეტყველო ორგანოების მოქმედებისა და ამ მოქმედებისათვის მზადყოფნის, წარმოთქმული ბგერების, ბგერათა შეერთების წესებისა და შესაძლებლობების, სიტყვის თანმხლები ემოციური იერის თავისებურებებს, რომლებიც მხოლოდ ამ ენობრივი კოლექტივისათვის იქნება დამახასიათებელი[64].

აღნიშნული საკითხი ყურადღებას იქცევს როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური, ისე პიროვნების ფსიქოლოგიის მხრითაც. ა. ზურაბაშვილი მოქმედების ფსიქოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ თავის საინტერესო გამოკვლევაში საგანგებო ადგილს უთმობს ენის მნიშვნელობას სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონის ისტორიული ქმნადობისა და განვითარების პროცესში, ხოლო განსაკუთრებით ეხება დედაენისა და პიროვნების დინამიკური ურთიერთობის პრობლემას, სადაც, თავის მხრივ, ახსნა ეძლევა ენობრივი ჩვეულების თვითმყოფი თავისებურების ფსიქო-ფიზიოლოგიურ საფუძვლებს. თავის მოსაზრებას მეცნიერი ამყარებს გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სწორ დაკვირვებაზე. ი. გოგებაშვილის სიტყვებით „დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებ-

---

[64] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, დასახ. ნაშრ.

ში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში. ეროვნული ბიბლიოთეკა
იგი არის უძვირფასესი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს აგებულებაზედ"[65].

ქართული ენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები დაკვირვებისა და კვლევის საგანია არნ. ჩიქობავას, ა. ფრანგიშვილის და სხვათა შრომებში.

ეთნიკური ანუ ეროვნული თვითმყოფობა ამ ეთნიკური ერთობის კულტურის სპეციფიკაში გამოიხატება, ეთნიკური კულტურის ჩამოყალიბებაში, მშენებლობაში, შენახვასა და განვითარებაში კი, როგორც ვნახეთ, ეთნოსის ენას, ე. ი. მშობლიურ ეროვნულ ენას უპირველესი ფუნქცია აკისრია. ენისა და ეთნიკური კულტურის ეს განუყოფელი კავშირია იმის საწინდარი, რომ ენის საშუალებით ეთნიკური ანუ ეროვნული კულტურის სიმდიდრე და განვითარების დონე გამოიხატოს, აღირიცხოს. ენა ეთნიკური კულტურის ინდიკატორია. ამ საკითხის ეს მეცნიერული მხარე ამავე დროს გვიჩვენებს ენის მნიშვნელობას ეთნიკური კულტურის შესწავლისათვის, მაშასადამე, ეთნოგრაფიისათვისაც, როგორც სპეციალური კვლევის დარგისთვის.

ენისა და ეთნოსის კავშირისა და ეთნიკური კულტურის განვითარებაში ენის როლის უკეთესი თვალსაჩინოებისათვის ისევ ქართული სინამდვილის მაგალითებს მივმართოთ: მსოფლიო ხალხთა ისტორიაში მართლაც რომ იშვიათი შემთხვევაა, რომ ისე ძალზე ადრე ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ერთობას, როგორიც ქართველი ხალხია, მონაწილეობა მიეღოს ძველი ცივილიზაციის შექმნაში, გაევლოს ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება და ცოცხლად მოეტანოს დღემდე თავისი არსებობა, როგორც თვითმყოფადი კულტურისა და ეთნიკური სპეციფიკის მქონეს. ამ გაგებით ქართველი ხალხი თვითონვეა თავისი ხანგრძლივი და რთული ისტორიისა და ფერადოვანი ეთნოგრაფიის ცოცხალი მატიანე. ამის საგანგებო აღნიშვნა იმიტომაა საჭირო, რომ ქართველი ხალხი ძველი ცივილიზებული სამყაროს წიაღში ტრიალებდა, სადაც ბევრი სხვა ხალხი ადრევე ან მოგვიანებით საერთოდ გავიდა ისტორიის

---

[65] ა. ზ ურ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში, თბ., 1973, გვ. 158—159. მითითებულია ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1955, გვ. 207—208.

სარბიელიდან, მოისპო, გადაშენდა ან ეთნიკურად გადაგვარდა. ცხადია, ყოველივე ეს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან იყო დაკავშირებული და მისგანვე გამომდინარეობდა. სწორედ ასეთი ისტორიული სიძნელეებისაგან არც ქართველი ხალხი იყო დაზღვეული, მასაც ბევრი, შეიძლება ითქვას სხვაზე ბევრი სირთულე და ძნელბედობა გადაუტანია, მაგრამ საბედნიეროდ, ეს არასდროს არ გამხდარა საბედისწერო. ამაში დიდი წილი მიუძღვის ხალხის შრომისმოყვარეობას, შემოქმედებით ნიჭს, მებრძოლ შემართებას, ძლიერ პატრიოტიზმს. დღეს ქართული ეთნიკური ანუ ეროვნული კულტურა საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში ახალ, მძლავრ აღმავლობას განიცდის, ვითარდება მრავალსაუკუნოვანი რაციონალური ტრადიციები, შესაბამისად ფართოვდება ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების სფეროც; ამიტომ ამ შემთხვევაში ეთნოგრაფიულ კვლევას მარტოოდენ ვიწრო შემეცნებითი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ სწორედ ყოფისა და კულტურის სიძველის, მისი უწყვეტი განვითარების წყალობით ქართულ ეთნოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი, საკაცობრიო მეცნიერებისათვისაც, კულტურის ისტორიის შედარებითი კვლევისა და თეორიული პრობლემების შესწავლისათვის. ცნობილია რომ ასე ფასდება ქართული ენის მნიშვნელობაც. ქართველი ხალხის უძველესი და მრავალფეროვანი კულტურის ისტორიულად ყოველმხრივმა განვითარებამ განაპირობა ქართული ენის სიმდიდრე: სიღრმე, სილამაზე და ფართო ფუნქციური შესაძლებლობანი. შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ენის ეს სპეციფიკა დიდი ხანია მოქცეულია მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში. საერთო აღიარებით ქართულ ენას დიდი სამეცნიერო და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს[66].

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია დღემდე შემონახულ ცოცხალ ენათა შორის, ამასთან იგი აგრეთვე ერთ-ერთი ძველი დამწერლობის ენაა. ქართული ენა ასახავს ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების ხანგრძლივსა და რთულ გზას.

მეცნიერული დაყოფით ქართულ ენას ე. წ. ქართველური ენების ჯგუფს მიაკუთვნებენ, რომელშიაც შედის საკუთრივ ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენები. ამათგან მეგრული და ლაზური (ჭანური) ენები დიალექტებია ენისა, რომელიც სამეცნიერო ლი-

---

[66] Ш. В. Дзидзигури, Грузинский язык, Изд., Тбилисского университета, Тбилиси, 1968.

ტერატურაში ცნობილია „ზანური“ ან „კოლხური“ ენის სახელწოდებით. ისტორიულად ქართული ენა იყო საერთო ენა ძირითადი ქართველური ტომების—ქართების, მეგრელ-ლაზების (ჭანების) და სვანებისათვის, რომლებიც ქმნიან ერთ ეთნიკურ ერთობას — ქართულ ეთნოსს ანუ ქართველ ხალხს, ერს. საკუთრივ ქართული ენა შედგება დიალექტებისაგან. ესენია: ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხევური, მთიულურ-გუდამაყრული (ქართული ენის დიალექტების აღმოსავლური ჯგუფი), რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული (დასავლური ჯგუფი), აჭარული, მესხური (სამხრული ჯგუფი) დიალექტები. საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული დიალექტებია: ინგილოური (აზერბაიჯანის სსრ), იმერხევული (თურქეთი), ფერეიდნული (ირანი). ქართული ენის დიალექტების გვერდით არსებობს აგრეთვე მრავალი ენობრივი კილო (კილოკავი). ქართული ენის დიალექტებს მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევისათვის, არამედ თვით ქართული ენის ისტორიისა და, რაც მთავარია, ადრექართული საერთო ფუძეების საკითხის შესწავლისათვის[67]. ქართული ენის დიალექტთა ასეთი სიმრავლე და ტერიტორიულ-გეოგრაფიული ნიშნით მათი სხვაობა წამოჭრის მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის ეთნოკულტურული ისტორიისათვის საყურადღებო, ამასთან რთულ საკითხს თითოეული ამ დიალექტის წარმოშობის პირობების, გენეტიკური საფუძვლისა და დამოუკიდებელი განვითარების გზისა და ისტორიული ტენდენციის შესახებ. ზოგად ენათმეცნიერებაში დადგენილია ენის დიალექტების წარმოქმნისა და შემდგომი განვითარების კანონზომიერებანი, კერძოდ, ისეთი მოვლენის მექანიზმი, როცა დიალექტი დამოუკიდებელ ენად იქცევა[68]. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო ქართული ენის აღნიშნული დიალექტების რაობის გაგება. თუმცა საკითხის სირთულის გამო დღემდე ამ მხრივ ბევრი რამ ისევ დასაზუსტებელია. საქმეს აძნელებს პირველ რიგში იმის გარკვევა — აღნიშნული დიალექტების გავრცელების მიკრო არეები, ე. ი. დღეისათვის ცნობილი ქართლი, კახეთი, რაჭა, ფშავი, გურია და ა. შ. ყველა ის კუთხე, რომლის მიხედვითაც სახელდებულია აღნიშნული დიალექტები, წარმოადგენს ცალკე ტომობრივ ერთეულებს, თუ ისინი უბრალოდ ერთი ეთნოსის გეოგრაფიულ-ტერიტორიული ჯგუფები,

---

[67] Ш. В. Дзидзигури, დასახ., ნაშრ.

[68] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ე. ი. საზოგადოებრივ-ტერიტორიული ერთეულები (თემები) არიან, ანდა კიდევ — საქართველოს ხანგრძლივი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შედეგი პოლიტიკურ ადმინისტრაციული ერთეულების სახით. მაშასადამე, ამასთან კავშირშივე დგება საკითხი ქართული ენის თავდაპირველი იერსახის შესახებ, თავის მხრივ კი ეს საკითხი ქართველი ხალხის წარმოშობის ანუ ეთნოგენეზის პრობლემასთან არის უშუალოდ დაკავშირებული.

ცნობილია, რომ ქართველოლოგიას დღეისათვის მნიშვნელოვანი მეცნიერული წარმატებები აქვს — ახალი მიღწევებით გამდიდრდა, კერძოდ, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხში, რომელიც კომპლექსური კვლევის საგანი გახდა და სწორი მეთოდოლოგიური მიზანდასახულობით აერთიანებს ენათმეცნიერულ, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და კულტურულ-ისტორიულ ასპექტს. მაგრამ როგორადაც მდიდარი და მრავალფეროვანი, აგრეთვე ზუსტი არ უნდა იყოს დღეს ჩვენი ცოდნა ამ საკითხში, თუნდაც იმასთან შედარებით, რაც გასულ საუკუნეში მოეპოვებოდა მეცნიერებას, როცა ქართველთა ეთნოგენეზისა და ქართული ენის საკითხებმა საგანგებო ყურადღება მიიქციეს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა ჯერ კიდევ მთელი სისრულით გადაწყვეტილი არ არის და ბევრი რამ კიდევ რჩება გაურკვეველი. ამის მიზეზი, ცხადია, პრობლემის უაღრეს სირთულეში უნდა ვეძებოთ.

ასეთ პირობებში დასმული საკითხი ქართველთა ეთნოგენეზისა და ქართული ენის რაობისა და მისი ისტორიის შესახებ მიზანშეწონილია, ამ წიგნის მიზანდასახულების შესაბამისად, განხილული იქნეს საკითხის შესწავლის ისტორიის, კვლევის ეტაპებისა და დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით. ცხადია, აქ მხოლოდ ყოველივე ამის სქემატური მონახაზის წარმოდგენა იქნება შესაძლებელი.

დავიწყოთ საკითხის შესწავლის ისტორიით. ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ მრავალი შეხედულება და თეორია არსებობს, რომელთაგან ზოგიერთი ძალზე ადრინდელიც არის. როგორც ცნობილია, ქართველი ტომების შესახებ ეთნოგენეტიკური თვალსაზრისით მსჯელობა უკვე ბიბლიაში გვხვდება (ძვ. წ. ა. VIII—V სს.), ხოლო მოგვიანებით ბიბლიურ ამ კონცეფციას ცდილობენ რეალური საფუძველი მოუძებნონ და დაინახონ იგივეობა ქართველებსა და ბიბლიურ ტომებს, კერძოდ თუბალებს და მეშეხებს შორის.

ქართველთა ეთნოგენეზისა და ამ საკითხის ისტორიოგრაფიის

სირთულისა და ფართო მოცულობის გამო აქ დეტალური და თანმიმდევრული თხრობა ძნელია და არც არის აუცილებელი. ზოგადად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ მსჯელობა ძველად ფაქტიურად ქართველთა პირველსაცხოვრისის გარკვევას უკავშირდებოდა. წინა პლანზე დგას სხვა ეთნიკურ ერთობებთან მისი ნათესაური კავშირურთიერთობის საკითხი, ასევე მისი საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და საერთოდ, მიგრაციული პროცესების პრობლემა. მაშასადამე, არ დგას საკითხი თვით იმ პროცესის შესახებ, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი, როგორც ეთნოსი, არ არის ნაჩვენები კონკრეტულად ეთნოგენეზის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-ისტორიული პროცესის მიმდინარეობა. ყველაფერი ეს კი უმთავრესად გამომდინარეობდა მხოლოდ ანტიკური ეპოქის წერილობითი ცნობებისა და აგრეთვე, ნაწილობრივ, ენობრივი მონაცემების, როგორც ერთ-ერთი ძირითადი წყაროს, კვლევის შედეგებიდან. შესამჩნევია აგრეთვე, რომ იმ ხანად კვლევა კომპლექსურად არ იყო წარმართული და მასში არ იყო ჩართული ბევრი საყურადღებო და მნიშვნელოვანი სფერო დაკვირვებისა.

მეცნიერული ცოდნის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების შედეგად, პირველ რიგში კი კვლევისათვის ისეთი დასაყრდენი მასალის მომრავლების წყალობით, როგორიცაა არქეოლოგიური, აგრეთვე ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა მონაცემები, შესაძლებელი გახდა აღნიშნული პრობლემის რიგი საყურადღებო მხარის გაშუქება და პირველ რიგში კი საკითხის დასმა და მისი გადაჭრის საკმაოდ წარმატებული ცდა ქართველი ტომებისა და მათი ახლო წინაპრების ერთიანი საცხოვრებელი არეალის შესახებ, რომელიც უნდა ყოფილიყო მათი სამეურნეო მოქმედების და საწარმოო, სოციალურ და სულიერ ურთიერთობათა სარბიელი. საკითხი დადგა იმ არეალის შესახებ, რომელშიაც უნდა ჩამოყალიბებულიყო ტომთა გარკვეული ჯგუფის, მომავალი ეთნოსის კონკრეტული საწარმოო შრომა და ურთიერთობანი. მაშასადამე, სპეციფიკური ყოფა და კულტურა. საერთოდ ასეთი სამეურნეო-საცხოვრებელი არეალი ზოგად ლიტერატურაში ოიკუმენის სახელითაც არის ცნობილი (ბერძნ; ოიკოს — საცხოვრებელი). ამასთან ერთად მეცნიერულად გამოკვეთილი ხასიათი მიიღო და ნაკლებად საცილობელი გახდა ქართველთა ეთნოგენეზის ერთ-ერთი ძირეული, საყურადღებო, ამასთან დამოუკიდებელი მნიშვნელობის პრობ-

ლემა, როგორიცაა თავდაპირველი ერთობის არსებობა, რომელსაც შეიძლება პირობითად ქართველობა ეწოდოს და, რომელიც თავისი წიაღიდან შემდგომში გამოყოფს ცალკე ტომობრივ ერთობებს ქართების, ზანებისა და სვანების სახით. ენობრივი განვითარების მიხედვით ეს პროცესი შემდეგი სქემის სახით წარმოგვიდგება — არსებობდა ერთიანი ფუძე ენა (პირობითი სახელწოდებით ქართველური), რომელსაც გამოეყო ჯერ ის ენა, რომელიც შემდგომში სვანური ენის სახით იქნა ცნობილი, მერე ზანური, შემდგომში მეგრულ-ჭანურის სახელწოდებით. ცალკე დარჩა ფუძე ენის ის ნაწილი, რომელსაც შემდგომ საკუთრივ ქართული ენის სახით ვიცნობთ. უშუალოდ ამ საკითხების კვლევისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძიებანი ზოგად-ქართული ენობრივი სტრუქტურის ტიპოლოგიაში, რაც დაფუძნებულ იქნა ქართველური ენების ფონოლოგიურ-მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების შესწავლაზე. ამან კი შესაძლებელი გახადა ზოგადქართული ფუძე-ენის დაშლის პროცესისა და ისტორიულ ქართველურ ენათა გენეტიკური კავშირ-ურთიერთობის გამოვლინება. თანამედროვე მეცნიერული ხერხების (გლოტოქრონოლოგიურ-მათემატიკური ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდები) გამოყენებით მკვლევრებმა სცადეს ამ პროცესების მეტ-ნაკლებად ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა. ენათმეცნიერები (გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) საერთო ქართული ფუძეებიდან სვანური ენის გამოყოფის დროდ ძვ. წ. ა. II ათასწლეულის დასაწყისს მიიჩნევენ, ზანური (მეგრულ-ჭანური) კი მათივე აზრით უფრო მოგვიანებით (ძვ. წ. ა. 1 ათასწლეულის დასაწყისი, უფრო ზუსტად VIII—VII სს.), არის გამოყოფილი. ენათმეცნიერთა საერთო აღიარებითვე ქართველური ენების ასეთი დიფერენციაციის პროცესი ბევრად წინ უსწრებდა ძველი ქართული სამწერლობო ენის ჩამოყალიბებას. ამრიგად, როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე ქართველური ენები — ქართული, მეგრულ-ჭანური (ადრეული სახით ზანური) და სვანური წარმოადგენენ უძველესი საერთო ქართული ფუძეენის დიალექტური ტრანსფორმაციის შედეგს, რამაც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ეს დიალექტები ცალკე ენებად აქცია.

დღეს მეცნიერების წინაშე აღნიშნულ პრობლემათა კვლევის დროს ბევრი სიძნელეა — გასარკვევია ცალკეული მნიშვნელოვანი მხარეები, რაც მთავარია, დასაზუსტებელი და სრულსაყოფია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და მეთოდიკა, რადგან ირკვევა,

რომ არც სტრუქტურულ-ფონოლოგიური და არც გლოტოქრონოლოგიური მეთოდი არ არის ერთადერთი და გადამწყვეტი მეთოდი, რომ მსგავსი ეთნოლინგვისტური და კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევაში უპირველეს მნიშვნელობას ისევ ინარჩუნებს ენათმეცნიერული ნაცადი — ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. კვლევა-ძიების შემდგომი გაფართოება და გაღრმავება ალბათ ყველა საჭირო და სასარგებლო მეთოდის ეფექტურ გამოყენებას დაემყარება.

ზემოთ განხილული საკითხი მრავალ საყურადღებო ასპექტს მოიცავს, რომელთა შესახებ აქ მსჯელობა ვერ მოხერხდება, მაგრამ საჭიროა ერთ-ერთი საკითხის მაინც ცალკე გამოყოფა. შესაძლებელია თუ არა უძველესი საერთო ქართული ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და ამასთან, როგორი სახით უნდა წარმოვიდგინოთ ამ ენის მატარებელი უძველესი სოციალური ერთობა. ეს უაღრესად სპეციალური საკითხია და, ერთი მხრივ, ლინგვისტიკის ძირეული სფეროების (ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკური სემანტიკა, სინტაქსი და სხვ.) კომპლექსს, მეორე მხრივ, ეთნოგრაფიისა და კულტურის ისტორიის თეორიისა და პრაქტიკის რთულ მოვლენებს უკავშირდება. მიუხედავად სიძნელეებისა, დღეს მეცნიერების განკარგულებაშია პირველი შედეგები იმ ცდებისა, რაც თანამედროვე ქართველური ენების ლექსიკური ფონდის ეტიმოლოგიურ შესწავლას უკავშირდება[69]. აქ ჩვენი კულტურის ისტორიითა და განსაკუთრებით ეთნოგრაფიით დაინტერესებულთა ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ის გარემოება, რომ, როგორც სპეციალური ენათმეცნიერული კვლევით გამოვლინდა, საერთო ქართველურ ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება ნათესაურ ურთიერთობათა ნომენკლატურა, გარეული და შინაური ცხოველებისა და ფრინველების სახელწოდებანი, ცალკეული ხეებისა და მცენარეულის სახელები, კოსმოსური და ბუნების მოვლენების ტერმინოლოგია, სხვადასხვა ნაწარმის სახელწოდებანი, ასევე რიცხვითი სახელები, ათამდე „ასის“ სახელი, რიგი ნაცვალსახელის ფუძეები და სხვა. ნათქვამის შესაბამისი ყველა მაგალითის აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. საკმარისი იქნება დავასახელოთ უძველესი საერთო ქართველური ფუძეენის დონეზე რამდენიმე სიტყვა, როგორიცაა: ცაცხვი, წიფელი, პან-

---

[69] Ш. В. Дзидзигури, დასახ. ნაშრ., ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ.

ტა, ვაშლი, მსხალი, ანწლი, გვიმრა, კვერნა, არჩვი, დათვი, ეხვაცი, რძე ყველი, თაფლი, სანთელი, მატყლი და ა. შ. თუ დავუკვირდებით, ეს მცირე მაგალითებიც ნათელს ხდის, რომ ამ უძველეს ქართულ ლექსიკურ ფონდში წარმოდგენილია ფლორა და ფაუნა, ამასთან, როგორც გარეული (ველური), ისე კულტურული მცენარეული და შინაური ცხოველები, ადამიანის ხელით ნაწარმის სხვადასხვაგვარი სახეობანი. სხვაგვარად რომ ითქვას, აქ მოცემულია გარკვეულ გარემოში ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ცხოვრებისა და ბუნებრივ საწარმოო ძალებთან აქტიური დამოკიდებულების სურათი. სრულიად აშკარაა, რომ იმ ხანად ადამიანთა ეს გარკვეული ჯგუფი თუ ჯგუფები ერთ მოცემულ გარემოში ხანგრძლივ დამჯდარ, მკვიდრ ცხოვრებას ეწეოდნენ და თავისი საწარმოო საქმიანობით აყალიბებდნენ ყოფასა და სამეურნეო კულტურას. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში უკვე გამოითქვა მართებული მოსაზრება, რომ სწორედ ძველი საერთო ქართველური (ფუძე-ენის) ლექსიკური ფონდის იმ ნაწილით, რომელშიაც ასახულია ბუნებრივი საწარმოო ძალების, პირველ რიგში ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი და ამასთან კონკრეტული ნომენკლატურა, შესაძლებელია დადგინდეს მათი ბუნებრივი გავრცელების გეოგრაფიული კანონზომიერების მიხედვით ის არეალი, სადაც ბუნებრივ რესურსებთან ადამიანთა ამ გარკვეული ჯგუფების საწარმოო კონტაქტი ხორციელდებოდა. ასეთ არეალად მიჩნეულია კავკასიის ტერიტორია, კერძოდ კავკასიის მთების სამხრეთი კალთები.

მაშასადამე, საკითხი დგება ამ ძველი, საერთო ქართველური, ე. ი. ფუძე-ენის მატარებელი სოციალური ჯგუფების (და ამ ჯგუფებში კი აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ტომები) ადრინდელი განსახლების დროისა და ადგილის შესახებ; ისევე როგორც ამასთანავე კავშირში ამ ტომების სამეურნეო, სოციალური და სულიერი ურთიერთობის შესახებ, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე უნდა წარმოექმნა ადამიანთა ისეთი სოციალური ერთობა, რომელსაც ჩვენ დღეს ეთნოსს ვეძახით.

ეს საკითხი ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი ნაწილია. ჩვენი დროის საკვლევაძიებო მიღწევების საფუძველზე, რაც ენობრივი ძიების თვალსაჩინო შედეგების გვერდით განსაკუთრებული მნიშვნელობის ახალი არქეოლოგიური მონაპოვრების, ასევე ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური და სხვა კვლევის მონაცემებსაც გულისხმობს, ქართულ საბჭოთა მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომელიც თითქმის დას-

ტურდება, რომ ქართველურ ეთნიკურ ერთობას თავისი უკვე შედარებით მკვეთრად გამოსახული ეთნიკური იერი უკვე [illegible] ძვ. წ. ა. III და II ათასწლეულების მიჯნაზე (გ. მელიქიშვილი). სწორედ ამ დროისათვის უნდა არსებულიყო ის საერთო ფუძე-ენა, რომელსაც მხოლოდ ცოტაოდენი შინაგანი დიალექტოლოგიური განსხვავებანი უნდა ჰქონოდა. შემდგომ ეპოქებში კი, როგორც ვნახეთ, ამ საერთო ფუძე-ენიდან გამოყოფის გზით სამი ენა— ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური ენები წარმოიქმნენ.

ეს უაღრესად საყურადღებო და დამაჯერებელი მოსაზრება ამასთან ერთად წამოჭრის ეთნო-კულტურული თვალსაზრისით ძნელ საკითხს, რომელიც აუცილებლად საჭიროებს პასუხის გაცემას — რამდენადაც საერთო ქართველური ფუძე-ენის არსებობა გარკვეული დროისათვის ერთიანი ეთნიკური ერთობის არსებობას უკავშირდება, რა ემართება ამ ეთნიკურ ერთობას ანუ კონკრეტულ ეთნოსს ამ ენის დიფერენციაციის შემდეგ, რის შედეგადაც სამი განსხვავებული ენა მივიღეთ. თუ ეთნიკური ერთობისათვის ენის გადამწყვეტ ანუ უპირველეს, უმთავრეს მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, აქ თითქოს ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ ერთი საერთო ქართული ფუძე-ენიდან სამი ენა მივიღეთ, იმავე ერთი ქართველური ეთნიკური ერთობიდან სამი ეთნიკური ერთობა უნდა წარმოქმნილიყო. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მომხდარა და ქართებიც, მეგრელ-ჭანებიც და სვანებიც ყოველთვის იყვნენ და არიან ერთი ქართული ეთნოსის ნაწილები. ამ მოვლენის შეცნობა-შეფასებაში საჭიროა უფრო ფართო კულტურულ-ისტორიული თვალთახედვის გამოყენება, რომელიც ენობრივ ასპექტსაც მოიცავს, მაგრამ წინა პლანზე წამოსწევს განსაზღვრულ ბუნებრივ არეალში სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის კონკრეტულ და ზოგად თავისებურებებს, რომლის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (ჯგუფების) მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურა, ე. ი. ყოფა და კულტურა ფართო მნიშვნელობით. ყოფა და კულტურა კი, როგორც ვიცით, ეთნიკური ერთობის რაობის განმსაზღვრელია.

ბუნებრივი გარემო და საზოგადოებრივი განვითარება

ზოგადი პრობლემები

ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოებრივი განვითარების ურთიერთდამოკიდებულება ერთ-ერთი ძველი თეორიული პრობლე-

შაა, რომლის საფუძვლები ანტიკურ ეპოქაშია მოცემული. მატერიალისტური ისტორიის მარქსისტული მოძღვრების შექმნამდე ბუნებისა და საზოგადოების ისტორიული ურთიერთკავშირის ყველა ახსნა ბუნებრივ გარემოს აძლევდა განმსაზღვრელ მნიშვნელობას. ასეთ თეორიებსა და შეხედულებებს (ვულგარული გეოგრაფიზმი, ხოროლოგია, კლიმატური დეტერმინიზმი, ანთროპოგეოგრაფია, ენვირონმენტალიზმი და სხვ.) ჩვეულებრივ ერთ კრებითი მნიშვნელობის მიმართულებაში აერთიანებენ, რომელიც გეოგრაფიული დეტერმინიზმის სახელწოდებით არის ცნობილი. გარკვეული განსხვავების გამო ცალკე განიხილება ე. წ. გეოგრაფიული მატერიალიზმი.

გეოგრაფიული დეტერმინიზმი საზოგადოების განვითარების ზოგად ისტორიას თუ კერძო გამოვლინებებს მთლიანად ბუნებრივ გარემოს უმორჩილებს და საზოგადოების როგორც მატერიალური, ისე სულიერი ცხოვრების ყველა თავისებურებასაც ბუნებრივი გარემოს კონკრეტული სპეციფიკით ხსნის. საზოგადოების განვითარების იდეალისტურ შეხედულებებთან უპირატესობის მიუხედავად გეოგრაფიულ დეტერმინიზმს პრინციპული მნიშვნელობის ნაკლი ახასიათებს, რის გამო იგი მიუღებელია[70].

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე კრიტიკულად აფასებენ გეოგრაფიულ დეტერმინიზმს, თუმცა იქ მნიშვნელოვან ადგილს ინარჩუნებს ამასთან ახლოს მდგომი ზოგიერთი მცდარი თვალთახედვა. როგორიცაა, მაგალითად, სოციალური ეკოლოგიის თეორია თავისი მავნე ასპექტებით (სოციალური ქცევის გაიგივება ბიოლოგიურ შეგუებასთან).

ისტორიის მატერიალისტური მარქსისტული მოძღვრება ბუნებრივ გარემოსაც და საზოგადოებასაც ერთიანი ისტორიული განვითარების აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს, მაგრამ საზოგადოებრივი ფორმების განვითარებისათვის ის ზოგადად ბუნებას, როგორც ასეთს, ერთადერთსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ამ მოძღვრებით ბუნება განიხილება როგორც ნაირგვარი სიკეთის საუნჯე, მაგრამ ადამიანის მიერ ბუნების ძალებისა და სიკე-

---

[70] С. В. Калесник, Человек и географическая среда, Л., 1950; Р. М. Кабо, Природа и человек в их взаимных отношениях как предмет социально-культурной географии: Сб. «Вопросы географии», № 5, М., 1947, იხ.: А. Николаева, Рецензия книги С. Ф. Маркхем, Климат и энергия нации, 1947 (издание Оксфордского университета): в сб. «Вопросы географии», № 8, 1948.

თის გამოყენება დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ სიკეთის არსებობაზე ბუნებაში. ბუნების მონაცემები ჯერ უნდა იქცნენ საზოგადოების საწარმოო ძალებად, რომ გავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე და განაპირობონ ეს განვითარება. აქ მოქმედებს მეშვეობითობის კანონი, ე. ი. ბუნებრივი გარემოს საწარმოო მონაცემები გამეშვეობითებულია საზოგადოების მიერ შრომით, წარმოებითი საქმიანობით და ამ სახითვე ახდენს ის გავლენას საზოგადოების განვითარების თავისებურებებზე. ამ გაგებით ზოგადად ადამიანი კი არ ემორჩილება და ეგუება ბუნებას, არამედ საწარმოო ურთიერთობაში შედის მასთან და აქტიურად და მიზანმიმართულად მოქმედებს მასზე. ეს არის შრომის პროცესი და მისი გამოხატულება, რაც ამავე დროს საზოგადოების პროგრესის საფუძველს წარმოადგენს. ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ურთიერთობის ეს ობიექტური კანონზომიერება მეცნიერულად მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ამ თეორიულ დებულებას იყენებდა ახლადშექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს, განსაკუთრებით ეკონომიკის ტერიტორიულ ორგანიზაციაში.

ეს სწორი და მარჯვე თეორიული თვალსაზრისი, რომელიც საბჭოური მეცნიერული კვლევა-ძიების დასაყრდენია, თუ ჩვენ გადაჭარბებულად არ გვეჩვენება, ან არ ვცდებით, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ბოლომდე სრული თანმიმდევრობით გატარებული არ არის. მხედველობაში გვაქვს ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობის გაგება. მარქსისტულ ფორმულაში: „გეოგრაფიული გარემო, უდავოდ, წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივსა და აუცილებელ პირობას, — ის აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების განვითარების მსვლელობას. მაგრამ მისი გავლენა არ არის განმსაზღვრელი გავლენა“. როგორც ჩანს, ორი ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ დამოუკიდებელი მნიშვნელობის დებულებიდან მეცნიერულ ხმარებაში უფრო მეტი ყურადღება მიექცა იმ ნაწილს, რომლის მიხედვით „გეოგრაფიული გარემოს გავლენა არ არის განმსაზღვრელი გავლენა“, ხოლო სათანადოდ შეუფასებელი დარჩა ის ნაწილი, სადაც გეოგრაფიული გარემო აღიარებულია საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივ და აუცილებელ პირობად, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს საზოგადოების განვითარების მსვლელობა. შეიმჩნევა, რომ გეოგრაფიული ფაქტორის

მიმართ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ერთგვარი შიშიც კია წარმოქმნილი, რის შესახებ, როგორც ნაკლის შესახებ, ბოლო ხანების საბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაც კი აღინიშნა[71].

რამდენადაც საზოგადოების განვითარება უშუალო კავშირშია საზოგადოებრივ წარმოებასთან, ხოლო საზოგადოებრივი წარმოება კი ყოველთვის გამოდის როგორც მატერიალური წარმოება, ამდენად წარმოებისა და გეოგრაფიული გარემოს ურთიერთმოქმედების კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებების შესწავლა და გათვალისწინება საზოგადოებრივი მეცნიერებისა და პირველ რიგში ისტორიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ისახება. ისტორიულ კვლევა-ძიებას ფართო მნიშვნელობით ვგულისხმობთ, რაშიც თავის მხრივ ეთნოგრაფიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გეოგრაფიული გარემოს და წარმოების ურთიერთკავშირის ახსნა ამავე დროს არის ბუნების კანონების შეცნობისა და რაციონალური გამოყენების ისტორია, რაც საზოგადოების ხანგრძლივი განვითარების გზაზე კონკრეტულ გამოვლინებებს ახდენს[72]. ამ გამოვლინებებს პირველ რიგში ადგილი აქვს ეთნიკური ყოფისა და კულტურის კონკრეტულ თავისებურებებში. მართალია, მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში საზოგადოებრივი კანონზომიერებანი განსაზღვრავენ წარმოების ხასიათს და გეოგრაფიულ გარემოს განვითარებასა და ცვლილებებშიც უდიდეს როლს თამაშობენ, მაგრამ ამ უკანასკნელის შეუფასებლობა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტისა, შეცდომაა[73]. ამ შეცდომამ შეიძლება მეორე უკიდურესობამდე — სოციალურ დეტერმინიზმამდე მიგვიყვანოს, რაც მარქსისტული თვალთხედვით აგრეთვე გაუმართლებელია.

საქართველოს ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნება, ბუნე-

---

[71] მაგალითად, Л. Н. Гумилев, Роль климатических колебаний в истории народов степной зоны Евразии, журн. «История СССР», № 1, 1967; П. С. Берг, Климат и жизнь, М., 1947; А. М. Смирнов, Об ошибочных взглядах в теоретических вопросах географии: «Известия Всесоюзн. геогр. об-ва», 1951, т. 83, вып. 3.

[72] А. И. Воейков, Распределение населения земли в зависимости от природных условий и деятельности человека, СПб, 1911.

[73] В. В. Покшишевский, Александр Иванович Воейков и его работы о человеке и природе, в кн. А. И. Воейков, Воздействие человека на природу, М., 1949, с. 9, 13 и др.

ბის ძალების ნაირგვარობა, გადაქცეული საზოგადოებრივ საწარმოო ძალებად, ამავე დროს თვითონვეა ცოცხალი ისტორიული წყარო, რომლის კონკრეტულ-ისტორიული ფორმების შესწავლა განვითარებაში და წარმოების წესთან კავშირში ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალი საკვანძო პრობლემის უკეთ გაშუქებას შეუწყობს ხელს. საწარმოო ძალთა განვითარების ისტორიის შესწავლა ბუნებრივი გარემოს კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით გამოავლენს საქართველოს რთულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში თვით ამ საწარმოო ძალთა წარმოქმნა-განლაგების, დარგობრივი საწარმოო სპეციალიზაციის, საზოგადოებრივი შრომის გეოგრაფიული განაწილების, ისტორიული ეკონომიური რაიონებისა და სხვათა არსსა და განვითარების ტენდენციებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ისახება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და საზოგადოებრივი საწარმოო ძალების ისტორიული განლაგებისა და განვითარების ტენდენციების სურათის აღდგენა (რამაც შესაძლოა სპეციალური ისტორიულ-ეკონომიური რუკების შედგენაც მოითხოვოს). ყოველივე ეს ამავე დროს ისახება ერთ-ერთ უმთავრეს და მართებულ საშუალებად, მეცნიერულად აიხსნას ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული და საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სპეციფიკა, რომლის ძირითადი ნიშანი, როგორც აღინიშნა, უაღრესი მრავალფეროვნებაა.

კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში საწარმოო ძალთა განვითარების ხასიათისა და სპეციფიკის შესწავლა საქართველოს ტერიტორიაზე, ვფიქრობთ, უნდა დაუკავშირდეს ცალკეულ ხეობებს. საქართველოს, როგორც მთაგორიანი ქვეყნის, ბუნებრივ-ისტორიულ თავისებურებად გამოიყურება ცხოვრების მოწყობა ხეობებად. ხეობა ამ შემთხვევაში განიხილება როგორც კონკრეტული ბუნებრივი გარემო, რომელშიაც ადამიანი ისტორიულად ეწევა სამეურნეო ცხოვრებას და, სადაც ყალიბდება საწარმოო და კულტურულ-ისტორიული ტრადიციები[74]. გარკვეული დროიდან ხეობა იქცევა ერთ მთლიან ეკონომიურ, ზოგჯერ სოციალურ ორგანიზმად. საყურადღებოა, რომ საქართველოსათვის საერთოდ დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება — მკვეთრად გამოხატუ-

---

[74] საყურადღებოა, რომ ცნობილმა მკვლევარმა პ. მ. ჟუკოვსკიმ სწორედ სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით მთის ხეობები შეადარა ოაზისებს П. М. Жуковский, Земледельческая Турция (Азиатская часть — Анатолия), М-Л., 1933.

ლი ბუნებრივ-სამეურნეო ვერტიკალური ზონალობა ჩვეულებრივ ცალკე თვალსაჩინო გამოვლინებას ახდენს თითოეულ ხეობის შიგნითაც. ზონალობას დამორჩილებული ბუნებრივ ფაქტორთა კომპლექსი, ქცეული საწარმოო ძალებად, იწვევს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების დიდ მრავალფეროვნებას თითოეულ ხეობის შიგნით და გავლენას ახდენს მეურნეობის დარგების განვითარებასა და განლაგებაზე[75]. ქართული წერილობითი დოკუმენტების თხრობა ხეობის სწორედ ასეთ შინაგან ბუნებრივ-სამეურნეო შესაძლებლობებს გადმოსცემს. ამ მხრივ ხეობა მინიატურაში ასახავს საერთოდ საქართველოსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებსაც. მაგალითად, ზოგადი გაგებით საქართველოს დიდ ნაწილში გვაქვს ორი ცნება მთისა და ბარისა. ერთი მთა-ბარი ცალკეული ხეობის შიგნით, მეორე — საერთოდ საქართველოში. საქმე გვაქვს განსხვავებათა საინტერესო ერთიანობასთან.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის, განსაკუთრებით მისი მდიდარი და მრავალფეროვანი სამეურნეო წარსულის ჯეროვანი სისრულით შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველური კვლევის უახლოესი შედეგების ჩართვას ისტორიულ კვლევაში, რასაც თავის დროზე სამართლიანად მიაქცია ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა.

საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ შესწავლაში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-ისტორიულ ასპექტებს, რადგან ამ კუთხით საკითხების შესწავლა პირველ რიგში გულისხმობს მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საწარმოო-შემოქმედებითი შრომის შედეგების, სამეურნეო-კულტურულ ფასეულობათა გამოვლინებას ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი საწარმოო ურთიერთობის ფონზე. ამის კარგი ნიმუშია, მაგალითად, კულტურული მცენარეული. ცნობილია, რომ მცენარეთა გავრცელების საერთო კანონზომიერებიდან გარკვეულ გადახვევას ახდენს თანამედროვე მცენარეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი — კულტურული მცენარეული, რომელიც პირველ რიგში ადამიანის საწარმოო მოქმედების შედეგია. ამიტომ მის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეურნეო-კულტურული ხასიათის ფაქტორები. აქ გამორიცხული არ არის ე. წ. შეგუების ფაქტორი,

---

[75] В. В. Докучаев, Учение о зонах природы, М., 1948; Ф. Н. Мильков, Ландшафтная география и вопросы практики, М., 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მის გვერდით დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანის აქტიური ზემოქმედების ფაქტორი, რომელიც საბოლოოდ გადამწყვეტი ხდება. ამ გაგებით კულტურულ მცენარეთა კომპლექსი საზოგადოების სამეურნეო განვითარების გარკვეული საზომია და, მაშასადამე, კულტურულ მცენარეთა საკითხების შესწავლა უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პრობლემებს[76].

საქართველო საყოველთაოდ აღიარებულია კულტურული მცენარეულის წარმოშობის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს კერად. კულტურული მცენარეების სიმრავლეს და თვისებებს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური პირობების ნაირგვარობა და ხალხის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა განსაზღვრავს[77].

ამავე რიგისაა და ისტორიულად ასევე უნდა შეფასდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა ტრადიციული დარგი, რაშიაც ხალხს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებისათვის მიუღწევია და რაც ასევე კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში პოულობს ახსნას.

თუმცა საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს, უკვე აშკარად ჩანს საქართველოს ცალკეულ თემთა შორის წარსულის სამეურნეო-კულტურული კავშირ-ურთიერთობა, რაც პოლიტიკური წეს-წყობილების ხასიათის მიუხედავად, სავარაუდებელია საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე. საყურადღებოა, რომ თუ ბარის საქართველოს თემთა ეს კავშირ-ურთიერთობა შესაძლებელია სხვადასხვაგვარი ინტენსივობის ყოფილიყო, გაცილებით ძლიერი ხასიათი უნდა ჰქონოდა ამ კავშირს მთისა და ბარის თემებს შორის შესაბამის (უფრო მოხერხებულ) გეოგრაფიულ საზღვრებში. მთის და ბარის აუცილებელი, მუდმივი კავშირისა და ერთმანეთის შემავსებელი ბუნებრივ-სამეურნეო თვისებების შესახებ მართებულად აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი. მკვლევრის მითითება ასეთი კავშირ-ურთიერთობის კანონზომიერების შესახებ დებულების ხასიათს ატარებს და, ჩვენი აზრით, იგი საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს ისტორიის პრობლემების სრულყოფილად დამუშავებას. ეს კონცეფცია

---

[76] იხ. Б. Г. Иоганзен, Основы экологии, Томск, 1959, Растительные сообщества и история страны: წიგნში В. В. Алехин, Л. В. Кудряшов, В. С. Говорухин, География растений, М., 1961, გვ. 296.

[77] ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1960; მისივე, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957.

აყენებს იმის საჭიროებას, რომ გადაიხედოს საწინააღმდეგო შეხედულება საქართველოს ცალკე კუთხეთა ისტორიული კარჩაკეტილობისა და იზოლაციის შესახებ[78].

თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიის კვლევა კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საწარმოო ძალთა შინაგან განვითარებასა და საწარმოო ურთიერთობათა თავისებურებების გათვალისწინებას უნდა ემყარებოდეს, ცხადია, ამავე საზომით უნდა ხდებოდეს მოცემულ კონკრეტულ გარემოში საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების საფეხურებრივი (ფორმაციული) განვითარების შეფასება. ფორმაციათა ცვლის ისტორიული თანმიმდევრობის ფორმალური, ხელოვნური გამოყენება შეცდომის წყაროა, რაც უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღინიშნა[79]. ასეთი შეცდომის მაგალითად ჩვენ გვესახება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ფეოდალური საფეხურის არსებობის მტკიცება. თავის დროზე მთის მოქცევა ფეოდალური სამთავროების ორბიტაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს მთის შინაგანი სოციალურ-ეკონომიური განვითარების სისტემის თვისობრივ შეცვლას. აღმოსავლეთ საქართველოს „მთური ფეოდალიზმი" დღესდღეობით შინაარსმოკლებულ, ცარიელ გეოგრაფიულ ცნებად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ კონკრეტულ პირობებში, ორიგინალურ მასალაზე ეს საკითხი ჩვენთან არავის უკვლევია და კონკრეტულადვე არავის უჩვენებია მისი შინაგანი ბუნება და სისტემა. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული, საპირისპირო ვითარება გვაქვს სვანეთში, სადაც დადასტურდა დანარჩენი საქართველოსათვის დამახასიათებელი, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობანი.

საწარმოო ძალებისა და საწარმოო წესის ისტორიული განვითარების საზომის მომარჯვებით, რომლის დროსაც ანგარიში ეწევა ბუნებისა და ადამიანის საწარმოო დამოკიდებულების კონკრეტულ-ისტორიულ თავისებურებებს, ჩვენი აზრით, დროა დაიწყოს დღემდე დიდ ისტორიულ ტრადიციად მოყოლილი, თითქმის ხელუხლებელი პრობლემის შესწავლა. ეს არის ქართველი ხალხის კუთხობრივ-ეთნიკური ფსიქოლოგიის პრობლემა, რომელიც ამავე დროს აუცილებელი პირობაა ქართველი ხალხის ეთნიკური ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხების დასამუშავებლად. ეს საქმე თანამედროვე მეც-

---

[78] შდრ. ნ. ბერძენიშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1971, გვ. 67.

[79] შდრ., მაგალითად, „მთური ფეოდალიზმის" კრიტიკა: Л. П. Лашук, Введение в историческую социологию, М., 1977, გვ. 114—115

ნიერული კვლევის დარგობრივ კოოპერირებას მოითხოვს, მაგრამ ჩვენი აზრით, ამაშიც პირველი სიტყვა ისტორიკოსებმა უნდა თქვან[80]. უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ რიგში შრომისა და წარმოების ფსიქოლოგიის ისტორიულ თავისებურებათა შესწავლა შუქს მოჰფენს საქართველოსათვის ისეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან და რთულ საკითხსაც, როგორიცაა ტემპერამენტი (კუთხობრივი, ზოგად ქართული). ცნობილია, რომ ტემპერამენტის თავისებურებებს საზღვარგარეთის მეცნიერები მექანიკურად, მაშასადამე, მცდარად უკავშირებენ მხოლოდ ბუნებრივ (კლიმატურ) სპეციფიკას.

ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოებრივი განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ახლებურად არის წინ წამოწეული დღევანდელ ცხოვრებაშიც. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი და მატერიალური პირობები ახალ პრობლემებსა და ამოცანებს უყენებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებას. სახალხო მეურნეობის დარგების გაფართოება, განლაგება შრომითი რესურსების შესაბამის გაადგილებას იწვევს, რასაც უკავშირდება მოსახლეობის შინაგანი გადაჯგუფებანი. ეს პროცესები წამოჭრიან პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს, როგორიცაა სოციალური ჰიგიენის, ფიზიოლოგიური ეკოლოგიისა და ადაპტაციის თავისებურებანი, ასევე ტრადიციული საწარმოო პროფილის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვათა ცვლა, რასთანაც დაკავშირებულია კულტურულ-ისტორიული საკითხები. მაგრამ მთავარი მოსახლეობის შინაგანი მიგრაციების პროცესში მაინც არის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სოციალურ-კულტურული თავისებურებების სწორად შეფასება და მოსახლეობის გადაჯგუფებაში მოსალოდნელი საწარმოო და სოციალური ეფექტის მართებული გათვალისწინება, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმვის განვითარებას კონკრეტული ბუნებრივ-ისტორიული პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამ საქმისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ისტორიულ-ეკონომიური კვლევა-ძიების შედეგებს, რომელმაც უნდა ასახოს ისტორიული გამოცდილება და საბუთიანი გახადოს ამ გამოცდილების დღევანდელ ცხოვრებაში გამოყენება ან უარყოფა.

ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი შრომის

---

[80] Б. Ф. Поршнев, Социальная психология и история, М., 1966; А. Я. Гуревич, Некоторые аспекты изучения социальной истории (Общественно-историческая психология) «Вопросы истории», № 10, 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგები მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობაში საჭიროა უფრო აქტიურად და ეფექტურად იყოს გამოყენებული დღეს საწარმოო საქმიანობისა და შრომის პროპაგანდის საქმეში. ისე როგორც ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები ჩვენი ხალხის საბრძოლო წარსულის შესწავლის დარგში თვალსაჩინო სამსახურს უწევენ ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას, ასევე საჭიროა ჩვენი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი სამეურნეო-კულტურული შემოქმედების ისტორია ჩავაყენოთ სახალხო-სამეურნეო პატრიოტიზმის აღზრდის სამსახურში, რაც კარგად უპასუხებს სადღეისო სოციალურ მოთხოვნებს.

ეს ღონისძიება ამავე დროს ხელს შეუწყობს დღემდე შემორჩენილი იმ მცდარი შეხედულების გაფანტვას, რომ საქართველოში თითქოს ყოველივე სიკეთე ბუნების წყალობა უფრო არის, ვიდრე ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ძიების ნაყოფი.

ბუნების გამდიდრებისა და დაცვის დღევანდელ ღონისძიებებს, რაც საერთო-სახალხო საქმედ არის მიჩნეული, ეფექტურად უნდა დაუკავშირდეს და დაეხმაროს ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის შესაფერისი ყოველივე კარგი გამოცდილება და მიღწევა. ესეც საჭიროს ხდის ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი-საწარმოო კომპლექსების ისტორიული განვითარების სურათის აღდგენას. საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტების კონკრეტულ-ისტორიული შესწავლა გამოავლენს საზოგადოების საწარმოო, კულტურულ-სამეურნეო, ესთეტიკური და სხვათა განვითარების ისტორიულ თავისებურებებს, რაც უდავოა, დღევანდელობის მოთხოვნებსაც საქმიანად დაეხმარება. ასეთი კვლევის შედეგებს შესაძლებელია სასარგებლო საორიენტაციო მნიშვნელობა ჰქონდეს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი პირობების რაციონალური გამრავალფეროვნების პრობლემების გადაჭრაში, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია სოფლისა და ქალაქის ყოფის კულტურულ-ესთეტიკურ პრაქტიკულ საკითხებთან.

ბუნებასთან ადამიანის დამოკიდებულების ისტორიული ხასიათის, საწარმოო ძალთა განვითარებაში ადამიანის შრომის ნაირგვარი გამოვლინების, ბუნებრივ-საწარმოო პირობების თავისებურებების ისტორიული მნიშვნელობის უაღრესად ზუსტი და თვალსაჩინო შეფასებაა მოცემული კ. მარქსის ცნობილ სიტყვებში: „კაპიტალის სამშობლოა არა ტროპიკული ჰავა მისი დიდმშვენიერი მცენარეულობით, არამედ ზომიერი ზონა. არა ნიადაგის აბსოლუტური

ნაყოფიერება, არამედ მისი დიფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ საფუძველს და აიძულებს ადამიანს, იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის მეოხებით, რომელშიც იგი მეურნეობას ეწევა, გაამრავალფეროვნოს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, შრომის საშუალებანი და შრომის წესები"[81].

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ პირობებში მარქსი გულისხმობს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტულ თავისებურებებს, რომელიც ისტორიული განვითარების შესაბამისად იძლევა (ან არ იძლევა) ადამიანის მოთხოვნილებების, უნარის, შრომის საშუალებებისა და შრომის წესების გამრავალფეროვნების შესაძლებლობას. ისიც ნათელია, რომ მარქსის ამ შეფასებას ზოგადსოციოლოგიური მნიშვნელობა აქვს და იგი მარტო კაპიტალისტური საფეხურით არ იფარგლება.

ისტორიულ ეპოქებში შრომის საშუალებებისა და შრომის წესების ცვლილება-განვითარება უშუალო კავშირშია ხალხის ყოფისა და კულტურის განვითარებასთან, მაშასადამე, ეთნიკური კულტურის, საწარმოო ყოფის, შრომითი ჩვევების საერთოდ ეთნიკური ცხოვრების ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ქმნადობა-განვითარებასთან.

ეთნიკური ყოფისა და კულტურის კავშირის საილუსტრაციოდ კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო და სოციალურ-ისტორიულ პირობებთან საუკეთესო მაგალითს საქართველო წარმოადგენს. ხოლო ამის საჩვენებლად განსხვავებულ ხერხს მივმართავთ — განვიხილავთ და ვემყარებით ივ. ჯავახიშვილის შეხედულებებს აღნიშნულ საკითხზე.

ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საქართველოს მეურნეობრივი კულტურის ისტორიის პრობლემების მეცნიერული წამოყენებისა და დამუშავების საქმეში. ეს კი თავისთავად განუყრელ კავშირშია საქართველოს ეთნოგრაფიასთან, სამეურნეო ყოფისა და კულტურის თავისებურებების შესწავლასთან, თავის მრავალფეროვან, მათ შორის, ტერიტორიულ-კუთხურ გამოვლინებებში.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ამ ნაწილის ახლო გაცნობა გვიჩვენებს, რომ მეურნეობრივი კულტურა მკვლე-

---

[81] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, წ. I, თავი XIV, თბ., 1954, გვ. 647.

ერის გაგებით წარმოადგენს ადამიანთა საქმიანობაში მიღწეულ მე-
დეგის შეფარდებით მაღალ დონეს და ამ შედეგის მისაღწევ შემოქ-
მედებით პროცესს, მაშასადამე, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის
კულტურა არის ამ საქმიანობის პროცესი და მისი უკეთესი შედეგი.

ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულების გასაგებად ამ საკითხში
აუცილებლად გასათვალისწინებელია ის არსებითი მნიშვნელობის
გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილი მკვეთრად, შეიძლება ითქვას,
პრინციპულად, ასხვავებდა მეურნეობის მასშტაბებს და მეურნეო-
ბის გაძღოლის წესს. პირველი, ე. ი. მეურნეობის მასშტაბები, და-
მოკიდებული იყო მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში
საწარმოო ძალთა განვითარების ტერიტორიულ-კლიმატურ და სო-
ციალურ ფაქტორებზე, მეორე — გამოხატავდა მეურნეობრივი საქ-
მიანობის ხარისხს ანუ მეურნეობრივ კულტურას. სამწუხაროდ, ეს
ორი განსხვავებული მომენტი, რომლებიც ივ. ჯავახიშვილთან დი-
ფერენცირებული დაკვირვებისა და შესწავლის საგანია, ჩვენი შე-
ხედულებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ფრთხილად გა-
მიჯნულიც არ არის, რის გამო ადგილი აქვს ნებსით თუ უნებლიე
შეცდომებს ამ საკითხის გაგება-შეფასებაში. უნებლიე შეცდომებს
უნდა მივაწეროთ მაგალითად, ისეთნი, რომლებიც მეურნეობრივი
მასშტაბების შეზღუდულობის ობიექტური პირობებისა და მიზეზე-
ბის მიუხედავად, ასეთ მეურნეობას საერთოდ ჩამორჩენილად,
ხშირად პრიმიტიულადაც მიიჩნევენ.

ივ. ჯავახიშვილის მთელ მეცნიერულ მემკვიდრეობას წითელ
ხაზად გასდევს დაუღალავი მიზანსწრაფვა ქართველი ხალხის —
ერის ისტორიის მთლიანობაში და მუდმივ განვითარებაში განხილვი-
სა, ამასთან, ეს ისტორია ქართველი ხალხისა—ეკონომიური, პოლი-
ტიკური, სოციალური, კულტურული, მეცნიერის ღრმა რწმენით,
არის ხალხის — ქართველი ერის შემოქმედებითი შრომისა და ძიე-
ბის გამოხატულება. მაშასადამე — პროგრესის საფუძველი.

რამდენადაც ივ. ჯავახიშვილის ეს მიზანსწრაფვა მის ხელთ
არსებული და კვლევაში ჩართული უაღრესად მდიდარი და ნაირ-
გვარი მასალისადმი მეცნიერულ დამოკიდებულებაში ყველგან ჩანს,
შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს არის დიდი ქართველი მკვლევრის
ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული კრედო და კონცეფცია, ამავე დროს
მეთოდოლოგიური ქვაკუთხედიც. ამაღლებული მეცნიერული ობი-
ექტურობა და ალალმართლობა, რაც სასიქადულო მკვლევარს მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვდომელ სიმაღლეზე აყენებს, ამ შემთხვევაშიც გამორიცხავს შიშველ პატრიოტულ დეტერმინიზმზე ფიქრს.

ივ. ჯავახიშვილი საისტორიო დარგებსა და სფეროებს შორის თავის ასეთ დამოკიდებულებას ეთნოგრაფიის მიმართაც ამჟღავნებდა. ამის ნათელსაყოფად მრავალი შესაძლებლობა არსებობს როგორც ივ. ჯავახიშვილის კვლევის შედეგთა მრავალი ასპექტის მიხედვით, ისე ეთნოგრაფიისადმი მისი მეცნიერულ-ორგანიზაციული დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. აქ ჩვენ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდებით. ცნობილია, რომ მე-19 ს. მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეთა შორის, ვინც ქართული ეთნოგრაფიით, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ყოფის, კულტურის აღწერილობით და შესწავლით იყო დაინტერესებული, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ნიკო ურბნელს (ხიზანაშვილს) ეჭირა. ამ მხრივ მისი საერთო დამსახურება ქართული ეთნოგრაფიის წინაშე სათანადოდ არის შეფასებული მეცნიერებაში.

1941 წელს აკადემიურად გამოიცა მისი ეთნოგრაფიული ნაშრომების კრებული (ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, რედაქტორი გ. ჩიტაია). ქართველი ეთნოგრაფები, განსაკუთრებით კი მთის ზოლის მოსახლეობის სოციალური ისტორიით დაინტერესებული მკვლევრები ფართოდ იყენებენ და ბევრ შემთხვევაში ფართოდვე ეყრდნობიან ნ. ხიზანაშვილის ნაშრომებს როგორც ფაქტობრივი ნიშნით, ისე მეცნიერული განზოგადების თვალსაზრისით, რის საფუძველსაც ნ. ხიზანაშვილის ფართო დამკვირვებლობა და ძიება ქმნის. მაგრამ ყოველივე ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ნ. ხიზანაშვილის საკვლევაძიებო მუშაობის, მეცნიერული თვალთახედვისა და კვლევის ობიექტებისადმი დამოკიდებულების ნაკლი, რაც საერთო ჯამში ნაკლულოვან მეთოდოლოგიად გამოიყურება. რამდენადაც წინამდებარე ეს ნაწილი ქართულ ეთნოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის როლის გაშუქებასაც ეძღვნება, სწორედ აქვე უნდა ითქვას, რომ ნ. ხიზანაშვილის ეს მეთოდოლოგიური ნაკლი პირველმა და მგონი ერთადერთმა ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა და მანვე თვალსაჩინო გახადა ამ ნაკლის წარმომშობი უმთავრესი მიზეზები. თავისი ფუნდამენტური ნაშრომის „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველსავე სტრიქონს ივ. ჯავახიშვილი ნ. ურბნელის (ხიზანაშვილის) დამსახურების შეფასებით იწყებს და აღნიშნავს ნ. ურბნელის, როგორც ნიჭიერი დამკვირვებლის და მკვლევრის თვალსაჩინო ღვაწლს ქართული სამართლის ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლაში[82]. ამასთან ივ. ჯავახიშვილს მხედველობიდან არ რჩებოდა ისიც, რომ მძიმე პირობებში და ხელშემწყობ გარემოებათა უქონლობისდა მიუხედავად, პრაქტიკული საქმიანობით დატვირთულს, ნ. ურბნელს ქართული სამართლის ისტორიის მონოგრაფიული კვლევა-ძიების ხალისიც ჰქონდა და მაშინდელ ქართულ ღარიბ საისტორიო მწერლობაში მანამდე ხელუხლებელი ახალი ასპარეზის შესწავლით ძვირფასი წვლილიც შეჰქონდა. ამასთან ერთად იქვე ივ. ჯავახიშვილი ჩვეული ობიექტურობით ნათლად გვიჩვენებს ნ. ურბნელის მთელი მუშაობის — დამკვირვებლური და საკვლევა-ძიებო საქმიანობის მრავალმხრივ ნაკლს, რომელთა შორის მთავარია ისტორიულ და ფილოლოგიურ შედარებითი მეთოდოლოგიისა და მეთოდების უცოდნელობა და ამის გამო ქართული იურიდიული ძეგლების ტექსტის კრიტიკული განხილვისა და აღდგენის იგნორირება, აგრეთვე ნ. ურბნელის ნაშრომებში სათანადო ისტორიული პერსპექტივის უქონლობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნ. ურბნელმა ქართული სამართლის ისტორიის კვლევა-ძიება უძველესი ხანიდან კი არა, არამედ XIV საუკუნიდან, დაქვეითების ხანის ძეგლებით დაიწყო, რაც მას სწორი გეზის აღებას უძნელებდა[83]. მაგრამ იმ ნაკლთაგან, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ნ. ურბნელის საკვლევ მუშაობაში შენიშნა, არის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი, რომლის ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება დაგვეხმარება დავინახოთ არა მარტო ნ. ურბნელის მცდარი დამოკიდებულება ეთნოგრაფიული კვლევის ობიექტისადმი, არამედ თვით ივ. ჯავახიშვილის საერთო პოზიცია ქართულ ეთნოგრაფიაში. რამდენადაც ეს დღეისათვის ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის მხოლოდ უბრალო საკითხი არ არის, არამედ დღესაც კი ინარჩუნებს პრინციპულ მნიშვნელობას, ზოგჯერ ღია, ზოგჯერაც არაპირდაპირი გზით, ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით შედარებით დაწვრილებით გადმოვცეთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ამ საკითხზე. ეხება რა ნ. ურბნელის მეცნიერული მოღვაწეობის დროსა და პირობებს, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ნ. ურბნელი იმ დროს რუსულსა და ევროპულ მწერლობაში გაბატონებული სოციოლოგიური და შედარებითი სკოლისა და მეთოდის მიმდევარი იყო, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებადაც რუსეთში მაქსიმე

---

[82] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. V (წინასიტყვაობა).

[83] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. VI.

კოვალევსკი და ლეონტოვიჩი იყვნენ (ივ. ჯავახიშვილის თხრობის სტილი დაცულია მ. გ.). ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ ამ ორ მეცნიერს თავიანთი კვლევა-ძიების საგნად სხვათა შორის კავკასია და ჩვენი ქვეყანაც ჰქონდათ აღებული და მათი შრომების საერთო მიმართულების გავლენა ემჩნევა კიდეც ქართული სამართლის ისტორიის პირველ მკვლევარს ნ. ურბნელსო[84].

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ივ. ჯავახიშვილი ამ გავლენაში პირველ რიგში ხედავდა პირველყოფილობით გატაცებას, აი მისი სიტყვებიც: „რათგან ზემოთ დასახელებული ორივე რუსი მეცნიერი კავკასიელთა თანამედროვე ზნეჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდა, მთელი კვლევა-ძიების უდიდესი ენერგია ამ პირველყოფილობის ძიებაში ილეოდა. ამის წყალობითვე მათი მიმდევარი ნ. ურბნელის ნაშრომებსაც ყურადღება ქართველ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და პირველყოფილობის ძიებისადმი მიდრეკილება ემჩნევა“[85]. ივ. ჯავახიშვილის ამ სიტყვების მნიშვნელობის კიდევ უფრო სწრაფად და კარგად გაგებაში თვით ნათქვამის სტილიც გვეხმარება. აშკარად ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი იმდროინდელი ევროპული სოციოლოგიისა და მაშასადამე, ეთნოლოგიის მთავარ საზრუნავს, რომ ყველგან და ყველაფერში პირველყოფილობის კვალი ეძებნათ, ეჭვის თვალით უცქეროდა. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო სოციალურ მოვლენათა ნაჩქარევი გაუმართლებელი არქაიზაციისა, სადაც და როდესაც ცხოვრების განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობები მეცნიერული დაკვირვებისა და კვლევის სხვა მიმართულებასა და შესაძლებლობას სახავდნენ. დიდი მეცნიერის ეს აზრი კარგად ჩანს იმავე ნაშრომის მომდევნო სტრიქონებში მოცემულ მეთოდოლოგიური ხასიათის მსჯელობაში: „მაგრამ რამდენადაც „უკულტურო“ და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ერთად-ერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონებელი ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მარტო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანა-

---

[84] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრ., V გვ. (წინასიტყვაობა).

[85] იქვე.

დოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო...“[86] ივ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიურად მართლაც დიდი მნიშვნელობის ამ ერთ ფრაზაში რამდენიმე ცალკე მეცნიერული ასპექტია შერწყმული. პირველი, რაც ქართული მეცნიერული ეთნოგრაფიისათვის განსაკუთრებით ყურადსაღები და ღირებულია, ის არის, რომ ქართველი ხალხი ანუ ქართველი ერი აქ ერთიანობაში, მთლიანობაშია წარმოდგენილი საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობის განუცალკევებლად; მსჯელობის საერთო მიმართულების მიხედვით და შესაბამისად კი ივ. ჯავახიშვილს შეეძლო ქართველი მთიელი მოსახლეობა გამოეყო, რამდენადაც, როგორც უკვე ვნახეთ, ნ. ურბნელის მეცნიერული მოღვაწეობის კრიტიკულ შეფასებაში ივ. ჯავახიშვილმა მიგვანიშნა, რომ ნ. ურბნელის ნაშრომებს პირველყოფილობის ძებნაში ყურადღება ქართველ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიპყრობილიო. მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის მიერ იმის ხაზგასმაც, რომ ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის ერია, რომლის სოციალური ისტორიის შესწავლა ზემონახსენები ცალმხრივი მიდგომით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემსო. და ერთი მთავარიც — ივ. ჯავახიშვილი ეთნოგრაფიულ მასალას, ეთნოგრაფიულ მონაცემებს ცოცხალ ყოფაში წარმოდგენილ მოქმედი ფუნქციის სოციალურ მოვლენებად განიხილავს და მიაჩნია, რომ „ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო“. ივ ჯავახიშვილის ამ გამონათქვამის სიტყვასიტყვით განმეორება იმიტომ გვჭირდება, რომ საგანგებოდ გამოვყოთ ხალხური ზნე-ჩვეულებებისადმი, როგორც ისტორიულ წყაროსადმი, ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება. ივ.

---

[86] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. V (წინასიტყვაობა). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგივე აზრი უფრო ადრე გამოთქმულია გ. ჩიტაიას საპროგრამო-სამეცნიერო წერილში „ქართული ეთნოლოგია“ (1926), რომელიც ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბების დასაწყისის ეტაპზეა დაწერილი. ეს ფაქტიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ქართული მეცნიერების ქურუმის ივ. ჯავახიშვილისა და ქართული მეცნიერული ეთნოგრაფიის ფუძემდებლის გ. ჩიტაიას მეცნიერულ-ორგანიზაციული თანამშრომლობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულება, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ეთნოგრაფიის საგნის გაგებისა და ეთნოგრაფიული მოვლენების ცალკეულ შეფასებაში ამ ორი მეცნიერის განსხვავებული შეხედულებებიც გვხვდება.

ჯავახიშვილი ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში მოქმედ და ფიქსირებულ ზნე-ჩვეულებებს „თანამედროვე ზნე-ჩვეულებებს“ უწოდებს. „თანამედროვე“, აშკარად ცხადია, მეცნიერის გაგებაში ახლად წარმოქმნილ ზნე-ჩვეულებებს კი არ ნიშნავს, არამედ ძველს და ტრადიციულს (ლაპარაკი ხომ ზნე-ჩვეულებებზეა, რომელთა ჩამოყალიბებასა და განვითარებას კონკრეტულ-ისტორიული პირობები და დრო სჭირდება); მაშასადამე, თანამედროვე ხალხური (ეთნიკური) ზნე-ჩვეულებები თავისთავად ძველი და ტრადიციული წარმოშობისაა და ისტორიული განვითარებისა და მოქმედების პერიოდის ქრონოლოგიურ განსაზღვრას საჭიროებს, რაც მეცნიერულად არცთუ ისე ადვილია, მაგრამ მის აუცილებლობას ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ გახაზავს.

აქვე დგება სხვა პრინციპული საკითხი, რომლის გარკვევა ასევე გვეხმარება ივ. ჯავახიშვილის ეთნოგრაფიული მეთოდოლოგიური შეხედულებების გაგებაში. საქმე ეხება ე. წ. გადმონაშთებს. ცნობილია, რომ „ეთნოგრაფიული გადმონაშთი“, როგორც სამეცნიერო ტერმინი (survivance), დასავლეთის მეცნიერებაში, კერძოდ, ე. წ. კლასიკურ ეთნოლოგიაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა (ედ. ტეილორი). ამ ტერმინმა ეთნოლოგიის სამეცნიერო საცნობო აპარატში ფართო ადგილი მოიპოვა და ყველაზე ოპერატიულიც გახდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის მეცნიერულ გამოყენებას, მიუხედავად მისი თავდაპირველი სარეკლამო განმარტების სიცხადისა, ბევრი გაუგებრობა, უზუსტობა და მეცნიერულ კვლევაში პრაქტიკული გამოყენების სიძნელე დაჰყვა. თავს უფლებას მივცემთ ვთქვათ, რომ ყოველივე ეს ნაკლი „გადმონაშთის“ მეცნიერულ გაგებასა და გამოყენებას საბჭოთა ეთნოგრაფიასა და კერძოდ ქართულ ეთნოგრაფიასაც შემოჰყვა. საბჭოთა ეთნოგრაფიამ კი როგორც ცნობილია, გადმონაშთების თეორიაც და მეთოდიც გაიზიარა და ცდილობს მის გამოყენებას მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

მაგრამ, როგორც ვთქვით, გადმონაშთების მეთოდი ჯერ კიდევ ბევრ უზუსტობას შეიცავს და გაუგებრობის წყაროც ხშირად ხდება. ამის მთავარი მიზეზი კი, ჩვენი აზრით, თვით გადმონაშთის, როგორც სოციალური მოვლენის, შესწავლის მეცნიერული ღირებულების განსაზღვრაშია საძებნელი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თურმე მაინცადამაინც ეს გადმონაშთები გვეხმარებიან თავდაპირველი, პირველყოფილი სოციალური ინსტიტუტების სისტემებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოვლენების სტრუქტურის აღდგენაში, მაშასადამე, პირველყოფილი წყობილების აღდგენაშიც. ჩვენი აზრით, საწყისი პოზიციის ასეთი მცდარობა, თავისთავად გამომდინარეობს ეთნოგრაფიის საგნის მცდარი გაგებიდან, რომ თითქოს ეთნოგრაფიის ერთადერთი და ძირითადი მიზანი პირველყოფილობის ანუ გვაროვნული წყობილების ისტორიის შესწავლა იყოს, თურმე, სწორედ ამ მიზანს უნდა ისახავდეს და ემსახურებოდეს პირველყოფილი სოციალური სტრუქტურების აღდგენაც. მაგრამ, როგორც ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ისტორია და განსაკუთრებით კი ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფების ერთი ნაწილის მუშაობის ნახევარსაუკუნოვანი პრაქტიკა გვიჩვენებს გადმონაშთების მეთოდის გამოყენება ეთნოლოგიურ-სოციოლოგიური კვლევა-ძიების ყველაზე „მოხერხებული" და „იოლი" გზა ყოფილა პირველყოფილობის ძიების გზაზე. საქმე იმაშია, რომ ასეთ დროს ხალხის ყოფისა და კულტურის ყველა თანამედროვე მონაცემი, მოვლენა, რომელსაც კი სიძველის ნიშანი აქვს მოყოლილი, ძალზე ადვილად, უაპელაციოდ გადმონაშთად ცხადდება, თანაც ყოველთვის პირველყოფილობის გადმონაშთად, და ეთნოლოგიური სტანდარტული სქემებისა და მიბაძვითი შედარებების გამოყენებით სათანადო მეცნიერულ კვალიფიკაციას „ღებულობს". ასეთ დროს, როგორც წესი, სრულიად არ ეწევა ანგარიში იმის გათვალისწინების საჭიროებას, რომ თანამედროვე პირობებში წარსულის ყველა მოვლენა ცოცხალი სოციალური ფუნქციის მქონეა და იგი უნდა განიხილებოდეს არა იზოლირებულად, არამედ სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში, რომელიც ხშირად ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთმოქმედი კავშირის ხასიათს ატარებს. მაშასადამე, საჭიროა ე. წ. გადმონაშთური მოვლენებისადმი არა მეტაფიზიკური მიდგომა, არამედ განვითარების ყველა წინა ეპოქისა და პერიოდის კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით ანალიზი. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი კრიტიკულ-მეთოდოლოგიური შენიშვნა „ერის თანამედროვე ზნეჩვეულებების სათანადო გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრის აუცილებელი საჭიროების შესახებ". მაგრამ, როგორც ითქვა, პირველყოფილობით (გვაროვნული წყობილებით) გატაცებულ ეთნოგრაფთა ხელში გადმონაშთი „უწყინარი" საგანია, რადგან მათთვის მხოლოდ ის არის საკმარისი, რომ წარსულის ყველა მოვლენას ადვილად ეწოდოს გადმონაშთი. ზოგადი სოციოლოგიური მზა სქემების საფუძველზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზოგადება კი სრულიად ადვილია. ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ასეთი გამოკვლევები ბოლო ხანებში საკმაოდ მომრავლდა. გადმონაშთური მასალების საფუძველზე ერთი ხელის დაკვრით ხდება გვაროვნული სოციალური ინსტიტუტების აღდგენა, ხალხური მმართველობის უძველესი სისტემების გაცოცხლება, როცა ამავე დროს გამოკვლევის ავტორები მორალურად ვერ ბედავენ საგნებს პირდაპირი სახელები უწოდონ და ის ხალხები, რომელთა ცოცხალ სინამდვილეში „თანამედროვე ზნეჩვეულებების“ შესწავლა-ანალიზით ზემოხსენებული უძველესი სოციალური ინსტიტუტებია აღდგენილი, დღეისათვისაც გვაროვნულობის (პირველყოფილობის) საფეხურზე მდგომებად გამოაცხადონ. მსგავს კვლევათა ლოგიკური დასკვნა კი მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთმა ეთნოგრაფმა გადმონაშთების მეთოდით ქართველებში და კავკასიის სხვა ხალხებში ადამიანთა საზოგადოების გარიჟრაჟის ბიოსოციალური ცხოვრების ფორმაც კი „აღმოაჩინა“ ე. წ. ჯგუფური ქორწინებისა და ჯგუფური ოჯახის სახით. ცხადია, ეს შესაძლებელი გახდა ზოგადეთნოლოგიურ ლიტერატურაში მოცემულ აღწერილობებთან გარეგნული მიმსგავსების გზით და არა შესასწავლი მასალის კონკრეტულ-ისტორიული პირობების ანალიზის მეთოდით (ანუ ივ. ჯავახიშვილის თქმით „ერის თანამედროვე ზნეჩვეულებების ქრონოლოგიური განსაზღვრით“). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მკვლევრები ანგარიშს გაუწევენ იმას, რომ კონკრეტული ხალხი ანუ ეთნოსი, რომლის წარსულის შესწავლაც ხდება, ეთნიკურად და მაშასადამე, სოციალურად გამოკვეთილი სტრუქტურული ორგანიზმია, ჯგუფური ქორწინების დონეზე კი საზოგადოებას კონკრეტული სოციალური აღნაგობა, დამყარებული რაიმე ნათესაურ კავშირზე, ჯერ არა აქვს, ამ მხრივ იგი სოციალურად უსტრუქტუროა, შეიძლება ამორფულიც, ე. ი. არავითარ ეთნიურზე ჯერ ლაპარაკი არ შეიძლება. მაშასადამე, მსგავს გამოკვლევებში არეულია ეთნიკური და ბიოსოციალური განვითარების მექანიზმი და საფეხურები. არც იმის ანგარიშგაუწევლობა იქნება გამართლებული, რომ დღეისათვის მეცნიერებამ — საბჭოურმაც, დასავლურმაც ეჭვი მიიტანა და უარყო კიდეც ქორწინებისა და ოჯახის განვითარების ზოგადი მორგანისეული სქემის პირველი (სისხლაღრევითი) საფეხური, ხოლო ამავე მიზეზით ეჭვი მიიტანა მეორე (ჯგუფური საქორწინო ურთიერთობის) საფეხურზე როგორც რეალურად დაუდასტურებელ მო-

ვლენაზე, რომლებსაც ჰიპოთეტურობის გამო თავის დროზე ენგელსიც მხოლოდ პირობით უჭერდა მხარს (ვერ დასტურდება ე. წ. „პუნალუა ოჯახი“).

ასეთად ისახება დღეს ამ არასრული მონახაზით გადმონაშთების თეორიისა და მეთოდის პრაქტიკა. ჩვენ ნაწილობრივ უკვე ვნახეთ ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილთან ცნება „გადმონაშთი“ იმ სახით და მნიშვნელობით, როგორადაც ეს ზემოხსენებულ ეთნოგრაფებს აქვთ და იყენებენ, საერთოდ არ გვხვდება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ივ. ჯავახიშვილს ახლო არ სცნობოდა დასავლურ სოციოლოგიასა და ეთნოლოგიაში დამკვიდრებული გადმონაშთების თეორია და მეთოდი. ამიტომ შეიძლება უფრო მართებულია ვიფიქროთ ის, რომ იგი განზრახ დუმილით უვლიდა მას გვერდს, როგორც ცივილიზებული ხალხების, ამ შემთხვევაში კი ქართველი ხალხის უძველესი სოციალური ისტორიის აღდგენის მოჩვენებითად ყველაზე „მარჯვე და საიმედო“ ხერხს. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ივ. ჯავახიშვილის ფრთხილი დამოკიდებულება პირველყოფილობის შესწავლისადმი და ამასთან დაკავშირებით მის მიერ მოცემული კრიტიკული შეფასება დასავლური სოციოლოგიური სკოლისა, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში, საჭიროების მიხედვით დამოწმებულ ძველ მოვლენებსა და ფაქტებს, მათი სოციალური გამძლეობის ხარისხის გათვალისწინებით, როგორც წესი, „წარსულის მკრთალ ანარეკლს“, ან „მკრთალ ნაშთს“ უწოდებს. როგორც ითქვა, ივ. ჯავახიშვილი სპეციალური გაგებითა და მნიშვნელობით საერთოდ არ ხმარობს „გადმონაშთის“ ცნებას.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ-ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეთნოგრაფიის ტერმინოლოგიურ-საცნობო აპარატის თეორიულ დამუშავებასა და გააზრებას, რასაც მკვლევარი, როგორც წესი, საქართველოს ისტორიული წარსულის კონკრეტული მონაცემების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ახდენს. მართალია, ამ საკითხებს ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის პროცესში აკვირდება და სამართალმცოდნეობის ძირითადი მნიშვნელობების გარკვევას უკავშირებს, მაგრამ მათ მეცნიერული ეთნოგრაფიის თვალსაზრისით დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ და სათანადო შეფა-

სება სჭირდებათ, როგორც მრავალმხრივი ინტერესების მეცნიერ მკვლევრის ღრმა ერუდიციის კონკრეტულ გამოხატულებას.

ცნობილია, რომ ძველი, მათ შორის ბურჟუაზიული შეხედულებებისაგან განსხვავებით, დღეს მეცნიერული ეთნოგრაფიის მთავარ საკვლევ საგნად მიჩნეულია კონკრეტული ხალხის (ეთნოსის) ყოფისა და კულტურის თავისებურებები, რაც ძირითადად მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ტრადიციების ერთობლიობაში გამოვლინდება. აქ თავს იყრის მოცემული ხალხის ცხოვრების სტილი, წესები, ზნე-ჩვეულებანი, ეთნიკური კულტურა. ტრადიცია ამავე დროს მიჩნეულია ადამიანთა ჯგუფური ქცევისა და მოქმედების ისეთ გამოვლინებად, რომელიც წარმოშობა-ჩამოყალიბების შემდეგ გადაეცემა დროში, მათ შორის თაობებში და განაგრძობს არსებობას ცოცხალი მოქმედი ფუნქციით. ეს ფუნქცია შეიძლება კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით გაფართოვდეს ან შევიწროვდეს, გაძლიერდეს ან შესუსტდეს, სახე იცვალოს, ან დროებით ჩაქრეს კიდეც. ტრადიცია სტაბილურიც არის და ამავე დროს დინამიკურიც, ამიტომ იგი, როგორც სოციალური მოვლენა, ისტორიულად არ შეიძლება უცვლელი სტერეოტიპი იყოს. იგი თან სდევს საზოგადოებრივ განვითარებას და საერთო პროგრესს ზოგჯერ ხელს უწყობს ანდა, პირიქით, აფერხებს მას, ზოგჯერაც ნეიტრალური ხასიათი აქვს.

და როდესაც დღეს ამ თვალსაზრისით ვუკვირდებით ივ. ჯავახიშვილის ნააზრევსა და შეხედულებებს, ირკვევა, რომ მკვლევარს ყოველივე ეს ადრევე აქვს შემჩნეული და კონკრეტული ფაქტიური მასალით მკაფიოდაც ასაბუთებს მათ.

ივ. ჯავახიშვილის ეთნოგრაფიულ საცნობო დეფინიციებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „წესის“ და „ჩვეულების“ (ზნე-ჩვეულების) მნიშვნელობათა დადგენა. საყურადღებოა აგრეთვე „სჯულის“ („შჯულის“) შინაარსობრივი მნიშვნელობის გარკვევა „სამართლის“ ცნებასთან მიმართებაში.

ივ. ჯავახიშვილს ქართული ისტორიული წერილობითი წყაროებიდან მოტანილი და გაანალიზებული მრავალი მაგალითის საფუძველზე დადგენილი აქვს „ჩვეულებისა“ და „ქცევის“ მნიშვნელობათა სიახლოვე-იგივეობა. მისი განმარტებით „ჩვეულება“ ადამიანის ისეთ ქცევას ეწოდება, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც იგი ჩვეულია[86]. მაგრამ ამავე დროს მკვლევარი იმასაც დაადგენს, რომ „ჩვეულებაᲐ“ მარტო კერძო, თითოეული ადამიანის ქცევას კი არ ერქვა, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფის, გვაროვნობის, წოდების, დასის ან მთელი ერის ზნესა და ქცევასაც[87]. როგორც ვხედავთ, „ჩვეულების“ ამ გაგებაში მკვლევარი მახვილს უკეთებს ადამიანთა ჯგუფური მოქმედებისა და ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძველს. ამის დადასტურებაა მის მიერვე მოტანილი მაგალითი და კომენტარი, რომ „ძეგლის წერის“ დამწერთა აღიარებით „წარმომადგენლობითი“ გვირგვინის კურთხევისა და ქორწინების წესი საქართველოში „კაცობრივისა ქცევისა და ჩვეულებისა“ ნაყოფიაო. ამასვე უკავშირებს ივ. ჯავახიშვილი იმ საინტერესო ფაქტსაც, რომ ეფთჳმე მთაწმინდელი მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული დედნის Κη კანონში სიტყვას ἔθος („ეთოს“) ქართულად „ჩვეულებად“ თარგმნის[88].

ივ. ჯავახიშვილი სპეციალურად აკვირდება და განმარტავს ცნება „წესის“ შინაარსსა და სოციალურ-ეთნიკურ მნიშვნელობას. მკვლევრის დასკვნით „წესი“, რომელიც სხვებზე უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში, აღნიშნავს ისეთ ცნებას, რომელიც საზოგადოებრივს, სახელმწიფოსა და საეკლესიო ცხოვრებაში მუდმივ მოქმედებს და მნიშვნელობით არც სამართალს, არც შჯულს და არც კანონს არ უდრის და არ ეთანასწორება. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ წესი ყველაზე უწინარესად ჩვეულებას ერქვა და გამოხატავდა გარკვეული ყოფა-ცხოვრებისა და ქცევის რიგს დაწერილი იყო იგი თუ დაუწერელი[89]. ნათქვამის საილუსტრაციოდ მას ძველი სამწერლობო ძეგლებიდან მოჰყავს ცხოვრებაში დამკვიდრებული ადამიანთა ჯგუფური ქცევისა და მოქმედების ნორმების ისეთი მაგალითები, როგორიცაა „წესი ჯდომისა და დგომისა“, „მოკითხვის წესი“ (სტუმარმასპინძლობაში), „გლოვის წესი“ და სხვ.[90].

---

[86] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 12.

[87] იქვე, გვ. 13.

[88] ი ქ ვ ე

[89] ი ქ ვ ე, გვ. 14.

[90] იქვე, გვ. 16.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნიკური კულტურა

კულტურა, როგორადაც არ უნდა იყოს ის გაგებული — ვიწრო თუ ფართო მნიშვნელობით, ერთხელ მოცემული, ერთჯერადი და უცვლელი რამ არ არის. იგი, როგორც სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი შემოქმედების ნაყოფია, ადამიანები ქმნიან კულტურას. ამ პროცესის საფუძველი კი ზოგადად არის წარმოება, არის შემოქმედება. ადამიანთა საწარმოო საქმიანობა და მასში გამოსახული ხარისხობრივი მაჩვენებელი, როგორც შედეგობრივი მიღწევა, არის კულტურა[1]. იგი ბაზისური და ზედნაშენური კატეგორიების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენების ფართო ნაირგვაროვნებაში გამოვლინდება.

კულტურას აქვს დროსა და სივრცეში გავრცელების თვისება. დროში გავრცელების უნარი ქრონოლოგიურ ვერტიკალობას წარმოქმნის. მაგალითად, ეთნიკური კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემა ტრადიციების მექანიზმის მეშვეობით. კულტურის სივრცეში გავრცელება კი ტერიტორიულ ჰორიზონტულ გადანაცვლებას ანუ გეოგრაფიულ გადანაცვლებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში იგივე ეთნიკური კულტურა შეიძლება გადავიდეს ერთი ტომის, ხალხის, ქვეყნის კულტურიდან — მეორეში. თუ ასეთ დროს კულტურის ესა თუ ის ელემენტი, კულტურული მოვლენა ან უფრო ფართოდ — კულტურული კომპლექსები ახალ გარემოში გავრცელდებიან, დამკვიდრდებიან და შეინარჩუნებენ ფუნქციას, სახეზე გვექნება სესხების პროცესი, რომელსაც მეცნიერული ტერმინოლოგიით კულტურის დიფუზია ეწოდება[2].

სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ ხაზგასმულია მეცნიერულად დადგენილი და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი, რომ არ არსებობს სავსებით იზოლირებული, კარჩაკეტილი კულტურა,

---

[1] იხ. Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, с. 78.

[2] ა. ლეკიაშვილი, კულტურის დიფუზია და კულტურულ-ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური პრინციპები: კრებული „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა“, თბ., 1964, გვ. 96.

რომელსაც არ განეცადოს გარეგანი კულტურული გავლენა. აქვე იგულისხმება ის ძირითადი მომენტიც, რომ ყოველი ხალხის კულტურა არის პირველ რიგში შინაგანი, დამოუკიდებელი განვითარების პროდუქტი, რომელიც სწორედ ამ შინაგანი განვითარების კანონზომიერებათა საფუძველზე ლოგიკურად დაუშვებს გარეგან გავლენებსა და სესხებებსაც[3]. ცხადია, მსჯელობა არ ეხება იძულებით გავლენებს, რომლებიც იწვევს ე. წ. კულტურულ ასიმილაციას.

წიგნში დასმული ერთ-ერთი მთავარი პრობლემის — ეთნიკური კულტურის რაობის გასარკვევად, ბუნებრივია, პირველ რიგში საუბარი უნდა შეეხოს თვით ცნებას „კულტურა". მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ საჭირო იქნება ჩვენი ამ ამოცანის ერთგვარად შემოფარგვლა, რადგან ეს ცნება უაღრესად რთულია და მის მეცნიერულ გააზრებასა და გაგებას კი საკუთარი ხანგრძლივი ისტორიაც აქვს. ამიტომაა, რომ კულტურის ისტორიის სპეციალისტთა წრეში, ვინც ამ ცნების შინაარსობრივი განვითარების ისტორიას თვალს ადევნებს მრავალი თეორიის, შეხედულებების, მიმდინარეობის, მეცნიერული სკოლისა თუ სხვასთან კავშირში, ხშირად არა უსაფუძვლოდ აღინიშნება ხოლმე, რომ კულტურის განმარტება ერთი ჩამოკვეთილი სიტყვიერი ფორმულის სახით საერთოდ შეუძლებელია. ზოგჯერ იმაზედაც მიუთითებენ, რომ მარქსამდელი ან არამარქსისტული თეორიების მიხედვით კულტურის ორ ასეულამდე განმარტება მოიპოვება[4].

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში იქნება ამ მრავალასპექტიანი და ამავე დროს რთული ისტორიის მქონე საკითხიდან იმ ნაწილების წინ წამოწევა, რომლებიც მეტად უკავშირდებიან ეთნოსოციალურ სფეროს და მათი ჩვენება კულტურის მარქსისტულ ლენინური თეორიის შუქზე.

კულტურის ცნების შინაარსობრივი სტრუქტურისა და მოცულობის ასე დიდი ცვლილებების მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი და მთავარი აზრობრივი ნიშანი — განვითარებაში მიღწეული დონე და მიღწევის გამოხატულება — უცვლელი დარჩა. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ მიეცემა ინვარიაციულობის მომენტს, რომლის დროსაც ზემოაღნიშნული ნიშანი შეიძლება სრულად შეინიღბოს, ან გაუჩინარდეს კიდეც.

---

[3] იქვე, შდრ., თ. ც ი ნ ც ა ძ ე, ზანგები და ამერიკული კულტურა, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1957, 12, გვ. 56.

[4] დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, ერი, კულტურა, სოციალიზმი, გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენთან მიღებული გაგებით, კულტურა ეწოდება საზოგადოებისა და ადამიანის განვითარების ისტორიულად განსაზღვრულ დონეს, რაც გამოხატულია ცხოვრების ორგანიზაციისა და ადამიანთა საქმიანობის ტიპებსა და ფორმებში, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებში. ცნება კულტურა გამოიყენება განსაზღვრული ისტორიული ეპოქების, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების, კონკრეტული საზოგადოებების, ხალხებისა და ერების, აგრეთვე მოქმედებისა თუ ცხოვრების სპეციფიკური სფეროების განვითარების მატერიალური და სულიერი დონის დასახასიათებლად. ასე, მაგალითად, ვამბობთ — ანტიკური კულტურა, სოციალისტური კულტურა, აცტეკების კულტურა, შრომის კულტურა, მხატვრული კულტურა, ყოფის კულტურა, უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინ კულტურას იყენებენ მხოლოდ ადამიანთა სულიერი ცხოვრების სფეროში (განმარტება ამოღებულია: БСЭ, 3-е изд., т. 13, 1973, с. 594. ст. «культура»).

ვიდრე ცნება კულტურის ზოგიერთი სხვაგვარი, არამარქსისტული გაგებისა თუ შეხედულებების ისტორიას შევეხებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს კულტურის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი იდეის შესახებ. ეს იდეა ეფუძნება ისტორიული მატერიალიზმის პრინციპულ დებულებებს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების, როგორც საზოგადოების განვითარების თანმიმდევრული ეტაპების, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის, ბაზისისა და ზედნაშენის, ანტაგონისტურ საზოგადოებაში კულტურის კლასობრივი ხასიათის შესახებ. ამიტომ კულტურა წარმოადგენს საზოგადოების სპეციფიკურ დახასიათებას და გამოხატავს კაცობრიობის მიერ ისტორიული განვითარების მიღწეულ დონეს, რაც განსაზღვრულია ადამიანის დამოკიდებულებით ბუნებასთან და საზოგადოებასთან. ამდენად, კულტურა არის ადამიანის ბუნებასთან და საზოგადოებასთან ერთიანობის სპეციფიკური გამოხატულება, პიროვნების შემოქმედებითი ძალებისა და უნარის დახასიათება. კულტურა თავისთავში მოიცავს ადამიანთა საქმიანობის არა მარტო განივთებულ შედეგებს (მანქანები, ტექნიკური ნაგებობანი, შემეცნების შედეგები, ხელოვნების ნაწარმოებები, სამართლისა და მორალის ნორმები და ა. შ.), არამედ სუბიექტურ ადამიანურ ძალებსა და შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზება ადამიანის მოქმედებაში ხდება (ცოდნა და უნარი, საწარმოო და პროფესიული ჩვევები, ინტელექტუალური, ესთეტიკური და ზნეობრივი განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების დონე, მსოფლმხედველობა, ადამიანთა ურთიერთობის შუალებები და ფორმები კოლექტივისა და საზოგადოების ფარგლებში) (БСЭ — იქვე).

მიღებულია კულტურის დაყოფა წარმოების ორი ძირითადი სახეობის შესაბამისად — მატერიალურ და სულიერ კულტურებად. მატერიალური კულტურა მოიცავს მატერიალური მოქმედებისა და მისი შედეგების მთელ სფეროს, როგორიცაა შრომის იარაღები, საცხოვრებელი, ყოველდღიური მოხმარების საგნები, ტანსაცმელი, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებანი და სხვ. სულიერი კულტურა მოიცავს შეგნების, სულიერი წარმოების სფეროს — შემეცნება, ზნეობა, აღზრდა და განათლება სამართლის, ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, მითოლოგიის, რელიგიის ჩათვლით. კულტურის მარქსისტული თეორია ამოდის მატერიალური და სულიერი კულტურის ორგანული ერთიანობიდან, ამავე დროს კულტურის მატერიალურ საფუძვლებს ეკუთვნის გადამწყვეტი როლი კულტურის განვითარებაში. სწორედ ისტორიული მიმღეობითი მემკვიდრეობა მატერიალური კულტურის განვითარებაში წარმოადგენს მემკვიდრეობითობის საფუძველს კულტურის განვითარებაში მთლიანად (БСЭ — იქვე).

ქართული ეთნიკური კულტურის სტრუქტურასა და მის მრავალრიცხოვან შინაგანი კომპონენტების კავშირურთიერთობაზე საგანგებო მსჯელობა ქვემოთაა მოცემული. აქ კი წინასწარ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეთნიკური კულტურის გენეზისსა და მის მშენებლობა-განვითარებასაც თავისი კანონზომიერებანი აქვს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან მოცემულ გარემოში წარმოებისა და შრომითი საქმიანობის თავისებურებებს და რომელთა გამოვლინებაშესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ, თანაბრად არქეოლოგიურ კვლევას. სწორედ ქართული ეთნოგრაფიის დარგში ხანგრძლივად წარმოებული კვლევის შედეგების განზოგადების საფუძველზე, რომელიც მოიცავს სამეურნეო-საწარმოო, მატერიალური, სოციალური, სულიერი კულტურის ერთმანეთთან დაკავშირებულ და ხშირად ერთმანეთის მიზეზობრივად განმსაზღვრელ სფეროებს (კომპლექსს), გამოთქმულია მეცნიერული შეხედულება, რომ ქართველი ხალხის დღევანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხანგრძლივ პროცესში III ათასწლეულის ბოლოსათვის უკვე არსებობს ერთია-

ნი ფართო კულტურული კომპლექსი, რომელსაც უკვე ნათლად გა-
მოკვეთილი სტრუქტურა აქვს და მოიცავს მნიშვნელოვნად დაწი-
ნაურებულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას შემდეგში ყო-
ველთვის დამახასიათებელი შერწყმული სახით, მრავალფეროვანი ში-
ნახელოსნური წარმოების დარგებს და მათ შორის მაღალგანვითა-
რებულ მეტალურგიულ, კერამიკულ, საფეიქრო და სხვ. წარმოებას.
სამეურნეო ყოფა, საწარმოო იარაღები და პროცესები, განსახლება
და საცხოვრებელი ნაგებობანი კლიმატურ-გეოგრაფიულ ვერტი-
კალურ ზონალობას არის შეფარდებული, ჩამოყალიბებულია ცხოვ-
რების მთა-ბარული წესი. კულტურისა და ყოფის მიკროლოკალური
სპეციფიკა ამავე დროს მონაწილეობს, შინაგანი ფართო სამეურ-
ნეო-კულტურული კავშირურთიერთობის საფუძველზე, ერთიანი
ქართული ეთნიკური კულტურის შექმნასა და შემდგომ განვითარე-
ბაში. ეს ერთიანი კულტურა ერთ ეთნოსს — ქართულ ეთნოსს ეკუთ-
ვნის. კულტურულ-ისტორიულ კავშირურთიერთობათა ობიექტური
კანონზომიერების საფუძველზე და კონკრეტულ-ისტორიული პი-
რობების შესაბამისად ქართული ეთნიკური კულტურა მდიდრდება
და ვითარდება კავკასიისა და მცირე აზიის ხალხთა კულტურებთან
კონტაქტში. რასაკვირველია, იგულისხმება ქართული კულტურის
კეთილისმყოფელი გავლენებიც სხვა კულტურებზე (გ. ჩიტაია).

ეთნიკური კულტურის აღნაგობა

ჩვენ მიზანს ამჟამად არ წარმოადგენს ერთი რომელიმე ხალ-
ხის ეთნიკური კულტურის კონკრეტულ შინაარსობრივი დახასიათე-
ბა. ამოუწურავი შინაარსისა და ფართო მოცულობის გამო ერთი
ადამიანისათვის, ისიც ერთი მცირე წიგნის ფარგლებში, ასეთი მი-
ზანდასახულობა არც შეიძლება არსებობდეს.

ჩვენ აქ გვსურს ყურადღების გამახვილება საერთოდ ეთნიკური
კულტურის მხოლოდ ერთ ზოგად მხარეზე. ეს არის ეთნიკური კულ-
ტურის შინაგანი აღნაგობა და ამ კულტურის მთავარი კომპონენტე-
ბის ურთიერთკავშირი, რაც განხილული უნდა იქნას ეთნოსის, რო-
გორც განსაზღვრული სოციალურ-კულტურული მთლიანობის ზო-
გად საკითხებთან მიმართებაში.

მართალია, არც ეს ერთი შეხედვით მეტ-ნაკლებად კონკრეტუ-
ლი ამოცანაა ადვილად მისაწვდომი და გადასაწყვეტი, მაგრამ საზო-

გადოებრივი განვითარების შინაგანი კანონზომიერების ზოგადი მეცნიერული ახსნა, რაც ისტორიის მატერიალისტურ გაგებაზეა დაფუძნებული, უტყუარს ხდის კონკრეტული ეთნოსების განვითარების ისტორიულ სურათს და მატერიალურის, სოციალურისა და სულიერის ადგილსა და ურთიერთმიმართებას ამ ისტორიაში. ამავე დროს კონკრეტული ეთნოსის ფარგლებში მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების მთლიანობა მათი დიფერენცირებული გამოხატულებით საბოლოო ჯამში არის იგივე ეთნიკური კულტურა.

აღნიშნული მეთოდოლოგიური მოთხოვნის შესაბამისად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროცესი კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით განიხილება, ხოლო ამ თვალსაზრისში მთავარი ადგილი ბაზისური და ზედნაშენური კატეგორიებისა და მოვლენების ურთიერთკავშირს უჭირავს. ამოსავალი საფუძველია მატერიალური წარმოების სფერო, რომელიც სოციალური და სულიერი ცხოვრების სამყაროსთან პირდაპირი თუ შებრუნებითი ანუ უკუკავშირების ნიადაგზე კონკრეტული ხალხის — ეთნოსის ისტორიულ ყოფა-ცხოვრებას გარკვეულ, თავისებურ დაღს ასვამს, წარმოქმნის ყოფის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სტილს, წესს, ხოლო ყოფა-ცხოვრების ეს რაგვარობა ეთნიკური კულტურის მრავალფეროვნებაში აისახება. ყოველივე ეს ამავე დროს განვითარებადია.

ნათქვამი საბუთიანობას მოითხოვს, საამისო კონკრეტული მასალა კი ეთნოგრაფიას, აგრეთვე მომიჯნავე სამეცნიერო დარგებს, უხვად მოეპოვება. ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური კულტურის სფეროში შესრულებული ყოველი გამოკვლევა, მონოგრაფია, საველე თუ სამუზეუმო ძიება ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით პირველ რიგში ამის საილუსტრაციოდ გამოდგება, ცხადია, თუ ასეთი სამუშაო სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპზეა დამყარებული.

რამდენადაც ჩვენ, როგორც ზემოთ უკვე იყო თქმული, საილუსტრაციო მაგალითებისათვის პირველ რიგში ქართული ეთნიკური კულტურის საგანძურს მივმართავთ, ამჯერადაც აქედანვე მოვიშველიებთ კონკრეტულ მონაცემებს ეთნიკური კულტურის შინაგანი სტრუქტურის უკეთ და მეტ-ნაკლები სისრულით წარმოსადგენად.

საამისოდ არჩევანს ვაჩერებთ ქართველი ხალხის ტრადიციული საწარმოო სფეროს რამდენიმე დარგობრივ უბანზე. თხრობაში ჩვენ შევეცდებით ამ დარგების მეცნიერულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილი თავისებურებების შეძლებისდაგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად სრულად და თანმიმდევრულად გადმოცემას, თუმცა ჩვენი მთავარი მიზანი სხვა იქნება — მკითხველთან ერთად ვადევნოთ თვალი ამ დარგების საკუთარ შინაგან რთულ სტრუქტურას, მისი შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირს, საწარმოო ჩვევებისა და ტრადიციების ქმნადობისა და განვითარების პროცესების მატერიალურ, სოციალურ და სულიერ ასპექტებს, ამ მოვლენების ენობრივ საფუძვლებს. ეს უფრო აშკარას და თვალსაჩინოს გახდის იმას, რომ ესენი წარმოადგენენ განვითარებად რთულ კომპლექსებს, რომელთა სრულად შესწავლა და სისტემური მიდგომის გამოყენება ჩანს უფრო შედეგიანი და საჭირო. სისტემური მიდგომა კი მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ე. წ. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის თავისებური შემადგენელი ნაწილია. ამ მეთოდს, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ფართოდ და თვალსაჩინო წარმატებით იყენებენ ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფები აკად. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. ეს მეთოდი ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების რთული შინაგანი ურთიერთკავშირების ამოხსნას ემსახურება და ეთნიკური კულტურის განვითარებაში ამოსავალ საფუძვლად მიიჩნევს საწარმოო-შრომითი საქმიანობის პროცესებსა და შედეგებს მათს მრავალფეროვან, ერთმანეთთან დაკავშირებულ გამოვლინებებში ცხოვრების სამეურნეო-მატერიალური, სოციალური და სულიერი სფეროების მიხედვით. სწორედ ამიტომ არის, რომ ქართველ ეთნოგრაფთა ნამუშევრებს მთავარ ხაზად გასდევს ხალხის საწარმოო ჩვევების, გამოცდილების, ტრადიციების შესწავლა, რასთანაც უშუალო კავშირში განიხილება ეთნიკური ყოფისა და კულტურის ორი სხვა უმთავრესი სფეროს — სოციალური და სულიერი ცხოვრების თავისებურებანი.

ამ რიგის მრავალ ნამუშევრიდან მაგალითისათვის ქვემოთ წარმოვადგენთ ხალხური მეტალურგიისა და ფეიქრობის მონოგრაფიული შესწავლის შედეგებს.

ლითონის დამუშავებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი საწყისები უხსოვარი დროიდან მოდის. ეს დარგი ხანგრძლივი ტრადიციებისა და თვითმყოფი თავისებურებების მატარებელია. ქართველთა წინაპრებს ადრევე მიუყვიათ ხელი ლითონის დამუშავებისათვის და მნიშვნელოვანი წარმატებებისათვისაც მიუღწევიათ, რის გამოც ისინი ძველთაგანვე აღიარებული ყოფილან საუკეთესო მეტალურგებად. როგორც ცნობილია, ძველი კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული სამყარო ამ მიღწევებს იცნობდა და განსაკუთრებითაც ფასებდა[5].

ბიბლიაში დაცული მონაცემებით, აგრეთვე ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებით ქართველი ტომები უძველესი დროიდან წარმატებით მისდევდნენ ლითონების დამუშავებას. მოსინიკური სპილენძი, ხალიბური რკინა და სვანური ოქრო იმ დროს საქვეყნოდ იყო განთქმული. მელითონეობის დარგში მოპოვებული ეს მიღწევები ქართველმა ხალხმა შემდეგში კიდევ უფრო განავითარა, გაამდიდრა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ეს პროცესი კავკასიის სხვა ხალხებთან (სომხები, დაღესტნელები) ახლო კავშირში მიმდინარეობდა, რომლებთანაც მეტალურგიის ამა თუ იმ დარგმა, თავის მხრივ, განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა, მაღალ დონეს მიაღწია და ეროვნული თავისებურებები შეიძინა.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი სპილენძის ნივთების საგანგებო შესწავლა, რაც თანამედროვე ლითონმცოდნეობაში გამოყენებული მაკრო და მიკროსკოპული, რენტგენოსპექტრული, ქიმიური და ტექნოლოგიური კვლევის მეთოდებით წარმოებს, გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. III-II ათასწლეულის ნივთები სპილენძის მადნის პირდაპირი აღდგენით მიღებული ლითონისაგან არის დამზადებული. ირკვევა, რომ იმდროისათვის ადგილობრივად უწარმოებიათ სპილენძისა და სხვა ლითონების მადნების ამოღება-გადამუშავება (ლითონის გამოდნობა). კარგად სცოდნიათ როგორც ჟანგეული მადნიდან პირდაპირი აღდგენით, ისე სულფიდიანი მადნების გადამუშავებით თხევადი ლითონის — სპილენძის მიღება, საჩამოსხმო ხელოვნებაში გამოყენებული ჰქონიათ როგორც უშუალოდ მადნებიდან აღდგენილი ლითონი, ისე, (შედარებით გვიან — 1500 ძვ. წ. ა.) საჩამოსხმო თვისებების გასაზრდელად, მისგან წინასწარი ჩამოსხმული ზოდების ხელმეორედ გადადნობა ლითონის შედგენილობის შეცვლით. შენადნობების შედგენილობის შეცვლას აწარმოებდნენ მეორედ გადამდნარ ლითონში როგორც დარიშხანის, ანთი-

---

[5] ამ ნაწილში ვემყარებით ისტ. მეცნ. დოქტორის ნ. რეხვიაშვილის ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს და ლითონის ტექნოლოგიის ისტორიკოსების ფ. თავაძის, თ. საყვარელიძის და სხვ. ნაშრომებს. არქეოლოგების ო. ჯაფარიძის, ტ. ჩუბინიშვილის, რ. აბრამიშვილის და სხვ. სპეციალურ გამოკვლევებს, გ. კვირკველიას ახალ საინტერესო ნაშრომს „უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ“, თბ., 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონის, ტყვიის და სხვა ადვილად აღსადგენი პოლიმეტალური მადნებ-ნების, ისე ამავე მადნებიდან გამოდნობილი ლითონების დამატებით.

ირკვევა, რომ ძველად ლითონის ნაწარმის დამზადების რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესი არსებობდა:

1. მცირე მინარევებიან (1 — 5 %) სპილენძის ნივთებს ამზადებდნენ თავისუფალი ცივი, ან ცხელი ჭედვით, სპეციალურ სამარჯვებზე ჭედვით და ჭედვით შედუღების გამოყენებით. ამ ტექნოლოგიით დამზადებულია შუბები, სატევრის პირები, სარტყლები და სხვა ფურცლოვანი ან მავთულოვანი ნივთები, რომლებისთვისაც საჭიროა ფხამახვილობა, დრეკადობა და სიბლანტე.

2. 5 — 10 % მინარევებიან სპილენძის ნივთებს ქვის, ქვიშა თიხის, კერამიკის ან ლითონის ყალიბებში ჩამოსხმით და შემდგომ მათი ცივი ან ცხელი (დეფორმაციით) დამუშავებით ღებულობდნენ. თითოეული ნივთის ჩამოსხმა მისთვის შერჩეული ტექნოლოგიით უწარმოებიათ — შესაფერი ქვის, სპილენძისა და საყალიბო ქვიშების ყალიბების გამოყენებით.

3. მინარევების დიდი რაოდენობით შემცველი (12 % მეტი) სპილენძის რთული, მხატვრულ-ორნამენტული სხმულების დამზადება ცვილის მოდელებისა და ნახევრად თხევადი საყალიბო მასალების გამოყენებით უწარმოებიათ.

ძველთაგანვე სპილენძსა და ბრინჯაოს დიდი რაოდენობით იყენებდნენ საბრძოლო, სანადირო და სამეურნეო იარაღების, საოჯახო, საკულტო ნივთებისა და სამკაულების დასამზადებლად. სპილენძის მოპოვება-დამუშავების განვითარებას ხელს უწყობდა ბუნებრივი მდიდარი საბადოების არსებობა, რომელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ჭოროხის ხეობა (დას. საქართველო) და ალავერდის საბადოები თბილისის მახლობლად.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მრავალფეროვანი მონაცემები სპილენძის დამუშავებისა და გამოყენების ხანგრძლივსა და მაღალი დონის ტრადიციებზე მეტყველებს. ყოფამ განსაკუთრებით ფართოდ შემოინახა სპილენძის ჭურჭლისა და საოჯახო ნივთების დამზადება-გამოყენების პრაქტიკა. სპილენძის ჭურჭლის სახეობათა მარტო ჩამოთვლაც (და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გაცნობაც) საკმარისი იქნებოდა ამ მრავალფეროვნების გასათვალისწინებლად, რაც თავისებურებას ამჟღავნებს საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვითაც (ფშავი, ხევსურეთი, ხევი, სამეგრელო და სხვ.). საქართველოში ბოლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხანებამდე იყო ხმარებაში სპილენძის სამზარეულო საღვინე და სარწყული ჭურჭელი: ჩარექა, ლიტრა, კუტალი, ლანგარი, თასი, პინა, სათილი, ქეთლი, ქაფქირი, ტაფა, კერძის ქვაბი, თანგირა, (უყურო დიდი ქვაბი), ხელქოთანა, ხრიკა, ყურიანი, ბარქაში, ჯამფილი, კვანჩხა ბაკანი, ფიალა, კათხა (ბარძიმი), მაშრაფა, სათული (ვედრო), ტოლჩა, თუშფალანგი, თუნგი, კოში (საწვნე) და სხვა წვრილი თუ მსხვილი საგანი. სპილენძის ნივთები ქალის მზითვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისათვისაც.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სპილენძის მოხელე მჭედლები მადნისა თუ ძველი სპილენძის ნაჭრებისაგან მაღალი ხარისხის სპილენძის მასალას ამზადებდნენ გამოსაჭრელად, რასაც კ ვ ე რ ი ეწოდებოდა. ისინი აგებდნენ სპილენძის საწურ ქურებს, რომლებიც რკინის საწურ ქურებს ემსგავსებოდა. სპილენძის ქურის ბრძმედი ამოლესილი იყო ნაცრითა და აყალო მიწით და წარმოადგენდა ღრმა, მრგვალი სახის ფილს, რომლის ქვედა ნაწილში საბერველის სტვირი შედიოდა. ამ ბრძმედში იყრებოდა წვრილად დაჭრილი სპილენძის ნაჭრები. ბრძმედს ფენებად დაგებული ჰქონდა წაბლის „შუშა ნახშირი". ძლიერი დაბერვის შედეგად სპილენძი ლღვებოდა და ტბორად ჩადგებოდა ფილში. თავზე ქაფსა და ჭუჭყს მოიგდებდა, რომელსაც თანდათანობით მოართმევდნენ. გამდნარ სპილენძს ბრძმედის ფილიდან გრძელტარიან რკინის კოვზით ასხამდნენ რკინის ოთხკუთხ კალაპოტში — გობში. ასე მიიღებოდა ე. წ. ზ ო დ ი ს პ ი ლ ე ნ ძ ი. სპილენძის დნობა დახელოვნებას მოითხოვდა, საჭირო იყო წმინდად გადადნობა, რომ მას რაიმე სხვა ლითონი არ გარეოდა. წმინდად გამდნარი სპილენძი ს ა ღ ს პ ი ლ ე ნ ძ ა დ იწოდებოდა. საღი სპილენძი ის იყო, რომელსაც ცხოველი ფერი ჰქონდა, რბილი იყო გადასაჭრელად და კარგად ემორჩილებოდა გაწევასა და კვერვას. კარგი ხარისხის სპილენძის მისაღებად თითქმის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა დ ა ბ ე რ ვ ა ს, ე. ი. დნობის პროცესში საჭირო ტემპერატურის დაცვას. სპილენძი, რომელსაც გადადნობისას დაბერვა აკლდა, მდარე გამოდიოდა, მას კვერის დაკვრისას პირი უსკდებოდა და შემტკიცების ნაკლები უნარი ჰქონდა. ასეე მდარე ხარისხისა იყო ზედმეტი დაბერვით მიღებული სპილენძი. სპილენძის ხარისხს დნობის პროცესში ჭაშნიკის აღებით ატყობდნენ — ნადნობი სპილენძის პატარა ნაჭერს კვერს დაჰკრავდნენ. იცოდნენ სხვა ხერხიც — აკვირდებოდნენ გამდნარ სპილენძს თვით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძმედში. თუ ნადნობი გ რ ი ლ ი იყო, ე. ი. დაბერვა აკლდა. პირიქით, მალე გაუცივდებოდა და გაშავდებოდა, ხოლო თუ ც ხ ე ლ ი იყო, ე. ი. ზედმეტი ტემპერატურით იყო გამოყვანილი, შხეპებს ისვრიდა. ზომიერი სპილენძი კი წმინდა იყო და ზედაპირზე აპკს გვიან იკეთებდა.

საყურადღებო ხერხები ჰქონდა ხალხს შემუშავებული სპილენძის დამუშავების საქმეში. სპილენძის ზოდს წვრილ ნაჭრებად დაჭრიდნენ რკინის საჭრისით — თეგით და შემდეგ მათ მრგვალ ნაჭრად აქცევდნენ. მრგვალი სპილენძის ნაჭერს ამის შემდეგ სიგრძეზე გასწევდნენ. სპილენძის გ ა წ ე ვ ა ძნელი საქმე იყო. სპილენძი მარწუხით ეჭირათ და მძიმე კვერით ქ ო ლ ი კ ი თ კვერავდნენ გრდემლზე. სპილენძს დროდადრო ქურაში ახურებდნენ და თბილი სახით ამუშავებდნენ. ამ წესით ამზადებდნენ სპილენძის შოლტებს, რომლებსაც მჭედლები უკვე საჭიროებისამებრ ხმარობდნენ. ასეთ შოლტ სპილენძს ფ უ რ ც ე ლ ი ს პ ი ლ ე ნ ძ ი ეწოდებოდა.

სპილენძის ჭურჭელი უმთავრესად ნაწილებად კეთდებოდა და მთლიანად იჭედებოდა. გადაბმა წარმოებდა კ ბ ი ლ ჩ ა ს მ ი თ, რაც აუცილებელი იყო სიმტკიცისათვის. გადასაბმელი ნაწილების ერთი კიდე მთელი იყო, ცალი მხარე კი კბილდაჭრილი. მთელი და კბილდაჭრილი მხარე ერთმანეთში ჩაისმოდა და კვერით შესწორდებოდა ამ ადგილებში. დასუფთავების შემდეგ წყალში არეულ წმინდად დანაყილ წაბლის ნახშირს წაუსვამდნენ და ამავე დროს შიგნით და გარეთ პირზე დააყრიდნენ ფხვნილ კ ა ვ შ ი რ ს. კავშირი სპილენძის მჭედლობაში დიდ როლს თამაშობდა. იგი ორგვარი იყო. ერთი უფრო ძველი — მ ა რ ი ლ ი ს კ ა ვ შ ი რ ი, მეორე — ახალი — თ ი თ ბ ე რ-თ უ თ ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი. მარილის კავშირის დასამზადებლად საჭირო იყო დამწვარი პურის ქატოს ნახშირი, მარილი, ტყვია და კალა, რომლებსაც ზომიერად აზავებდნენ და ერთმანეთში ურევდნენ. კავშირის ფხვნილდაყრილ შეჭედილ ჭურჭელს ქურაში ჩადებდნენ და ახურებდნენ ზომაზე — ხორცისფრად (მოწითალო). ამ დროს კავშირი ჭურჭელს შეჭედვის ადგილას პ ი რ ს შ ე უ კ რ ა ვ დ ა, ცოტა გაგრილების შემდეგ კი გადაბმის არეს ხელკვერით გაკვერავდნენ, რის შემდეგ გადაბმის კვალი შეუმჩნეველი ხდებოდა.

სამზარეულო დანიშნულების სპილენძის ჭურჭელი აუცილებლივ მოკალვას მოითხოვდა. მოკალვისათვის საჭირო იყო როგორც კალის წ ა მ ლ ი ს შემზადება, ისე მოსაკალავი ჭურჭლის დასუფთა-

ვება-დაწმენდა. მოსაკალავი სპილენძის ჭურჭლის კედლები გულ-დაგულ იწმინდებოდა და იხეხებოდა, ხოლო ამის შემდეგ უ გ მ ქ ვ ა თ ი სუფთავდებოდა. ამის შემდეგ მოუსვამდნენ მოხარშულ მჟავას და მასზე დაფხვნილ ნიშადურს მოაყრიდნენ. ამ სახით შემზადებულ ჭურჭელს ქურაში ზომაზე გაათბობდნენ და ბამბით თანაბრად მოუსვამდნენ ყველგან კალას. მკალავობაში განსაკუთრებით დახელოვნებულნი იყვნენ ლეკები, რომლებიც დაღესტნიდან საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ.

სპილენძის მოხელის თუ მექვაბის სამჭედლო ჩვეულებრივი რკინის სამჭედლოს მსგავსი იყო. კეთდებოდა ხის ან ქვითკირისაგან. სახელოსნოს მთავარი მოწყობილობა იყო საცეცხლური ქურა საბერველით და ბრძმედი, გრდემლი, ზინდანი, საციცი, ურო, კვერი, მარწუხი (ნაირი სახისა და ზომისა), ნაინი, კინთა, თეგი, ული, მაკრატელი, საფხაჭნი, თაღარა და სხვ.

სპილენძის ხელობის შესწავლა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა. სპილენძის მჭედელი ჩვეულებრივ 5—6 წელიწადს ანდომებდა ხელობის მოწაფისადმი გადაცემას. მთელი ეს პროცესი საინტერესო მომენტებით ხასიათდებოდა და სპილენძის დამუშავების საქმეში ხანგრძლივი და თავისებური ტრადიციების მაჩვენებელია.

საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ფართოდ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები და ძველი წერილობითი ძეგლების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ, რკინა ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში მტკიცედ იკიდებს ფეხს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. ამ ხანებში რკინის იარაღი ჯერ თან ახლავს გვიანბრინჯაოს დროის ნივთებს, ხოლო მომდევნო საუკუნეებიდან თანდათან მატულობს, ფართოვდება და ვითარდება მისი დამუშავება.

ამჟამად საქართველოს მიწა-წყალზე შემონახული რკინის წარმოების მრავალი ნაკვალევი — ძველად დამუშავებაში მყოფი რკინის საბადოები, საწარმოები, ტყე-ველად დაგროვილი რკინა-წიდა და ბევრი სხვა გადმონაშთი მდიდარ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად მოწმობენ, რომ რკინის დამუშავებას ძველთაგანვე წამყვანი ადგილი ეჭირა.

ამ მონაცემების შესწავლა გამოავლენს იმ თვითმყოფ თავისებურებებს და ტრადიციებს, რითაც რკინის კულტურა ქართველ ტომებში ნიშანდობლივად ხასიათდება, ხოლო ყოველივე ეს შუქს ფენს ზოგად კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს და ახლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად წარმოაჩენს მეტალურგიის განვითარების მრავალ საკვანძო საკითხს. სწორედ ამ მონაცემების მეცნიერული შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე სავსებით უარყოფილია ზოგად ლიტერატურაში თითქმის საუკუნეზე მეტხანს გაბატონებული შეხედულება კავკასიაში რკინის კულტურის იმპორტის შესახებ. როგორც ცნობილია, ამასთან დაკავშირებული იყო მცდარი ეთნოგენეტიკური კონცეფციებიც.

საქართველოს მიწის წიაღი სხვა სასარგებლო ნამარხთან ერთად შეიცავს რკინის მრავალ საბადოს, რომელთაც სხვადასხვა დროსა და პირობებში კიდევაც ამუშავებდა მოსახლეობა. ამჟამად დაუქმებული რკინის საბადოთა შორის ყურადღებას იპყრობს და ცნობილია თავისი დამუშავებით ჩათახის (აღმ. საქართველო), წედისის (რაჭა), კურსების (ოკრიბა) საბადოები. რკინის დამუშავების კერებიდან ცნობილია შხიბარი (ჭუბერი, სვანეთი), წედისი, საწირე, ჩათახი, ქართლის სარკინეთი, გორ-წედისი (ქართლი) და სხვ.

გარკვეულია, რომ ადგილობრივი რკინის დამუშავების ერთ-ერთი უმთავრესი უბანი რაჭის „სარკინეთი“ იყო. სარკინეთად უწინ მთელი ზემო რაჭა იწოდებოდა. სარკინეთში დამზადებული სანაქებო რკინას წ ე დ უ რ ი რ კ ი ნ ა ეწოდებოდა, ხოლო იქაურ მცხოვრებთ — რ კ ი ნ ი ს კ ა ც ე ბ ი.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში რკინის დამუშავებამ, მჭედლობამ შემოინახა ძველი მეტალურგიისათვის დამახასიათებელი ბევრი ისეთი წესი, ტექნიკური ხერხი და საწარმოო გამოცდილება, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ადგილობრივი რკინის წარმოების არსებითი თავისებურებების გამოვლინება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წედისის რკინის წარმოებას, რომელმაც თავისი არსებობა ფაქტიურად მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეწყვიტა. წედისის რკინის წარმოება ძველი ქართული მეტალურგიის ტრადიციების ნიშანდობლივი თვისებების მატარებელია და მის ტიპურ სახედ წარმოგვიდგება. ამიტომ წედისის რკინის დამუშავების წესები, რაც ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოინახა, შეიძლება განზოგადოებული იქნეს როგორც ისტორიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

რკინის წარმოება რაჭის სარკინეთში ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. რკინის საზიაროდ დამუშავების მიზნით ხდებოდა „რკინის კაცების“ შეამხანაგება. ამ გაერთიანებას სათავეში ედგა საქმის

უკეთესი მცოდნე რკინის მოხელე. ამ ამხანაგობას საკუთარ წარმოებასთან ერთად შრომის პროდუქტის თანაბარი განაწილება ახასიათებდა.

წედური რკინის წარმოება სამ საფეხურს შეიცავდა: 1. მადნეულის მოპოვება. 2. მადნეულის რკინად დამზადება და 3. რკინისაგან საჭირო საგნების ჭედვა.

მადნეულის მოპოვება ძირითადად ორი სახის სამუშაოსაგან შედგებოდა: 1. საბადოში მადნეულის მიკვლევა. 2. საბადოდან მადნეულის ამოზიდვა და მისი ადგილზე დამარაგება.

მადნის რკინად დამუშავება სამ ეტაპად წარმოებდა. სამუშაოს პირველი წყება მადნის დარიგებით იწყებოდა და მისი ლუგვ რკინად დაწურვით თავდებოდა. მეორე საფეხური იყო ლუგვი რკინის ხელახალი გადადნობა, ხოლო მესამე — რკინის გადუღება.

წედური რკინა სანაქებო თვისებისა იყო. მის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენდა საკვირველი ფხაალმასი და ფოლადოვნება. სათანადო ქიმიურმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ წედური რკინა მაღალი ხარისხის ფოლადს წარმოადგენს. მისი ამგვარი ხასიათი და თავისებურება კი უმთავრესად დამუშავების განსაზღვრული წესების ნიადაგზე იყო შექმნილი. ასეთ წესთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია მადნეულში საგანგებო სადუღების შერთვა. მადნეულის რკინად დაწურვის ნაყოფიერად ჩატარებისა და მაღალი ხარისხის რკინის მისაღებად სარკინეთელები რკინის მადანში სხვადასხვა დამხმარე სადულს — ფაშას (შავი ქვა), სადულ მიწას და რკინაწიდას ურევდნენ. წედური რკინის დამზადების პრაქტიკაში სადულთა გამოყენება და აგრეთვე რკინის მადანში სხვა მადნეულის შერევის ჩვეულება ძველიდან მომდინარე წესია.

„სადული მიწა“ ფიზიკურად მიწისმაგვარი ნივთიერება იყო, ფერად მოყვითალო, ფხვიერი. მელითონე ოსტატთა დაკვირვებით სადული დულილის პროცესში რკინას თანაბარ სიმხურვალეს აძლევდა, ახალისებდა და გარეთ გამოჰქონდა ჭუჭყი, აძლევდა მას ცეცხლში ჩაწვისა და გამოფიტვის საწინააღმდეგო თვისებებს. წედური რკინის დაყენებისა და ზნის ცვლის საქმეში არსებით როლს თამაშობდა ფაშა, რომელსაც გარკვეული რაოდენობით ურევდნენ დასაწურავ რკინის მადანში. ფაშა ერთგვარი ლითონი იყო, რომელსაც სხვა მადნეულთან ერთად პოულობდნენ. ლურჯი ფერი ჰქონდა, ცალკე არ ვარგოდა რკინად, სწორედ ფაშას

შერევა აძლევდა რკინას ფხა ალმასსა და ფოლადოვნებას. ამ მეტალურგიული ბიბლიოთეკა ნის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი წარმოადგენს მაღალი ღირსების შავ ქვას — პიროლუზიტს.

ამრიგად, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად ფაქტიურად დადასტურებული და ახსნილია ანტიკური ქვეყნების მწერლების ცნობები ხალიბური რკინის მაღალი ღირსებისა და ამ რკინის დამზადებისას მადნეულში ერთგვარი სადუღების მირთვის შესახებ, რაც ამ ავტორებისათვის, ისევე როგორც შემდეგშიაც დიდხანს საიდუმლოება იყო.

მადნეულის დაწურვისა და რკინის მიღების საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა ნახშირი. არჩევდნენ მ ა გ ა რ, ზ ო მ ი ე რ ს ა და რ ბ ი ლ ნახშირს, თითოეული განკუთვნილი იყო რკინის დამზადების გარკვეული ფაზისათვის. რკინის დამუშავების პირველ ეტაპზე უმთავრესად მაგარი ნახშირი იხმარებოდა, მეორეზე — ზომიერი, ხოლო მესამეზე — რბილი ნახშირი. მაგარი ნახშირი ხელს უწყობდა მადნიდან რკინის გამოყოფას, ზომიერი — ცალკე მინარევების გამოთიშვას, რბილი — რკინის დ ა ყ ე ნ ე ბ ა ს.

მადნეულის დაწურვის პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ს ა წ უ რ ი ქ უ ლ ბ ა ქ ი ს საბერველს. იგი უზრუნველყოფდა ჰაერის ნაკადის უწყვეტად მიწოდებას. საბერვლის ეს ტიპი შინაგანი აღნაგობით და მოქმედების პრინციპით მარჯვე ნააზრევი და დიდი პრაქტიკული გამოცდილების ნაყოფია.

ადგილობრივი რკინისაგან უხვად მზადდებოდა მრავალნაირი სახის და დანიშნულების საგნები: სამუშაო და სანადირო იარაღი, სახელოსნო, საოჯახო და სამგზავრო ჭურჭელი და სხვ. თავის მხრით, სამუშაო იარაღი ძირითადად იყოფოდა მ უ შ ა რ კ ი ნ ა დ და გ ა მ ჭ რ ე ლ ა დ. მუშა რკინას განეკუთვნებოდა მიწის სანგრევი, ქვათა სამტვრევი, კლდეთა დასაშლელი, ხეთა საზიდი და სხვა იარაღი, გამჭრელად ითვლებოდა: ქვის საკოდი, ხისა და ძვლის მჭრელი, ნამჯისა და ბალახის სათიბი და სხვა იარაღი.

რკინის დამუშავების ერთ-ერთი მთავარი მომენტი დამზადებული საგნების წრთობა იყო. მისი საშუალებით შეიძლებოდა რკინეულის ზ ნ ი ს ც ვ ლ ა მისთვის კ ბ ი ლ ი ს მ ი ც ე მ ა. რკინის წრთობის ორი ხერხი არსებობდა: წყლითა და ჰაერით წრთობა. წყლით წრთობისას მიღებული იყო რკინეულის სამ ფერზე დაყენება: ლურჯად, თეთრად და ოქროსფრად. თითოეული ეს ფერი რკინის სიფიცხის მაჩვენებელი იყო.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ხალხს რკინის დამუშავების, ეროვნული ბიბლიოთეკა
ძოდ, რკინის საგნების დამზადების საქმეში ბევრი საინტერესო ხერ-
ხი და ჩვევა გამოუმუშავებია, რაც ქართული მეტალურგიის თვით-
მყოფ თავისებურებას შეადგენს და, რასაც ქართველთა სამეურ-
ნეო ცხოვრების ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშ-
ვნელობა აქვს. მრავალ ასეთ საგანთა შორის შეიძლებოდა დაგვესა-
ხელებინა ქართული ნაჯახი, ცული, ნამგალი და საბრძოლო იარა-
ღების ცალკე სახეობანი.

მელითონეობის ძველი კულტურის კვალი დასტყობია არა მარ-
ტო ხალხის მატერიალურ წარმოებას, იგი ხალხის ცნობიერებაშიც
ღრმად აღბეჭდილა. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცუ-
ლია რკინის კულტის ნაირსახოვანი ტრადიციები. ძველი რწმენის
თანახმად, რკინა და რკინის საგნები ბოროტ ძალთაგან მიუკარებე-
ლი და მაგიური თვისებების მატარებელია.

დადგენილია, რომ სამჭედლო ძველთაგანვე წმინდა ადგილად
ყოფილა მიჩნეული, ხოლო მჭედელი ზოგჯერ ზეკაცური ბუნების
მქონე არსებად. მჭედლობას თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა და
არსებობდა მისდამი განკუთვნილი დღე, როდესაც სამჭედლოში სა-
განგებო რიტუალი სრულდებოდა. საინტერესოა, რომ რკინასთან
დაკავშირებული ხალხური თქმულებანი ამირანს — მითოლოგიურ
გმირს უკავშირდება, რომლის სამოქმედო სფერო სწორედ კავკა-
სია იყო.

ოქრომჭედლობა საქართველოში ლითონის დამუშავების უძვე-
ლესი დარგი და კავკასიის ძველი მელითონეობის ერთ-ერთი საყუ-
რადღებო განტოტებაა. აღსანიშნავია, რომ ხალხში ეს სახელწოდე-
ბა — ოქრომჭედლობა — ფართო მნიშვნელობით იხმარება და რო-
გორც ძვირფასი ლითონის სამკაულებისა და საგნების, ისევე ყო-
ველგვარი ლითონის სამკაულების დამზადებას გულისხმობს. ძვე-
ლი და საშუალო ხანის ქართულში ეს ტერმინი დაახლოებით ამავე
მნიშვნელობით არის მოცემული. ცნობილია, რომ ოქრომჭედლობა
თავის დასაწყის პერიოდში ბრინჯაოს მჭედლობასთან იყო დაკავ-
შირებული და ბრინჯაოს საგნების დამზადების ტექნიკურ ხერხებს
იყენებდა. ქართული ოქრომჭედლობაც ამ გზით განვითარებული
მოხელეობაა და დროთა მსვლელობაში მიღებულ ახალ შენამატებ-
თან ერთად უძველესი ტრადიციების შემცველი. ქართული ოქრო-
მჭედლობის სიძველისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურასთან მი-
სი კავშირის მრავალი მაჩვენებელი არსებობს, რომელთა შორის შე-

იძლებოდა დაგვესახელებინა თუნდაც კომპლექსური სატუალეტო მოწყობილობა ილარიანი, ან ბალთიანი ვერცხლის სარტყელი, მაგრამ ეს კავშირი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან არ გულისხმობს უბრალო განმეორებასა და ოქრომჭედლობის ტექნიკურ-ფუნქციონალური მხარეების გადმოტანას. ქართული ოქრომჭედლობა, ისევე როგორც კავკასიის ზოგი სხვა ხალხის (დაღესტნელები, სომხები) ოქრომჭედლობაც თვითმყოფი თავისებურების შემცველია და ყველა სხვა მხარეების გარდა კულტურულ-ისტორიულ ღირებულების მატარებელი. სპილენძისა და რკინის დამუშავების ძველი ქართული ტრადიციებისა და ფართოდ გავრცელებული სახელის შესახებ ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. ასევე ფართოდ ჰქონდა ძველთაგანვე მოხვეჭილი სახელი ქართველი ტომების ოქრომჭედლობასაც. ანტიკური მწერლების ცნობები სვანების მიერ ოქროს მოპოვების თავისებური ხერხების შესახებ, რაც მდინარეებში ცხვრის ტყავით ოქროს მარცვლების დაჭერას გულისხმობს, დღევანდელი ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებული ფაქტია. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა თქმულება არგონავტების შესახებ, რომელშიაც მოიპოვება ცნობა ოქროს საწმისის შესახებ. როგორც არ უნდა იქნას ლეგენდის ეს ადგილი განმარტებული — საწმისი ბანჯგვლიანი ტყავია, რომლის საშუალებით კოლხები წყლის ნაკადებში ოქროს იჭერდნენ, თუ საწმისზე — ტყავზე დაწერილი იყო ოქროს მოპოვების წესი, ორივე შემთხვევაში ლეგენდა შორეულ წარსულში კოლხეთში ოქროს მოპოვებას გულისხმობს. ამავე კოლხეთს უკავშირდება სკვითური ლეგენდა ოქროს ნივთების — ოქროს სახვნელის, უღლის, ცულისა და თასის შესახებ, რაც თავისთავად ოქროს დამუშავების მაღალ დონეზე მიუთითებს.

ქართული ოქრომჭედლობის სიძველისა და ძველთაგანვე მაღალი დონის ნივთიერი დასაბუთებაა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ოქრომჭედლური ტექნიკისა და ხელოვნების შედევრებს შეიცავს.

ქართველების ყოფაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ლითონის სამკაულები, რომლებიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახით არიან წარმოდგენილი: თავაქალა, საყურე, ყელსადები, სამაჯური, ლეკვერთხი, ღილი, ჩაფრასტი, ბეჭედი, ბალთა, აბზინდი, ფიფინი, ჩახმა, ვისტორი, ჟინჟღილო, ალგაგი, ძეწკვი, ცერის ბეჭედი, ყაწიმი სარტყელი მრავალგვარი: ხიდებიანი, ჩუქურთმიანი, შავსევადიანი, იმერული, ყარაბაღული, გავარსიანი, მინანქრიანი,

ქართული ბუშტი, მასრის თავი, აზარფეშას გული, ხმლის ხელკეტი
ტა და მრავალი სხვა.

ეს ნივთები და სამკაულები მზადდებოდა სხვადასხვა ტექნიკური ხერხით, რომელთა ახლო შესწავლა მიუთითებს მდიდარ საწარმოო გამოცდილებებსა და ჩვევებზე, ასევე ხანგრძლივ ტრადიციებზე და თვითმყოფ თავისებურებებზე.

ქართული ოქრომჭედლობის თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ თუ სპილენძისა და რკინის დამუშავებას მხოლოდ მამაკაცები მისდევდნენ, ოქრომჭედლობაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას (სვანეთი).

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ოქრომჭედლობის ბევრი მნიშვნელოვანი კერაა შემონახული, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სვანეთი, ლეჩხუმი, ხევსურეთი და ქალაქური ხელოსნური ოქრომჭედლობის ცენტრები — თბილისი, თელავი, გორი, ახალციხე და სხვ.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ლითონის შემკობა ორნამენტებით შემდეგი ძირითადი წესების მიხედვით წარმოებდა: ამოღარვა, ამოკვერვა, ამოცვარვა, ჩამოსხმა, გრეხილი, სევადა, ზარნიში (ფილიგრანი), ჭატური და მინანქარი. ამ წესებს ყველა კუთხეში ერთნაირად არ იცნობდნენ და არ იყენებდნენ, ამასთან, ოქრომჭედლობა უმეტესად შინამრეწველური ხასიათისა იყო და ბევრ სოფელში იყო გავრცელებული. ამოღარვა, ამოკვერვა, ამოცვარვა ცივი კვერვით წარმოებდა. შედარებით რთული იყო ორნამენტის ჩ ა მ ო ს ხ მ ი თ დამზადება. ამისათვის საჭირო იყო ქ უ რ ა, ს ა ბ ე ჭ რ ვ ე ლ ი, კ ო ჭ ო ბ ა ან ფ უ თ ა თიხისა, სამწახნაგოვანი, ბ ო რ წ კ ა ლ ი, მაშა, ყ ა ლ ი ბ ი — წყვილი ოთხკუთხედი თანატოლი ორი ჩარჩო ხისა.

ქალაქებში ოქრომჭედლობა ხელოსნობის ხასიათს ატარებდა. ოქრომჭედლების მიერ დამზადებული საგნები ფართო ბაზარზე გადიოდა და მზადდებოდა დაკვეთის გარეშე, მაშინ, როდესაც, მაგალითად, ხევსურეთში, სვანეთსა და ლეჩხუმში საოქრომჭედლო საგნები მხოლოდ დაკვეთით მზადდებოდა. ქალაქურ შედარებით ფართო მასშტაბის წარმოებაში საოქრომჭედლო ტექნიკაც რთული სახით იყო წარმოდგენილი. აქ ოქრომჭედლობისათვის გამოყენებული იყო 70-ზე მეტი სახელწოდების იარაღ-ჭურჭელი.

სევადის ორნამენტისათვის, მაგალითად, ხევსური ოქრომჭედელი აიღებდა ორ მისხალ სპილენძს და ორ მისხალ ვერცხლს, ფუთა-

ში წვრილად დაჭრილს ქურაში ცეცხლზე გაადნობდა. გაცივების შემდეგ ამ შენაერთს დანაყავდა, ვერცხლის ნაჭერზე ორნამენტი სათხრელებით ამოთხრიდა, ამოღარულში დანაყილ სევადას დააყრიდა, ცეცხლზე დაიჭერდა და ზედ დაადნობდა. სევადა ამოღარულებში მტკიცედ დაუკავშირდებოდა ვერცხლს და ვერცხლის ფონზე შავად გამოიცქირებოდა. იმისათვის, რომ სევადას და ვერცხლს ელვარება ჰქონოდა ხევსური ოქრომჭედელი ნაჭერს უცეცხლოდ ვერცხლის წყლით შეფერავდა და ჭ ო ბ ა თ ი ნ ი თ გაწმენდდა.

ქალაქურ ხელოსნურ პირობებში კი სევადის დამზადების განსხვავებული ტექნიკა არსებობდა. აიღებდნენ 24 მისხალ სპილენძს, 24 მისხალ ტყვიას და 5 მისხალ წმინდა ვერცხლს (თუ სირმა იქნებოდა უკეთესი იყო, სევადა უფრო მეტად შავი გამოვიდოდა) და ერთ გირვანქა გოგირდს. თავდაპირველად ბუთაში სპილენძსა და ვერცხლს ჩასდებდნენ და ქურაში ცეცხლზე ცხარედ ადუღებდნენ სანამ გადნებოდა. შემდეგ ფრთხილად ტყვიას ჩასდებდნენ იმგვარად, რომ ხსნარი უცბად არ გაეცივებინა. ამ ხსნარში ცეცხლზე ტყვია ადვილად დადნებოდა. ხსნარის დუღების დროს ნახშირით ურევდნენ. თუ დანადნობი კარგი არ იყო, გოგირდს უმატებდნენ, შემდეგ ცეცხლიდან აიღებდნენ და ხსნარს რიჯაში ან ავანდასტში ჩაასხამდნენ. გაცივების შემდეგ მიღებულ ნივთიერებას შუაში გასტეხავდნენ და მის სიკარგეს შეამოწმებდნენ, განატეხს მწვანე ფერი გადაჰკრავდა და წვრილად ხასხასებდა. ამის შემდეგ მიღებულ ნივთიერებას შუშის თეფშზე ან სპილენძის თასში ჩასდებდნენ, ცხელ წყალს დაასხამდნენ და იმდენხანს რეცხავდნენ, სანამ შავი ჭუჭყი არ გაუვიდოდა. ასე დამზადებული სევადა ინახებოდა სევადის აბრადანში. სევადის ორნამენტით შესამკობად ქალაქურ ხელოსნობაში აგრეთვე განსხვავებული, უფრო რთული ტექნიკური ხერხები არსებობდა, მზადდებოდა შავყვავილიანი და თეთრყვავილიანი სევადა. პირველ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც უკვე ვნახეთ, ნაჭერზე ორნამენტი ჩაჭრილი იყო; მეორე შემთხვევაში კი ნაჭერზე ორნამენტი ზემოთ იყო ამოყვანილი, ეზო დაბლა რჩებოდა, ისე რომ სევადა ეზოს ადნებოდა და არა ორნამენტს, ამის გამო ეზო შავი გამოდიოდა, მოსევადებული, ხოლო ორნამენტი თეთრი. ამრიგად, სევადის დამზადებასა და მოსევადების ტექნიკაში საქართველოს პირობებში განსხვავება გვაქვს. სევადა თბილისში, ლეჩხუმში, გურიაში მასალის ერთგვარი შემადგენლობით, ხოლო განსხვავებული პროპორციით არის მოცემული (სპილენძი, ვერცხლი, ტყვია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგირდი), ხევსურული და სვანური სევადა კი ამათგანაც და ეროვნული
თიერთშორისაც განსხვავებულია. ხევსურული სევადა, როგორც
ვნახეთ, შედგება მხოლოდ სპილენძისა და ვერცხლისაგან, ხოლო
სვანური — სპილენძისა, ტყვიისა და გოგირდისაგან. სვანურ სე-
ვადას ამასთან, დუღება არ უნდოდა, ადუღებდნენ მხოლოდ ტყვიას.
იმერული სევადა ტექნიკურად განსხვავდებოდა ამერული მოსევა-
დებისაგან. იმერული სევადა შავყვავილიანია, ტფილისური კი —
თეთრყვავილიანი. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია ქართლურ-
სომხური ოქრომჭედლობისათვის, ამგვარივეა მოსევადება ლეკურ
ოქრომჭედლობაშიც. ამრიგად, ეს რთული და საინტერესო ტექნი-
კური ხერხი კავკასიური ოქრომჭედლობის საერთო მონაპოვარია.

განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე, ქართულ ოქრომჭედ-
ლობაში შემონახული ტექნიკური ხერხები — გრეხილი და ცვარა.
გრეხილი ფილიგრანის ხელობის განსხვავებულ სახეს წარმოადგენს
და ძალზე ეფექტურია. ცნობილია, რომ გრეხილი და ცვარა ჯერ
კიდევ მელითონეობის საუკეთესო ოსტატების — ტაბალების ოქრო-
მჭედლობაში მოიპოვებოდა და მათთვის დამახასიათებელ წესად
იყო მიჩნეული.

მაგრამ არა მარტო ოქრომჭედლობის საგნის ფორმები, ორნა-
მენტები და ტექნიკური წესები ამჟღავნებენ ოქრომჭედლობის სიძ-
ველესა და ღრმა ტრადიციებს, არამედ ამისსავე მაჩვენებელია ამ
საქმიანობასთან დაკავშირებული პროფესიული გაერთიანებაც.

თბილისის ოქრომჭედლებს თავიანთი საოქრომჭედლოები ერთ
ქუჩაზე ჰქონდათ გამართული ე. წ. ვერცხლის რიგში. ორი-სამი კა-
ცისაგან შემდგარ საოქრომჭედლოს ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ეწოდებოდა,
ხოლო ხუთი, ექვსი და მეტი მუშახელისაგან შემდგარს — ქ ა რ ხ ა-
ნა. სახელოსნოსა და ქარხანაში მომუშავენი იყოფოდნენ: ხელოს-
ნებად, ქარგლებად და შეგირდებად. ოქრომჭედლებს თავიანთი
საამქრო ჰქონდათ და უსტაბაში — მამასახლისი, კეთილსინდისი-
ერნი (ასკაკალი), ხაზინადარი, ალამდარი და შიკრიკი ჰყავდათ. სა-
ამქრო ემორჩილებოდა განსაზღვრულ წესებს და მტკიცედ იცავდა
ტრადიციებს. საამქროს აგრეთვე ჰქონდა დროშა, რომელზედაც
გამოხატული იყო ამქრის მფარველი წმინდანები, უფრო ხშირად
წმინდა გიორგი, რომელიც გველეშაპს გმირავს. აღსანიშნავია, რომ
ოქრომჭედლების დროშები მათი შემადგენელი ძირითადი ელემენ-
ტების მიხედვით ხევსურულ სახატო დროშას მიემსგავსებოდა.

თბილისის ოქრომჭედლობის საამქროებში შედიოდნენ სხვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ეროვნების მოხელეები — ქართველები, სომხები, დაღესტნელები და სხვ.

ამქრის წესების მიხედვით შეგირდი 5—6 წელიწადს სწავლობდა ხელობას. ამის შემდეგ შეგირდს კეთილსინდისიერთა ჯგუფი გამოსცდიდა. გამოსაცდელს გააკეთებინებდნენ საოქრომჭედლო ხელობის ერთ ნიმუშს. თუ კეთილსინდისიერები დამზადებულ ნიმუშს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევდნენ და შეგირდს მისი ხელოსნის მხრითაც კარგი დახასიათება ჰქონდა — მას ქარგლის ხარისხი ენიჭებოდა (შეგირდისა და ხელოსნის ურთიერთობას სათანადო ხელშეკრულება აწესრიგებდა. სწავლისათვის შეგირდი ოსტატს სწავლის დასასრულს საჩუქრებს მიართმევდა). ქარგალი ჯამაგირზე მუშაობდა. მას უფლება ჰქონდა თავისი ხელოსანი დაეტოვებინა, მაგრამ არ შეეძლო საკუთარი სახელოსნო გაეხსნა და ხელოსნის დაუკითხავად შეკვეთები მიეღო. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ქარგალი სათანადო თანხას დააგროვებდა და საამქროს სალაროში შეიტანდა, მას უფლება ენიჭებოდა ხელოსნად დ ა ლ ო ც ვ ა გამოეთხოვა. დალოცვა გაზაფხულზე ხდებოდა. ოქრომჭედლების ამქარი ერთ დღეს საამქრო დროშით ქალაქგარეთ წავიდოდა. პროცესიას დროშის გვერდით მიჰყვებოდა „ხ ე ლ დ ა ს ა ს ხ მ ე ლ ი“ პირიც, რომელსაც აბრეშუმის განიერი სარტყელი ერტყა და მასში საოქრომჭედლო იარაღი — სიმჭაში ერჭო. ქალაქგარეთ, ბაღში, დასალოცავად გამზადებულის ხარჯზე სუფრას გაშლიდნენ (იკვლოდა საკლავი). ამქრის უსტაბაში ხ ე ლ დ ა ს ა ს ხ მ ე ლ ქარგალს დალოცავდა, სათანადო ლოცვებს ეტყოდა, ხელდასასხმელს ცალი ხელით ორივე ხელის ცერს დაუჭერდა და სამჯერ შემოჰკრავდა სილას ლოყაზე მარჯვნივ და მარცხნივ. ამის შემდეგ ქარგალი აბრეშუმის სარტყელს შემოიხსნიდა და უსტაბაშს გადასცემდა. ამქრის დალოცვის დროს ცერების შეკვრის წეს-ჩვეულება თავისი საწყისებით უძველესი ხანიდან მომდინარე ჩანს და შინაარსით ხელშეკრულებას, ფიცის სიმტკიცეს აღნიშნავდა ამქრის წესების დაცვის საქმეში.

ოქრომჭედლების ამქრის სათავეში უსტაბაში იდგა. მას ამქრის ხელოსანთა კრება ირჩევდა.

უძველესი ხანის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ამქრულ ორგანიზაციაში დასტურდება (დროშა, დაფიცება და სხვ.) აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ ეს პროფესიული გაერთიანება შორეული წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს. ცნობილია, რომ ამქრული გაერთიანება მცირე აზიაშიც არსებულა, რასაც პლინიუს სეკუნდისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმპერატორ ტრაიანეს მიმოწერა ამჟღავნებს. ამქრული ორგანიზაციის არსებობა ყველგან და ყოველთვის არ უნდა იქნას დაკავშირებული ფეოდალიზმის არსებობასთან. დადასტურებულია, რომ ამქრული ორგანიზაცია მცირე აზიაში ჯერ კიდევ IX—VII სს. ჩვ. წ. ა-მდე არსებულა.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ოქრომჭედლობა უძველესი ხანიდან მომდინარე ჩანს. მასში შემონახულია: 1. უძველესი ფორმის საგნები. 2. ორნამენტის უმაღლესი ელემენტები, 3. ძველებური ტექნიკური წესები და 4. ძველებური ამქრული ჩვევები.

ახლა, ასევე ვრცლად შევეხებით ეთნოგრაფიულ ტრადიციულ დარგს — ფეიქრობას[6]. ფეიქრობა, მართალია, კაცობრიობის ადრინდელი საწარმოო და კულტურული მონაპოვარია და მას განვითარების საერთო, ზოგადი კანონზომიერებანი ახასიათებს, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ფეიქრობის ჩასახვა-განვითარება ადგილობრივი მოვლენაც არის და მას განვითარების სწორედ ეს ადგილობრივი სპეციფიკა სდევს თან საუკუნეების მანძილზე. ამ სპეციფიკის საფუძველია საქართველოს ბუნებრივ-საწარმოო გარემოს თავისებურებანი და ეკონომიური და სოციალური განვითარების საკუთარი გზა. ცხადია, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემების კვლევაშიც, რამდენადაც ეთნოგენეზის პრობლემების მასაზრდოებელ და დასაყრდენ ფონდში სამეურნეო-მატერიალური და სულიერი კულტურის ასეთი პირველი მოთხოვნილების ელემენტებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავთ.

სპეციალურ ნაშრომში ნაჩვენებია და ახსნილი ქართული ხალხური ფეიქრობის როგორც ზოგადი ქართული, ისე კუთხური თავისებურებანი. ეს უკანასკნელი დიდ ნაწილში ემთხვევა სამეურნეო-გეოგრაფიული რეგიონების თავისებურებებს. ამასთანაა დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ისტორიული განაწილება. საოჯახო საფეიქრო წარმოება ისტორიულად წამყვან, ტრადიციულ საწარმოო დარგებთანაც უშუალო კავშირს ამჟღავნებს. ფეიქრობის ხალხურ კულტურას საქართველოში უწყვეტი და მიმღეობითი განვითარება ახასიათებს.

---

[6] ამ ნაწილში ვემყარებით ისტორიის მეცნ. დოქტორის გ. ჩაჩაშვილის სპეციალურ გამოკვლევებს და მისსავე განმაზოგადებელ შრომას „ხალხური ფეიქრობა საქართველოში (საოჯახო წარმოების კულტურა)“, იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ის, რომ ტრადიციული ფეიქრობის ერთ-ერთ საფუძვლად მიჩნეულია ფართო სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობები, როგორც საერთო განვითარების აუცილებელი პირობა. ამიტომაც სპეციალურ ნაშრომებში საკვლევაძიებო ფონს წარმოადგენს ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობანი ფეიქრობის სფეროში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ხალხური ფეიქრობის დარგში საქართველოს მთისა და ბარის უწყვეტი კულტურულ-სამეურნეო და ეკონომიური კავშირურთიერთობის დასაბუთება. თავის მხრივ კი ობიექტური წარმოჩენა საქართველოს მთის მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული წვლილისა ქართული ხალხური ფეიქრობის განვითარების საქმეში. ნათლად არის ნაჩვენები, რომ ეს წვლილი მეტად დიდია და ფასეული, ხოლო კონკრეტულ ძიებაზე დაყრდნობით უკუგდებულია მცდარი და, სამწუხაროდ, ფართოდ მოარული შეხედულება საქართველოს მთის ისტორიული კარჩაკეტილობისა და კულტურული და სოციალური ჩამორჩენილობის შესახებ.

საფეიქრო საქმესთან დაკავშირებული შრომის პროცესების შესწავლამ, განსაკუთრებით კი შრომის იარაღებისა და ხელსაწყოების სპეციალურმა კვლევამ წარმოაჩინა მათი განვითარების სპეციფიკა, ასევე ტექნიკური თავისებურებები. აქვე ნათლად გამოჩნდა, ერთი მხრივ, ნივთიერი კულტურის ისტორიისა და მეორე მხრივ, ტექნიკის ისტორიის ზოგადი სპეციფიკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქსოვი იარაღები, რომელთა სპეციალურმა შესწავლამ გამოავლინა ე. წ. ვერტიკალური და ჰორიზონტალური საქსოვი დაზგების ტექნიკურ-ტექნოლოგიური სპეციფიკა.

ტექნიკის საკითხების გვერდით ყურადღებას იპყრობს მეორე დიდი და ფართო ასპექტი — ხალხური ფეიქრობის ტექნოლოგია, რაც ასახვას ჰპოვებს საფეიქრო ნედლეულის მოპოვების, პირველადი დამუშავების, ქსოვის ტექნიკისა და ქსოვილთა აპრეტურის სფეროებში. ყურადღებას იქცევს საწარმოო პროცესებთან დაკავშირებული შრომითი ჩვევები, რომელთა საფუძველზე ყალიბდებოდა საწარმოო ტრადიციები. აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს ადამიანის შრომის ხასიათი, მისი აქტიური დამოკიდებულება საწარმოო პროცესისადმი, შემოქმედება შრომაში, საწარმოო რაციონალური ცოდნის დაგროვება. დადგენილია საფეიქრო ნედლეულის — მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საფეიქრო მასალის სპეციფიკური თავისებურებანი, ხოლო აქაც წინა პლანზე წამოიწევს ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის დამოკიდებულება ბუნებრივ საწარმოო ძალებთან დაკავშირებულ მოქმედებითი საწარმოო პროცესი კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში. სწორედ ამის წყალობითაც უნდა მიეღწია წარსულში ხალხურ ფეიქრობას, ისევე როგორც ადამიანის საწარმოო საქმიანობის სხვა დარგებს, ლოკალურ-რეგიონალური სპეციფიკისათვის, რის ნიადაგზე იქმნებოდა საფეიქრო წარმოების ამა თუ იმ დარგის თვალსაჩინო კერები. დადგენილია, რომ კოლხური საბოჭკოე სელისა და მთური საზეთე სელის თავისებურებანი, კანაფის საფეიქრო გამოყენება, იმერული და თუშური ცხვრის მატყლის განსხვავებული თვისებები გარკვეულ გავლენას ახდენდა არა მარტო ფეიქრულ წარმოების ხალხურ ტექნოლოგიაზე და ტექნიკაზე, არამედ მატყლის ნაწარმის სპეციალიზაციაზეც, განსაკუთრებით საჩოხე შალების წარმოებაში. ეთნოგრაფიული კვლევით გამოვლენილია სხვადასხვა ქსოვილის დასამზადებლად განკუთვნილი მატყლის სპეციფიკაცია ისეთი ნიშნებისა და ნიუანსების მიხედვით, როგორიცაა მატყლის ღირსება ცხვრის ჯიშის, სქესისა და ასაკის მიხედვით, რაც ჰპოვებდა გამოხატულებას რბილი და მშრალი მატყლის, მისი ფერის, ბეწვის სიგრძის, სილბოსა და კლაკნილობის, სართავ, საქსოვ, ღებვა-თელვის და სხვა თვისებების სწორ და რაციონალურ გამოყენებაში. ასევე ეთნოგრაფიულად დახასიათებულია საქართველოს ცალკე კუთხეებში დაწინაურებული ნაწარმი, როგორც, მაგალითად, ონური საჩოხე შალი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მეგრული, სვანური საფეიქრო ნაწარმი, აღმოსავლეთ საქართველოს მთის საფეიქრო ნაწარმის რეგიონალური სახეობანი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველგან უპირატესად თუშური ცხვრის ჯიში იყო გავრცელებული, სპეციალურმა შესწავლამ წარმოაჩინა თივთიკის, ტილოს წარმოების ლოკალური თავისებურებანი, ასევე საოჯახო დანიშნულების მძიმე ქსოვილების, აგრეთვე ნაბდების, ქეჩებისა და სხვათა წარმოების ადგილობრივი სპეციფიკა, ნართის მრთველისა და მძახავის შრომის პროცესები და ამასთან დაკავშირებული კუთხობრივი სხვაობები ნართის განსხვავებულ სახეობათა მიღებაში როგორც, მაგალითად, თითისტრების მრავალსახეობათა მიხედვით დართვის განსხვავებული წესები, ე. წ. მარჯვენა და მარცხენა გრეხვის თავისებურებანი, ისევე, როგორც ჯარას ტრიალის ხასიათი, ბრუნვის მიმართულება და ჯარაზე ნაძახი ნართის თვისებები.

ხალხურ ფეიქრობაში, ისევე როგორც თანამედროვე ტექსტი-

ლურ წარმოებაში ქსოვილის ღირსება ნართის ავ-კარგზე იყო მოკიდებული და ამიტომაც ნართის დამზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამიტომ იყო, რომ ტრადიციის ძალით საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში გოგონებს პატარაობიდანვე ეჩვევდნენ საოჯახო ხელსაქმეს და ისინი ძალიან ადრე ეუფლებოდნენ რთვისა და ქსოვის ძნელ საქმეს. ეს მომენტი არც უცხო დამკვირვებლებს დარჩენიათ შეუმჩნეველი. ეთნოგრაფიულმა კვლევამ ნიადაგი მოუმზადა საყურადღებო მოსაზრებას არქეოლოგიური საფეიქრო იარაღებისა და, კერძოდ, განათხარი კვირისთავების საიდუმლოების ასახსნელად, რაც ქვის, თიხის, ძვლის, ხის და სხვა არქეოლოგიური კვირისთავების წონისა და მოყვანილობის მრავალფეროვნებაში იმალება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ხალხური ფეიქრობის საერთო ნიშნების შესახებაც. სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით ზოგადი ქართული კულტურის ელემენტები ხალხური საფეიქრო ტექნოლოგიის თითქმის ყველა სფეროში და საფეხურზეა დადგენილი, რაც ნიადაგს უმაგრებს დასკვნას, რომ საფეიქრო საოჯახო წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი და ადგილობრივი ღრმა ფესვების მქონე საწარმოო დარგია, რომლებშიაც ნათლად ამოიკითხება ქართველი ხალხის შინაგანი საწარმოო-კულტურული ურთიერთობანი და მიღწევები, რომლებიც არა მარტო რეგიონალურ-ლოკალური, არამედ საერთო ქართული ნიშნებით ხასიათდებიან. თავის მხრივ, ეს ურთიერთობანი და მაშასადამე, კულტურული ურთიერთგავლენები, როგორც ვნახეთ, მარტო საქართველოთი არ იფარგლება.

ხალხური ფეიქრობის ეთნოგრაფიულ კვლევაში ყურადღებას იქცევს ფერადი ნართისა და ნაქსოვის დამზადებისა და ამასთან დაკავშირებით ხალხური ღებვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის სპეციფიკა, აგრეთვე სახიანი ქსოვილების (ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების, ყაჯრების, ხურჯინების და სხვ.) დამზადების თავისებურებანი. ეთნოგრაფიული, ისტორიული და სხვა ხასიათის მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ქსოვილზე მხატვრული სახეებისა და მოტივების გამოყვანა ნაქსოვის დეკორში უშუალოდ ფეიქრული თუ ტრიკოტაჟული ქსოვის პროცესში საქართველოსა და კავკასიისათვის უძველესი დროიდანვე ყოფილა დამახასიათებელი, რასაც საბუთიანობას მატებს ისტორიული წყაროების მონაცემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხურ ფეიქრობაში ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხების კომპლექსის გვერდით ყურადღებას იქცევს ხალხური მხატვრული აზროვნების, ესთეტიკის, აგრეთვე რელიგიური მსოფლმხედველობის ტრადიციები. სპეციალური კვლევით გამოვლინდა ქართული ხალხური სახიანი ქსოვილების, ხაოიანი და უხაო მხატვრულ-დეკორატიული ნაწარმის, დაჩითული ქსოვილების არა მარტო ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების, არამედ მხატვრული ნაირფერობა, ორნამენტული სტილი, მხატვრული კომპოზიციის, ფერების შეხამებისა და ფერთა სპექტრის თავისებურებანი. საინტერესოდ წარმოჩნდება მღებრობა, რაშიაც ყურადღებას იქცევს ესთეტიკურ მხარეებთან ერთად მცენარეული და არაორგანიული საღებავების დამზადებისა და გამოყენების ხალხური რეცეპტურა, ერთი მხრივ, მიმზიდველი და, მეორე მხრივ, უხუნებელი საღებავების მიღებისა და გამოყენების ხალხური პრაქტიკა. საყურადღებოა, რომ ეს წესი ჯერ კიდევ ჰეროდოტეს აქვს დასახელებული იმდროინდელი საქართველოს მთიელთა ცხოვრებაში.

ქართული ხალხური ფეიქრობის მეცნიერულმა ეთნოგრაფიულმა შესწავლამ სწორად წამოჭრა საკითხი ძველი ხალხური მხატვრული სარეწების აღორძინების შესახებ, რომელთა სადღეისო პრაქტიკული საჭიროება ყველასათვის კარგად არის ცნობილი და რაც კარგად უპასუხებს ზემდგომი ორგანოების სპეციალურ დადგენილებებს ამ საკითხზე. ცხადია, ამ სახის ეთნოგრაფიული კვლევაძიებაც გაფართოებასა და წახალისებას მოითხოვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური ფეიქრობის ეთნოკულტურული შედარებითი კვლევის შედეგი, სადაც ნაჩვენებია ფეიქრობის დარგის სხვადასხვა ელემენტის, მოვლენის, საწარმოო პრაქტიკის ეთნიკური სპეციფიკაც და აგრეთვე ის საერთო, რომელიც კავკასიის სხვადასხვა ოლქის ამ დარგის საწარმოო კულტურას ერთმანეთთან ახლო კავშირში წარმოაჩენს. საკითხთა ამ მიმართულებით კვლევა დაფუძნებულია იმ სწორ წანამძღვარზე, რომ კავკასიის ხალხებს ისევე, როგორც სამეურნეო ყოფისა და კულტურის სხვა დარგებში, ტექსტილური წარმოების სფეროშიც, საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებული ჰქონდათ არა მარტო თვითმყოფი ფორმები, არამედ საწარმოო ტრადიციებიც. კულტურის ამ საზიარო ელემენტების არსებობა შეპირობებული იყო არა მარტო კავკასიის გეოგრაფიული გარემოსა და სამეურნეო პროფილების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტ-ნაკლები მსგავსებით, არამედ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული სიახლოვით.

დღეისათვის განხილულია ჩრდილო კავკასიური, სომხური და აზერბაიჯანული ხალხური საფეიქრო წარმოება, ნაჩვენებია მატყლის, სელისა და კანაფის საფეიქრო წარმოების სპეციფიკა ცალკეულ სფეროებში — სელისა და კანაფის ტილოების, საჩოხე მასალის, ნაბდების, ქეჩების, ფარდაგებისა და ხალიჩების დამზადების დარგში, დახასიათებულია შრომის იარაღები და შრომითი პროცესები; ახსნილია საწარმოო ჩვევებისა და ტრადიციების თავისებურებანი, ცალკეული დარგების დაწინაურების პირობები კავკასიის ამა თუ იმ ოლქში, საფეიქრო ნაწარმის თავისებურებანი და საოჯახო და საბაზრო დანიშნულების ხასიათი.

ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს იმას, რომ ფეიქრობა კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული დარგია, რომელიც კარგად ასახავს ხალხის საწარმოო-შემოქმედებითი უნარის ისტორიულ განვითარებას, მოგვაგონებს იმასაც, რომ კავკასია ცივილიზაციის ერთ-ერთი ადრინდელი და უძველესი კერაა და, რომ მისი აბორიგენი მოსახლეობის ძველი ყოფისა და კულტურის შესწავლაში ამ თვალთახედვას, ე. ი. ცივილიზაციის საფუძვლების ეთნოგრაფიულ კვლევას გაძლიერება სჭირდება.

სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია ქართული ხალხური ფეიქრობის მდიდარი ტერმინოლოგიის ყოფაში გამოვლინება და ფიქსაცია. როდესაც ამ უმდიდრესსა და მრავალფეროვან მასალას ეცნობა ადამიანი, მისთვის ერთხელ კიდევ ნათელი ხდება ჩვენი ენის მადლი, მისი ფართო აზრობრივი შესაძლებლობანი შერწყმული საგნის არსის ლაკონურ და მიმზიდველ გადმოცემასთან. თავის მხრივ, ადგილობრივი წარმოშობის ეს ტერმინები შესწავლილი დარგის, ე. ი. ხალხური ფეიქრობის სიძველესა და ტრადიციების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

ეთნოგრაფიული ძიებანი საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გადაშლის ხალხურ ფეიქრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის სფეროში. აქ კარგად ჩანს ქართულ ხალხურ ფეიქრობაში ქალის ადგილი და როლი და თვითონ ამ მოვლენის ტრადიციულობა. გამოვლინებულია მატყლის ჩეჩვისა და ნართის დამზადების პროცესში შრომამიგებითი კოლექტიური ფორმები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მიხედვით, როგორიცაა: მჩეჩელნი, საქმის მუშა (ხევს.), დაძახილი (ხევი), საქმის საღამო (მთი-

ულეთ-გუდამაყარი, თუშეთი), ლიკვშე (სვან.), ხერტლის ნადი (აჭარა), ნადის შეწევნა (სამეგრელო), სართავი ნადი — ლინდი ლალთათე (სვან.). ყველა ამ ფორმას საერთო ნიშნებიც აქვს და ლოკალურიც. მაგალითად, საქმის საღამო უკეთესად ასახავს ზამთრის გრძელ ღამეებში ასეთი შრომის სპეციფიკას, რასაც თან ახლდა საინტერესო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მხარე — სიტყვამიგების ფორმები, შრომის სიმღერები. მრავალფეროვანია ხალხური ფეიქრობის შესწავლით გამოვლინებული საოჯახო სოციალური ყოფა, რაც სოციალურ-ეკონომიური განვითარების საერთო პროცესსაც ემიჯნება.

კომპლექსური ეთნოგრაფიული კვლევა ასევე მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს ფეიქრობასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენების სფეროში, სადაც ლეიტმოტივურ ხაზად ჩანს ხალხური შეხედულებები ფეიქრობის, ერთი მხრივ, მფარველი, და მეორე მხრივ, ხელისშემშლელი, კეთილი თუ ბოროტი სულების შესახებ.

გეომეტრიული ფორმები თუ მცენარეულის, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებანი საფეიქრო ნაწარმის სხვადასხვა სახეობაზე რელიგიური მოტივების შემცველნი არიან, ისევე, როგორც მთვარის, ვარსკვლავებისა და სხვა გამოსახულებანი წარმოადგენენ ადრინდელ რელიგიურ-კოსმოგონიური აზროვნების გამოხატულებას.

სპეციალური კვლევით დადგენილია ხალხურ ფეიქრობაში საწარმოო ტრადიციების მნიშვნელობა და შრომითი ჩვევების მიმღეობითი მემკვიდრეობა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ყოფის მონაცემებითვე დადგენილი ფაქტი, რომ საფეიქრო ხალხური წარმოება ინდივიდის შრომითი შემოქმედების ნაყოფიც იყო, რომ, მაგალითად მქსოველი ფარდაგს ძველი ნიმუშებით ქსოვდა, თუმცა ქსოვის პროცესში მას ახალი ელემენტებიც შეჰქონდა, ისე, რომ ახალი ნაქსოვი ძველი ნიმუშის უბრალო განმეორება კი არ იყო, არამედ უშუალო შემოქმედების ნაყოფი. ეს თავისთავად ძალზე საყურადღებო მხარეა და ზოგადი კუთხითაც მოითხოვს შესწავლას — რა მიმართებაშია ინდივიდუალური საწარმოო შემოქმედება ტრადიციულ საწარმოო სფეროსთან, აქვს თუ არა ფარგლები და ზღვარი ამ ინდივიდუალურს, რა წესით შედის იგი საწარმოო კულტურის საერთო ფონდში და როგორ იქცევა ტრადიციულ მო-

ნაპოვრად. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, თავისებურად დგას ფოლკლორის თეორიულ საკითხთა სფეროშიაც.

ასეთია ზოგადი ეთნოგრაფიული სურათი მაგალითისათვის შერჩეულ საწარმოო ყოფის ორ სფეროში — ხალხურ მეტალურგიასა და ხალხურ ფეიქრობაში.

როგორც ზემოთ ითქვა, ეს შერჩევა რაიმე განსაკუთრებული ნიშნით არ მომხდარა. მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ მუშაობაში, რომელიც ქართველი ხალხის ეთნიკური ყოფისა და კულტურის საკითხების შესასწავლად არის გაშლილი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დარგობრივ-პრობლემური ხასიათის საკითხების მონოგრაფიულ, კომპლექსურ შესწავლას. ამ შემთხვევაში კომპლექსში საკუთრივ ეთნოგრაფიულის გარდა იგულისხმება ისტორიული, არქეოლოგიური, აგრეთვე ბუნებისმეტყველური და სხვა ასპექტები, როცა დასმული საკითხი თუ პრობლემა ფართო კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით მუშავდება. დღეისათვის ქართულ ეთნოგრაფიას ამ რიგის მრავალი საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევა მოეპოვება, რომელთა შორისაა აქ მაგალითისათვის მოტანილი ხალხური საწარმოო სფეროების შესწავლის შედეგები.

ისიც აღინიშნა, რომ ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არ იყო ეთნოგრაფიულად შესწავლილი საკუთრად ამ დარგის ამომწურავად სრული აღწერილობისა და მეცნიერული დასაბუთების გზებისა და დასკვნების წარმოდგენა.

ჩვენ გვინდოდა წარმოგვეჩინა საწარმოო ფონი, რომელზედაც მიმდინარეობდა შრომითი ჩვევების ჩამოყალიბების ხანგრძლივი და ძნელი პროცესი, შრომის ხასიათის მიმართება საწარმოო გამოცდილების ქმნადობასთან და საწარმოო ტრადიციებად გადაქცევის მექანიზმი, ამ ტრადიციების ცვლილებებისა და შემდგომი განვითარების კანონზომიერება შემოქმედებითი შრომისა და საწარმოო კულტურის ამაღლების კვალობაზე, სამეურნეო-მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ელემენტების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა საწარმოო ერთობის ფარგლებში და ფონზე.

ყოველივე ეს ამავე დროს არის პირობათა ერთობლიობა, რომლებიც განხილულ საწარმოო სფეროებს კომპლექსური სისტემის სახეს აძლევს, რომელშიაც სათანადო ადგილი უჭირავს ადამიანებს, ადამიანთა შრომას და ამ შრომის საფუძვლებს.

მარტივი ფორმალიზების გზას რომ დავადგეთ, მთელი ეს კომ-

პლექსური რთული სისტემა მასში შემავალი კომპონენტების მეტად მრავალრიცხოვანი ერთეულების სახით წარმოგვიდგება. ეს მრავალრიცხოვნება ამ ურთიერთობის უბრალო, მექანიკური ჯამი კი არ არის, არამედ ამ ერთეულთა ანუ სისტემის კომპონენტთა ხანგრძლივი განვითარების პროცესში ურთიერთმოქმედი თვისობრივ-ფუნქციური კავშირი. აქ, ამ კავშირში, თანდათანობით თავს იყრის ეთნიკური ერთობლიობის ლოკალური და საერთო ნიშნები, სოციალურ-კულტურული კონტაქტების საფუძველზე წარმოქმნილი „კულტურული ნასესხობანი", არცთუ იშვიათად კი მოცემული ეთნიკური ერთობლიობიდან სხვა ხალხის კულტურაში შეღწეული ელემენტები, რომლებიც შეცვლილი სახით შეიძლება ისევ დაუბრუნდნენ თავდაპირველ კერას.

აი, ეს არის ის წიაღი, თავისთავად განვითარებადი, რომელშიაც წარმოიშობა საწარმოო ჩვევა, აგრეთვე, განვითარებისა და ამასთან ჩვეულებად ანუ ტრადიციად, წესად ქცევის ტენდენციით.

ამრიგად, საწარმოო ტრადიცია, რომელსაც საწარმოო ჩვევა უდევს საფუძვლად, დროში მიმღეობითი მემკვიდრეობით გადაცემული გაუაზრებელი და უბრალო მექანიკური მოქმედება კი არ არის, არამედ გონივრულობაზე დაფუძნებული განვითარების თვისების მქონე ქცევა, საწარმოო ტრადიცია, როგორც სოციალური მოვლენა, განვითარებადი და ცვალებადია. იგი არ შეიძლება ქცევის უცვლელი სტერეოტიპი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთგვარი სტაბილურობა ახასიათებს.

ამავე დროს, გონივრულობაზე დაფუძნებული საწარმოო ჩვევა და ქცევა საწარმოო შემოქმედებისა და მიღწევის ქვაკუთხედია. საწარმოო მიღწევები და შედეგები კი ფართო გაგებით, კულტურის ქმნადობის საფუძველსაც და მის ფასეულობით გამოხატულებასაც წარმოადგენენ. ზემოთ უკვე ითქვა ამ მოვლენის ზოგადი სოციალური მნიშვნელობის შესახებ ეთნოსის, როგორც განსაზღვრული კულტურულ-ისტორიული ერთობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივ პროცესში.

ქართული ეთნიკური ნომენკლატურის საკითხები

წინასწარვე უნდა აღინიშნოს იმის გათვალისწინების საჭიროება, რომ ამჟამად დასმული საკითხი ადრე თანმიმდევრული კვლევის საგანი არ ყოფილა და არც რაიმე მეთოდოლოგიურ-მეთოდური ან თეორიული ტრადიცია მოგვეპოვება.

ეს კი უნდა აიხსნას არა უყურადღებობით ან ნაკლები დაინტერესებით, არამედ თვით ამ საკითხის სირთულით, რომელიც სულ-ლოო ჯამში ეთნოგენეზის პრობლემას უკავშირდება. ქართველთა ეთნოგენეზი კი მეცნიერულად ერთ-ერთი ყველაზე ძნელი მოსავლელი პრობლემაა და თითქოს პარადოქსიც კია, რომ რაც უფრო ფართოვდება და კონკრეტდება ჩვენი სპეციალური, დარგობრივი ცოდნა, მით უფრო რთულდება და ძნელდება ამ პრობლემის გადაწყვეტა. თუ ამას მივუმატებთ საერთო ვითარებასაც, რომ დღეისათვის მეცნიერებას ეთნოგენეზის თეორია ფაქტიურად არა აქვს, სურათი უფრო ნათელი გახდება.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიმდინარე სამუშაოებმა კონკრეტულად დააყენა ეთნიკური ნომენკლატურის საკითხები. ამან კი, თავის მხრივ, უფრო ხელშესახები გახადა ის ფაქტი, რომ ამ სფეროში კარგად მოგვარებული არ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქმის აკადემიური ნაწილი და ამავე დროს ენციკლოპედიაში შესატანი მასალისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა, პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს ასახავს. უნდა ითქვას, რომ ეთნოგრაფთა ერთი ჯგუფი უპირატესობას აძლევს ქართველი ხალხის დანაწევრებულად — ეთნოგრაფიული ჯგუფებისა თუ ეთნიკური ერთეულების მიხედვით განხილვას, რაც ლაპარაკობს პირველყოფილობის გადმონაშთების სიძლიერისა და საქართველოს მთისა და ბარის ისტორიული გათიშულობის იდეის სასარგებლოდ. სხვათა შორის, ეს იდეა უდევს საფუძვლად ქართველების შესახებ დაწერილ, ხელმოუწერელ წერილს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მიმდინარე გამოცემაშიც (БСЭ, III изд., т. 7. წერილი „Грузины“). მიგვაჩნია, რომ ეს საჭირბოროტო, რთული საკითხი გადაწყვეტას მოითხოვს მეცნიერ-სპეციალისტთა წრეში, სადაც წამყვანი უნდა იყოს ქართველი ეთნოგრაფების, ენათმეცნიერებისა და ისტორიკოსების აზრი. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი წარსულის ეთნიკურ-ისტორიული ერთიანი კონცეფციის შემუშავებას, რაც, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არა გვაქვს.

როგორც აღინიშნა, ამ საკვანძო საკითხის — ეთნიკური ნომენკლატურის სპეციალური მეცნიერული კვლევის შედეგები არ მოგვეპოვება, არც მეთოდიკაა დაზუსტებული, მეორე მხრივ არც ჩვენი მიზანდასახულობაა და, შეიძლება არც კომპენტენციაც ამ წიგნში ცალკე საკითხების მეცნიერული დასმა და კვლევა. ამიტომ ამჟამად ჩვენც მივმართავთ ერთგვარად უჩვეულო ხერხს — საინფორმა-

ციო-რეფერატულ დონეზე მოვიხილოთ სად, რა როგორ არის ამ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული და შედარებების გზით შევარჩიოთ მეტ-ნაკლებად უკეთესი შესაძლებლობა ქართული ეთნიკური ნომენკლატურის ასახვის პრინციპების შესამუშავებლად.

ქართულ სპეციალურ (ეთნოგრაფიულ) ლიტერატურაში ხევსურები, ფშავლები, თუშები, იმერლები, ქართლელები და ა. შ. ზოგჯერ იწოდებიან ტომებად[7].

იმავე სპეციალურ ლიტერატურაში, უპირატესად კი საცნობარო დანიშნულების ნაწერებში, აღნიშნული ერთეულები ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელსაც ატარებენ (შდრ. БСЭ, III изд., т. 7, წერილი „Грузины“).

ივ. ჯავახიშვილი ამ ერთეულებსაც და აგრეთვე ლოკალური თავისებურებების მქონე უფრო მცირე ჯგუფებსაც თემებს უწოდებდა. ამ შემთხვევაში თემი მას ყოველთვის გაგებული ჰქონდა ტერიტორიული კრებითი მნიშვნელობით და არა პირველყოფილი სოციალურ-ეკონომიური შინაარსით. ასეთად, ე. ი. ტერიტორიულ თემებად აღინიშნებიან ზემოთ დასახელებული ერთეულები საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოშიც (შდრ. „ქართველობა, ქართველი ერი სხვადასხვა მოძმე ტომისაგან არის შემდგარი. მთავარი ქართველი ტომები არიან: ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები. ეს ტომებიც თავის მხრივ ცალკე თემებად იყოფიან. ქართების თემები იყვნენ ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურები, მთიულ-მოხევეები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმლები, აჭარლები, მესხები, ჯავახები, შავშები, კლარჯები და სხვები. ამ დაყოფის ნაშთები დღემდე არის შემონახული, მაგრამ ისინი თანდათან ქრებიან“[8].

დასახელებული ერთეულებისა და შესაბამისად მათი საცხოვრისის აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე სახელწოდება ისტო-

---

[7] შდრ. სათაური ვ. ბარდაველიძის ცნობილი ნაშრომისა: В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1975; ან. გამოთქმა „აგნატური ნათესაობის ყველაზე ფართო ცნების გამომხატველად ხევსურეთშიც, სხვა ქართველი ტომების მსგავსად გვარი უნდა მივიჩნიოთ“: რ. ხარაძე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, მიმომხილველი, I; თბ., 1949, გვ. 187).

[8] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 9—10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიულ-ტერიტორიული ჯგუფი და ისტორიულ-ტერიტორიული კუთხე[9].

ამრიგად, ერთი და იგივე საგნის აღსანიშნავად, ე. ი. ქართლელების, ხევსურების, იმერლებისა და ა. შ. ცნებისათვის ოთხი განსხვავებული სახელწოდება იხმარება: ტომი, თემი, ეთნოგრაფიული ჯგუფი, ისტორიულ-ტერიტორიული ჯგუფი (ოლქი).

ერთი შეხედვით სახელწოდებათა ეს სიმრავლე არაფერს უშლის ხელს და თითქოს რაიმე შენიშვნასაც არ იწვევს, მაგრამ ახლო დაკვირვება უკვე სხვას გვეუბნება და ამ სახელწოდებებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების საჭიროებაზეც მიგვითითებს.

საქმე ის არის რომ, ეს სახელწოდებები ერთმანეთის არც პირდაპირი შესატყვისნი და არც ურთიერთშემცვლელნი არიან, თითოეულ მათგანში დამოუკიდებელი შინაარსი დევს და მათი გამოყენება აღნიშნული ერთეულების სახელწოდებად ამ უკანასკნელთ შესაბამის იერს ანიჭებს, ყოველივე ეს კი უზუსტობის გარდა გაუგებრობის წყაროც არის, რაზედაც შეცდომები აღმოცენდება.

როგორია ეს შეცდომები. ამის გასარკვევად ჯერ აღნიშნული სახელწოდებები განვიხილოთ.

შინაარსობრივად ეს ოთხი სახელწოდება თვისების მიხედვით ორად ჯგუფდება: ტომი და ეთნოგრაფიული ჯგუფი აქცენტს უკეთებს ადამიანთა სოციალურ ნათესაობითი ერთობის გარკვეულ ფორმას, თემი (აქ ხმარებული მნიშვნელობით) და ისტორიულ-ტერიტორიული ჯგუფი კი ხაზს უსვამს ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის გარკვეული საცხოვრებელი ადგილისადმი გეოგრაფიულ-ტერიტორიულ მიკუთვნებულობას.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ზემოთ მოტანილ განმარტებაში, რომ ქართლელები, კახელები, ხევსურები, იმერლები და ა. შ. ქართველები არიან და, რომ ისინი ქართის ტომში შემავალ თემებს წარმოადგენენ, ქართულ საკვლევაძიებო პრაქტიკაში მეცნიერულად დღეისათვის ეჭვი არავის შეუტანია. ამის აღნიშვნა შეიძლება უფრო იმის გასახსენებლადაც არის საჭირო, რომ თავის დროზე აკად. ნ. მარი ხევსურებს გაქართველებულ ინგუშებად მიიჩნევდა, ანდა, რომ იგივე ნ. მარი შუა საუკუნეების „ქართველის“ ცნებას ეთნიკურის მაგიერ რელიგიურ აღსარებით საფუძ-

---

[9] შდრ., БСЭ, III изд., т. 7, წერილი — Грузинская ССР — исторический очерк, იქვე, საქართველოს სქემატური რუკა; Численность и расселение народов мира, Изд. АН СССР, გვ. 75, М., 1962.

ველზე განიხილავდა და ამაში ქალკედონურობას აძლევდა უპირატესობას. ძნელია თქმა ეს მიზეზი უდევს საფუძვლად თუ უნებლიე შეცდომების გამოვლინებაა ის, რომ ბოლო ხანებამდე ადგილი აქვს ამ რიგის ცალკეულ დამახინჯებებს და უზუსტობებს ქართულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებულ პოპულარულ-საცნობარო თუ მხატვრულ ლიტერატურაში, როცა მაგ., ხევსურები, აჭარლები თუ სხვანი ცალკე ეთნიკურ ერთობებად განიხილებიან და, მაშასადამე, ფაქტიურად ძირითად ქართულ ეთნოსს, ე. ი. ქართველ ხალხს უპირისპირდებიან. ამიტომ სამართლიანი იყო ქართველ მეცნიერთა მიერ ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა დროს გამოთქმული შენიშვნები და შეშფოთებაც კი ჩვენი პრესის ფურცლებზე.

საქმეს ისიც ართულებს, რომ საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში და მათ შორის არა მარტო ადრინდელ, არამედ უახლოესი ხანის ნაშრომებში, აღნიშნულ საკითხში ერთიანი ან მეტ-ნაკლებად მყარი გაგება არ არსებობს. საგანგებო ეთნოგრაფიული გამოკვლევები, რომლებშიაც გაშუქებული და დასაბუთებული იქნებოდა საკითხის მეთოდოლოგიურ-მეთოდური ასპექტები, ამ პრობლემას საერთოდ არ მიძღვნია და ამდენად ეთნიკური ნომენკლატურის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის მეცნიერულ-საცნობარო მხარე უზუსტო და გაუგებრობის შემცველი რჩება. ასეთ პირობებში ბუნებრივად თავს იჩენს ნებისმიერობაც ეთნოისტორიული ცნების მოხმარებაში. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არა ჯანსაღი თანმხლები მოვლენის შესახებაც, რაც ამ მეცნიერულად „ნებადართულ“ ნებისმიერობას ამოფარებულია მცდარი და ტენდენციური კონცეფცია ქართველი ხალხის — ეთნოსის (ანუ ივ. ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით ქართველი ერის) შიგნით ეთნოგენეტიკური გათიშულობის, ქართული სხვადასხვა „ეთნიკური ერთეულის“ „არსებობის“, საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ეთნოგენეტიკური და სოციალურ-ეკონომიური დაპირისპირებულობის, მთაში გვაროვნული წყობილების ხანგრძლივად არსებობისა და მთის იზოლაციის, ჩამორჩენილობისა და სოციალურ-ეკონომიური პრივიტივიზმის შესახებ.

ჩვენ ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მცდარად და საზიანოდ მიგვაჩნია, არადა საკითხი თავისი მნიშვნელობით მარტო ვიწრო მეცნიერული ინტერესების ჩარჩოში ვერ ეტევა, რადგან ბევრად ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა და

ჟღერადობა აქვს და საგანგებო ყურადღებასაც იმსახურებს. ასეთი იყო ეს ჩვენ წარსულშიც.[10]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენში ეთნიკური ნომენკლატურის ხმარება-გამოყენება ამჟამად სრულ ნებისმიერობაზე არის დამყარებული, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი. მაგალითად, არასწორია, როცა ხევსურებს, ქართლელებს, იმერლებს თუ სხვა მსგავს ჯგუფებს ეთნიკურ ერთეულებს ანდა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს უწოდებენ. ეთნიკური ერთეული გენეტიკური თვალსაზრისით მთლიანი, ერთიანი მოცულობაა და იგი შეიძლება მხოლოდ ეთნიკურ მთელს ეწოდებოდეს — ამ შემთხვევაში ქართველ ხალხს. ქართველი ხალხი იგივე ქართველი ეთნოსია, იგივე ეთნიკური ერთეულია, მაგრამ ხევსურები, ქართლელები, იმერლები და სხვა ქართველები არ შეიძლება ცალკე ეთნიკური ერთეულები, ცალკე ეთნოსები იყვნენ. აკი ამიტომაც არ ვამბობთ (და ვერც ვიტყვით) „ხევსური ხალხი", „ქართლელი ხალხი", „იმერელი ხალხი", და სხვ. ამ შემთხვევაში „ხალხი" ეთნოსის ანუ ერის (და არა ნაციის) ცნებას გაუტოლდებოდა და „ქართველი ხალხის" საპირისპირო გაგებას მივიღებდით. რად გვჭირდება ეს? შეიძლება ნათქვამმა კრიტიკული შენიშვნა გამოიწვიოს — შეგვახსენონ, რომ ეთნიკური ერთობა ჩაისახება და ვითარდება ტომის ფარგლებში, სადაც ტომობრივი ენდოგამია შიდასატომო სისხლით ნათესაურ კავშირს აყალიბებს, ხოლო ასეთი კავშირი ეთნიკური ერთეულის საფუძველი ხდებაო. თეორიულად ეს მართლაც ასეა, პრაქტიკული თვალსაზრისით კი ამის რეალური გააზრება კონკრეტული ეთნიკური მონაცემების საფუძველზე ცოტა ძნელი ხდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი. თუ ჩვენ ამ თეორიულ დებულებას დავემყარებით და ქართული სინამდვილისათვის ამოსავალად მივიღებთ, მაშინ ჯერ კარგად გარკვეული უნდა გვქონდეს და ნამდვილად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ იმაში, რომ იგივე ხევსურები, ქართლელები, იმერლები და სხვა ცალ-ცალკე ქართულ ტომებს წარმოადგენენ. და რომ, მაშასადამე, ისინი შეიძლებოდა ცალ-ცალკე ეთნიკური ერთეულე-

---

[10] „ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს ანუ ნაწილს გვარ-ტომობის სახელი ერთი და იგივე ჰქონიათ — საქართველო. მაგრამ ამავე დროს თითოეულ ნაწილს თავის საკუთარი სახელიც ჰქვიან, სწორედ ისე როგორც ღვიძლ დებსა და ძმებს სხვადასხვა სახელს უწოდებენ ხოლმე. აი, ეს სახელები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, სვანეთი" (ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 483).

ბიც ყოფილიყვნენ. ასეთი რამ ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიისა
რაფიისათვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ობიექტურად ისიც
საყურადღებოა, რომ ეს თითქოს „ტომობრივი“ ერთეულები ძველ
ქართულ წერილობით წყაროებში იმ თანმიმდევრობით და იმ სახელ-
წოდებებით, როგორითაც დღეს მათ ვიცნობთ, არ გვხვდებიან. აღმ.
საქართველოს მთიელების დღევანდელი სახელწოდებანი — მთიუ-
ლები, ფშავლები, ხევსურები ძველ და შუასაუკუნეების ქარ-
თულ წერილობით წყაროებში ფხოელების კრებითი ფორმით გვხვ-
დება. მაშასადამე, დასადგენია „ფხოელების“ ეთნიკური რაგვარო-
ბაც. ამავე კუთხით და ამავე გაგებით, ალბათ, უცნობი გახდებოდა
რაჭველების, ლეჩხუმლების, გურულების და სხვათა ეთნიკური ვი-
ნობაც, ასევე მიკროერთეულების (თორელები, ქაისხეველები, სუ-
რებლები, ოკრიბელები...) ვინაობაც.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართველი წამყვანი
ისტორიკოსები ქართველთა კუთხობრივ ტერიტორიული ერთეუ-
ლების მცხოვრებთ (იმერლებს, ქართლელებს, მთიულებს და ა. შ.)
არსად „ეთნოგრაფიულ ჯგუფებს“ არ უწოდებენ. ამ მხრივ ერთად-
ერთ შემთხვევად გვევლინება გ. მელიქიშვილის მიერ აღნიშნული
განსაზღვრების („ეთნოგრაფიული ჯგუფის“) ხმარება, მაგრამ კონ-
ტექსტის მიხედვით ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს განსაზღვრება
ნახმარია მკვლევრის მიერ არა ეთნიკური შინაარსით და მნიშვნე-
ლობით, არამედ უბრალო ტექნიკური აზრით, რომ გახაზოს დროთა
ვითარებაში გამოკვეთილი ტერიტორიულ-კუთხობრივი კულტუ-
რულ-ყოფითი თავისებურებები.[11]

მაგრამ ყველა შემთხვევაში გვაქვს ერთი მტკიცე საფუძველი.
ვიწრო მნიშვნელობით როგორადაც შეუსწავლელნი არ უნდა იყვნენ
ეს საკითხები, საქმე ეხება ერთი ხალხის შიგნით — ქართველების
შიგნით არსებულ ეთნიკურ მთლიანობას, ქართულ ენაზე მოლაპარა-
კე „ნათესავით ქართულ“ მთლიანობას, რომლისათვისაც უცხო და
შეუფერებელია შინაგან ეთნიკურ ერთეულებად, ეთნოგრაფიულ
ჯგუფებად დაყოფა.

ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ, რომ ეთნიკურ ერთე-
ულთა ნომენკლატურაში ცნებათსისტემას სიზუსტე და უნიფიცი-
რება აკლია და, რომ ამის გამო ადგილი აქვს ნებისმიერობას მათს

---

11 იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 129, წიგნში: გ. მელიქიშ-
ვილი, ფეოდალური საქართველოს..., თბ., 1973.

მეცნიერულ მოხმარებაში, მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება სპეციალური ლიტერატურიდან, მათ შორის ქართულ ენაზე დაბეჭდილი ნაშრომებიდან. მაგრამ აქ ასეთი მაგალითების დასახელებას ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით და ჩვენთვის საინტერესო სფეროში არსებული ვითარების უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის შევჩერდებით მხოლოდ ერთ ნაშრომზე, რომელიც შუა აზიასა და ყაზახეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების სპეციალურ შესწავლას ეძღვნება და საკავშირო ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შესრულებულ ბოლო ხანების ნამუშევარს წარმოადგენს[12]. ცხადია, ამ საინტერესო ნაშრომის რეცენზირება არ არის ჩვენი მიზანი, არც მისი სრული რეფერირება გვსურს, მით უფრო, რომ ეს ნაშრომი რთული სტრუქტურისა ჩანს. მაშ, ამ ნაშრომში ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ მეცნიერულ მიდგომას და მსჯელობის საერთო ხასიათს ეთნიკური ნომენკლატურის სფეროში. ავტორის სიტყვებით „შუა აზიაში ძირითადი სოციალისტური ნაციების (ტაჯიკების, უზბეკების, თურქმენების, ყირგიზების, ყაზახებისა და ყარაკალფაკების) გვერდით ცხოვრობს მთელი რიგი ნაციონალური უმცირესობანი და ეთნოგრაფიული ჯგუფები (უიგურები, დუნგანები, კორეელები, ქურთები, ბელუჯები, შუა აზიის ებრაელები, შუა აზიის არაბები, შუა აზიის ბოშები, ირონები, სარტ-კალმაკები (ყირგიზთა შემადგენლობაში), ყივჩაღები (უზბეკთა შემადგენლობაში) და სხვ.“[13].

როგორც ვხედავთ, აქ ნაციონალური უმცირესობანი და ეთნოგრაფიული ჯგუფები გამოყოფით განიხილებიან შუა აზიის ძირითადი ერების (ნაციების) საპირისპიროდ. ეგევე კარგად ჩანს ამავე ნაშრომის იმ სპეციალურ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მიმდინარე ეთნიკურ პროცესებზე „ამჟამად მრავალრიცხოვანი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი და ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი თავისი ეთნიკური განვითარების მსვლელობაში დ გ ა ნ ა ნ მსხვილ სოციალისტურ ერებთან (ნაციებთან) დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი ს ა და მათთან თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ შ ე რ წ ყ მ ი ს გ ზ ა ზ ე მათი კონსოლიდაციის პროცესში (პ ა მ ი რ ი ს ხ ა ლ ხ ე ბ ი ს (народности) დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ტ ა ჯ ი კ ე ბ თ ა ნ ტაჯიკურ სოციალისტურ ნაციასთან მათი

---

[12] იხ. Л. С. Толстова, Этнические процессы у национальных и этнографических групп Средней Азии и Казахстана; Тезисы докладов всесоюзной конференции, посвященной этнографическому изучению современности, Москва-Нальчик, 1975, с. 65—67.

[13] Л. С. Толстова, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

თანდათანობითი შ ე რ წ ყ მ ი ს გამოსახული ტენდენციით, როცა ამჟამად მათ საფეხურებრივი თვითშეგნება ახასიათებთ... დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ტ ა ჯ ი კ ე ბ თ ა ნ და უ ზ ბ ე კ ე ბ თ ა ნ ახლანდელი ისეთი ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა, როგორიც არიან შ უ ა ა ზ ი ი ს ბ ო შ ე ბ ი დ ა ა რ ა ბ ე ბ ი, ირონები და სხვ. დაახლოება თურქმენებთან ქურთების, ბელუჯების, თურქმენეთის ჯემშიდებისა, ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა უზბეკების სოციალისტურ ნაციაში წინათ ისეთი განცალკევებული ჯგუფებისა, როგორიც არიან ყ ი ვ ჩ ა ღ ე ბ ი, თ ურ ქ ე ბ ი, კ უ რ ა მ ა და სხვ.)"[14] მოტანილ ამონაწერში პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მიმდინარე ეთნოსოციალური პროცესების დახასიათება, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ მომენტზე, რომ „ეთნოგრაფიული ჯგუფის" სახელდება აქ ეთნიკური პრინციპით ხდება და არა ყოფისა და კულტურის ან ენის დიალექტური ლოკალური მიკროთავისებურებების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ტაჯიკები და უზბეკები და, მეორე მხრივ, შუა აზიის ბოშები და არაბები ეთნიკური ერთეულები არიან ერთმანეთისაგან პირველ რიგში ეთნიკურად განსხვავებულნი, ე. ი. ეთნიკური წარმოშობით სრულიად სხვადასხვანი. ავტორი მათ აღსანიშნავად სამართლიანად ხმარობს ან ერებს (ნაციებს) — უზბეკები, ტაჯიკები, ან ეთნოგრაფიულ ჯგუფებს (შუა აზიის არაბები, ირონები, ქურთები და სხვ.). მაშასადამე, გამოდის, რომ „ეთნოგრაფიული ჯგუფი", როგორც რომელიმე კონკრეტული ერთიანობის სახელწოდება, ყოფისა და კულტურის თავისებურებების ან ენის დიალექტური სხვაობის გამოყოფით აღმნიშვნელი უბრალო ტექნიკური ტერმინი კი არ ყოფილა, არამედ პირველ რიგში და უმთავრესად — ეთნიკური. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ სახელწოდების გამოყენება ერთდროულად ამ საკითხისადმი პრინციპული მიდგომის გამოხატულებაც უნდა იყოს. ზოგადი ეთნოგრაფიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ბუნებრივ სამეურნეო პირობებით თანაბარ გარემოში მცხოვრებ ხალხებს, რომლებსაც სოციალურ-ეკონომიური განვითარების აგრეთვე მეტ-ნაკლებად თანაბარი დონე აქვთ, შეიძლება ყოფისა და კულტურის მრავალი მსგავსება ჰქონდეთ, მაგრამ ისინი ეთნიკურად სრულიად სხვადასხვანი იყვნენ.

ახლა, რაც შეეხება დასმულ საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ მომენტს, რომელიც ეთნიკური განვითარების თანამედროვე

---

[14] Л. С. Толстова, დასახ. ნაშრ., გვ. 66 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია. მ. გ.)

პროცესების გამოხატულებაა და, რომელთა გაგებასა და შეფასებას ასევე პრინციპული მნიშვნელობა აქვთ. თუ სამაგალითოდ ისევ დასახელებულ ნაშრომს მივმართავთ, ვნახავთ რომ, „ხალხებს შორის ეთნიკური დაახლოების პროცესები, რიგი ეთნოგრაფიული ჯგუფის შეკავშირება მსხვილ სოციალისტურ ნაციებთან, გამოხატულებას ჰპოვებენ მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროებშიც, ოჯახურ წესშიც, ენაშიც და საბოლოო ანგარიშში — ნაციონალური თვითშეგნების განვითარებასა და ცვლილებებშიც (როგორც მოცემული ეთნიკური ერთობის ყველა მონაცემის ჯამში), რომელიც რიგ შემთხვევაში ეთნიკური განვითარების მსვლელობაში ხდება ორ ან მრავალსაფეხურიანი, ხოლო ყოველივე ამის შედეგად ძირფესვიანად იცვლება და მის ცვლილებასთან ერთად ქრება, ასიმილაციას განიცდის ესა თუ ის ნაციონალური ან ეთნოგრაფიული ჯგუფი“[15].

ვრცელი ამონაწერების მოტანის მარტივი ხერხებით ჩვენ ვნახეთ ეთნიკური ერთობებისა და, კერძოდ, „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ სახელწოდებების გამოყენების დღეს არსებული პრაქტიკა ახალ საბჭოურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში.

ახლა, თუ ვცდით ნათქვამის შედარებას იმასთან, რასაც ადგილი აქვს ამ მხრივ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, ვფიქრობთ, განსხვავებულ, ამასთან არასახარბიელო სურათს მივიღებთ. პირველადვე დაისმის კითხვა — შეიძლება თუ არა ხევსურებს, იმერლებს, ქართლელებს, რაჭველებს და სხვ. ეთნოგრაფიული ჯგუფები ვუწოდოთ, როცა ვიცით, რომ ისინი ეთნიკურად ერთნი — ქართველები არიან? ცხადია არ შეიძლება. ყოფისა და კულტურის კუთხური, ლოკალური განსხვავებანი, რომელიც მართლა არსებობს მათ შორის, საამისოდ არ გამოდგება[16].

დასმული საკითხის არსის გაგებაში, ვფიქრობთ, დაგვეხმარება ახლო ისტორიული ფაქტი, რომელსაც შეიძლება ერთი შეხედვით უშუალო კავშირი არა აქვს ჩვენს სასაუბრო თემასთან, მაგრამ მეთოდოლოგიურად ძალზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში, როცა პრაქტიკულად დადგა ქვეყნის ეკონომიური და სოციალური მართვის კონკრეტული საკითხები, ვ. ი. ლენინმა საგან-

---

15 Л. С. Толстова, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

16 შეცდომად მიგვაჩნია აჭარლებისათვის ქართველების ეთნოგრაფიული (თუ ეთნიკური) ჯგუფის სახელის მიკუთვნება ქართულ ენციკლოპედიაში (იხ. წერილი „აჭარლები“, ქსე, ტ. II).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებო ყურადღება მიაქცია რუსეთის ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებებს. საწარმოო ძალთა განლაგებისა და გამოყენების სპეციფიკას და ერთ-ერთ ძირითად პირობად მიიჩნია საწარმოო-სამეურნეო მართვის პრაქტიკაში რეგიონალური, დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის ცნობილი სიტყვები, რომ მიწათმოქმედება კალუგის გუბერნიაში იგივე არ არის, რაც, მაგ., ყაზანისაში, რომ არსებობს ადგილობრივი კლიმატური, საწარმოო, ყოფითი თავისებურებანი, რომელთაც გათვალისწინება და ანგარიშის გაწევა სჭირდებათ საერთო სამეურნეო ხელმძღვანელობაში და რაც გონივრული მუშაობის საფუძველს წარმოადგენსო[17]. რუსეთის ვრცელი ტერიტორიის ადგილობრივი თავისებურებანი, რომლებიც ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებთან ერთად ეთნოგრაფიულ-ყოფითს, აგრეთვე დიალექტურ სხვაობებსაც გამოხატავს, ალბათ საფუძვლად დაედო ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და გამოყენების რუსულ ლოკალურ სახელწოდებებს, როგორიცაა სმოლენშჩინა, ბრიანშჩინა, ორლოვშჩინა, პსკოვშჩინა, ჩერნიგოვშჩინა და ა. შ.

ეს და ამ ნიშნისა და შინაარსის ბევრი სხვა რუსული ერთეული, ცხადია, მარტო გეოგრაფიული ცნება არ არის, მაგრამ არსად, არც რევოლუციამდელ და არც თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი ლოკალური ერთეულების რუსული მოსახლეობისათვის ცალკე „ეთნიკური ერთობა“, „ეთნიკური ერთეული“ ან „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ არ უწოდებიათ და არც ამ კუთხით ცდილან მათი ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის განხილვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის ერთეულები („ბრიანშჩინა“, „რიაზანშჩინა“ და ა. შ.) ცალკე მნიშვნელობით საერთოდ არ არის შეტანილი „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიის“ წინა და მიმდინარე გამოცემებში. მაგ., ფართო თანამედროვე სოციალურ-ეკონომიური და კულტურული დახასიათებაა მოცემული ცალკე საენციკლოპედიო წერილში „Смоленская область“ (БСЭ, II, т. 39) ცალ-ცალკე წერილები ეძღვნება „Смоленская земля“-ს, IX—XV საუკუნეების ისტორიულ რუსულ მიწა-წყალს, რომელიც აღმ. სლავების მსხვილი სატომო გაერთიანებებით — კრივიჩებით იყო დასახლებული (თავის მხრივ, კრივიჩებ-

---

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 33, გვ. 361; Л е н и н, псс, I, 45, с. 115, 198.

ზე ენციკლოპედიაში დაწერილია წერილი) და „Смоленское княжество“-ს, ძველ რუსულ ფეოდალურ სამთავროს, მაგრამ არ არის ენციკლოპედიაში საერთოდ შეტანილი წერილი, „სმოლენშჩინა“. ეს იმიტომ, რომ რუსი ხალხის ანუ ეთნოსის შინაგანი ყოფითი ნიშნების განსხვავებულობის მიხედვით ეთნიკურ-ეთნოგრაფიული დანაწილება ხელოვნურია და არც მეცნიერულად და არც საზოგადოებრივად არავითარი გამართლება არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება იმ ცალკე ერთეულებს, რომლებსაც დღევანდელ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში რუსი ხალხის „ეთნოგრაფიული ჯგუფები“ ეწოდათ (БСЭ, III изд., т. 23, ст. «Русские“) და, რომლებშიაც ცალ-ცალკე გულისხმობენ ე. წ. პომორებს (Поморы), პუსტოზერებს (пустозеры), უსტცილიომებს (устьцилёмы), კერჟაკებს (кержаки), პოლეხებს (полехи), მეშჩერას (Русская мещера), კაზაკებს (казаки) და სხვ., ამათი ცალკე გამოყოფის და ეთნოგრაფიულ ჯგუფებად სახელდების პრინციპი მთლად ნათელი არ არის. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ან სამეურნეო ყოფითი თავისებურებანი, ან საცხოვრებელი ადგილის ტერიტორიული სიშორე და რევოლუციამდე ხანაში რუსების ეთნიკური ბირთვისაგან მნიშვნელოვანი მოწყვეტილობა. ასე მაგ., პომორები იყვნენ თეთრი და ბარენცის ზღვების სანაპიროებზე ადრე გადასახლებული ნოვგოროდელების ჩამომავლები, პოლეხები და მეშჩერა ტყეებისპირა ზოლის მცხოვრებლები. ოდნოდვორცებისა და კაზაკების ცალ-ცალკე ეთნოგრაფიულ ჯგუფებად გამოყოფას კი საფუძვლად უჩანს სოციალურ-ისტორიული მოტივი. მაგ., ოდნოდვორცები (однодворцы) იმ მსახურეულთა ჩამომავლები არიან, რომლებსაც მოსკოვის ხელისუფალნი XVI—XVII საუკუნეებში სახელმწიფოს სამხრეთ განაპირა მხარეებში ასახლებდნენ მისი სტეპების საზღვრების დასაცავად.

განხილული მასალა, რომლებიც აქ შედარებების გზით წარმოვადგინეთ, როგორც ვხედავთ, ერთიან, თანმიმდევრულ და ზუსტ წარმოდგენას ვერ გვაძლევს ჩვენთვის საჭირო საკითხზე. საიმედო დასაყრდენად ვერ გამოდგება ამავე საკითხებზე უცხო ლექსიკონებსა თუ კომპენდიუმებში შეტანილი მონაცემები.

დღეს მოღვაწე ქართველ ეთნოგრაფთა ერთ, მცირე ჯგუფში გაბატონებულია, ჩვენი აზრით, მცდარი, ყოველ შემთხვევაში მეთოდოლოგიურად ცალმხრივი შეხედულება, რომ ქართველ ხალხს თითქოს დღემდე ისე ცოცხლად აქვს მოყოლილი არქაული სოცია-

ლური ტრადიციები (მათი თქმით „სოციალური გადმონაშთები“), რომ ამ გადმონაშთების ეთნოგრაფიული რეკონსტრუქცია უძველეს სოციალურ სისტემებად თითქოს სულ ადვილი საქმეა. ეს კი ხელშესახებად აღგვადგენინებს ჩვენში გვაროვნული წყობილების არა მარტო გვიანი, არამედ სულ ადრინდელი, წინაგვაროვნული, პალეოლითის ანუ ძველი ქვის ხანის საფეხურსაც კი. ამავე დროს ყოველივე ამის მეცნიერული დამუშავებით, თურმე, შესაძლებელია ქართული ეთნოგრაფიული მასალით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა პირველყოფილი საზოგადოების მორგანისეულ თეორიაში, რომელიც მარქსისტულმა მსოფლმხედველობამ გარკვეულ ფარგლებში გაიზიარა. სწორედ ამ მეცნიერული მიზანსწრაფვით არის ჩვენში ამ ქართველი ეთნოგრაფების მიერ „მიკვლეული და აღმოჩენილი“ ე. წ. ჯგუფური ქორწინება (აჭარაში, კინტრიშის ხეობაში), ფშავ-ხევსურეთში (წაწლობასთან და „ახალუხალთან“ მიმსგავსებაგაიგივებით), შიდაგვაროვნულ მუდმივ მოსისხლეობით მტრობასთან და „მძარცველი“ მეზობლების ასევე მუდმივ მოძალებასთან დაკავშირებული დასახლებისა და თავდაცვის სისტემა ზემო სვანეთში, ბოლომდე შემორჩენილი მთური „პრიმიტიული“ სამიწათმოქმედო იარაღები და ბევრი სხვა. რა უნდა ითქვას მოტანილი მაგალითების შესახებ. ჯგუფური ქორწინების საერთოდ ოდესმე არსებობა დღეს უკვე კითხვის ქვეშ დააყენა მეცნიერებამ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჯგუფური ქორწინება ხომ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟის მოვლენად მიიჩნევა. ეს ბიოლოგიურ სქესობრივ აღრევას ნიშნავს, რომლის პირობებში თითქმის აბსურდს წარმოადგენს რაიმე ნათესაობითი სისტემის არსებობაზე ლაპარაკი და მით უმეტეს გამოკვეთილი ეთნიკური ერთობის დაშვება. ფშავ-ხევსურებიც და აჭარლებიც ქართველები არიან. ქართველი ხალხის, როგორც ეთნიკური ერთობის, წარმოშობა სულ სხვაგვარ ისტორიულ პირობებს, პროცესებს და ეპოქებს უკავშირდება, ვიდრე ძველი ქვის ხანის დამახასიათებელი პროცესები. ამიტომ ზემოაღნიშნულ ძიების გზასა და შედეგებს რა სახის „გადმონაშთებიც“ არ უნდა ვუწოდოთ მათ, მეცნიერულად გაუმართლებელი არქაიზაციის კვალი ატყვია, რაც ქართველი ხალხის ისტორიასა და ეთნოგრაფიას სიკეთის მაგიერ ზიანს აყენებს. ყოფაში შემონახული მოვლენების ახსნა მიმსგავსების საფუძველზე, განვითარების კონკრეტულ ისტორიული პირობებისა და პერსპექტივის გაუთვალისწინებლად, გაუმართლებელი ზერელობის საფუძველია, რასაც, როგორც ითქვა, საგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებო ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა ჩვენს მეცნიერებაში „პირველყოფილობით გატაცების“ კრიტიკის დროს. ივ. ჯავახიშვილს თავის ფართო დიაპაზონის შემოქმედებაში, რომელიც ქართველი ხალხის, როგორც ერის ანუ ეთნოსის შესწავლას უკავშირდება, არც ერთი პრობლემა ან კონცეფციური ჩანაფიქრი არ დაუფუძნებია უხსოვარი დროის „გადმონაშთებზე“ (მკვლევრის სახელდებით „ნაშთებზე“. იგი საერთოდ არ ხმარობს სიტყვას „გადმონაშთი“, ხოლო შესატყვის მოვლენებს წარსულის ნაშთს უწოდებს და, ჩვეულებრივ, მის წინ იყენებს ზედსართავ სახელს „მკრთალი“, „სუსტი“ და სხვა). ასეა იმიტომ, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურას მუდმივ განვითარებაში და კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით განიხილავდა, ხოლო წარსულიდან მოყოლილ წეს-ჩვეულებებს „ერის თანამედროვე ზნე-ჩვეულებებს“ უწოდებდა, რომელთა „სათანადოდ გამოყენებისათვის, — მისი აზრით, — წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭიროო“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილს გათვალისწინებული ჰქონდა წეს-ჩვეულებების, როგორც კოლექტიური სოციალური ქცევის ნორმების, არა მუდმივი სტერეოტიპულობა, არამედ განვითარებისა და ცვალებადობის უნარი. ამ გაგებითვე იყო მისთვის ცოცხალ ყოფაში ფიქსირებული მოქმედი ფუნქციის მქონე წეს-ჩვეულებები „ერის თანამედროვე ზნე-ჩვეულებები“, რომელთა გენეზისის კვლევა ადრევე ისეთ სოციალურ-კულტურულად დაწინაურებულ საზოგადოებაში, როგორიც ქართველი ერია დიდ მეცნიერულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და განსაკუთრებულ სიფრთხილესაც მოითხოვს. ამის საილუსტრაციოდ იკმარებდა ივ. ჯავახიშვილის მიერ მეცნიერულად ბრწყინვალედ გარკვეული სოციალური პრობლემა ე. წ. „შეყრილობისა“, რომელიც კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში აუცილებლობით ნაკარნახევი ხელახალი და უკვე ხელოვნური სოციალურ-ეკონომიური შეერთება იყო ერთი გვარის მქონე ოჯახებისა და ამ ახალ ერთობას თვისობრივად არავითარი სიახლოვე არ ჰქონდა გვაროვნული წყობილების ე. წ. „დიდ ოჯახებთან“, რომლებიც გენეტიკურად ძირშივე განსხვავებულ ბიოსოციალურ და ეკონომიურ პრინციპებს ეფუძვნებოდნენ. მაშასადამე, აქ, ახალ სოციალურ-ეკონომიურ შეყრილობაში ანუ ერთობაში ჩვენ შეიძლება დავინახოთ ან სრულიად ახალი, დამოუკიდებელი წარმოშობის სოციალური მოვლენა, ან ძველი ტრადიციის მოდიფიკაცია, როცა

ეს ახალი „დიდი ოჯახი“ გენეტიკურად და საარსებო შინაარსით ანალოგიური ფუნქციით არსებითად არის სახეცვლილი და მხოლოდ გარეგნულად და მარტო ფორმით (კერძო ოჯახების მექანიკური რაოდენობრივი შეერთებით გამოწვეული მრავალრიცხოვნობა) ემსგავსება გვაროვნული წყობილების დიდ ოჯახებს. მაგრამ რასაკვირველია, შეყრილობის პრინციპზე წარმოქმნილ ამ ახალ „დიდ ოჯახებს“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით უძველესი, გვაროვნული წყობილების „დიდი ოჯახების“ ვერც ე. წ. გადმონაშთად და ვერც პირდაპირ ტრადიციულ სტერეოტიპულ გაგრძელებად, რადგან ამის უფლებას არ გვაძლევს ამ ოჯახების არსისა და თვისობრივი პრინციპების ხასიათი. ეს რომ დაგვეშვა, მაშინ უნდა დაგვეშვა საზოგადოებრივი განვითარების პირველყოფილი საფეხურის გახანგრძლივებული არსებობაც ჩვენში, რაც ობიექტური ისტორიული სინამდვილის ხელოვნური დამახინჯება იქნებოდა. აქაც ისევ ივ. ჯავახიშვილის სიტყვებს შეიძლებოდა დავყრდნობოდით: „უნებლიედ გვებადება საკითხი, თავდაპირველი, პირველადი მოვლენა არის ეს საგვარეულო წეს-წყობილება, თუ არა? — წერს მეცნიერი და იქვე განმარტავს — ამგვარი ეჭვი სრულებით ბუნებრივი იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებელი ეროვნება. საგვარეულო წესწყობილება კი კაცობრიობის განვითარების თითქოს პირველ საფეხურთაგანია“[18].

ივ. ჯავახიშვილი „შეყრილობის“ ინსტიტუტის კვლევაში განსაკუთრებით გამოყოფს ისტორიული დოკუმენტების იმ ჩვენებებს, სადაც თვალნათლივ ჩანს ერთი გვარის კერძო ოჯახების ხელოვნური შეერთებისა და პირველ რიგში რიცხობრივი გადიდების სურვილი და მიზეზები. ამ მიზეზთა შორის, ბუნებრივია, მთავარი ადგილი უჭირავს ფიზიკური შრომის გაერთიანების მიზანშეწონილობას და საჭიროებას სასოფლო მეურნეობაში. შრომა, როგორც ვიცით, ზოგად სოციოლოგიური კატეგორიაა, ამიტომ მისი, შრომის, შეერთების საჭიროება კონკრეტულ-ისტორიულ პირობების მიხედვით ობიექტური, მუდმივმოქმედი ფაქტორია. ამ თვალსაზრისს ყოველთვის სჭირდება გათვალისწინება, შეყრილობაც როგორც აუცილებელი სოციალური ერთობის ფორმა, ალბათ, ძველია და მასვე უკავ-

[18] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 152.

შირდებოდნენ შინაარსობრივად სახეცვლილი „დიდი ოჯახები“. ეროვნული ლოვნური საგვარეულო შეერთების ანუ შეყრილობის ისტორიული პრაქტიკის მიკვლევამ ივ. ჯავახიშვილს ისიც კი აფიქრებინა, რომ „შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი საგვარეულო წესწყობილება პირველადი კი არ იყოს, არამედ მეორადი, ან მესამეგზისიცო“ (იქვე). საქართველოს ტერიტორიაზე გვაროვნული წყობილების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების საფეხურის, ბევრად ადრე დარღვევას, ვიდრე ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, ნათლად ადასტურებენ მეცნიერული კვლევის ახალი მონაცემები განსაკუთრებით არქეოლოგიის დარგში. კლასობრივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაწყება ჩვენში უკვე ძვ. წ. ა. III ათასწლეულიდან ივარაუდება.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებათა საერთო შეფასებიდან რამდენიმე მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს, რომელთაც მეცნიერული მოხმარების თვალსაზრისით სადღეისო პრაქტიკული ღირებულებაც აქვთ: წეს-ჩვეულებები (რომლებსაც დღეს საერთო მნიშვნელობით ტრადიციებსაც ვუწოდებთ) უცვლელი მექანიზმის მქონე მოვლენები არ არიან და საზოგადოებრივი განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობებისა და პროცესების შესაბამისად შეიძლება მათ მნიშვნელოვანი ზოგჯერ არსებითი ცვლილებები განიცადონ, შინაარსობრივი ფუნქცია დაკარგონ, სოციალურად დროებით ან სამუდამოდ ჩაქრნენ ანდა შეუსუსტდეთ, ისევე როგორც განუახლდეთ, გადაუსხვაფერდეთ, დაუმახინჯდეთ სოციალური შინაარსი და ფუნქცია. ყოველივე ეს საფუძველია ტრადიციების ცვალებადობისა, ზოგჯერ კი სრული მოდიფიკაციისაც. ამავე დროს ტრადიცია, როგორც სოციალური მოვლენა, ჯგუფური ან კოლექტიური სოციალური ქცევის გამოხატულებაა და საზოგადოებრივი აზრის მთლიანობით საზრდოობს. ძველი წერილობითი წყაროების სპეციალური შესწავლით ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ „ჩვეულება“ (რომელიც „წესს“ უტოლდება) მარტო კერძო, თითოეული ადამიანის ქცევას კი არ ერქვა, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფის, გვაროვნობის, წოდების, დასის, ან მთელი ერის ზნესა და ქცევასაც“[19].

ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ერთი მხრივ, ცვალებადობის უნარი ამ სოციალურ მოვლენებს დიალექტიკურ ხასიათს ანიჭებს. ეს მუდმივმოქმედი ფაქტორია, რომელსაც ყოველმხრივ

[19] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 12—13.

გათვალისწინება და შეფასება სჭირდება ტრადიციებისადმი და წეს-ჩვეულებებისადმი როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული დამოკიდებულების დროს. ამ გარემოებაზე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილება. ქართული კულტურის ისტორიაში მომუშავე და დღევანდელი სოციალურ-კულტურული განვითარებით დაინტერესებულ მეცნიერთა ვალია ობიექტური პრინციპულობით მოეკიდნონ ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციების შესწავლას და გაითვალისწინონ, რომ საჭიროა თანაბარი დამოკიდებულების გამოჩენა როგორც დრომოჭმულ და უკუსაგდებ ტრადიციებთან, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ სოციალურ მართვას და საზოგადოებრივ განვითარებას, ასევე იმ ტრადიციებთან, რომლებიც თავისი კულტურულ-ისტორიული, სოციალური, ზნეობრივ-ეთიკური მნიშვნელობით ქართველი ერის ეროვნული იერსახის მახასიათებელნი არიან, რომლებსაც მოვლა, შენახვა და შემდგომი განვითარება სჭირდებათ. ეს ერთდროულად ეროვნულობის შენახვის საფუძველია. ტრადიციებისადმი დამოკიდებულება ერის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებასაც ნიშნავს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ ობიექტურობას ქართველი ხალხის ისტორიული შემოქმედებითი გზისა და კულტურულ ყოფითი მიღწევების საჩვენებლად. პირადად ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პრინციპი პირველ რიგში დაცული უნდა იყოს ფართო საცნობარო დანიშნულების წიგნებში. მაგალითად, გაურკვეველი რჩება, რატომ არის ქართველი ხალხის ეთნიკურ-კულტურული იერსახის დასახასიათებლად ზემოხსენებულ საენციკლოპედიო წერილებში მხოლოდ სისხლის აღების წესი ან მთური „მეურნეობრივი პრიმიტივიზმი“ შეტანილი და ამავე დროს გამოტოვებულია იმავე ენციკლოპედიის II გამოცემის წერილიდან ქართველების შესახებ მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი ფრაზა, რომ უძველესი დროიდან ქართველები ცნობილნი არიან როგორც დახელოვნებული მიწათმოქმედნი, მევენახენი და მეტალურგები, რომ საქართველო ითვლება ხორბლის კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერად და ადრიდანვე ქართველებში მაღალგანვითარებულია სპილენძის, რკინისა და ძვირფასი ლითონების დამუშავება, მეთუნეობა, ფეიქრობა (БСЭ, II изд., т. 13).

ჩვენ ზემოთ შემთხვევით არ მოგვიყვანია კულტურის ისტორიასა და ზოგად ეთნოგრაფიაში თავის დროზე დამკვიდრებული შეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულება, რომ საწარმოო მიღწევების და ტრადიციების მიხედვით მსოფლიოს ხალხები ცივილიზებულ და პირველყოფილ ხალხებად უნდა დაიყონო. რამდენად სწორია ეს მიდგომა სხვა საქმეა, მაგრამ ფაქტია ასეთი კულტურული გრადაციები. გავიხსენოთ ბურჟუაზიული მეცნიერის ლევი-ბრიულის სიტყვები მისი გახმაურებული წიგნის — „პირველყოფილი აზროვნება“, რუსული გამოცემის წინასიტყვაობიდან: „პირველყოფილს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ ხალხებს, როგორიც არიან ავსტრალიელები, ფიჯის, ანდამანის კუნძულების მცხოვრებნი და ა. შ. როდესაც თეთრებს მოუხდათ ამ ხალხების ახლო გაცნობა, მათ ჯერ არ იცოდნენ ლითონები და მათი ცივილიზაცია მოგვაგონებდა ქვის ხანის საზოგადოებრივ წყობას“[20].

თუ ჩვენი ხალხის უძველეს კულტურას, მის კულტურულ მემკვიდრეობას შეგნებულად დავაკელით ის, რაც მის მაღალგანვითარებულობაზე პირდაპირ მეტყველებს და რითაც თავიც მოგვწონს, ცხადია, დღევანდელობის თვალსაზრისითაც წაგებულნი ვიქნებით, რადგან, კულტურული ტრადიციები ერის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს.

ჩვენ არცთუ ისე იშვიათად მოწმე ვხდებით ხოლმე შემთხვევებისა, როცა ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული წარსული ნებსით თუ უნებლიეთ მახინჯდება ან უზუსტოდ აღიქმება გარეშე დამკვირვებლის მიერ, ლიტერატურაში კი შეცდომით აიხსნება ეთნიკური ნომენკლატურა, სოციალურ-კულტურული ტრადიციები. ასეთ დროს, როგორც წესი, სინანულის გრძნობა გვიპყრობს ხოლმე და არც ჩვენი სხვადასხვა სახის რეაქცია იგვიანებს. მაგრამ, ცხადია, ესენი არ მოხდება, თუ ჩვენ პირველ რიგში ყურადღებას მივაქცევთ ჩვენსავე საინფორმაციო და სამეცნიერო პირველ წყაროებს, რომლებსაც ჩვენვე ვქმნით. აშკარაა, რომ უნდა გაძლიერდეს სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონტროლი ფართო დანიშნულების საცნობარო ლიტერატურაზეც. საქართველოს საისტორიო საზოგადოების ინიციატივით ამას წინათ ჩატარებულმა დათვალიერება-შემოწმებამ ძალზე არასახარბიელო სურათი გამოავლინა ექსკურსიამძღოლებისა და გიდების მუშაობაში, პირველ რიგში მათ ისტორიული ცოდნის სფეროში.

განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება აგრეთვე წარსულის ისტორიულ-ლიტერატურული ინფორმაციისადმი დამოკიდებულებას და გამოყენებას.

---

[20] Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, М., 1930, გვ. 3.

ეს ინფორმაცია, როგორც ვიცით, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ღირსებისაა. მაგალითად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოღვაწე არაქართველი მეცნიერები თუ მოგზაურები ყოველთვის არ ფრთხილობდნენ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებაში, ზოგჯერ შეუმოწმებლად შეჰქონდათ დასაბეჭდ ნაშრომებში შემთხვევითი, ყურმოკრული ამბები.

ეთნიკური და ეროვნული (ნაციონალური) კულტურა და ეროვნულ კულტურათა განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი

სოციალისტური მშენებლობის ეპოქაში სახელმწიფოებრივ ძირეულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს მრავალეროვანი კულტურის განვითარებას. ეს ერთდროულად თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემაა.

პრობლემის თეორიული ნაწილი ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს შეიცავს, ამ პრინციპებს ემყარება და მათ შემდგომ განვითარებას ემსახურება. პრობლემის პრაქტიკული ნაწილი ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მშენებლობისა და პროგრესის სადღეისო ამოცანების უშუალო გადაწყვეტას უკავშირდება.

თეორიისა და პრაქტიკის სწორი შეხამება, როგორც ცნობილია, საბჭოთა მშენებლობის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

ეროვნული კულტურა კონკრეტული ცნებაა, მაგრამ რთული შინაგანი აღნაგობის მქონეა და სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული, ისტორიული და სხვა რიგის მოვლენების მჭიდრო ურთიერთკავშირისა და ურთიერთზეგავლენის გამოხატულება[21]. ეროვნული კულტურის შესაცნობად ამ მოვლენების იზოლირებული განხილვა ცალმხრივობას წარმოშობს და, მაშასადამე, გაუმართლებელია.

ეროვნული კულტურა, როგორც სოციალური მოვლენა, განვითარებადია. განვითარების პროცესში კონკრეტულ ისტორიულ პი-

---

21 დ. ჩხიკვიშვილი, ერი, კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1972, გვ. 37. რ. გრძელიძე, საეროვნებათაშორისო კავშირურთიერთობა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში (საქართველოს სსრ მაგალითზე) თბ., 1975.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობებთან შეფარდებით ეროვნული კულტურა ცვლილებებს განიცდის, ივსება, მდიდრდება ანდა, პირიქით, ღარიბდება.

ეროვნული კულტურის მატარებელი ყოველთვის ადამიანთა განსაზღვრული, კონკრეტული ერთობაა. ასეთი ერთობის აღსანიშნავად სპეციალური მნიშვნელობით ქართულში ვხმარობთ სიტყვას „ერი“, რომელსაც, როგორც აქ უკვე ითქვა, თავისი წარმოშობის დრო და პირობები აქვს. ვხმარობთ სიტყვასაც „ხალხი“, მაგრამ მისი ვიწრო და განსაზღვრული მნიშვნელობით, რადგან „ხალხი“ ადამიანთა სიმრავლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელიც არის, მაგ., „ცოტა ხალხი“, „ბევრი ხალხი“, „ხალხი არ მოვიდა“, „ხალხმრავლობა“ და სხვა. ამიტომ ხალხის, როგორც კონკრეტული ერთობის აღსანიშნავი ცნებისათვის, როგორც წესი, ყოველთვის ვიყენებთ მსაზღვრელ სიტყვას და სწორედ ეს მსაზღვრელი აკონკრეტებს „ხალხის“ ზოგად შინაარსს. როდესაც ვამბობთ „ქართველი ხალხი“, „რუსი ხალხი“, „სომეხი ხალხი“, მაშასადამე, ვგულისხმობთ ადამიანთა კონკრეტულ ერთობებს, რომლებიც ისტორიულად არიან ჩამოყალიბებული და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკური ნიშნებით.

მაშასადამე, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ცნებები „ქართველი ხალხი“ და „ქართველი ერი“ ერთმანეთს ფარავდნენ და გულისხმობდნენ საერთოდ „ქართველობას“, მაგრამ, როგორც აქ უკვე დავინახეთ, „ერი“ ანუ „ნაცია“ გარკვეული ისტორიული ეპოქის პროდუქტია[22]. და ამიტომ „ერის“ ეს სპეციალური მნიშვნელობა და ხასიათი ყოველთვის გათვალისწინებული უნდა გვქონდეს.

აღნიშნული ცნებების კატეგორიაში შემოდის სიტყვაც „ეთნოსი“. როგორც ითქვა, წარმოშობით ეს ტერმინი ბერძნულია — „ეთნოსი“ ძველ ბერძნულ ენაში“ „ხალხს“ აღნიშნავდა, მაგრამ არა ზოგადად ხალხს, არამედ ხალხის განსაზღვრულ ჯგუფს, რომელსაც ცხოვრების ერთნაირი წესი ჰქონდა და, მაშასადამე, ერთ ენაზეც ლაპარაკობდა. ზოგადად ხალხის აღმნიშვნელად კი იმავე ბერძნულში იხმარებოდა „ლაოსი“, „დემოსი“ მცირეოდენი სოციალური აქცენტით. ზოგადად ხალხის აღმნიშვნელია ლათინური გავრცელებული ტერმინები „პოპულუსი“ „პუბლიკა“. დღევანდელ მეცნიერულ ნომენკლატურაში ცნება ეთნოსი დამკვიდრებულია კონკრეტული ხალხის აღსანიშნავად, როგორც მაგალითად, ქართული ეთნოსი, რუსული ეთნოსი, აზერბაიჯანელი ეთნოსი და სხვა. რომლებიც იგივეა,

---

[22] დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 7, 61, 68.

რაც ქართველი ხალხი, რუსი ხალხი, აზერბაიჯანელი ხალხი. ქართულ ენაში ეთნოსის შესატყვისია გარკვეული მნიშვნელობით ერი, მაგრამ აზრობრივი შეხვედრის მიუხედავად ეს ცნებები იდენტურნი (სავსებით მსგავსნი) არ არიან და თითოეულ მათგანში საკუთარი შინაარსი დევს. ასეთივე მსგავსება, მაგრამ კონკრეტული შინაარსობრივი განსხვავება გვაქვს ცნებებში „ეროვნული კულტურა“ და „ეთნიკური კულტურა“.

ჩვენი მიზნების შესაბამისად აქ წინ არის წამოწეული ამ ორი სპეციალური ცნების სწორედ ის ნიშანი, რომლითაც ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან და ზოგჯერ ფარავენ კიდეც ერთმანეთს. ამ გაგებით ჩვენ პირობითად ვაიგივებთ ცნებებს „ეთნიკური კულტურა“ და „ეროვნული კულტურა“. მაშასადამე, საერთო გაგებას ვდებთ გამოთქმაში „ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურა“ და „ქართველი ხალხის ეროვნული კულტურა“. ორივე შემთხვევაში საფუძვლად გამოყენებულია ისეთი საერთო მნიშვნელობის ცნება, როგორიცაა „ქართველობა“.

ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფში მიმდინარე ერთობლივი ქცევის, წეს-ჩვეულებების, კულტურის ქმნადობის პროცესები აღმოცენებული და დაფუძნებულია ამ ჯგუფის ტერიტორიულ-საწარმოო, ენობრივი და კულტურული ანუ ფსიქიკური წყობის ერთობაზე[23]. დროში მათი გადაცემა-განმეორება გამოხატული სოციალურ მემკვიდრეობითობაში წარმოადგენს იმას, რასაც ჩვენ მოცემული ეთნოსის, ფართო მნიშვნელობით ერის კულტურას ვუწოდებთ. ეთნიკურ-ეროვნული კულტურის მემკვიდრეობითობას და თაობიდან თაობაში გადაცემას — განმეორებას ტრადიციული მექანიზმი აქვს.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამა თუ იმ ხალხის იერსახე, თავისებურება, რომლითაც ის ხასიათდება და ამავე დროს ის სხვა ხალხისაგან განირჩევა ძირითადად განპირობებულია და განსაზღვრულია ტრადიციების ერთობლიობით, რაც შეადგენს იმავე ეთნიკურ-ეროვნულ კულტურას ფართო მნიშვნელობით.[24] აქვე

---

[23] Э. И. Матханова, Бытовые традиции в современных условиях, Улан-Уде, 1965, с. 3—4; მ. გეგეშიძე, ეთნოსი, ეთნიკური კულტურა, ეთნოგრაფია (თეზისები მოხსენებებისა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესიაზე, თბ., 1972).

[24] И. Ф. Дроздов, Являются ли традиции признаком нации?, «Вопросы истории», 1968, № 3, გვ. 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთი შინაარსობრივი შეხვედრისა და თანამთხვევის გამო ეთნიკურ კულტურას ზნეჩვეულებებს და ტრადიციებს სპეციალურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან არ ანსხვავებენ (შდრ სტატია—Традиция: Философская Энциклопедия, ტ. 5, გვ. 253, М., 1970, ავტორი ი. ლევადა).

საწარმოო მატერიალური, სოციალური, სულიერი ცხოვრების ტრადიციები ეროვნულ ენასთან ერთად არის ის ძირითადი ნიშნები, რომლითაც ამა თუ იმ ხალხის (ეთნოსის), როგორც ადამიანთა განსაზღვრული ერთობის, თავისებურებების შეცნობა და დახასიათება ხდება. დღეს სხვადასხვა ხალხი ეთნიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ ნიშნებით. ეს ნიშნები ერთად აღებული წარმოადგენენ ეთნიკურ და ფართო გაგებით ეროვნულ კულტურას.

ეთნიკურ-ეროვნული კულტურა მემკვიდრეობითია, თაობებს გადაეცემა. ამაშივეა მისი ტრადიციულობა. ამავე დროს ეთნიკური კულტურის ელემენტები არ არიან ერთხელ და სამუდამოდ გაყინულნი. ისინი ისტორიულ განვითარებას განიცდიან[25]. მაშასადამე, განვითარებადია მთლიანად ეთნიკური კულტურა, რომელსაც გარეგანი და შინაგანი განსაზღვრული აგებულება აქვს, მაგრამ განვითარებისა და ცვლილებების კანონსაც ემორჩილება. ამრიგად, ეთნიკურ კულტურას თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერება აქვს, ცვლილებათა უნარის მქონეა. ცივილიზაციის ეპოქაში ეთნიკური კულტურის განვითარება არ მიმდინარეობს იზოლირებულად, კარჩაკეტილობის პირობებში. ცალკეულ შემთხვევებში ეთნიკურ კულტურათა დაპირისპირება, მექანიკური და ძალდატანებითი შერწყმა, ასიმილაცია იწვევდა ამა თუ იმ ეთნიკური კულტურის დაკნინებას, ან სავსებით მოსპობას. კაცობრიობის ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი არსებობს. ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომ და გასაგებ ფარგლებში მივმართოთ ერთ-ერთ ასეთ ისტორიულ ფაქტს. ჩვენი ერის დასაწყისში ისტორიული წყაროების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს, მაშინდელი სახელწოდებით იბერიელებს, აღმოსავლეთის მხრიდან ემეზობლებოდნენ ე. წ. ალბანელები. მათი ცხოვრება დეტალურად აგვიწერა პირველი საუკუნის ბერძენმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა სტრაბონმა. ეს იყო სრულიად გამოკვეთილი კონკრეტული ეთ-

---

[25] Э. А. Баллер, Преемственность в развитии культуры, М., 1969, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკური ერთობა საკუთარი ენითა და ცხოვრების წესებით. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ალბანელები გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან. ჩანს, რომ ისინი სხვაგან არ გადასახლებულან, მაშ რა მოხდა? ალბანეთის სრული ასიმილაცია მოახდინეს კასპიისპირეთის შუაზიის ტერიტორიიდან მოსულმა თურქული მოდგმის ეთნიკურმა ჯგუფებმა, რომლებმაც გაცილებით მოგვიანებით ალბანელების ტერიტორიაზე წარმოშვეს ახალი ეთნიკური ერთობა აზერბაიჯანელებისა. ამ პროცესის საფუძვლად, ცხადია, ეთნიკურ კულტურათა შერწყმაც იგულისხმება.

მეორე ფაქტი ისევ საქართველოს ისტორიიდან — მე-16 საუკუნეში თურქეთმა საქართველოს მისტაცა სამხრეთ დასავლეთი პროვინციები, რომელთაგან მე-19 საუკუნეში მესხეთი და აჭარა ისევ დაუბრუნდა საქართველოს. რა მოხდა აქ. თურქეთი ძალდატანებით ასიმილატორულ პოლიტიკას ეწეოდა და მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური მრწამსი და თავისი ენა მოახვია ამ პროვინციებს, ქართული ეთნიკური კულტურის მოსპობა მაინც ვერ შესძლო. მნიშვნელოვნად დაკნინებული ქართული კულტურა თანდათანობით ისევ აღსდგა საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლის შემდეგ.

ახლა ვცადოთ იმ მოვლენების დახასიათება, რომლებიც დასმული საკითხის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და, რომლებსაც სრულიად განსხვავებული შინაარსი და მიმდინარეობა აქვს.

საბჭოთა კავშირში ეროვნული კულტურის განვითარების ძირითადი პრინციპები დამყარებულია ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკაზე და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე. ეს პრინციპები აბსოლუტურად გამორიცხავს ეროვნულ კულტურათა მტრულ ურთიერთდაპირისპირებას, მათ ბრძოლას, ერთი კულტურის მეორეზე გამარჯვებას, ეროვნული კულტურის დისკრიმინაციას ანუ დამცირებას.

თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული კულტურის საბჭოთა სოციალისტური კულტურის შექმნაში მონაწილეობს ძმურ ოჯახში ახალ ისტორიულ ერთობად შეკავშირებული მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი[26]. ამის საფუძველი შექმნა ექსპლოატატორუ-

---

[26] ბ. ლ უ ტ ი ძ ე, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, თბ., 1974; მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ეროვნული კულტურის განვითარების პრინციპები მოძმე ხალხთა დაახლოების პროცესში (თეზისები მოხსენებისა გამსვლელ სამეცნიე-

ლი წყობილების მოსპობამ და ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურ საწყისებზე რევოლუციურმა გარდაქმნამ. ხალხთა ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ატმოსფეროში ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა.

ამ პარტიული საპროგრამო ფორმულის მიხედვით ხორციელდება როგორც მთლიანად საბჭოთა ხალხის, ისე თითოეული საბჭოთა ერისა და ეროვნების კულტურის განვითარების მთავარი პრინციპები: საბჭოთა კულტურის სოციალისტური შინაარსი ერთიანია ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხისათვის. იგი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მოძმე ხალხთა ურთიერთდაახლოებისა და სოციალური კონსოლიდაციისა. კულტურის სოციალისტური შინაარსი გამოიხატება ნაციონალურ ფორმებში, რის საშუალებითაც სწორად აისახება ყოველივე ახალი ცხოვრებაში[27]. ნაციონალური ფორმა თავისი იდეოლოგიური მიმართულებით ატარებს მკვეთრად გამოხატულ სოციალისტურ შინაარსს. კულტურის სოციალისტური შინაარსი ამკვიდრებს და ანვითარებს ახალი საზოგადოების, ახალი ცხოვრებისაკენ მიზანსწრაფვას, რაც ყველა ერისა და ეროვნებისათვის საერთო მოვლენაა, განამტკიცებს ახალი ადამიანის ფორმირების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს, რაც ასევე საყოველთაო მოთხოვნილების საგანია ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანისათვის.

და, აი, კულტურის განვითარების ეს სოციალისტური, საერთო შინაარსი თავის ასახვასა და გამოხატულებას პოვებს კულტურის კონკრეტულ ნაციონალურ ფორმებში[28].

ნაციონალური საწყისი საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურაში ეს სტატიკური კი არა დინამიკური მოვლენაა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია განვითარება, ზრდა, ე. ი. ეროვნული კულტურა ყოველთვის მოძრაობაშია, ვითარდება. ნაციონალურის ევოლუცია მარტო იმ ფაქტორებით კი არ არის გაპირობებული, რომელიც

რო სესიაზე ცაგერში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს, თბ., 1972).

[27] დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[28] იქვე, გვ. 52, 253; Л. М. Д р о б и ж е в а, Психологические аспекты национальных отношений: в кн. «Социальное и национальное», М., 1972, გვ. 275, 280.

უშუალოდ ამ ნაციონალურს განეკუთვნება. დიდი და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში აქვს საზოგადოებრივი შეგნების საერთო ზრდას, სოციალისტური ნაციების ანუ ერების განვითარებას. ამ დებულების საილუსტრაციოდ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ მიმართავენ მრავალერიანი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ გამოცდილებას, აქედან მოჰყავთ თვალსაჩინო და მრავლისმეტყველი მაგალითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც ჩვენ საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხების ეროვნული კულტურის განვითარების საკითხს ვეხებით, ბუნებრივი იყო კონკრეტული მაგალითისათვის ქართული ეროვნული კულტურის განვითარება აგველო, როგორც ჩვენთვის უფრო ცნობილი და გასაგები მოვლენა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ მოძმე სხვა ერების კულტურის განვითარების მაგალითს მივმართავთ. ავიღოთ ეროვნული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი, როგორიცაა პროფესიული მუსიკალური კულტურა. ცნობილია, რომ პროფესიული მუსიკალური კულტურის, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგების მკვებავი წყარო ხალხური შემოქმედებაა, რომელიც, ჩვეულებრივ, საუკუნეობრივი ტრადიციების მატარებელია, მაგრამ ხალხური შემოქმედება, თვითმყოფი და ზოგჯერ განუმეორებელიც, თავისთავად ჯერ კიდევ არ არის პროფესიული. დიდ ნაწილში ხალხურ საწყისებზე დამყარებულ პროფესიულ ხელოვნებას განვითარების საკუთარი გზა და შინაგანი კანონზომიერებანი აქვს. და მართლაც, ისტორიული გამოცდილებით ყველასათვის ცნობილია დღეს უკვე მომხდარი ფაქტი, რომ ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკაში პროფესიული მუსიკალური კულტურის შენობის აგება, ამ კულტურის შექმნა დაწყებული იქნა, როგორც იტყვიან, ნული ნიშნულიდან. პირველი სიმფონიური კონცერტი ტაჯიკეთის დედაქალაქში დუშანბეში შედგა არა ასი და ორასი წლის წინათ, არამედ 1936 წელს. ამჟამად კი ტაჯიკეთში, ისე როგორც ყველა სხვა შუა აზიურ რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება ყველა მუსიკალური ჟანრი სიმღერიდან ოპერამდე. აგონდებათ ერთი ასეთი საინტერესო ფაქტიც, როცა 1934 წელს თურქმენეთის დედაქალაქში, აშხაბადში იქმნებოდა ადგილობრივი რადიოკომიტეტის მომღერალთა გუნდი, თურქმენ ქალიშვილებს რცხვენოდათ ემღერათ ჟიურის წინაშე, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა ძველებურ წეს-ჩვეულებებს. როცა ვერავითარმა ხერხმა ვერ გასჭრა, იძულებულნი გახდნენ სცენის ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაეშვათ. მაგრამ არ გასულა დიდი დრო და მომღერალთა გუნდის გარდა შეიქმნა თურქმენეთის საოპერო თეატრი, სიმფონიური ორკესტრი. მოცეკვავეთა ანსამბლი.

მაგრამ, როგორ მიმდინარეობს ეროვნული პროფესიული კულტურის განვითარების პროცესი. საბჭოთა მშენებლობის გამოცდილება აქაც გვაჩვენებს, რომ შემოქმედებითი ევოლუციის გზა შეუძლებელია საბჭოთა და მსოფლიო კულტურის მიღწევების ფართოდ ათვისების გარეშე. აქ ხაზი გაესმის სიტყვას „ათვისება", რადგან ათვისება ცოდნას გულისხმობს, ხოლო ცოდნა და მიბაძვა კი სხვადასხვა ცნებებია[29]. სხვა ხალხის ეროვნული კულტურის ცნობას, ცოდნას და მიღწევების ათვისებას სათანადო სოციალური საფუძველი სჭირდება. საბჭოთა მრავალერიან სახელმწიფოში ერთა მჭიდრო, ძმური კავშირურთიერთობაა სწორედ ასეთი საფუძველი. აქ მარტო მჭიდრო ეკონომიური კავშირი კი არ იგულისხმება, არამედ სოციალისტური საზოგადოების ადამიანების ფსიქოლოგიური გარდაქმნა და მეგობრული დაახლოება[30].

მაშასადამე, სოციალისტურ საზოგადოებაში კულტურის განვითარების აგრეთვე, მთავარი პრინციპია ეროვნული კულტურების დაახლოება და ურთიერთგამდიდრება, რაც შეგნებული ნებაყოფლობისა და ტოლფასოვანი ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მიმდინარეობს. კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ხალხის ურთიერთობის მრავალგვარი ფორმა კულტურის გაცვლის საშუალებაც იყო. ამ პროცესებს ზოგადად მიღებული სახელწოდებით „კულტურული სესხება" ეწოდება. თუ საბჭოთა ხალხების ურთიერთობის ფონზე კულტურათა ურთიერთგამდიდრების პროცესს „კულტურული სესხების" თვალსაზრისით განვიხილავთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხალხთა ურთიერთობის ახალი სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობს ლოგიკური შედეგი, რომ „კულტურული სესხების" ისტორიულმა პრაქტიკამ საბჭოთა ქვეყანაში სრულიად ახალი სოციალური შინაარსი მიიღო. ერების ურთიერთპატივისცემის სოციალისტური პრინციპი ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრების საიმედო და რეალურ ნიადაგს ქმნის. საბჭოთა ქვე-

---

[29] დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 291—292, 302; Л. Д а н и л е в и ч. О национальном и интернациональном в советской музыке, Советская культура, 20. IV. 1972.

[30] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.

ყანაში ეროვნული კულტურის განვითარება ძველისა და ახლის ჭიდილში მიმდინარეობს, კულტურის საგანძურში ნაკლები ადგილი რჩება დრომოჭმულსა და უსარგებლოს, წარმოიქმნება და მკვიდრდება ყოველივე ის, რაც თვით ამ ეროვნული კულტურის ბუნებას, მის ფორმასა და შინაარსს შეესაბამება. თავის მხრივ, საბჭოთა კულტურა, უკუაგდებს რა ყოველივე მავნესა და უცხოს, შეიმატებს და შეისისხლხორცებს იმ საუკეთესოს, რაც ცალკეულ ეროვნულ კულტურაში მოიპოვება[31]. აქ აუცილებლივ უნდა გავითვალისწინოთ ერთი ობიექტური კანონზომიერება, რომ კულტურის ელემენტის წარმოქმნა, გაჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დამკვიდრებას, ეროვნული კულტურა მაშინ მდიდრდება, როცა კულტურის ახალი ელემენტი მტკიცედ დამკვიდრდება, ორგანულად შეერწყმება ამ ეროვნულ კულტურას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ახლად წარმოქმნილი სოციალურ-კულტურული მოვლენები მაშინ იძენენ ცხოვრებისეულ ფუნქციას, როცა ისინი „შევლენ ყოფაში, კულტურაში“.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხალხთა კულტურულ ურთიერთობაში და კულტურათა ურთიერთგამდიდრების პროცესში ცნებები „კულტურის ათვისება“ და „მიბაძვა“ სრულიად სხვადასხვა შინაარსის მატარებელნი არიან. როგორც ვნახეთ, კულტურული ათვისება სათანადო ცოდნას ემყარება, ცოდნა შემეცნებიდან გამომდინარეობს, კულტურული შემეცნება ეროვნული კულტურის ფორმისა და შინაარსის შესატყვისი და შესაბამისი უნდა იყოს, სულ სხვაა მიბაძვა, რომელსაც განსხვავებული საფუძველი აქვს და ამ გზით შემოსულ კულტურის ელემენტს, მოვლენას თუ პროცესს დამკვიდრებისა და ეროვნულ კულტურაში შერწყმისა და ჩაქსოვის ნაკლები შესაძლებლობა რჩება. ნათქვამის საილუსტრაციოდ თანამედროვე ცხოვრების პრაქტიკიდან ერთი მხარეც საკმარისი იქნებოდა. ავიღოთ დღევანდელობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი მოვლენა — მოდა და მოდით გატაცება. მოდა ყოველთვის რაღაც სიახლეს შეიცავს, გარკვეული აზრითა და მნიშვნელობით მოდა კულტურული მოვლენაც არის, თავს იჩენს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგრამ მოდის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თავისებურებაა მისი გამძლეობის მეტ-ნაკლები ხანგრძლივობა[32]. მოდის გამძლეობის სისუსტე

---

[31] დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 290, 242, 244.

[32] გ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, მოდა-განვითარების ზოგიერთი სოციოლოგიური ასპექტი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, № 8, გვ. 97—98.

ერთდროულად იმის მაჩვენებელია, რომ მოდამ ვერ შესძლო ეროვნულ კულტურაში ჩართვა, მასთან შერწყმა. ეს იმიტომ, რომ ეროვნული კულტურის კონკრეტულ ფორმასა და შინაარსს ვერ შეეგუა.

მრავალფეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში, როგორიც ჩვენი დიადი ქვეყანაა, კულტურის განვითარების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთმიმართების პრობლემასთან[33].

ცნობილია, რომ კულტურა სოციალური მოვლენაა. ჩვენს ქვეყანაში კულტურის განვითარების მნიშვნელობა მის იდეურ, საზოგადოებრივ მიმართულებაში მდგომარეობს, რაც ერთდროულად ასახავს კულტურის კავშირს ცოცხალ, მუდმივად ცვალებად სინამდვილესთან. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს კულტურის ნაციონალურ საფუძვლებს, ეროვნული ტრადიციების განვითარებას.

ამის საგანგებო აღნიშვნა იმიტომაც არის საჭირო, რომ ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს მოვლენების არა სწორ, ხშირად ტენდენციურ შეფასებას, რაც გამომდინარეობს დასავლეთის რეაქციული იდეოლოგიიდან. მაგალითად, ბევრ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ჩვენი საუკუნე, რომლისათვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებულად გაზრდილი კომუნიკაციების, ე. ი. ურთიერთკავშირის სისტემა, აუცილებლად წარმოშობს ეროვნულ გაუპიროვნულობას. რადგან ადამიანები ერთი პლანეტის მცხოვრებლები არიან კულტურაც გლობალური ხდება და ამას კი ბუნებრივი, გარდაუვალი მიზეზების გამო ეროვნული ნიშნების წაშლამდე მივყევართო.

ეს შეხედულება მცდარია და ამას თვით ცხოვრებაც კარგად გვაჩვენებს, და არა მარტო ჩვენი ქვეყნის მრავალერიანი ოჯახის, არამედ სხვა ხალხების ცხოვრებაც. ჩვენს თვალწინ მიმდინარე პროცესები გვაჩვენებენ, რომ სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხების კულტურული გამოცდილების ათვისება არ იწვევს ინდივიდუალურობის წაშლას, კულტურის ეროვნულ ნეიტრალიზაციას[34].

საბჭოთა მრავალერიან ოჯახში ამავე დროს სხვა მნიშვნელოვანი პროცესიც მიმდინარეობს, ჩვენი ქვეყნის ეროვნული კულტურების განვითარების დინამიკა აუცილებლად იწვევს სხვადასხვა ეროვნუ-

---

[33] Л. м. Дробижева, დასახ. ნაშრ., გვ. 277.

[34] Б. С. Саламов, Сущность национальных традиций и диалектика их развития. Автореферат канд. дисс., Л. 1970.

ლი ელემენტის ურთიერთშეღწევას, მათ სინეთზს, ეს ბუნებრივი პროცესი გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის ურთიერთ ერთობითა და ურთიერთგაგებით.

საბჭოთა ხალხების ეროვნული კულტურების ორგანული ერთობა მიღწეული იქნა კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში თანმიმდევრული გატარებით. ეს გზა მიზნად ისახავდა ნაციონალური კულტურათა დონის გაფართოებას და მათ შემდგომ განვითარებას[35]. აქაც საბჭოთა ხალხის ცხოვრება, როგორც თვალსაჩინო უშუალო მაგალითი, უკუაგდებს ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაყალბებულ მტკიცებას თითქოს საბჭოთა კავშირში ეროვნულ კულტურათა უშუალო შინაგანი განვითარების მაგიერ ეროვნულ კულტურათა რუსიფიკაცია „ხდება". ნაციონალიზმის გაღვივების მიზნით რეაქციული იდეოლოგები გაჰკივიან ეროვნული თვითმყოფობისა და კომუნიზმის შეუთავსებლობის შესახებ. რომ თითქოს ინტერნაციონალიზმი მთავარი დაბრკოლებაა ეროვნული კულტურების განვითარების გზაზე. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „ინტერნაციონალური კულტურა ნაციონალურის გარეშე არ არის" და რომ სწორედ ინტერნაციონალიზმის თანმიმდევრული განმტკიცების წყალობით საბჭოთა კავშირში მიღწეული იქნა წინათ არასდროს არ ნახული გაფურჩქვნა კულტურისა[36].

დღეს ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარება და, თავის მხრივ, მისი მონაწილეობა მოძმე ხალხთა ეროვნული კულტურის, ასევე ერთიანი საბჭოთა კულტურის შექმნაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ნათელი გამოხატულებაა[37].

დღევანდელი ცხოვრება კიდევ უფრო ნათლად გვაჩვენებს ეროვნული კულტურის იზოლაციისა და რეზერვაციის კონცეფციის მცდარობასა და უსაფუძვლობას, რადგან „იზოლაცია" და „პროგრესი" სოციალურად ერთმანეთთან შეუთავსებელი მოვლენებია. გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის

---

[35] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ" („კომუნისტი", 1 თებერვალი, 1977, № 26).

[36] Н. Лейзеров, Социалистическая культура — культура дружбы народов, Сов. культура, 23. V. 1972.

[37] დ. ჩხიკვიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 203, 338.

შემდგომი განვითარება, რაც ხალხთა კულტურის ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს, ამავე დროს ქმნის შემოქმედებითი ევოლუციისა და რაციონალური ტრადიციების განვითარება-განმტკიცების, ასევე ახლებური გონივრული გააზრების ხელსაყრელ პირობებს და, მაშასადამე, გამორიცხავს ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების ინდივიდუალობის წაშლას, მათ ნიველირებასა და ნეიტრალიზაციას, რაც მცდარი გაგებით თითქოს გარდაუვალი მოვლენაა[38].

ეთნიკურ ტრადიციას, როგორც სოციალური ფუნქციის მქონე მოვლენას, თავისი სტრუქტურა აქვს, რომელიც განვითარებაში ცვლილებებს განიცდის[39]. ცვლილებათა როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზები შეიძლება ტრადიციის სტრუქტურის დამრღვევი აღმოჩნდეს, ან, პირიქით, ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას. ამ მოვლენის გამოცნობა მხოლოდ კომპლექსური მიდგომითა და მოვლენის არსში ღრმა ჩაწვდომით არის შესაძლებელი. ისახება დაკვირვების მრავალი საჭირო ასპექტი, როგორც, მაგალითად, ეკონომიური და სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურების ცვლილებათა გავლენა ტრადიციებზე, პიროვნებისა და სოციალური კოლექტივის ღირებულებათა ორიენტაციის ცვლილებებისა და მოდიფიკაციის გავლენები, ცხოვრებაში სიახლეთა შემოჭრის (ე. წ. ინოვაცია) შედეგები და ძველისა და ახლის ჭიდილი, თაობათა დაპირისპირება ტრადიციების შეფასებასა და დაცვაში და ბევრი სხვა. ეროვნული კულტურების შემდგომი განვითარების საქმეში დღევანდელობის ერთ-ერთი რთული პრობლემაა ტრადიციულობისა და პროფესიულობის მჭიდრო ურთიერთკავშირის შენარჩუნება.

შიში „ნაციონალური პროვინციალიზმისა“, რაშიც ამა თუ იმ ხალხის ტრადიციებისა და კულტურის თვითმყოფობის იზოლაცია და კონსერვაცია იგულისხმება და რაც, თავისთავად დაუშვებელია, ამავე დროს არ უნდა გვაკარგვინებდეს სიფხიზლისა და შეურიგებლობის გრძნობას ყოველივე დაბალხარისხოვანისადმი, რომლებმაც ხალხთა ფართო კავშირების ნიადაგზე ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის გამდიდრების მაგიერ მხოლოდ ზიანი, ზოგჯერ ეროვნული კულტურის დამანგრეველი ზიანიც შეიძლება მოიტანოს.

ყოველთვის გასათვალისწინებელია ის ცნობილი მოვლენა, რომ

---

[38] იქვე, გვ. 262.

[39] С. Есенгельдиев, Структура традиций и формы их существования, Автореферат, дисс., Фрунзе. 1968.

ამა თუ იმ ხალხის ტრადიციებს, კულტურას შეიძლება ეროვნული განუმეორებლობა ახასიათებდეს, მაგრამ ამავე დროს, თავისი ფილოსოფიური, სოციალური, ეთიკური შინაარსით ინტერნაციონალური იყოს. აქედან გამომდინარეობს ის ლოგიკური დასკვნაც, რომ ეროვნული ტრადიციების განვითარება და ეროვნულ კულტურათა დაახლოება ნიშნავს არა მათ შერწყმას, არამედ, როგორც საკუთრივ ეროვნული, ისე ინტერნაციონალური კულტურების გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებას. ამაშია საბჭოთა ხალხის პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნიკური ტრადიციები

ბუნება და აღნაგობა

საკითხზე საუბარი უნდა დავიწყოთ უშუალოდ თვით ცნება „ტრადიციის“ შინაარსობრივი მხრიდან. ტერმინი მომდინარეობს ლათინური traditio-დან, რაც გადაცემას, გადმოცემას ნიშნავს, ნაწარმოებია ზმნისაგან trado — აწმყოს პირველი პირი — გადავცემ. ლათინურიდან ევროპულ ენებში შესული ეს ტერმინი, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, საყოველთაო მნიშვნელობისად იქცა, ასევე დამკვიდრდა ის ჩვენთან ქართულ ენაშიც.

ტრადიცია ზოგადი გაგებით ერთგვაროვან ჯგუფურ ჩვევას, მოვლენას აღნიშნავს, რომელიც წარმოქმნის შემდეგ გადაიცემა დროში და განაგრძობს არსებობას. ტრადიცია შეიძლება იყოს ძველი, შედარებით ახალი, ან ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბებული. ტრადიციების არსი და მნიშვნელობა ძალიან ფართოა, რადგან იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ტრადიცია ადამიანთა ამა თუ იმ განსაზღვრული ჯგუფის, საზოგადოებრივი კოლექტივის ცხოვრებას უკავშირდება, მისი ნაწილია, ამიტომ ტრადიცია უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ, როგორც სოციალური მოვლენა.

ტრადიციები არსებობენ ყოველი ცალკე ხალხის ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა გარკვეულ დიდ ჯგუფთან. თავისი ტრადიციები აქვთ, ვთქვათ, ქართველებს, რუსებს, უზბეკებს, ესტონელებს, ფრანგებს, ესპანელებს და ა. შ., მაგრამ ტრადიციები შეიძლება ჰქონდეს ადამიანთა შედარებით მცირე კოლექტივებსაც, მაგ., საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების, სასწავლებლების, სამხედრო ნაწილებისა და სხვა მრავალი განსაზღვრული ერთეულების კოლექტივებსაც. თავისი ხასიათით ტრადიციები შეიძლება იყოს რევოლუციური, პატრიოტული, ეროვნულ-კულტურული, მხატვრული, ეთნიკური, ესთეტიკური, სამხედრო-საბრძოლო, ლიტერატურული და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ დასმული საკითხი შეეხება ამ მრავალფეროვანი სოციალური მოვლენის ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან ნაწილს — ეთნიკურ ტრადიციებს, გარკვეული აზრით — ეროვნულ ტრადიციებს. უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ტრადიცია მყარი მონაცემია, მაგრამ არა სტატიკური, არამედ დინამიკური და განვითარებადი. ეთნიკური ტრადიციის ფორმა და შინაარსი ერთად ან ცალ-ცალკე ყოველთვის განსაზღვრულია ამა თუ იმ ისტორიული პერიოდით, მისი კონკრეტული თავისებურებებით. ცოცხალ ეთნიკურ ტრადიციას აუცილებლად აქვს ფუნქცია და სწორედ ამის გამოა იგი ცოცხალ სინამდვილეში არსებული და მოქმედი. ეთნიკური ტრადიციის ფუნქცია, როგორც წესი, ცვალებადია. შეიძლება მისი თავდაპირველი მნიშვნელობა შესუსტდეს, სავსებით ჩაქრეს, განიცადოს ტრანსფორმაცია, ან განახლება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისი უნდა იყოს ერთი-ორი მაგალითიც.

ეთნიკური თავისებურების მატარებელია ქართველთა ყოფაში შემონახული ტრადიციული საახალწლო ნაძვის ხე. დღეს ეჭვს არ იწვევს ის, რომ თავდაპირველი შინაარსით საახალწლო ეს რიტუალი რელიგიური შინაარსის მატარებელი და მაშასადამე რელიგიური ფუნქციის მქონე სადღესასწაულო მოვლენა იყო. მაგრამ ისიც დადგენილია, რომ, მართალია, ეს რიტუალი ქრონოლოგიურად ძალზე ადრინდელია, მაგრამ მას დროთა განმავლობაში, ქართულ სინამდვილეში მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია ფორმითაც და შინაარსითაც. ეს ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ამ რიტუალის თავდაპირველი კომპონენტი სულაც არ იყო ნაძვის ხე, რომ ამ რიტუალში მთავარ როლს თამაშობდა ხელოვნურად შექმნილი (ზოგჯერ ბუნებრივიც) ხის ჩონჩხი ღეროთი და ტოტებით, რაზედაც სხვადასხვა ხასიათის საგნები მაგრდებოდა. ასეთი ხე ცნობილი იყო ქართულ სინამდვილეში საახალწლო ჩიჩილაკის სახელწოდებით. მაშასადამე, ჩიჩილაკი მოგვიანებით ნაძვის ხემ შეცვალა. მაგრამ ეს ცვლილება მარტო ამ რიტუალის ფორმალურ მხარეს არ შეხებია. ცვლილება განიცადა მისმა შინაარსმაც. დღეს ნაძვის ხეს რელიგიური მნიშვნელობა სულ აღარ აქვს, მაგრამ როგორც სადღესასწაულო რიტუალი, თითქმის ყველა ოჯახში მონაწილეობს. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს ტრადიციასთან, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ფორმისა და შინაარსის მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია. აშკარად ჩანს, რომ აქ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციის თავდაპირველი მნიშვნელობა თითქმის სავსებით ჩამქრალია და გარეგნულადაც მას ცვლილება, ტრანსფორმაცია აქვს განცდილი. დარჩება თუ არა ეს ტრადიცია კიდევ დიდხანს? უნდა ვიფიქროთ, რომ დარჩება, რადგან მას ოჯახური ცხოვრებისათვის სიხარული მოაქვს. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ცხოვრების დღევანდელ პირობებში ნაძვის ხის დღესასწაულმა, როგორც ორგანიზებულმა საყოველთაო გართობის ფორმამ ბავშვთა კოლექტიური მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობაც მოიპოვა.

მივმართოთ მეორე მაგალითს დღევანდელი ჩვენი ოჯახური ყოფიდან, რომელიც ასევე ეთნიკური ტრადიციების თავისებური გამოხატულებაა.

ტრადიციულად ქართულ ოჯახში ოჯახის წევრთა სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავების ნორმები მოქმედებდნენ. იმის გარდა, რომ შრომის განაწილების პრინციპზე აღმოცენებული ურთიერთობანი ოჯახის თითოეული წევრის ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს დაუწერლად განსაზღვრავდა, იყო აგრეთვე ჩვევად ქცეული ტრადიციები ოჯახის უფროსი მამაკაცის გამოყოფით პატივისცემისა, მისდამი მოკრძალებისა. პატივისცემისა და მოკრძალების ობიექტი იყო ასევე ოჯახის უფროსი ასაკის ქალი, დედა. ოჯახის უფროსი მამაკაცისადმი ასეთ ჩვევად ქცეული დამოკიდებულება ისტორიული სიღრმიდან მომდინარე მოვლენაა და, როგორც ცნობილია, მისი იურიდიული საფუძვლები ადრინდელი პატრიარქალური ურთიერთობების შორეულ მოვლენებს უკავშირდება.

სქესობრივ-ასაკობრივი და თაობათა შორის ურთიერთობის დაახლოებით ასეთივე ნორმები, რომლებიც ტრადიციებში გამოვლინდება, სხვა ხალხთა ოჯახურ ცხოვრებაშიც მოქმედებს. მაგრამ დღეისათვის თავი იჩინა ამ ტრადიციული მოვლენის ცვალებადობის პროცესმა. ევროპის მრავალ ხალხში, საბჭოთა კავშირის ასევე უმეტეს ხალხებშიც დღეისათვის უკვე ახლებურად დადგა საკითხი ოჯახის წევრთა შინაგანი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათისა. უკვე ახლებურად ჟღერს კითხვა — ვინ არის ოჯახის უფროსი. ტრადიციის ძალით და შეიძლება ინერციითაც, უმეტეს შემთხვევაში ამ კითხვას პასუხი გაეცემა, რომ ოჯახის უფროსი, ცხადია, მამაკაცია, მაგრამ დღევანდელი კონკრეტული ვითარება იმასაც გვიჩვენებს, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. საჭირო ხდება ამ ტრადიციის შინაგან სტრუქტურაში ჩახედვა, რაც ბევრ შემთხვევაში გვიჩვენებს,

რომ ეკონომიური და სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურების ცვლილებანი, პიროვნებისა და სოციალური კოლექტივის ღირებულებათა ორიენტაციის ანუ სხვანაირად სამოქმედო მისწრაფებების ცვლილებანი გავლენას ახდენენ ტრადიციებზე, წარმოშობენ ამ ტრადიციული მოვლენების შეფასების ახალ კრიტერიუმს. თუ შრომისუნარიანი ქალი, ჩვენს პირობებში პიროვნულად ანუ სოციალურად სრულიად განთავისუფლებული, მამაკაცთან თანაბრად არის ჩაბმული საზოგადოებრივ-საწარმოო შრომაში და ამასთან ერთად ეკონომიურადაც და მორალურადაც მამაკაცთან თანაბრად და ზოგჯერ უფრო მეტადაც მონაწილეობს ოჯახურ ცხოვრებაში — ახალი თაობის აღზრდაში, ოჯახური ცხოვრების მატერიალური საფუძვლების განმტკიცებაში, მაშინ შეიძლება თუ არა დაისვას კითხვა — ვინ არის ოჯახის უფროსი. იმის გამო, რომ ოჯახის უფროსობის იურიდიული საფუძველი შეიცვალა, რაც ეკონომიური და სოციალური სტრუქტურების ცვლილებიდან გამომდინარეობს, ცვლილებათა პროცესი შეეხო ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებულ ტრადიციასაც. ბევრი სხვა ხალხისაგან განსხვავებით ქართულ ოჯახში ჯერ მტკიცეა ამ საკითხის ტრადიციული გაგება, მაგრამ ამავე დროს მოსალოდნელია მისი ცვლილებაც. ჩვენ პირადად მხარს დავუჭერდით იმას, რაც ამ მხრივ ქართულ ოჯახში აქამდე იყო, მაგრამ ამ ტრადიციის გამძლეობა დრომ უნდა გადაწყვიტოს, რაშიც ისევ საზოგადოებრივმა აზრმა უნდა ითამაშოს მთავარი როლი.

ეთნიკური ტრადიციებისათვის დამახასიათებელია თვალსაჩინოება. მართლაც, სხვა, ცხოვრებისეულ მოვლენათა შორის ტრადიციების შემჩნევა და გამოცნობა ადვილია. მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ტრადიციების მეცნიერული შესწავლა, რაც, ცხადია, ტრადიციების მხოლოდ ფორმალური ნიშნების რეგისტრაციას არ ნიშნავს, გაცილებით ძნელია, რადგან ტრადიცია, როგორც განვითარებადი სოციალური მოვლენა წარსულისა და აწმყოს რთულ და ისტორიულად ცვალებად მოვლენათა კომპლექსებს უკავშირდება და შეეფარდება. აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროებაც, რომ ეთნიკური ტრადიციების მეცნიერული შესწავლისა და მათი რაციონალური ნაწილის შემდგომი განვითარების თეორიული და პრაქტიკული მიზნებისათვის აუცილებელი ხდება ტრადიციების არსში ღრმა ჩაწვდომა, ხოლო ამისათვის კი სისტემური მიდგომის გამოყენება, როცა ტრადიციის შინაგანი ელემენტები რთულ ფუნქციონალურ ურთიერთმიმართებაში განიხილებიან. მეთოდოლოგიური

საფუძველი, ცხადია, უნდა იყოს ბაზისური და ზედაშენური მოვლენების ურთიერთობის კანონზომიერება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრადიციებში ფსიქოლოგიური ელემენტების სიჭარბე საჭიროს ხდის მარქსისტულ-ლენინური დებულების სწორად მომარჯვებას, რომ ისტორიულ განვითარებაში შესაძლებელია ცნობიერება ჩამორჩეს ყოფიერებას. თავის მხრივ, ეს აყენებს ტრადიციის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხს. ყველაზე მეტად ეს მოვლენა თავს იჩენს რელიგიური ტრადიციების სფეროში, რადგან, როგორც ვიცით, ბაზისური მოვლენების ზედნაშენურ კატეგორიებში არეკვლა, ჩვეულებრივ, იწვევს რელიგიური იდეოლოგიის გახანგრძლივებულ არსებობას, რომელიც ხშირად აღარ შეესატყვისება ხოლმე არსებობის რეალურ საფუძველს. ყველამ კარგად იცის, რომ რელიგიური ტრადიციების უმრავლესობა საფუძველს მოკლებული და შინაარსშეცვლილი, იმიტაციური, რიტუალური მოქმედების გამოხატულებაა, მაგრამ, როგორც უსარგებლო ტრადიციები, ისინი მაინც განაგრძობენ არსებობას. ნათქვამთან დაკავშირებით ისევ უნდა დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ საკითხს, ე. წ. ეთნოგრაფიული გადმონაშთების შესახებ. როგორც ვნახეთ, სპეციალურ ლიტერატურაში ეთნიკური ტრადიციების აღმნიშვნელ ცნებად „ეთნოგრაფიულ გადმონაშთებსაც“ ხმარობენ, მაგრამ დღეს ეს ცნება უკვე მოძველებულად გამოიყურება და, ვფიქრობთ, შეცვლას საჭიროებს. განსაკუთრებით სიფრთხილე სჭირდება ამ ცნების გამოყენებას განვითარებაში დაწინაურებული საზოგადოებების ეთნოგრაფიული შესწავლის დროს.

როგორც თვითონ ეთნოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის ისტორიით ვრწმუნდებით „ეთნოგრაფიული გადმონაშთი“ უმეტესად არასწორად იყო გაგებული და აღნიშნავდა მაინცადამაინც პირველყოფილ-გვაროვნული ცხოვრებიდან წარმომავალ და შინაგან განვითარებას მოკლებულ მოვლენებს. ჩვენივე აზრით, ეს შეცდომა, თავის მხრივ, უკავშირდება თვით ეთნოგრაფიის საკვლევ სფეროსა და საგნის თავდაპირველ მცდარ გაგებას (მე-19 ს.), როცა ეთნოგრაფია მიიჩნეოდა ასევე პირველყოფილობის (გვაროვნულობის) შემსწავლელ მეცნიერებად. როგორც ითქვა, ისეთი „გადმონაშთური“ მასალით გატაცებას ერთხანს ადგილი ჰქონდა ქართულ ეთნოგრაფიაშიც, რამაც საფუძველი გაუმაგრა მცდარ შეხედულებას ქართველი ხალხის, გამოყოფით კი საქართველოს მთის ზოლის მოსახლეობის, პირველყოფილ-გვაროვნულ საფეხურზე ხანგრძლი-

ვად (თითქმის მე-19 საუკუნის ბოლომდე) დგომის, მთის კუთხეების დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილობის, იზოლაციის, კულ-ტურული ჩამორჩენილობის შესახებ. ასეთი ხასიათის კვლევაში, ცხადია, გამორიცხული არ იყო მოვლენების ხელოვნური არქაიზაცია და სქემატიზმი.

ამრიგად, ეთნიკური გადმონაშთი გაუგებრობათა შემცველი და გამომწვევი აღმოჩნდა და სწორედ ეს იწვევს იმის საჭიროებას, რომ იგი შეიცვალოს ცნებით „ეთნიკური ტრადიცია", რომელიც მოვლენათა განვითარების უწყვეტობას უკეთ გამოხატავს. საკუთრივ ტერმინი „გადმონაშთი" ალბათ საჭიროა დარჩეს იმ საერთო სოციალური მნიშვნელობით, როგორითაც ის დღეს საზოგადოებაში იხმარება წარსულის უარყოფითი მოვლენების აღსანიშნავად, როგორც, მაგალითად, ადამიანთა შეგნებაში „კაპიტალიზმის გადმონაშთები", „რელიგიური გადმონაშთები" და სხვ. აქ ეთნიკურობა არ იგულისხმება. სრულიად აშკარაა, რომ ეთნიკური კულტურის წარსულიც და დღევანდელი რაობაც შეიძლება მხოლოდ ეთნიკური ტრადიციებით შეფასდეს და არა გადმონაშთებით. არსებობს ამა თუ იმ ხალხის (ეთნოსის) „კულტურული ტრადიციები", „პროგრესული ტრადიციები", „რაციონალური ტრადიციები", მაგრამ არ არსებობს „პროგრესული გადმონაშთები", „რაციონალური გადმონაშთები". ამავე დროს არსებობს „მავნე, უსარგებლო, რეაქციული ტრადიციებიც". მაშასადამე, „ეთნიკური ტრადიცია" გაიგება ორივე — დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობით, „ეთნოგრაფიული გადმონაშთი" კი მხოლოდ უარყოფითით, ე. ი. ეს უკანასკნელი არ გამოდგება ხალხის (ეთნოსის) დასახასიათებელ ეთნიკურ ნიშნად. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ სპეციალური მნიშვნელობით ვამბობთ „ეთნიკური ტრადიციები", მაგრამ არ ვამბობთ „ეთნიკური გადმონაშთები".

ანთროპოლოგიური გადმონაშთების (იგულისხმება ეთნოსოციალური გადმონაშთები) თეორია თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკეს თვით ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა, რომელთაგან აღსანიშნავია სოციოლოგი დურკჰეიმი. როგორც საბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ეს კრიტიკა ძირითადად სწორი იყო, რადგან გადმონაშთების ამ თეორიაში ნათლად არ ჰქონდა პასუხი გაცემული მთავარს — გადმონაშთი, როგორც სოციალური მოვლენა, ასრულებს თუ არა რაიმე ფუნქციას იმ ახალ გარემოში, სადაც ის გადმონაშთად არის ფიქსირებული (შდრ ФЭ, 5, 1970, გვ. 253). საბჭოთა ეთნოგრაფიაში ეს საკითხი თეორიულად დამუშავებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არ არის, თუმცა გადმონაშთების კონცეფციას არცთუ
თად იყენებენ და ეყრდნობიან.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, მეტად აქტუალურს ხდის ეთნიკური ტრადიციების თანამედროვე საზოგადოებრივ განვითარებასთან მიმართების საკითხს. ეს უაღრესად ფართო და მრავალმხრივი საკითხია და ჩვენ შევეცდებით სათანადო ადგილებზე მოკლედ დავახასიათოთ მისი ზოგიერთი პრინციპული მხარე.

ზოგადი ეთნოგრაფიის შესავალის ცნობილ სალექციო კურსში, რომელიც გ. ჩიტაიას ეკუთვნის და რომელზედაც თბილისის უნივერსიტეტში მრავალი თაობა აღიზარდა, ეთნოგრაფიული გადმონაშთის ცნების რაობაც არის დახასიათებული. აქვე გარჩეულია ედ. ტეილორის თეორია ამ საკითხზე და მოტანილია ეთნოგრაფიული ყოფის მაგალითები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული სინამდვილიდან (გურია) აღებული ძალზე თვალსაჩინო და მარჯვე მაგალითი ე. წ. „მიწის გაჯერიებისა", რომელიც წარმართული აგრარული რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე წესია. ამ მოვლენის იქვე მოცემული რეტროსპექტული ანალიზი ნათელს ხდის, რომ ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ამ წესს ცვლილებები მოსვლია, გასჩენია ახალი დანაშრევები, განსაკუთრებით ქრისტიანული ხანისა, რამდენადაც „მიწის გაჯერების" ეს საწესო რიტუალი ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია დამოწმებული, როგორც ცოცხალი ფუნქციის მქონე მოვლენა და ამავე დროს ხერხდება მისი ისტორიული ცვლილებებისათვის თვალის გადევნებაც, აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს უძველეს რელიგიურ ტრადიციასთან, რომელიც, მიუხედავად ბუნებრივი სტაბილურობისა, ყოფის ცვლილებების გავლენებს განიცდის და თითონაც იცვლება.

სულ სხვა ვითარებაა ე. წ. ეთნოგრაფიული გადმონაშთების სფეროში, რომლებიც, როგორც წესი, უფუნქციო მოვლენებად გამოიყურება ცოცხალ სინამდვილეში მათი ფიქსაციის დროს. როგორც უკვე ითქვა, სწორედ ეს უფუნქციობა იყო ყველაზე სუსტი ადგილი გადმონაშთების თეორიაში, რაც კრიტიკის საგანი გახდა. საინტერესო იქნება აღინიშნოს, რომ ე. წ. „ეთნოლოგიური ნაშთის" ცნება, არსი და შინაგანი მექანიზმი აუხსნელი დარჩა ი. ჭავჭავაძეს, რომელიც ამ მოვლენას საგანგებოდ აკვირდებოდა. ივ. ჯავახიშვილი კი, როგორც ვნახეთ, გადმონაშთების პრობლემას საერთოდ არ აყენებდა, ხოლო შორეული წარმომავლობის სოციალურ მონაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს ჩვეულებრივ უწოდებდა „წარსულის მკრთალ ნაშთებს“, „ეროვ-
რეკლს“.

ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში, რომლის შექმნის 50-ე წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის ლენინურ პრინციპებზე დამყარებით ყოველი ხალხი თავის ეთნიკურ-ეროვნულ სახეს ინახავს, ავითარებს და ამავე დროს მონაწილეობს საბჭოთა კულტურის, ასევე მთელი მსოფლიოს პროგრესული კულტურის მშენებლობაში. ასეთ პირობებში, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ეთნიკურ-ეროვნული რაციონალური ტრადიციების შემდგომ განვითარებას, რაც ამავე დროს ეროვნული კულტურის აყვავებასაც ნიშნავს[1].

ჩვენ ვნახეთ, რომ ამა თუ იმ ხალხის თავისებურებას, რომლითაც ის ხასიათდება და სხვა ხალხისაგან განირჩევა, განაპირობებს ტრადიციების ანუ ეთნიკური კულტურის ერთობლიობა, ვნახეთ აგრეთვე, რომ ეთნიკური ტრადიციები გაყინული და უცვლელი კი არ არის, არამედ განვითარებადია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მაღალგანვითარებული საზოგადოების ეთნიკური ტრადიციები მოწყვეტილი და კარჩაკეტილი არ არის. ასეთი საზომით განიხილება, კერძოდ, ქართული ეთნიკური ტრადიციები. ტრადიციების განვითარებისა და ცვლილებების ეს საკითხი უკავშირდება დღევანდელი და შემდგომი მათი განვითარების ბედის პრინციპულ საკითხს. დღევანდელი ცხოვრება კიდევ უფრო ნათლად გვაჩვენებს ეროვნული კულტურის იზოლაციისა და რეზერვაციის კონცეფციის მცდარობას და უსაფუძვლობას, რადგან „იზოლაცია“ და „პროგრესი“ სოციალურად ერთმანეთთან შეუთავსებელი მოვლენებია. გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის შემდგომი განვითარება, რაც ხალხთა კულტურის ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს, ამავე დროს ქმნის შემოქმედებითი წინსვლისა და რაციონალური ტრადიციების განვითარებაგანმტკიცების, ასევე ახლებური გონივრული გააზრების ხელსაყრელ პირობებს და, მაშასადამე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გამორიცხავს ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების ინდივიდუალურობის წაშლას, მათ ნიველირებასა და ნეიტრალიზაციას, რაც მცდარი გაგებით, თითქოს გარდუვალი მოვლენაა.

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, გავიმეორებთ, შიში „ნაციონალური პროვინციალობისა“, რაშიც ამა თუ იმ ხალხის ტრადიციებისა და კულტურის თვითმყოფობის იზოლაცია იგულისხმება და, რაც თავისთავად დაუშვებელია, ამავე დროს არ უნდა გვაკარგვინებდეს სიფხიზლისა და შეურიგებლობის გრძნობას ყოველივე დაბალხარისხოვნისადმი, რომელმაც ხალხთა ფართო კავშირების ნიადაგზე ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის გამდიდრების მაგიერ მხოლოდ ზიანი, ზოგჯერ ეროვნული კულტურის დამანგრეველი ზიანიც შეიძლება მოიტანოს.

ზემოთ ითქვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებაც: ჩვენ აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ იმ ცნობილ მოვლენას, რომ ამა თუ იმ ხალხის ტრადიციებს, კულტურას შეიძლება ეროვნული განუმეორებლობა ახასიათებდეს, იყოს კონკრეტული და თვალსაჩინო, მაგრამ ამავე დროს, თავისი ფილოსოფიური, სოციალური, ეთიკური შინაარსით ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდეს[2]. შედარებით დაწვრილებით ამის შესახებ უფრო ქვემოთ არის საუბარი, მაგრამ ნათქვამის ნათელსაყოფად ერთ მაგალითს მაინც მოვიყვანთ. ქართველი ხალხის ეთნიკურ ტრადიციებში ჩვენ ყოველთვის გამოვყოფთ ხოლმე მის განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას. მაგრამ კულტურის ისტორიის ზოგადი მონაცემებით ვიცით, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი აგრეთვე სტუმართმოყვარეა, მაგრამ ეს სტუმართმოყვარეობა, როგორც სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი საყურადღებო ასპექტი, სხვადასხვა ხარისხით, სხვადასხვა სიძლიერით, ფორმითა და შინაარსით გამოვლინდება. ამას განსაზღვრავს მოცემული ხალხის ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული პირობები. მაშასადამე, თავისი ეთიკური შინაარსით სტუმართმოყვარეობა, როგორც სოციალური მოვლენა, საერთო საკაცობრიოა, ინტერნაციონალურია, მაგრამ მისი გამოვლინება ეროვნულ თავისებურებებამდე დადის. ასეა ბევრ სხვა შემთხვევაშიც. ყოველივე აქედან კი გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ ეროვნული ტრადიციების განვითარება და ეროვნულ კულტურათა დაახლოება ნიშნავს როგორც საკუთრივ ეროვნული, ისე ინტერნაციონალური კულტურე-

---

[2] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ეთნიკური ტრადიციები და თანამედროვეობა. თეზისები მოხსენებისა საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გამსვლელ სამეცნიერო სესიაზე ამბროლაურში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს, თბ., „მეცნიერება“, 1972.

ბის გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებას. ამაშია საბჭოთა ხალხის პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი[3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნიკური ტრადიციების შესწავლის მეთოდური საკითხები

ჩვენს ქვეყანაში ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სფეროში, საკუთრივ ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გვერდით, დაახლოებით სამოციანი წლებიდან იწყება და თანდათან მნიშვნელოვნადაც ფართოვდება სპეციალური საკვლევი სამუშაოები ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კონკრეტული სოციოლოგიის, სამართლისმცოდნეობის, პედაგოგიკისა და სხვა ხაზით. ეროვნული ტრადიციების შესწავლისადმი ინტერესების გაფართოება გამოწვეული იყო თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნილებებით, რაც დაკავშირებულია ტრადიციების განსაკუთრებულ როლთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ახალი ადამიანის შეგნების ჩამოყალიბების პროცესთან, მეორე მხრივ, ერის თეორიის საკითხების გაღრმავებული კვლევის საჭიროებასთან.

სამართლიანად არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ ტრადიციების პრობლემის საგანგებო, ყოველმხრივი და ჩაღრმავებული მეცნიერული შესწავლა გაფართოებას და მეთოდოლოგიურ დახვეწას მოითხოვს და ის, რაც ამ მხრივ უკვე გაკეთდა და კეთდება კეთილ დასაწყისად და შემდგომი მუშაობის სტიმულად და ბიძგად უნდა იქნეს მიჩნეული[4]. ყურადღება ამ მხრივ განსაკუთრებით გამახვილდა იმ შედარებით ადვილად შესამჩნევ მომენტზე, რომ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პრობლემებით დაინტერესებული სხვადასხვა დარგის მკვლევარები — ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, სამართლისმცოდნეები და სხვ. ზოგჯერ ამ პრობლემებს თავისი სამეცნიერო დარგის სპეციალური ინტერესებიდან უდგებიან და ამიტომ მათი კვლევის მეთოდებშიც და შედეგებშიც გარკვეული „პროფესიული გადახრა“ იგრძნობა[5].

---

[3] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ („კომუნისტი“, 1 თებერვალი, 1977, № 26).

[4] М. С. Джунусов, О диалектике развития национальных отношений в период строительства социализма и коммунизма, М., 1963, стр. 30; А. К. Алиев, Некоторые методологические вопросы исследования проблемы традиций и обычаев, в кн. «Социологический сборник», вып. I, Махачкала, 1970, стр. 310—1311.

[5] А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 311.

ამასთან ერთად, სამართლიანად გამოითქვა შენიშვნა იმის შესახებაც, რომ ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების კონკრეტული შესწავლა დღევანდელი პრაქტიკული საჭიროების მიხედვით არ არის სათანადოდ გაშლილი, რომ ხშირია ჩვენს წიგნებში და პრესის ფურცლებზე საუბარი და მტკიცება პროგრესული ეროვნული ტრადიციების გამოყენების შესახებ, მაგრამ პრაქტიკული შედეგები ამ მიმართულებით წარმოებული მეცნიერული მუშაობისა არ ჩანს, არ არის კონკრეტულად გამოკვლეული არც ასეთი ტრადიციები და არც მათი რაციონალური, პროგრესული ბუნება[6].

მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობაზე დამყარებული საბჭოთა მეცნიერული აზრის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აშკარა გახდა იმის საჭიროება, რომ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ცალკე მხარეების კვლევა და განხილვა იზოლირებულად კი არ ხდებოდეს, არამედ მათ ურთიერთკავშირში და ურთიერთმიმართებაში, მათ ერთობაში სხვა სოციალურ მოვლენებთან და მთლიანად სისტემასთან. ამას გულისხმობს ხალხური ტრადიციებისა და ჩვეულებების მრავალმხრივი და ჩაღრმავებული შესწავლა. ყოველივე ეს უშუალო კავშირშია იმასთან, რომ შესასწავლი პრობლემების კვლევაში ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები და კანონები ზემოთ აღნიშნული ცალ-ცალკე დარგების საკუთარი მეთოდოლოგიის განსაკუთრებულ სისტემას დაამკვიდრებენ[7].

მაშასადამე, ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ბუნების, მათი სტრუქტურის, განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერების, საზოგადოების ცხოვრებაში მათი როლის გაგება ბევრად არის დამოკიდებული მეთოდოლოგიაზე, ე. ი. საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოვლენათა განხილვაზე, საკვლევ მიდგომაზე და ახსნაზე.

სავსებით ნათელია, რომ ამ შემთხვევაშიც, ე. ი. ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მეცნიერულ შესწავლაში გზის გამკვლევი უნდა იყოს საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოვლენათა ანალიზისადმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მიდგომა, ხოლო ფუძემდებლური პრინციპი ამ პრობლემების კვლევაში — საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი შეგნების ურთიერთმიმართება. ტრადიციებისა და წეს-

---

[6] М. С. Джунусов, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[7] А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 311.

ჩვეულებების მეცნიერული შესწავლაც ისტორიის მატერიალისტურ გაგებას უნდა დაექვემდებაროს.

საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად ხაზგასმულია სოციალურ მოვლენათა კვლევაში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მოთხოვნის გამოყენების შესახებ, როცა სოციალური მოვლენები, როგორც შედარებით მთლიანი სისტემები, უნდა განიხილებოდნენ განვითარების თვისობრივად განსხვავებული გზებისა თუ სტადიების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით მოვლენათა დღევანდელი არსიც გავიგოთ და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებიც. ყოველივე ეს პირდაპირ ემთხვევა ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ საჭიროა შევისწავლოთ თუ „გარკვეული მოვლენა როგორ წარმოიშვა ისტორიაში, რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით დავინახოთ როგორი გახდა ეს საგანი ამჟამად". ვ. ი. ლენინის ამ აზრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პრობლემისადმი მეთოდოლოგიურად სწორი მიდგომის, მათი არსისა და მათში სინამდვილის ასახვის სპეციფიკის გამოსავლინებლად[8].

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლისადმი მიდგომის მრავალკუთხიანობა, რაც განპირობებულია მოცემული მოვლენის სხვა მოვლენებთან კავშირებისა და დამოკიდებულების მრავალგვარობით, როგორიც არიან ობიექტის ასახვა, სოციალური და ისტორიული პირობები და სხვა. მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში წინ წამოიწევს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლის გნოსეოლოგიურ-სოციოლოგიური და სტრუქტურულ-ფუნქციური ასპექტები, რომლებიც ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე ერთობლივად უნდა იქნენ განხილული, ამასთან ხაზგასმულია, რომ კვლევის ეს ასპექტები დადებით შედეგებს იძლევა მაშინ, როცა დაცულია კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა. ნათქვამის საილუსტრაციოდ სწორედ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისადმი მეცნიერული დამოკიდებულებაა გამოყენებული და ხაზგასმულია, რომ ადამიანთა შეგნებაში და მოქმედებაში ჩამორჩენილ და მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის ორგანიზაციისათვის ჯერ კიდევ ცოტაა იმის ცოდნა, რომ ტრადიციები

---

[8] А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 313 (ვ. ი. ლენინის სიტყვები ციტირებულია: В. И. Ленин, Полное собрание сочинений, т. 39, с. 67).

და წეს-ჩვეულებები სპეციფიკურ ფორმებში ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას, რომ მათ აქვთ შედარებითი დამოუკიდებლობა, აგრეთვე მემკვიდრეობითობა განვითარებაში. ყოველივე ამას მიზეზობრიობის კონკრეტულ ფარგლებში უნდა შესწავლა. ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესაცნობად საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯი აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, რაც შესაძლებელია მათი შესწავლისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით[9].

კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის დროს ტრადიციები და წეს-ჩვეულებები განიხილება როგორც პროდუქტი პირობების მთელი ერთობლიობისა, რომლებმაც წარმოშვეს ისინი და მოახდინეს გავლენა მათს განვითარებაზე. სოციალურ გარემოს გარდა თავისი მატერიალური წარმოებით, რომელიც განმსაზღვრელი ფაქტორია, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წარმოქმნაზე და განვითარებაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი და ისტორიული გარემო[10].

საზოგადოებაში ამა თუ იმ ტრადიციისა თუ წეს-ჩვეულების არსებობა ჯერ კიდევ არ იძლევა სრულ წარმოდგენას თავისთავზე. სწორედ კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა ხდის შესაძლებელს გავიგოთ რამდენად ღრმად არიან შეჭრილნი ისინი ადამიანთა შეგნებაში, რამდენად იზიარებენ მათ ფართო მასები და რამდენად ახდენენ გავლენას ეს ტრადიციები მათ მოქმედებაზე. ამისთვის საჭიროა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების კონკრეტულ-ისტორიული განვითარებისა და მათი თანმოყოლილი სოციალური ფუნქციების ცოდნა.

ხალხური ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების ისტორია რამდენადაც მკვეთრი, ნათელი და საინტერესოა, იმავე დროს ძნელად მისაწვდომია თეორიული სისტემატიზაციისათვის, რადგან მასში მოვლენათა მხოლოდ გარეგნული ქრონიკა კი არ არის აღბეჭდილი, არამედ კაცობრიობის ისტორიის მოქმედი სუბიექტის სულიერი აქტიურობის ცოცხალი, თუმცა წარსული გამოვლინება. მასში უშუალოდ აღბეჭდილია პიროვნების ემოციურ-ფსიქოლოგიური ჩამოყალიბების და განვითარების შინაგანი ლოგიკა. წარსულის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები განხილულნი უნდა იქნენ როგორც ფასეულობანი, ხოლო საკითხი წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებისა, განსაკუთრებით პროგ-

---

[9] А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 313—314.

[10] Г. В. Плеханов, Избранные философские произведения, т. I, М., 1956, с. 656.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესული ტრადიციებისა და ჩვეულებების მეცნიერული შეფასება ჩვენს პირობებში დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხია[11]. ეს იმიტომაც, რომ ხალხური ტრადიციების განვითარების ისტორიული თავისებურებებისა და როლის კონკრეტულ-ისტორიული შესწავლა გვეხმარება ტრადიციების თანამედროვე სოციალური ფუნქციებისა და საზოგადოებრივი როლის სწორად ამოხსნაში, ხოლო ყოველივე ეს ერთად სოციალური მართვის სადღეისო ამოცანებს უშუალოდ უკავშირდება.

მაშასადამე, ხალხური ტრადიციების განვითარების ისტორიული თავისებურებების შესწავლა მარტო კულტურულ-ისტორიული, მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობისა კი არ არის, მას სადღეისო პრაქტიკული ღირებულება აქვს, რამდენადაც ხელს უწყობს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და მოქმედების მექანიზმის შესწავლას. ეს კი მთავარია. ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა დიდად არის დამოკიდებული მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის სრულყოფაზე.

ამავე დროს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წარმოშობისა და განვითარების სრული სურათის შექმნის მეცნიერულ-მეთოდოლოგიური სიძნელეები ნათელს ხდიან ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების საკვლევ მუშაობაში ღონისძიებათა გაერთიანების, მეცნიერული კოოპერირების საჭიროებას.

თავისთავად თვითონ ეს საქმე — მეცნიერული შემოქმედებითი აზრის კოოპერირება მეტად ძნელია და იქნებ საკუთარ მეთოდოლოგიასაც კი მოითხოვდეს. ამ საქმის სიძნელეს კი პირველ რიგში ზემოხსენებული დარგობრივი მეთოდოლოგიების განსხვავებულობა წარმოშობს, რომლის უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენს, თუნდაც, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ პრაქტიკული ნაბიჯი, ან პირუკუ, კონკრეტულ-ისტორიული კვლევის შედეგების სოციალური განზოგადება.

ქართული ხალხური წეს-ჩვეულებებისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების საკითხი, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენში ადრეც მდგარა. არის საამისო ნიშნები უკვე ძველ წერილობით წყაროებში, აგრეთვე მომდევნო ხანების და განსაკუთრებით კი XIX საუკუნის

---

[11] А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ნაწერებში. ამ საკითხის ეთნო-ისტორიული და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა ეჭვს იწვევს და, ცხადია, სასურველი იქნება მისი დამოუკიდებელი, საგანგებო კვლევა. ამასთან, კვლევა კომპლექსური, რომელიც უკეთ წარმოაჩენს ამ საკითხში საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, ლიტერატურულ-კრიტიკულ, ეთნო-სოციალურ და სხვა ასპექტებს.

ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების საკითხი ჩვენს დროში დადგა განსაკუთრებული თვალსაზრისით. მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა სოციალისტური სახელმწიფოს ეროვნული თეორიისა და პრაქტიკის სფეროში. ამასვე დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საკავშირო მთავრობის საგანგებო ღონისძიებები.

ასეთ ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“. დადგენილება რესპუბლიკის მშრომელებმა მოწონებით მიიღეს და სავსებით სამართლიანად და დროულად მიიჩნიეს სოციალური ცხოვრების დღევანდელ საჭირბოროტო პრობლემებზე საყოველთაო ყურადღების გამახვილება. ამ დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი არსებული ვითარების განმარტებითი ნაწილიც და ამ ვითარებასთან დამოკიდებულების სამოქმედო პროგრამაც, ამიტომ აქ საჭიროდ აღარ მივიჩნევთ წამოჭრილ სოციალურ პრობლემებზე დეტალურსა და თანმიმდევრულ საუბარს. მაგრამ, ამავე დროს, გვსურს მოკლედ აღვნიშნოთ საკუთრივ ამ დოკუმენტის რაობის შესახებ, ხოლო ამის მეცნიერულ-მორალურ საფუძველს და ერთგვარ გამბედაობას კი გვაძლევს ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტის მზადებაში, რასაც საკმაო დრო დასჭირდა, პირადად ჩვენც მცირეოდენად ვითანამშრომლეთ.

ამ დადენილების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ თავისი სულისკვეთებით ის თვალსაჩინოდ შემტევია. ამას კი რეალური ახსნა აქვს. სოციალური ცხოვრების დამახინჯებანი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სფეროშიც მნიშვნელოვნად თავს იჩენენ, ხოლო ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას რესპუბლიკაში დღეს უკომპრომისო ბრძოლა აქვს გამოცხადებული. მაგრამ ამავე დროს სავსებით მართებულად ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სფეროში შემავალი სოციალური მოვლენების მნიშვნელოვანი თა-

ვისებურებანი, რომლებიც ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
მხედველობაშია მიღებული. ეს კი თავისთავად ზრდის მოვლენებისადმი მეცნიერული დამოკიდებულების საჭიროებას, რაზედაც დადგენილება საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას და კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს. ეს მხარე ამ დადგენილების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

აღნიშნულ სფეროებში მეცნიერული მუშაობის მიზანმიმართულებისა და ქმედითობის ერთ-ერთ არსებით პირობად დასახულია მეცნიერული ცოდნის კოოპერირება, პირველ რიგში კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში. ამას კი თვით საკვლევი სფეროები და კვლევის ობიექტები განაპირობებენ.

ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც დღევანდელ ცხოვრებაში მონაწილეობს, მოქმედი, ცოცხალი ფუნქციის მქონე სოციალური მოვლენებია, რომელთა სრულად შესაცნობად მარტო ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევა, ცხადია, საკმარისი არ არის, ისევე როგორც ნაკლულოვანი იქნება ამ მოვლენების მხოლოდ სოციალურ მეცნიერებათა კუთხით შესწავლა მათი ისტორიული განვითარების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად.

მაშასადამე, საქმის კარნახით საჭირო ხდება ისტორიული და სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიების ერთი მიზნისათვის დაქვემდებარება. სიძნელე ამ საქმეში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკვლევი მიდგომის დარგობრივი სხვაობიდან გამომდინარეობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელია.

უნდა ითქვას, რომ სოციალურ მეცნიერებაში დარგობრივი თანამშრომლობის პრაქტიკული გამოცდილება ჩვენს რესპუბლიკაში ფაქტიურად არა გვაქვს. მიზეზი, როგორც აღინიშნა, ამ საქმის რეალურ სიძნელეში მდგომარეობს. მეორეხარისხოვანი ფაქტორი ამ შემთხვევაში იქნებ არც ის არის, რომ საერთოდ ამდაგვარი მუშაობის მოთხოვნილება რაიმე კონკრეტულ ამოცანასთან დაკავშირებით არც ყოფილა, თითქოს ძნელია ამის თქმა, მაგრამ ფაქტია.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ისიც ვთქვათ, რომ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მეცნიერული შესწავლის საქმეშიც არ წარმოჩენილა რელიეფურად მეცნიერული აზრის დარგობრივი კოოპერირებისა და საკვლევაძიებო საქმიანობის მიზანმიმართული კოორდინაციის საჭიროება. არადა ასეთი დარგობრივი ნაყოფიერი საქმიანობა ცალ-ცალკე ნამდვილად მიმდინარეობს ეთნოგრა-

ფიული, ფოლკლორული, ლიტერატურული, ისტორიული, კონკრეტულ-სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა კუთხეებით, თუმცა, არა ერთნაირი მოცულობითა და მასშტაბით.

ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მნიშვნელოვანი თავისებურებაა, ის, რომ მათი შენახვა-დაცვა უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი აზრის ძალით. სამართლებრივი ნორმებისაგან და პრინციპებისაგან განსხვავებით, რომლებიც კანონის ფორმას ღებულობს და ცხოვრებაში მკვიდრდება როგორც სახელმწიფოს იძულებითი ძალა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები თავის წარმოქმნის დღიდან ემყარება საზოგადოებრივ აზრს, პიროვნების ზნეობრივ შეგნებას.

ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სპეციფიკა მათს განმეორებითობასა და მემკვიდრეობითობაშიც მდგომარეობს.

წეს-ჩვეულებების წარმოქმნა უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვევის ანუ საზოგადოებრივი ქცევა-მოქმედების გაჩენა-დამკვიდრებასთან. ჩვევა დროის მეტ ნაკლები ხანგრძლივობის პროცესში განმეორებების შედეგად გამომუშავებული უნარია. ჩვევა ყოფაში ჩვეულებად იქცევა. ზოგჯერ ჩვევასა და ჩვეულებას შორის იგივეობას ვხედავთ. გარკვეული ჩვეულება ანუ ქცევის ნორმა წესის სახელსაც ატარებს.

ზოგად მეცნიერებაში ჩვევა-ჩვეულების გენეზისის საკითხში ბევრი კერძო შეხედულება და მოსაზრება არსებობს. მათი უმრავლესობა იდეალისტურია. მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ამ მოვლენის კანონზომიერების ახსნა. მარქსიზმის კლასიკოსებმა ჩვევა-ჩვეულებების, როგორც სოციალურობის დამახასიათებელი ელემენტის თავდაპირველი გაჩენა საზოგადოებრივ საწარმოო პრაქტიკას დაუკავშირეს. ფ. ენგელსის თქმით, საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ძალზე ადრეულ საფეხურზე წარმოიშობა მოთხოვნა, რომ დაექვემდებაროს საერთო წესს პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და გაცვლის განუწყვეტლივ განმეორებადი აქტები და რომ იზრუნონ იმაზე, რომ ცალკეული ადამიანი დაემორჩილოს წარმოებისა და გაცვლის საერთო პირობებს. ეს წესი, ენგელსის თქმითვე, დასაწყისში თუ ჩვეულებაში გამოიხატებოდა, შემდგომ კანონად იქცა[12].

---

[12] К. Маркс, Ф. Энгельс, Избр. произведения, т. I, М., 1955, с. 576.

ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ურთიერთობის კანონ-ზომიერებათა მეცნიერულმა დადგენამ ნათელი გახადა ადამიანთა მრავალფეროვან სულიერ სამყაროში მოქცეული ჩვევა-ჩვეულებებისა და ტრადიციების ფუნქციონირების მექანიზმი და სპეციფიკა. თაობათა პრაქტიკული გამოცდილების მუდმივი გამეორების სოციალურ მნიშვნელობას მეცნიერულ-ფსიქოლოგიური ახსნა მისცა ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ სიტყვებში, რომ ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას მილიარდჯერ უნდა მიეყვანა ადამიანის შეგნება სხვადასხვა ლოგიკური ფიგურის განმეორებასთან, რომ ამ ფიგურებს შესძლებოდათ აქსიომის მნიშვნელობის მიღება[13].

მრავალჯერადი განმეორების შედეგად ზოგიერთი ცნება, იდეა თავისებურად განმტკიცდება, „გაქვავდება", გადაიქცევა აქსიომად და განაგრძობს თავისი ძალის შენახვას ხანგრძლივად, ე. ი. მაშინაც კი, როცა უკვე აღარ არსებობენ არც მათი წარმომშობი საზოგადოებრივი პირობები და არც მისი შემქმნელი ადამიანები. იმისათვის, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულმა ნორმებმა და პრინციპებმა შეიძინოს ცალკეული სოციალური ჯგუფების, კლასების, ხალხებისა თუ ერების ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ძალა, ეს ნორმები უნდა მეორდებოდეს მანამ, სანამ არ იქცევა მოთხოვნებად და ჩვევად ადამიანთა მოცემული ერთობის ჭარბი უმრავლესობისათვის[14].

ამავე დროს ჩვევისა და ქცევის ეს ნორმები, როგორც ეს ზემოთ არა ერთხელ იყო აღნიშნული, უცვლელი სტერეოტიპული მოვლენები არ არის, რამდენადაც სოციალურ მოვლენებს წარმოადგენენ და მათი „გაქვავება" განვითარებასა და ცვლილებას პრინციპულად არ გამორიცხავს.

განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, აგრეთვე იდეები, შეხედულებანი თვით საზოგადოების მიერ მკვიდრდება. ყოველივე ეს ტრადიციულ ჩვევად და ჩვეულებად რომ იქცეს, ჯერ ეს ურთიერთობანი, იდეები, შეხედულებანი რომელიმე სოციალური ჯგუფის, ფენის კლასის ან მთლიანად ამ მოცემული ერთობის — ხალხის ერის საზოგადოებრივ აზრში უნდა დამკვიდრდეს, უნდა მიიღოს და აღიაროს საზოგადოებრივმა აზრმა და შემდგომ მუდმივი მხარდაჭერა ჰქონდეს მისგანვე. მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პროცეს-

---

[13] В. И Л е н и н, Полное собр. сочин., т. 29, с. 172.

[14] შდრ. А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 338.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გამეორებებისა და მემკვიდრეობითობის წყალობით ეს მოვლენები წეს-ჩვეულებებად და ტრადიციებად იქცევა. აქვე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი დიალექტიკური ხასიათის სოციალური მოვლენაც: როცა ეს ტრადიციები და წეს-ჩვეულებები მტკიცედ დამკვიდრდებიან ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე სოციალური ერთობის შეგნებაში, თვითონვე ხდებიან საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორად.

რამდენადაც საზოგადოებრივი აზრი თავისი ბუნებით ადამიანთა კოლექტიური განსჯაა, ხოლო ტრადიციები და წეს-ჩვეულებები — სოციალური ერთობის ერთობლივი ქცევის გამოხატულება, საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებებიც ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთგანპირობებულნი არიან და მათი მოქმედებაც ერთობლივად გამოვლინდება. თუ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს საზოგადოებრივი მხარდაჭერა არა აქვთ, ისინი წყვეტენ არსებობას. საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მნიშვნელოვან პრობლემას ადრევე მიექცა ყურადღება[15]. ამანვე ხელი შეუწყო ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რამაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა საზოგადოების სოციალური მართვის სისტემაში. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად გაესმის ხაზი იმ ობიექტურ ვითარებას, რომ ტრადიციები და წეს-ჩვეულებები განუწყვეტლივ მდიდრდებიან საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში და მიმართულნი არიან არა მხოლოდ წარსულისაკენ, არამედ მომავლისკენაც. ტრადიცია საზოგადოებრივი შეგნების მდგომარეობისა და ტენდენციების ობიექტური გამოხატულებაა. სოციალისტურ საზოგადოებაში ის მარტო შემეცნებას კი არ ექვემდებარება, არამედ რეგულირებასაც, ამაში კი საზოგადოებრივი აზრი არსებით როლს თამაშობს[16].

---

[15] А. К. Уледов, Общественное мнение как предмет социологического исследования, Вопросы философии, 1959, № 3; მისივე, Общественное мнение советского общества, М., 1963; А. И. Горячева, Общественное мнение и общественная психология, Тартуский гос. универс., «Ученые записки», вып. 125, 1969; Б. А. Грушин, Мнения о мире и мир мнений, М., 1967. Минка Радева. Из опыта исследования общественной активности населения в Болгарии, Философские науки, № 1, 1970, с. 138—145.

[16] შდრ. Н. Сарсенбаев, Обычаи и традиции в развитии, Алма-Ата, 1965; В. И. Брудный, Обрядность как элемент духовной культуры, ее развитие и распространение в СССР, Автореф., Ленинград, 1967; Т. Ф. Про-

მაგრამ ცხადია, რომ საზოგადოებრივი აზრისა და ტრადიციების, როგორც სოციალური მოვლენების, სრული გაიგივება არ შეიძლება. გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი აზრის, როგორც ცნების, უფრო ფართო შინაარსი, ვიდრე ტრადიციების და წეს-ჩვეულებებისა. ცნობილია, რომ არა ყოველი საზოგადოებრივი აზრი გადაიქცევა ტრადიციად, რომ არის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იბადება საზოგადოების, კოლექტივის, სოციალური ჯგუფის არამყარი, სწრაფად წარმავალი მოთხოვნებისა და ინტერესების შედეგად. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების კვალობაზე ქრება აუცილებლობა მოცემული აზრის არსებობისაც. ამ მხრივ ტრადიციები და განსაკუთრებით წეს-ჩვეულებები მეტი სიმყარით ხასიათდებიან[17].

ცნობილია, რომ წეს-ჩვეულებების წარმოქმნა და განმტკიცება უშუალო კავშირშია სოციალურ ნორმებთან[18]. თავის მხრივ, სოციალური ნორმების წარმოშობას უშუალოდ უკავშირებენ ეთიკური ნორმების გაჩენას[19].

ეთიკური ნორმები ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დიდი ხნის ისტორიის იყოს და თავისი ფესვებით ან გენეტიკურად ეთიკურ ტაბუს უკავშირდებოდეს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეთიკური ტაბუ უკვე სოციოგენეზის უადრესი თანმხლები მოვლენაა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის მარეგულირებელი. ასეთად ასახელებენ, მაგალითად, საწარმოო სქესობრივ ტაბუს, რომელიც ზოგი მკვლევრის აზრით შეიძლებოდა გაჩენილიყო ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის ალაგმვის ეპოქაში, ე. ი. პირველყოფილი ჯოგის დროს. ამავე რიგის სხვა მაგალითების საფუძველზე მკვლევრები საერთოდ ფიქრობენ, რომ ყველა მორალური ტაბუ სტიქიურად არის წარმოშობილი ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის პროცესში იმ რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც უქმნიდა ადამიანთა კოლექტივს მისი წევრების

ничева, Традиция как социально-психологическое явление, Л., 1969; იხ. Сборник «Теоретические проблемы социального управления», вып. I ч. 2, М., 1968; Б. М. Кедров, О повторяемости в процессе развития, М., 1961.

[17] А. К. Алиев, დასახ. ნაშრ., გვ. 341.

[18] Л. П. Буева, Социальная среда и сознание личности, Изд. МГУ, 1967.

[19] Л. П. Буева, დასახ. ნაშრ., И. Л. Андреев, Генетический аспект взаимосвязи традиций и моральных норм, Философские науки, № 1, 1971, с. 31, 33.

ესა თუ ის მოქმედება. ასეთად განიხილება ზემოთ დასახელებული ფაქტიც საწარმოო სქესობრივი ტაბუს შესახებ, რადგან ადრევე პრაქტიკულად იყო შემჩნეული, რომ უწესრიგო სქესობრივი კავშირი ადამიანთა კოლექტიური საწარმოო საქმიანობის, ნადირობისა თუ სხვათა წინ, ან უშუალოდ ამ საქმიანობის პროცესში ნამდვილად ხელს უშლიდა და აფერხებდა საწარმოო წარმატებებს[20].

მაგრამ ნათქვამის განზოგადოება, ცხადია, არ შეიძლება. ეთიკურ-მორალური ნორმები, რომლებიც ხშირად კოლექტიურ ჩვევებშია გამოხატული, სოციალური მოვლენებია და საზოგადოების განვითარებასთან ერთად მუდმივ ცვლილებას განიცდის, წარმოიშობა სხვადასხვა ეპოქებში და კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, აქვს შესაბამისი ფორმა და შინაარსი. მაშასადამე, შეცდომა იქნება პირველყოფილი ცრურწმენის წიაღში წარმოშობილი ტაბუ ეთიკურ-მორალური ნორმების წარმოშობის საერთო და ერთადერთ საფუძვლად გამოვაცხადოთ.

ცნობილია, რომ ეთიკურ-მორალური ნორმების წარმოშობა-განვითარება, თავის მხრივ, სოციალურ აღკვეთებსაც უკავშირდება. არაერთჯერადი ანუ განმეორებადი სტაბილიზებული სოციალური აღკვეთა ზნეში და ჩვევაში გადადის. ამ გაგებით ზნეც და ჩვევაც (II სოციალური ჩვეულებაც) სოციალური ქცევის (მოქმედების) სტაბილიზებული ნორმებია, ანუ სოციალური ქცევის წესია.

ამ შემთხვევაში საჭიროა პირველ რიგში ანგარიში გაეწიოს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ ცხოველები ემორჩილებიან ინსტინქტებს, ადამიანი კი ჩვევებს, რომლებსაც ის იძენს[21]. სოციალური მეცნიერებები და პირველ რიგში სოციალური ფსიქოლოგია კარგა ხანია ეძებს საშუალებებს, რომ სწორად განასხვაოს ადამიანში კეთილშეძენილი თვისებები თანდაყოლილისაგან, რომლებიც არ არიან დამოკიდებული საცხოვრებელი გარემოსაგან[22]. მაშასადამე, დგება საკითხი თვით ჩვევების, როგორც სოციალურ-ისტორიული მოვლენების, წარმოშობისა და დამკვიდრების მექანიზმის, მე-

---

[20] Ю. И. Семенов, указ. соч., с. 289. აქ ავტორი ემყარება ცნობილ საბჭოთა ეთნოგრაფს ს. ტოლსტოვს, რომელმაც პირველმა წამოაყენა ეს შეხედულება (ციტირ. С. П. Толстов, Пережитки тотемизма и дуальной организации у туркмен: Проблемы истории докапиталистических обществ, 1935, 9—10).

[21] Ю. И. Семенов, Как возникло человечество, М., 1966, гл. IV и IX.

[22] Р. Пэнто, М. Гравитц, Методы социальных наук, М., 1972, с. 145.

ორე მხრივ, ამ ჩვევებთან ინდივიდის დამოკიდებულების, „ათვისების“ პროცესის შესახებ. თუ ამ შემთხვევაში მხოლოდ მსჯელობის ფორმალური მხარით დავკმაყოფილდებით, მაშინ გასაზიარებელი ჩანს ის მოსაზრება, რომლის მიხედვით ჩვევა წარმოშობის მომენტში ინდივიდუალური მონაცემია, რომელიც სოციალურ პრაქტიკაში ფართო შესვლამდე ჯერ თანდათანობით სოციალურ მოდელად უნდა იქცეს და რასაც, ბუნებრივია, თან ახლავს სხვადასხვა გამოხატულების სოციალური კონტროლი. არა სრული ანალოგიით და აგრეთვე, გარკვეული მნიშვნელობით აქ შეიძლება ენათმეცნიერებაში დადასტურებული ფაქტიც მოვიყვანოთ ენობრივი მოვლენის თავდაპირველი წარმოშობისა და მის სივრცობრივ-სოციალური გავრცელების შესახებ[23]. რაც შეეხება ინდივიდის საწყის დამოკიდებულებას სოციალური ცხოვრებისა და მოქმედების მტკიცედ ჩამოკვეთილ და მყარ ჩვევებთან, ეს პროცესი გარკვეული მნიშვნელობით ინდივიდის სოციალიზაციის პროცესის თანმხლებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ[24]. ბევრი მეცნიერი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის წარმატებათა გავლენით ადამიანის ქცევას ხსნიდა ფიზიკური თვისებებით. მაგრამ ეს თვისებები შეადგენენ არა უცვლელ ბიოლოგიურ მოცემულობას, არამედ განსაზღვრულ პროცესს. ადამიანი იბადება ადამიანის ფიზიკური მონაცემებით და ამავე დროს მენტალური შესაძლებლობით რომ გახდეს ადამიანი. ადამიანად გახდომას, მოსწრებული თქმით, სწავლა უნდა[25].

ცხადია, რომ ეთნიკური ტრადიციებისადმი საერთო მეცნიერული მიდგომა დღევანდელ პირობებში ორ განსხვავებულ მოთხოვნას უნდა ემორჩილებოდეს. პირველი ძირითადი ამოცანა იგივეა, რაც აქამდეც იდგა ქართული ეთნოგრაფიის წინაშე — ხალხური კულტურის ზოგადი და სპეციფიკური თავისებურებების გამოვლინება-შესწავლა სამეურნეო-მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების სფეროებში. დღეისათვის ქართულ ეთნოგრაფიას ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოების მდიდარი, მრავალ-

---

[23] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 310—311. საკითხთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს და ეყრდნობა იტალიელი ენათმეცნიერის ვ. პიზანის შეხედულებას В. П и з а н и, Этимология (пер. с итальянского), М., 1956.

[24] Р. П э н т о, М. Г р а в и т ц, указ. соч., с. 145—146.

[25] Р. П э н т о, М. Г р а в и т ц, указ. соч., с. 145.

ფეროვანი და ხელშესახები მეცნიერული მემკვიდრეობა აქვს, რომ-ლის კულტურულ-ისტორიული შემეცნებითი მნიშვნელობა საგან-გებო დასაბუთებას არ საჭიროებს, არც ის არის ძნელი დასანახი, რომ ქართველი ეთნოგრაფების მრავალრიცხოვან კოლექტივს, რო-მლის წევრები რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო-ეთნოგრაფი-ულ ცენტრებში მოღვაწეობენ, ხალხის ყოფისა და კულტურის თით-ქმის არც ერთი მხარე არ დაუტოვებია ხელშეუხებელი.

რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების კონკრეტულ-სოციალური კუთხით შესწავლის დროს წინასწარ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული არა მარტო მოცემული სოციალური გარემოს თავისებურებანი, არამედ უფრო ფართოდაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მატერიალური „გარსის“ სპეციფიკაც. აქ იგულისხმება ფი-ზიკური გარემო და წარმოებითი საქმიანობის კონკრეტული ხასია-თი. რატომ არის ეს საჭირო?

ცნობილია რომ ე. წ. დიდი, სახელმწიფოებრივი რელიგიების გვერდით, რომლებიც დოგმატების სისტემებზეა დაფუძნებული, არსებობს პატარა რელიგიებიც, რომლებიც უპირატესად ადგი-ლობრივი წარმოშობისა და განვითარების არიან. ეს ლოკალური რელიგიები, როგორც წესი, უშუალოდ და მჭიდროდ არიან დაკავ-შირებულნი კონკრეტულ ფიზიკურ გარემოსთან, ბუნებრივ-სამე-ურნეო პირობებთან, ამიტომ იდეებიც, რომლებშიაც თავისებუ-რად არის გადატანილი და გადატეხილი ეს „ნატურა“, აგრეთვე, კონ-კრეტულია, თავისი ფესვებით უშუალოდ უკავშირდება მატერია-ლურ ბაზისს, მიუხედავად იმისა თუ როგორი ცვლილებები განიცა-და ამ საყრდენმა. ლოკალური რელიგიების თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო მხარეა საქართველო, რომელიც ამ მხრივაც მრავალ-ფეროვანია და მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური მეცნიერული შესწავლით ი. ჯავახიშვილმა დაადგინა წარმართობის საერთო ქარ-თული ხასიათი, გამოავლინა საერთო წარმართული ქართული ღვთაებები, მაინც ქართული წარმართული რელიგიის ტერიტორი-ულ-რეგიონალური სპეციფიკა მეცნიერული დაკვირვებისა და შეს-წავლის ერთ-ერთ საყურადღებო უბნად რჩება. ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების გენეზისის შესწავლა, რაც მატერიალური და სოციალური ცხოვრების თავისებურებათა კომ-პლექსში ხდება, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს რომელი-მე კონკრეტული ხალხის ეთნოსის ისტორიულ-რელიგიური მრწამ-სის სტრუქტურისა და სოციალური ფუნქციის შესასწავლად. ნათ-

ქვამი მარტო ეთნოგრაფიის დარგის საკვლევ სფეროზე და კვლევის მეთოდოლოგიაზე არ ვრცელდება, ასევეა ფოლკლორშიაც, სხვაგანაც, მაგალითად, არქეოლოგიურ განათხარ მასალაში რომელიმე კონკრეტული რელიგიური დანიშნულების საგანი, ანთროპომორფული ან ზოომორფული გამოსახულება შეიძლება უფრო ბევრის მთქმელი და ღირებული იყოს კონკრეტულ გარემო პირობებთან მათი უშუალო კავშირის თვალსაზრისით.

საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ჩვეულების (წეს-ჩვეულების) მეცნიერული განმარტებისას მახვილი უკეთდება ამ მოვლენის, როგორც საზოგადოებრივი ან ჯგუფური სოციალური ქცევის, მემკვიდრეობითულ სტერეოტიპულობას, ე. ი. ჩვეულება განმარტებულია, როგორც ჯგუფური ქცევის სტერეოტიპული ხერხი, წესი. ამავე დროს, ხაზი გაესმის იმ მნიშვნელოვან მხარესაც, რომ ჩვეულება (წეს-ჩვეულება) სოციალურ ურთიერთობათა ძირითადი რეგულატორის ფუნქციას ასრულებს უმთავრესად ძველ, არქაულ საზოგადოებებში, რაც გაპირობებულია სოციალური ცხოვრების მეტნაკლები უძრავი ხასიათით და კულტურათა ურთიერთკავშირის სუსტი განვითარებით.[26]

მაგრამ მიმღეობითი მემკვიდრეობითობის პრაქტიკაში ჩვეულების (წეს-ჩვეულების) სტერეოტიპულობა, უკეთ სტერეოტიპულობის ხერხი, ცხადია, არ ნიშნავს თვით ჩვეულების, როგორც სოციალური მოვლენის უცვლელად მყარ, გაქვავებულ ხასიათს. ჩვეულებასაც, როგორც ყველა სოციალურ მოვლენას, ცვალებადობის თვისება და, მაშასადამე, საამისო უნარიც ახასიათებს. განსხვავებულია ამ თვისებისა და უნარის გამოვლინების ხარისხი და ფორმაც, რაც ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული პირობებით არის განსაზღვრული.

ეთნოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული კვლევა-ძიებისათვის ფასდაუდებელია ის მოვლენა, რომ ჩვეულების (წეს-ჩვეულების) როლში შეიძლება გამოვიდეს საწარმოო ჩვევები და გამოცდილებები, რასაც დაუწერელი ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ხანგრძლივი, ძველი ჩვეულებების სახით გვევლინებიან აგრეთვე, საერთო დღესასწაულები, რელიგიური წესები, რიტუალები და სხვ., რითაც შეიძლება წარსულის კონკრეტულ-ის-

---

[26] А. Б. Гофман, В. П. Левкович, Обычай как форма социальной регуляции, «Советская этнография», 1973, № 1.

ტორიული პროცესების შესწავლა[27]. ამასთან ახლოს, მაგრამ ერთგვარად განცალკევებულად დგას ასევე ფართო მნიშვნელობის მქონე მოვლენა ჩვეულებითი სამართლის სახით. ჩვეულებითი სამართალი განიხილება როგორც სტიქიურად წარმოქმნილი დაუწერელი ნორმების, ქცევის წესების, ადათების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არის ხოლმე სანქციონირებული. საბჭოთა სამართალი აღიარებს ჩვეულებით სამართალს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ხარვეზების შესავსებად, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებაში.

დადგენილია, რომ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენახვა-დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი აზრის ძალა[28]. როგორც ითქვა, სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპებისაგან განსხვავებით, რომლებიც კანონის ფორმას ღებულობს და სახელმწიფოს ხელში იძულების ძალა აქვს, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები თავისი ჩასახვიდან ემყარება საზოგადოებრივ აზრს, პიროვნების ზნეობრივ შეგნებას. თუ სამართლის ნორმები სახელმწიფოს ნებასურვილის ქვეშ კანონებად იქცევა და სავალდებულო ძალას აქედან იღებს, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, როგორც წესი, ყალიბდება თვით საზოგადოების მიერ, ადამიანთა ურთიერთობის გარკვეული გამოცდილების ცხოვრებაში დამკვიდრებით.

მაგრამ ტრადიციად რომ დამკვიდრდნენ განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, იდეები, შეხედულებანი, სამოქმედო პრაქტიკული წესები, ჯერ უნდა სოციალური კოლექტივის, სოციალური ჯგუფების, კლასების, ეროვნებების საზოგადოებრივ აზრში გაჩნდნენ, მოიკიდონ ფეხი და განმტკიცდნენ, და მხოლოდ მაშინ და ამის შემდეგ იქცევიან ისინი სამოქმედო ჩვევებად, ტრადიციებად.

---

[27] А. Б. Гофман, В. П. Левкович, დასახ. ნაშრ. В. И. Брудный, Обрядность как элемент духовной культуры, ее развитие и распространение в СССР, автореф., Ленинград, 1967.

[28] ეს საკითხი განხილულია ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში: А. К. Уледов, Общественное мнение как предмет социологического исследования, «Вопросы философии», 1959, № 3; მისივე, Общественное мнение советского общества, М., 1963; А. И. Горячева, Общественное мнение и общественная психология, «Ученые записки Тартуского госуниверситета», вып. 125, 1962; Б. А. Грушин, Мнение о мире и мир мнений, М., 1967; А. Я. Гуревич, некоторые аспекты изучения социальной истории (общественно историческая психология), Вопросы истории, № 10, 1964.

ზემოგანხილული მასალა გვარწმუნებს იმაში, რომ ეთნიკური კულტურაც და ეთნიკური ტრადიციებიც არა მარტო ისტორიული მოვლენებია, რომლებიც თითქოს დღევანდელობისათვის მხოლოდ სუფთა ისტორიულ და კულტურულ-ისტორიულ შემეცნებით მნიშვნელობას ატარებს, არამედ ცოცხალი სამოქმედო ფუნქცია აქვს და, მაშასადამე, ისინი სადღეისო სოციალურ მოვლენებს წარმოადგენს.

ზემოთ აგრეთვე იყო თქმული, რომ ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების ისტორიულობა და მიმღეობითი ისტორიული მემკვიდრეობა, მეორე მხრივ, მათი დღევანდელი სამოქმედო სოციალური ფუნქციები ეთნიკური ტრადიციებისადმი მეცნიერულ დამოკიდებულებაში მოითხოვს როგორც ისტორიული, ისე სოციალური კვლევის მიდგომისა და მეთოდების გამოყენებას.

განსხვავებული მიდგომისა და მეთოდების პირდაპირი შეერთება მექანიკური ეკლექტიზმის საშიშროებას წარმოქმნის, არც ორგანიზაციული თვალსაზრისით არის ეს ადვილი საქმე. არადა, საჭიროება მოითხოვს ორივე მხარის თანაბარ გათვალისწინებას.

ეთნიკური კულტურის ყოველი ელემენტი, ყოველი ეთნიკური ტრადიცია თავისთავად ისტორიულ-სოციალური მოვლენაა — ჩასახვისა და დამკვიდრების შემდეგ ვითარდება, სათანადო ცვლილებებიც მოუდის; ზოგჯერ ეს ცვლილებები არსებითია და თვალსაჩინო, ზოგჯერ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი და ხანგრძლივად მიმდინარე. განვითარებას და ცვლილებებს განიცდის კულტურის ელემენტის, ტრადიციის ფორმა ან შინაარსი, ხშირად ორივე ერთად. ეს პროცესები კი თავისებურ გავლენას ახდენს კულტურის ელემენტისა თუ ტრადიციის სტრუქტურაზე, ამდიდრებს ან აღარიბებს მას, უმატებს ან აკლებს მდგრადობას, სახეს უცვლის, ხშირად გადაასხვაფერებს კიდეც.

სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალურ სინამდვილეში არსებული, ე. ი. დღევანდლამდე მოღწეული ეთნიკური კულტურისა თუ ტრადიციების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მეცნიერული ცოდნა პირველ ყოვლისა გენეზისურ ძიებას მოითხოვს, დღევანდელი საჭიროების თვალსაზრისით გენეზისში თანაბრად იგულისხმება როგორც მოვლენის ჩასახვისა და ტრადიციად ქცევა-დამკვიდრების, ისე განვითარებისა და ცვლილებების გზა.

აქ ერთხელ კიდევ საჭირო იქნება ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნის გახსენება ამის თაობაზე. ის ცოცხლად შემონახულ ზნე-ჩვეულებებს, როგორც ითქვა, „ერის თანამედროვე ზნე-ჩვეუ-

ლებებს“ უწოდებდა, ხოლო თანამედროვეში კი გულისხმობდა განვითარების გზაგავლილსა და ცვლილებიან ზნე-ჩვეულებებს. განვითარების ამ პროცესების მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენის საჭიროება, როგორც ითქვა, ივ. ჯავახიშვილს ისტორიკოს-მკვლევართა უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა.

ამრიგად, ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების სრულყოფილი ცოდნისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მათი გენეზისისა და განვითარების ისტორიული სპეციფიკის ცოდნაც, რაც როგორც პრაქტიკა ადასტურებს, არცთუ იოლია. ეთნოგრაფებს, რომელთა ძირითადი ამოცანაა ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ტრადიციების კვლევა, თავისი მთავარი საკვლევი მეთოდის შესაბამისად, რეალური სინამდვილიდან, ე. ი. ეთნიკური ყოფიდან ისტორიულ სიღრმეში უხდებათ სვლა და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რეტროსპექციის ხერხებსაც იყენებენ. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მთავარი ამოცანაა ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების ისტორიული შესწავლა, მათი განხილვა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით და მათივე შეფასება, როგორც ეთნიკურ-ეროვნული ისტორიული ღირებულებისა. ეს კი გამოყენებული საკვლევი მიდგომის უშუალო და პირდაპირი შედეგია, რამდენადაც ასეთ დროს საკვლევი ინტერესები მხოლოდ წარსულისაკენ არის მიმართული.

მაგრამ როგორ მოევლოს იმავე ეთნიკურ კულტურასა და ეთნიკურ ტრადიციებს, რომლებიც ეთნოგრაფებმა მხოლოდ სიღრმის მიმართულებით შეისწავლეს, დღევანდელობის თვალსაზრისით. თუ დღევანდელ სინამდვილეში არსებული ეთნიკური კულტურაც და ეთნიკური ტრადიციებიც წარსულის მიმღეობითი მემკვიდრეობის ცოცხალი გამოვლინებებია, მაშასადამე, მათ არსებობისა და მოქმედების რეალური ფუნქციები აქვთ. მეცნიერული შესწავლის საგანიც, ამ თვალსაზრისით, ტრადიციების დღევანდელი სოციალური ფუნქციონირება უნდა იყოს, რის მიღწევაც პირველ რიგში კვლევის სოციალური ხერხების გამოყენებით შეიძლება[29].

ამრიგად, გამოდის, რომ ეთნიკური კულტურა და ტრადიციები ისტორიული მეცნიერების ინტერესების საგანიც ყოფილა და სოციალური მეცნიერებებისაც.

---

[29] Г. Ч. Марков, Советский образ жизни и проблемы этнографии, тезисы докладов всесоюзной конференции, посвященной этнографическому изучению современности, Москва — Нальчик, 1975, с. 15—16.

ნიშნავს თუ არა საკითხის ასე დასმა ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ტრადიციების მეცნიერული კვლევის მეთოდებისა და ხერხების, აგრეთვე, კვლევის საშემსრულებლო პროცედურების ურთიერთდაპირისპირებას, ხელოვნურ დაახლოებას, დაშორებას, შერწყმას, ან ურთიერთგამორიცხვას? ჩვენი აზრით, არც ერთს.

მაგრამ საკითხის დასმა წინასწარ მაინც მოითხოვს ზოგიერთი მხარის დაზუსტებას, საწყისი პოზიციის მეტი გარკვეულობისათვის, ზემოთ დასახელებულ მეცნიერებებში და პირველ რიგში ეთნოგრაფიაში. უკვე ითქვა, რომ ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების შედარებით ადრე პერიოდებში — 30-იან — 50-იან წლებში, ჩვენთან მიღებული შეხედულების თანახმად, ეთნოგრაფიის სამეცნიერო დარგი განიმარტებოდა როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე, ე. ი. პირველყოფილ-თემურ საფეხურზე მდგომი ხალხებისა და ამ საფეხურის გადმონაშთების შემსწავლელი სამეცნიერო დარგი. ამ მოვლენის მიზეზების გამორკვევა, ალბათ შორს წაგვიყვანდა და არც არის ჩვენი უშუალო მიზანი. აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ასეთი გაგება ეთნოგრაფიის დარგის სამეცნიერო მიზნებისა მარტო ქართული კი არა, ბევრად დიდი მასშტაბის მოვლენა იყო და თუ არ ვცდებით, ან არ ვაჭარბებთ, იგი მომდინარეობდა ეთნოგრაფიის სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბების პერიოდიდან, ხოლო, როგორც ცნობილია, ამ დარგის ჩამოყალიბება მთლიანად დაეფუძნა განვითარების უდაბლეს საფეხურზე მდგომი ტომების ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელთაც ევროპული მეცნიერება იმ ხანად (მე-19 ს.) ფლობდა; ცნობილია, ისიც, რომ ამ დროს შეიქმნა ეთნოლოგიის ცნებათა სისტემა და ძირითადი საცნობო აპარატი და ლექსიკონი.

საბჭოთა ეთნოგრაფიის მეცნიერულმა და პრაქტიკულმა განვითარებამ, რაც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შემოქმედებით გამოყენებას ემყარებოდა, გააფართოვა და მყარი გახადა ამ დარგის სამეცნიერო მიზნებიც, საკვლევი ბაზაც, თეორიულ-პრაქტიკული არეებიც. დღის წესრიგს თანდათან ჩამოსცილდა გვაროვნულობის, როგორც სოციალურ-კულტურული საფეხურის ძირითადი და უპირატესი კვლევა, რაც მანამდე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების თვითმიზანსაც კი წარმოადგენდა. სამაგიეროდ, მთავარი მნიშვნელობა მოიპოვა საბჭოთა ხალხების ეთნოგრაფიულმა შესწავ-

ლამ ისტორიულ განვითარებაში, ეთნიკური ყოფისა და კულტურის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებამ[30].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საბჭოთა ეთნოგრაფიის ფართო საკვლევაძიებო საქმიანობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხების ეთნიკურ-ეროვნული კულტურის ისტორიისა და თანამედროვე პირობებში მათი აყვავებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესების შესწავლას. წარმატებით მუშავდება ეთნოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. ამ რიგის საკითხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნოსის პრობლემის თეორიული დასმა და მისი კვლევის შედეგები[31].

ხალხური საწარმოო და ესთეტიკური ტრადიციებისადმი საზოგადოების თანამედროვე აქტიური დამოკიდებულების კონკრეტული და ნათელი გამოხატულებაა კომუნისტური პარტიის ზრუნვა და მისივე ხელმძღვანელობით წარმართული მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ხალხური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარებისათვის. ეს მუ-

---

[30] ცნობილი საბჭოთა ეთნოგრაფი, ამ დარგის ერთ-ერთი მესვეურთაგანი ს. ტოლსტოვი წერდა: „ბურჟუაზიულ მეცნიერებაში... ეთნოგრაფია არცთუ იშვიათად გამოდის ეთნოლოგიის ან ანთროპოლოგიის სახელწოდებით, რომელთა შემადგენლობაში შედის საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინების თითქმის მთელი კომპლექსი. ამასთან ერთად არსებობს ტენდენცია, რომ ეთნოგრაფია გაგებული იქნას, როგორც ისეთი მეცნიერება, რომელიც მხოლოდ პირველყოფილი კულტურის ისტორიით, ან ჩამორჩენილი ხალხთა აღწერით უნდა იყოს დაკავებული...

საბჭოთა ეთნოგრაფების მიერ ამჟამად მიღებული განსაზღვრება მკვეთრად განსხვავდება ჩამოთვლილთაგან. უპირველეს ყოვლისა, ეთნოგრაფია, როგორც ისტორიული მეცნიერების დარგი, სხვა ისტორიული დისციპლინებისაგან განსხვავდება არა მხოლოდ თავისი საგნით, არამედ თვალთახედვით, რომლითაც განიხილება საკვლევი მასალა. ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური სპეციფიკის, კულტურის ეროვნული თავისებურებების გამოვლინება— აი, რაში ვხედავთ ჩვენ ეთნოგრაფიული კვლევის დამახასიათებელ ნიშანს“ (С. П. Толстов, Основные задачи и пути развития советской этнографии, Краткие сообщения инст. этнографии, XII, 1950, გვ. 5).

[31] საყურადღებო აზრს გამოთქვამს პირველყოფილი არქაულობის შესახებ ი. ბრომლეი. მისი სიტყვებით „ეთნოგრაფებისათვის სულ უფრო რთული ხდება არქაული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამახასიათებელი მასალების მიღება, რადგან თითქმის აღარ დარჩა დედამიწაზე ხალხები, რომლებიც ამჟამად პირველყოფილთემურ წყობილების დონეზე იდგნენ ანინახავდნენ ამდაგვარი ურთიერთობების გადმონაშთურ ფორმებს“ (Ю. Бромлей, Наука о народах мира, ж. «Наука и жизнь», № 8, 1968, გვ. 38 ხაზგასმა ჩვენია. მ. გ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა მიზანმიმართულია და საფუძვლად უდევს ხალხური მხატვრული ტრადიციების არა მარტო შენახვა-დაცვა, არამედ საზოგადოების განვითარების სამსახურში მათი უშუალო და აქტიური მონაწილეობის იდეები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის სპეციალურ დადგენილებაში „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ტრადიციული ხალხური დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნება საბჭოთა სოციალისტური კულტურის განუყოფელი ნაწილია და იგი აქტიურ გავლენას ახდენს მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ამდიდრებს პროფესიულ ხელოვნებასა და სამრეწველო ესთეტიკის გამომსახველობით საშუალებებს[32]. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა შემოქმედება საყოველთაოდ არის აღიარებული ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. დიდი ესთეტიკური ღირსებებით გამოირჩევა ლაქის მინიატურა, ხის მოხატვა, მომინანქრება, მაქმანი, ძვლისა და ქვის ჩუქურთმა, კერამიკა, ჭედურობა, ქარვის სამკაულები, ხალიჩები და იმ სახელგანთქმული მხატვრული ცენტრების სხვა სახეობათა ნაწარმი, რომლებიც ისტორიულად შექმნილ შემოქმედებითს პრინციპებსა და შრომითს ჩვევებს იცავს. (ხაზგასმა ჩვენია. მ. გ.).

აღნიშნულ დოკუმენტში ისტორიულ შემოქმედებით პრინციპებსა და შრომით ჩვევებზე ყურადღების გამახვილება მეთოდოლოგიური მნიშვნელობის მითითებაც არის. აქ მახვილი უკეთდება მხატვრული შემოქმედების პრინციპებისა და სტილის ისტორიულ ქმნადობის საწარმოო დასაყრდენს, რომელიც შრომით ჩვევებში ჰპოვებს გამოხატულებას. ისტორიული შრომითი ჩვევები კი იგივე საწარმოო ტრადიციებია. ხალხური საწარმოო ჩვევები ანუ ტრადიციები და მოცემული დარგის მხატვრული შემოქმედების პრინციპები თავის ისტორიულ განვითარებაში ურთიერთგანმსაზღვრელ კავშირში იმყოფებიან.

აქ ნათქვამი, ერთდროულად, საერთოდ ტრადიციებისა და კერძოდ, საწარმოო ტრადიციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებასაც გაგვახსენებს, რაზედაც ზემოთ იყო თქმული. ამ შემთხვევაში, ე. ი. ხალხური მხატვრული სარეწის რომელიმე დარგში შრომითი ჩვევებისა და შემოქმედებითი პრინცი-

---

[32] სკკპ ცენტრალურ კომიტეტში — „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 27 თებერვალი, 1975, № 49 (16175).

პების ისტორიული ქმნადობა ვიწრო და იზოლირებული მოვლენა
ეროვნული ბიბლიოთეკა
არ არის, არამედ მატერიალური და სულიერი ცხოვრების, სოციალური გარემოს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან დაკავშირებული და მათგანვე თავის საფუძვლებში განსაზღვრული. სხვაგვარად ეს იმასაც ნიშნავს, რომ ხალხური ტრადიციული მხატვრული შემოქმედების რომელიმე ნიმუშის შესაფასებლად და მისდამი გარკვეული დამოკიდებულების შესაქმნელად არ არის საკმარისი ამ ნიმუშის დღევანდელი მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე შექმნილი ცოდნა. ეს ცოდნა პირველ რიგში განმტკიცებული უნდა იყოს ხალხური ყოფის ისტორიით, მატერიალური და სულიერი ცხოვრების კულტურულ-ისტორიული თავისებურებების, შემოქმედებითი პირობებისა და სიტუაციების ისტორიული მახასიათებლებით, რომლებშიაც ჩვენთვის საინტერესო პროცესი ისტორიულად მიმდინარეობდა. პარალელურად საჭიროა ხალხური შემოქმედებითი ძალების ახალი გამოვლინება, ხალხური შემოქმედების ცენტრების მიგნება, შესწავლა. ეს ერთი შეხედვით თითქოს ძნელი არ ჩანს, მაგრამ, როგორც ამას ჩვენი ცხოვრების პრაქტიკა გვიჩვენებს, მისი განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ არის, რომ ხალხური მხატვრული სარეწების დღევანდელ განვითარებაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა შორის ზემოთ აღნიშნული დადგენილება ამ მხარეზედაც საგანგებოდ მიუთითებს. კერძოდ, მხატვრული სარეწების ორგანიზებულ საქმიანობაში ნაწარმის რაოდენობრივი ზრდით გატაცებამ უარყოფითად იმოქმედა მის მაღალ მხატვრულ დონეზე, შემცირდა უნიკალურ ნაწარმოებთა შექმნა, ჯეროვნად არ ფასდება ხალხური ოსტატის, როგორც ხალხური სარეწის ცენტრალური ფიგურის როლი, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ხალხურ ოსტატთა შემოქმედებით საჭიროებებს, ბევრი საწარმოს სამხატვრო საბჭოები თავიანთ საქმიანობას შემოფარგლავენ ნიმუშების განხილვით, ავიწყდებათ კოლექტივების შემოქმედებითი განვითარება, მათი ესთეტიკური თავისთავადობის დაცვა.

ზემოთ, ეთნიკური კულტურის სტრუქტურის საკითხებზე მსჯელობის დროს, ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდან აღებული რამდენიმე მაგალითის მიხედვით მეტ-ნაკლებად გამოჩნდა ხალხური კულტურის ისტორიისა და ტრადიციების სფეროში მეცნიერული ეთნოგრაფიული კვლევის საგნობრივი მიმართება, მეთოდოლოგია, კვლევის ტექნიკა, შედეგები. ეთნიკური ყოფისა და კულტურის

ყველა ცალკე მოვლენის თუ მოვლენათა ერთობლიობის კომპლექსური შესწავლა კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით, როცა ბაზისური და ზედნაშენური კატეგორიები ურთიერთკავშირში განიხილება, მეცნიერული მიზანწვდომის ყველაზე რეალური შესაძლებლობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური ტრადიციებისადმი თანამედროვე დამოკიდებულების პრობლემები

(ზოგადი საკითხები)

ხალხური ტრადიციები ანუ იგივე ეთნიკური ტრადიციები მოცემული კონკრეტული ხალხის (ეთნოსის) ისტორიული განვითარების პროდუქტია და, მაშასადამე, ზოგადად ამ ხალხის კულტურას, მის თავისებურებებს, დონეს, გამოხატავს. სოციალური თვალსაზრისით ეთნიკური ტრადიცია არის საზოგადოებრივი წარმონაქმნი, სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი — ადამიანთა ჯგუფური მოქმედების გამოხატულება, განმეორებადი დროში, ხშირად თაობიდან თაობაში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მცდარია შეხედულება, რომ თითქოს ტრადიცია არის არა კონკრეტული სოციალური მოვლენა და ადამიანთა კონკრეტული, ერთობლივი ქმედება, არამედ ამ მოვლენის — ქმედების დროში, თაობიდან თაობაში გადაცემის უბრალო მექანიზმი.

ეთნიკური ანუ ხალხური ტრადიცია, როგორც სოციალური მოვლენა, დინამიკურია, აქვს ცვალებადობისა და განვითარების უნარი, ამიტომ ასევე მცდარია შეხედულება, რომ თითქოს ხალხური ტრადიცია ადამიანთა ერთობლივი მოქმედების უცვლელი სტერეოტიპი იყოს. ასეთი მოჩვენებითობის ნიადაგს ქმნის ხალხური ტრადიციების დიალექტიკური ბუნება, გამოხატული მის სტაბილურობასა და დინამიკურობაში.

განვითარებულ, კულტურულად დაწინაურებულ საზოგადოებაში ხალხური ტრადიციების ცვლილებების, შევსების, გამდიდრების პროცესი კანონზომიერი მოვლენაა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა საერთოდ საზოგადოებრივი პროგრესი. ზემოთ, აგრეთვე, უკვე ითქვა, რომ შეფერხებული სოციალურ-კულტურული პროგრესის მაგალითს წარმოადგენენ ე. წ. „ტრადიციული საზოგადოებები“ — განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ტომები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც ცხოვრება თითქმის მთლიანად ტრადიციების ერთობლიობაზეა დაფუძნებული, ხოლო ტრადიციები ნელა იცვლება.

ხალხური ტრადიციების, როგორც სოციალური მოვლენების, ცვალებადობის კანონზომიერება, მათი დიალექტიკური ბუნება ტრადიციებისადმი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური დამოკიდებულების შესაბამის მოთხოვნებს აყენებს: ისტორიული თვალთახედვით ხალხური (ეთნიკური) ტრადიციები უნდა განიხილებოდეს მოცემული ხალხის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მთელ პროცესთან მჭიდრო კავშირში ამ ტრადიციების იმ დროს მოქმედი, ცოცხალი სოციალური ფუნქციის მეცნიერული სწორი შეფასებით სხვადასხვა სოციალურ-ისტორიული საფეხურის მოვლენებთან და ტერიტორიულ-რეგიონალურ სპეციფიკასთან ურთიერთმიმართებაში. მაშასადამე, საჭიროა ტრადიციების კონკრეტულ-ისტორიული კვლევა.

დღევანდელობის თვალთახედვით, ხალხური ტრადიციები ასევე უნდა განიხილებოდეს მათი ცოცხლად მოქმედი სოციალური ფუნქციის მიხედვით საზოგადოების ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფებში. ტრადიციის სოციალური ფუნქციის შეფასება უნდა ხდებოდეს ე. წ. სოციალურ ღირებულებათა შუქზე, რაც ეთნიკური ტრადიციების სოციალური გაზომვის შესაძლებლობას ქმნის. ტრადიციების დინამიკური ბუნება და ცვალებადობის უნარი იძლევა აგრეთვე მათს შემდგომ განვითარებაში, გამდიდრებაში, გამრავალფეროვნებაში საზოგადოებრივი აზრის დონეზე გონივრული და მიზანმიმართული ჩარევის შესაძლებლობას. ეს კი საზოგადოების სოციალური მართვის სადღეისო ამოცანების ერთ-ერთი არსებითი მხარეა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. მავნე, დღევანდელობისათვის უკვე შეუფერებელ, ასევე ტრანსფორმირებულ, ფსევდოტრადიციებს საზოგადოების აქტიური შებრძოლება სჭირდება, ხოლო დაცვას, თვალისჩინივით გაფრთხილებას და შემდგომ განვითარებას მოითხოვს ისეთი ტრადიციები, რომელთაც ერის საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს და მის ეთნიკურ-ეროვნულ სახეს განსაზღვრავს. აქ საჭიროა გამეორება ზემო თქმულისა, რომ ეთნიკური ტრადიციების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტების ერთობლივი შეფასება წამოჭრის კერძო, მაგრამ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზოგადთეორიულ საკითხს ე. წ. „გადმონაშთების“ შესახებ. ეთნოგრაფიის დარგის მეცნიერულ საცნობო აპარატში და ლექსიკონში დაზუსტებას მოითხოვს „გადმონაშთის“ და

„ეთნიკური ტრადიციის“ რაობის გაგება და მათი ურთიერთმიმართება. „გადმონაშთის“ ცნების ცალმხრივი საზოგადოებრივი ჟღერადობა (არ ვამბობთ „ხალხური გადმონაშთები“ ან „საუკეთესო გადმონაშთები“) თავისთავად უკვე ზღუდავს ამ ცნების ეთნო-ისტორიული და ეთნო-კულტურული მიზანდასახულობით გამოყენებას და ფრთხილ დამოკიდებულებასაც მოითხოვს, განსაკუთრებით კი თავისი განვითარებით დიდად წინ წასულ ეთნიკურ ერთობაში. არადამაჯერებელი და უსაფუძვლოა ცივილიზებულ ეთნიკურ სამყაროში განვითარების კონკრეტულ სოციალურ-ისტორიული ფორმების გაუთვალისწინებლად და მხოლოდ „გადმონაშთებზე“ დაყრდნობით პირველყოფილობის სოციალური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების სრული მოდელირება-რეკონსტრუქცია.

ეთნიკური ტრადიციების კულტურულ-ისტორიული და თანამედროვე, სოციალური თვალსაზრისით ერთობლივი შესწავლა, რაც კომპლექსურობას ითხოვს, რთული საქმეა. არც საამისო მეთოდიკები მოგვეპოვება, რომ კვლევის შედეგების მიხედვით მაინც შეიძლებოდეს კონკრეტული მეცნიერული მიდგომის სარგებლიანობისა და ეფექტის შესახებ მსჯელობა.

მიუხედავად ამისა, წიგნში წარმოდგენილი თეორიული და ემპირიული მასალების მიხედვით, აგრეთვე ჩვენი მცირეოდენი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, მაინც ვცდილობთ მკითხველის ყურადღება ცოტა ხნით შევაჩეროთ ამ საკითხებზე და ზოგიერთი კონკრეტული დაკვირვების შედეგი შევთავაზოთ. ვიმეორებთ, ეს იქნება ჩვენი ერთგვარი ცდის გაზიარება.

ამ შემთხვევაში მივმართავთ ჩვენი მუშაობის გამოცდილების მაგალითს, რაც უკავშირდება რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე სამეურნეო რაიონის წითელწყაროს რაიონის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენის სამუშაოებში მონაწილეობას. როგორც ცნობილია, გეგმა მომზადდა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის რჩევით და ხელის შეწყობით. გეგმა კომპლექსურია და რთული სტრუქტურის მქონე, რადგან იგი აერთიანებს სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების თითქმის ყველა მხარეს. გეგმა დაეფუძნა წინასწარი დარგობრივი გამოკვლევების შედეგებს.

გამოკვლევის ფართო პროგრამაში სათანადო ადგილი დაიჭირა სოციალურ-კულტურული საკითხების შესწავლამ, რაშიც, თავის მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რაიონის მოსახ-

ლეობის სოციალურ-ისტორიულ და ეთნო-კულტურულ დახასიათებას.

ასეთ მასალას, ცხადია, მარტო ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი მომავალ გეგმას პირველ რიგში დღევანდელი პრაქტიკული კუთხით დაუკავშირდა. რაიონის ეკონომიური და ტერიტორიული ორგანიზაციის სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში საჭირო იყო დასახლების არა მარტო ტოპოგრაფიულ-მორფოლოგიური, არამედ სოციალურ-კულტურული თავისებურებებისა და ტრადიციების ცოდნა და გათვალისწინება. აქტიური დაკვირვების სფეროში მოექცა რაიონის სოფლების ტერიტორიულ-გეორგაფიული სტრუქტურა. საკარმიდამო გარემოს აღნაგობა და მეზობლური სოციალური ურთიერთობის ტრადიციები. ეს საკითხები, თავის მხრივ, პირდაპირ დაუკავშირდა რაიონის მოსახლეობის წარსულს, დასახლებისა და სოფლების განაშენიანების ისტორიას, საოჯახო და სასოფლო სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციებს. ტრადიციები შერჩევის წესით აღირიცხა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი სოციალური ფუნქციის მქონე ტრადიციები შესწავლილი და განხილული იქნა კულტურულ-ისტორიული[1] და თანამედროვე სოციალური თვალსაზრისითაც[2].

ადგილზე გამოვლინებულმა მასალამ, რომლის ანალიზი სოციალურ-ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ საკითხთა კომპლექსში მოხდა, წინ წამოსწია შედარებით ძლიერი სოციალური ფუნქციის მქონე მოვლენები, რომლებთან აქტიურ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას არა მარტო სადღეისო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, არამედ ყურადღებას მოითხოვს, როგორც სოციალური მართვის ობიექტები ახლო მომავლისთვისაც. სწორედ ამიტომ ტრადიციებთან საზოგადოებრივი დამოკიდებულების საკითხს წითელწყაროს რაიონის პერსპექტიული სოციალური განვითარების გეგმაში ცალკე თავი მიეძღვნა, რომელშიც ტრადიციების არსებული მდგომარეობის მიხედვით ემპირიულ დახასიათებას თან ახლავს ანალიზის შედეგები, პრაქტიკული წინადადებები და საპროგნოზო მასალა.

---

[1] ამ ნაწილში საველე დაკვირვებას აწარმოებდნენ მეცნიერ თანამშრომლები ნ. მაისურაძე, ჟ. ერიაშვილი, მ. ბულეიშვილი, რ. თოფჩიშვილი.

[2] აქ დაკვირვება ჩაატარეს მეცნიერ თანამშრომლებმა მ. ბექაიამ, ტ. კინკაძემ, ა. კაცაძემ, გ. სულაძემ ი. კეცხოველმა, ნ. კერესელიძემ. სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა მ. გეგეშიძე.

ყველაფრის დეტალურად აქ წარმოდგენა შეუძლებელია ეროვნული ბიბლიოთეკა
არც არის აუცილებელი. წიგნის ამ ნაწილის კონკრეტული მიზნის შესაბამისად აქ მხოლოდ რელიგიური ტრადიციების სფეროს გამოვყოფთ და შევეცდებით როგორც მეთოდიკური, ისე პრაქტიკული საკითხების დახასიათებას.

რაიონში ძირითად სამუშაოებზე ბევრად ადრე ჩატარებულმა წინასწარმა საველე-დაზვერვითმა სოციალურმა დაკვირვებამ, რასაც სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიით პილოტაჟსაც უწოდებენ, ნიადაგი მოამზადა გაფართოებული კვლევის პროგრამისათვის, საკუთრივ რელიგიური ტრადიციების სფეროში.

ეთნიკური ტრადიციების კონკრეტული ეთნოგრაფიული და სოციალური შესწავლა

კვლევის ზოგიერთი შედეგი

წითელწყაროს რაიონში ჩატარებულმა წინასწარმა დაკვირვებამ ისევ დაადასტურა ჩვენთვის ადრევე ცნობილი ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურება, რაც აქაური განსახლების ისტორიასა და დღევანდელ მდგომარეობასთან, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან და საზოგადოებრივ-საოჯახო ტრადიციებთან არის დაკავშირებული.

რაიონის ტერიტორიის დასახლება თავისებურია. ამ ვრცელ ტერიტორიაზე, რომლის მთავარ გეოგრაფიულ არეალს შირაქის ველი წარმოადგენს, და, რომელსაც ემატება ალაზნისა და ივრის მდინარისპირეთი, მოსახლეობა სამ მთავარ, კომპაქტურ ჯგუფად არის წარმოდგენილი. ესენია, პირობითი სახელწოდებით, „ქიზიყური ზოლი“, „წითელწყაროს ჯგუფი“ და „ქედების ზოლი“. თითოეულ ჯგუფში 3—4 სოფელია გაერთიანებული. ეს ჯგუფები ტერიტორიულად საგრძნობლად არიან ერთმანეთისაგან დაშორებული საშუალოდ 15—20 კმ-ით, ხოლო ქიზიყური ზოლისა და ქედების ზოლის ურთიერთდაშორება დაახლოებით 40 კმ შეადგენს.

რაიონის მოსახლეობა ეთნიკურად ნაირგვარია: უმეტეს ნაწილს ქართველები შეადგენენ (95 %), აქვე ცხოვრობენ რუსები (2 %), სომხები (1 %), ბერძნები (1 %), ოსები და სხვ. საკუთრივ ქართული მოსახლეობა დასახლების ისტორიით შინაგანად განსხვავებუ-

ლია. მოსახლეობის ძველი, ქიზიყური ნაწილის გარდა, აქ ცხოვრობენ მე-19 საუკუნის ბოლოდან სხვადასხვა დროს კომპაქტურად ჩამოსახლებული ფშავლები, მთიულები, ხევსურები. ყოფისა და კულტურის კუთხური თავისებურებანი განსაკუთრებით საოჯახო ტრადიციებში და რელიგიურ წეს-ჩვეულებებში, მათ კიდევ შემორჩათ. რუსები, სომხები, ბერძნები, ოსები ეთნიკურად აგრეთვე კომპაქტურად ცხოვრობენ და საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებანი მათთანაც თვალსაჩინოა. ამავე დროს შეიმჩნევა მათი ეთნიკურ-ეროვნული კულტურის ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი, ისევე როგორც ახალი საერთო კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებაც.

რაიონის ეს ნაირგვარი ეთნოგრაფიული სურათი სპეციალური პროგრამით იქნა შესწავლილი. ბევრი მოქმედი ტრადიცია კი პერსპექტივით შეფასდა.

აქ ცალკე გამოვყოფთ და შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით რელიგიური ტრადიციების შესწავლის ხერხებსა და შედეგებზე.

საკვლევი ჰიპოთეზა იყო: რაიონის მოსახლეობის რელიგიურ შეხედულებათა ნაირგვარობა, რწმენა-წარმოდგენების განსხვავებული სოციალური გამძლეობა, რწმენის ცვლილებათა შესაძლებლობა.

საკვლევი პროგრამა დაუკავშირდა რაიონის სოციალურ-ეკონომიური და სოციალურ-კულტურული განვითარების ძირეულ საკითხებს, განსაკუთრებით მოსახლეობის საწარმოო დასაქმების სტრუქტურას და ღირებულებითი ორიენტაციების ხასიათს. პროგრამამ სპეციალურად მოიცვა საკითხები: რელიგიურ შეხედულებათა და რწმენა-წარმოდგენების საერთო ხასიათი მოცემულ რეგიონში, წინაქრისტიანული და ქრისტიანული რელიგიების ურთიერთმიმართება, ლოკალური „მიკრორელიგიები", ფიქსირებული და მოქმედი რელიგიური დღესასწაულების სოციალური მასშტაბი და მათი ადგილი და როლი საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რელიგიისადმი რაიონის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულების ხასიათი და დონე სქესობრივ-ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებში, თაობათა დამოკიდებულება რელიგიური ტრადიციებისადმი, მორწმუნის სოციალური პორტრეტი, ცრურწმენები თანამედროვე ყოფაში, ახალგაზრდობის იდეური მრწამსი და რელიგიასთან მათი „კავშირის" ეთნიკური და სოციალური მოტივები, „მიგრირებული" რელიგიური დღესასწაულების ძირეული და პერიფერიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერების შედარებითი-ეთნოგრაფიული დახასიათება, მიგრანტი მოსახლეობის კავშირის ხასიათი ადრინდელი საცხოვრისის რელიგიურ კერებთან, ლოკალური რელიგიური თავშეყრის ადგილებისა და რელიგიური ცერემონიალის ეთნოგრაფიული აღწერა. თანამედროვე რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სოციალური საფუძვლების ზოგადი შეფასება.

პროგრამაში შესული საკითხები, როგორც მათი შინაარსობრივი მხარე მიგვანიშნებს, სხვადასხვა ხერხით მოითხოვდა შესწავლას, მაგრამ ერთობლიობაში. მაგალითად, თუ რაიონის ტერიტორიაზე ლოკალური მიკრორელიგიების, ასევე „მიგრირებული" რელიგიური დღესასწაულების ძირეული და მეორადი კერების შედარებით შესწავლას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიდგომა ესაჭიროებოდა, ამავე რელიგიებისადმი რაიონის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულების ხარისხის შესწავლამ კონკრეტული სოციალური კვლევის ხერხების გამოყენება მოითხოვა, მათ შორის საზოგადოებრივი აზრის შერჩევითი შესწავლა, ფაქტორული ანალიზი, ღირებულებითი ორიენტაციის დიფერენცირებული კვლევა. დასმულ საკითხთა ერთობლიობაში მოექცა რაიონის ტერიტორიის დასახლების ისტორია, ეთნიკური განსახლება, ქართველი მოსახლეობის ჯგუფური მიგრაციების თავისებურებანი, რომელთა შესასწავლად გამოყენებული იქნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიდგომა — დამუშავდა სათანადო დოკუმენტურ-წერილობითი მონაცემები, გამოვლინდა ეთნოგრაფიული ყოფის ახალი საველე მასალა.

მთლიანად ამ კვლევის შედეგების კომპლექსურმა ანალიზმა მოგვცა რაიონის ტერიტორიაზე არსებული და მოქმედი საოჯახო და საზოგადოებრივი რელიგიური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გეოგრაფიული რუკა, მათი გარეგანი სამოქმედო რეჟიმი და კალენდარი, სოციალური ფუნქციისა და სოციალური გამძლეობის საერთო და დიფერენცირებული სურათი, რელიგიური ტრადიციებისადმი საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის დამოკიდებულების ობიექტური და სუბიექტური საფუძვლების მახასიათებელი ნიშნები.

როგორ უნდა შეფასდეს შესწავლილი მასალისა და თვით შესწავლის შედეგების მნიშვნელობა?

თუ საკითხს მივუდგებით მხოლოდ ეთნოისტორიული და კულტურულ-ისტორიული კუთხით ამ მასალას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევის შედეგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამავე საკითხისადმი კონკრეტულ-სოციალური კუთხით მიდგომა წინ წამოსწევს ლოკალური რელიგიური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების უწყვეტი სოციალური ფუნქციის მომენტს და მათ დღევანდელ სოციალურ სამოქმედო ხარისხსა და ძალას წარმოაჩენს. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს ტრადიციებისადმი საზოგადოების დღევანდელი დამოკიდებულების შესამუშავებლად. მაშასადამე, თეორიულთან ერთად აქ საქმე გვაქვს პრაქტიკულ მნიშვნელობასთანაც. ტრადიციებისადმი საზოგადოების დღევანდელი აქტიური დამოკიდებულება პრაქტიკულად ნიშნავს ტრადიციების მექანიზმში სოციალურ ჩარევას. ტრადიციები, მათ შორის რელიგიური წეს-ჩვეულებები, სოციალური მართვის ობიექტები ხდებიან.

ამ დასკვნას შესწავლილი რაიონის მაგალითი მნიშვნელოვნად განამტკიცებს. მთავარია ის, რომ შესწავლის პროცესში თითქმის მთლიანად დადასტურდა ზემოთ მოხსენებული საკვლევი ჰიპოტეზა. რაიონის მოსახლეობაში რელიგიური შეხედულებანი ნაირგვარია, რწმენა-წარმოდგენებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში თუ ჯგუფში განსხვავებული სოციალური გამძლეობა და მასშტაბი აქვს, ფიქსირებული რწმენა-წარმოდგენების ცვლილებები შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის დონეზე.

აქ არ არის შესაძლებლობა გამოკვლევის მთელი პროცედურის თანმიმდევრობისა და კვლევის შედეგების ყოველმხრივი დახასიათებისა[3]. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის აღნიშვნა იქნება აუცილებელი, რომ კვლევაში უპირატესობა ე. წ. გარეგან დაკვირვებას და ჩართულ დაკვირვებას მიეცა და საზოგადოებრივი აზრის შერჩევითი შესწავლა ძირითადად დაემყარა ზუსტად პროგრამირებულ ანკეტა-ინტერვიუს წესს. თავის მხრივ, შერჩევის წესი შეუფარდდა მოსახლეობის კომპაქტურ ჯგუფებად განსახლებისა და სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის არეების ტერიტორიულ-ტიპოგრაფიულ თავისებურებებს, რამაც უზრუნველყო მოპოვებული სოციალური ინფორმაციის სანდოობა.

---

[3] კონკრეტული სოციალური კვლევის მეთოდიკისა და ტექნიკის საკითხებზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, რომელთაგან რამდენიმეს დავასახელებთ: В. А. Ядов, Социологическое исследование (Методология, программа, методы), М., 1972; ა. ზ დ რ ა ვ ი მ ი ს ლ ო ვ ი, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975; Р. Пэнто, М. Гравитц, დასახ. ნაშრ.; იხ. აგრეთვე Э. В. Беляев, Проблемы социологического измерения, «Вопросы философии» № 7, 1967, с. 22—23.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ერთი მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნის გაკეთებაც, რაც საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

საქმე ის არის, რომ ჩვენთან დამკვიდრებული უთუოდ არასწორი შეხედულებით დღეს მიმდინარე ყველა სოციალური პროცესის შესწავლა თითქოს მხოლოდ სოციოლოგების საქმე და კომპეტენციაა. ამავე დროს ცნობილია, რომ კონკრეტულ სოციალურ კვლევებს სხვა სოციალური მეცნიერებებიც აწარმოებენ, როგორიცაა ეკონომიკა, სამართალი, ესთეტიკა, ეთიკა[4]. კონკრეტული სოციალური კვლევა დამკვიდრდა ისტორიაში, ეთნოგრაფიაში[5].

ეთნიკური ტრადიციები ეთნიკური კულტურის განუყოელი ნაწილია. ზოგჯერ ეს ორი ცნება, როგორც ითქვა, ერთი შინაარსის გამომხატველიც არის. თუ კონკრეტული ეთნოსი (ხალხი) სოციალურ-ისტორიული დინამიკური კატეგორიაა და იგი წარსულშიც იყო, დღესაც არის და შემდგომაც გააგრძელებს არსებობას და განვითარებას, ეთნიკური კულტურაც და ეთნიკური ტრადიციებიც უწყვეტი ისტორიული განვითარების ყოფილა. ეთნიკური ტრადიციების ისტორიულ განვითარებაში შესწავლა, მაშასადამე, გულისხმობს ტრადიციების დღევანდელი მდგომარეობის ცოდნასაც.

ამ ცოდნას მეცნიერულად პირველ რიგში ეთნოგრაფები უნდა აყალიბებდნენ. ეს კი მიზანმიმართული კვლევის საქმეა. თუ ესა თუ ის ეთნიკური ტრადიცია დღეს მოქმედი ცოცხალი სოციალური ფუნქციით გვევლინება, ეთნოგრაფს, ალბათ, მისი ამ ფუნქციების შესწავლაც ევალება. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ცალმხრივ, მექანიკურად გათიშულ საკვლევ ობიექტებსა და მოვლენებს, როგორც ამას ადგილი აქვს თუნდაც ისეთი პირობითი და გაურკვეველი სახელდებების დროს, როგორიცაა „ძველი ყოფა და კულტურა“ და „ახალი ყოფა და კულტურა“. აქ დაყოფის კრიტერიუმი ფაქტიურად არ არსებობს, რადგან მიახლოებით მაინც არავინ იცის ძველისა და ახლის თვისობრივი ან ქრონოლოგიური გამყოფი ხაზი რა და როგორია[6].

---

[4] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Б. А. Грушин, Мнение о мире и мир мнений, М., 1967, გვ. 7—8.

[5] Ю. В. Бромлей, В. Н. Басилов, Советская этнографическая наука в девятой пятилетке, «Советская Этнография», 1976, № 1, გვ. 6.

[6] А. К. Уледов, К определению специфики культуры как социального явления, Философские науки, № 2, 1974, с. 22, 25.

ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგიურ სიძნელეებს გადალახვა სჭირდება. ჩვენ პირადად გვესახება, რომ ეთნოგრაფიამ უფრო გაბედულად უნდა მოიმარჯვოს კონკრეტული სოციალური კვლევის ხერხები და სწორად შეუფარდოს ისინი ძირითადი ეთნოგრაფიული კვლევის მიღებულ მეთოდს, უნდა დააზუსტოს და ამავე დროს გაამრავალფეროვნოს სოციალური ინფორმაციის მოპოვების წყაროები და საშუალებები, დაეუფლოს საზოგადოებრივი აზრის დიფერენცირებული კვლევისა და შერჩევით-შედარებითი ძიების მეთოდებს.

ეთნოგრაფიული სინამდვილის თანამედროვე სოციალური მეთოდებით კვლევას თვითონვე შეუძლია ხელი შეუწყოს მოვლენების ისტორიული განვითარების ახსნას, რამდენადაც ასეთ კვლევაში მახვილი უკეთდება სოციალური ქცევისა და საერთოდ სოციალური ფსიქოლოგიის განვითარების კონკრეტულ ისტორიულ საფუძვლებს[7]. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მხრივ სჭირდება გამოკვლევა და ახსნა ქართველების ეთნიკური ისტორიისათვის მნიშვნელოვან და დამახასიათებელ მოვლენებს — შრომის ორგანიზაციისა და ურთიერთდახმარების ფორმებს, ოჯახის ისტორიას, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ხალხურ კოლექტიურ ხელოვნებას და სხვ. ადამიანთა ჯგუფური ქცევის ეს ერთობლივი ფორმები თავისთავში სოციალური ერთობისაკენ მისწრაფების ზოგად კანონზომიერებას ატარებს. ამ კანონზომიერების გამოხატულება კონკრეტულ-ეთნიკურ ფორმებში ბევრი საგულისხმო მომენტის შემცველია და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში შეუძლია სასარგებლო, სწორი ორიენტირის როლის შესრულება.

ეთნოგრაფიული და კონკრეტულ-სოციალური კვლევით დადგენილ მოვლენებს მათი სოციალური ადგილისა და როლის შესაფასებლად კომპლექსური განხილვა დასჭირდათ. პირველ რიგში გამოყენებულ იქნა ფაქტორული ანალიზის მეთოდი, რაც იმაში გამოიხატა, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების ხასიათი შემოწმდა ღირებულებითი მიდრეკილებების ფონზე, ამასთან, დიფერენცირებულად, სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფში, აგრეთვე სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. თავის მხრივ, ღირებულებითი ორიენტაციის სა-

[7] იხ. Б. А. Поршнев, Социальная психология и история, М., 1966. შდრ. Вопросы национальной психологии (Сборник статей) под ред. д-ра филос. наук, С. М. Арутюняна, Черкесск, 1972, Раздел — этническая психология.

კითხების გამოკვლევამ, აგრეთვე, კომპლექსური მიდგომა მოითხოვა, რასაც პირველ რიგში დაუკავშირდა რაიონის მასშტაბით სოციალური გარემოს მეტ-ნაკლებად სრული დახასიათება და განსაკუთრებით კი რელიგიურ მრწამსთან მიმართებაში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საერთო და მიკროორეგიონალური შემოწმება. დაკვირვების სფეროში მოხვდა ერთი შეხედვით ისეთი „გარეშე" საკითხებიც, როგორიცაა რაიონისა და შიდა ტერიტორიების მასშტაბით სამოქალაქო-საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციული პრაქტიკა, მისი შინაარსი და ფორმები, ახალგაზრდობის სოციალურ-კულტურული ორიენტაცია, თავისუფალი დროის სტრუქტურა და რეალური გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სურათი მოგვცა კვლევამ.

საზოგადოებრივ რელიგიური თავშეყრის ადგილების თავისებურ იერარქიაში მთავარი და ერთადერთი ადგილი რაიონის მასშტაბით ელიაობის დღესასწაულს უჭირავს. იგი ეწყობა ყოველწლიურად 7 აგვისტოს, ღამისთევით, საკლავის შეწირვით, ადგილზე და ოჯახში სუფრის გაშლით, მუსიკით, სიმღერით. დღეობაზე დამსწრეთა სქეს-ასაკობრივი შემადგენლობა ერთგვარი არ არის. გამოყენებულია გართობის სხვადასხვა ფორმა. კერძო წესით იყიდება სხვადასხვა „ჭრელი" საგანი. დღეობაზე თავს იყრის რაიონის ქართველი მოსახლეობა, განსაკუთრებით ქიზიყური ნაწილი, მოდიან აგრეთვე, რაიონში მცხოვრები რუსები, ნაწილობრივ სომხები, ბერძნები, ოსები წმინდა ელიას (-ილიას) დღესასწაული საერთო ქრისტიანულ საფუძვლებს ემყარება. საკუთრივ რელიგიური წესის აღსრულების ცერემონიალი შეცვლილია და მოხუცებულთა სიტყვიერი მოგონებების მიხედვით ბევრად შესუსტებული. ცერემონიალში უშუალოდ მონაწილეთა რიცხვიც სულ უფრო და უფრო კლებულობს (სამაგიეროდ, არ კლებულობს დღეობაზე მოსულთა საერთო რიცხვი!)

შემოწმებით დადგინდა, რომ დღეობაზე საერთო დამსწრეთა ნახევარზე მეტი რელიგიურ მრწამსს არ ემყარება. თავის მხრივ, დღეობის მონაწილე ახალგაზრდათა 95 %-ზე მეტი არა რწმენის, არამედ ჩვეულების ძალით მონაწილეობს. ამ ჩვეულების სხვადასხვა კუთხით შემოწმებამ გაარკვია, რომ ამ შემთხვევაში წამყვანია ამ დღეობის არა სოციალურ-რელიგიური მიმზიდველობის ძალა, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის რეალური ცენტრის ფუნქცია, თავშეყრის სანახაობა-გართობისა და დროს გატარების შესაძლებლობა.

შესადარებლად შეიძლება მოკლედ დახასიათდეს რაიონში მოქმედი სხვა რელიგიური დღესასწაული „ლომისობის“ სახელწოდებით. ტერიტორიულად ამ ხატის ადგილი სოფ. ზემო ქედში იმყოფება. მის მრევლს წარმოადგენს ძირითადად ზემოქედის, აგრეთვე, ნაწილობრივ არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წარმოშობით მთიულეთიდან არის (მათი ახლო წინაპრები მთიულეთიდან არიან აქ ჩამოსახლებულნი). საკუთრივ რელიგიური ორგანიზებულობის მხრივ ეს დღეობა უფრო მწყობრ ხასიათს ატარებს, ვიდრე ელიაობა; მაგრამ ცვლილებები აქაც ბევრი და სწრაფია, რამდენადაც ეს დღეობა სოციალურად გაორებულია და მთიულეთის ცენტრალური ხატის ლომისას მიგრირებულ ფორმას წარმოადგენს. ამ დღესასწაულის თითქმის ყველა სხვა მხარე ისეთსავე სურათს გვაძლევს, როგორც პირველი (ელიაობა).

ეთნოგრაფიული და სოციალური კვლევის ამ მასალიდან ის ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს, რომ განხილულ სფეროში ხალხურ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს განსხვავებული სოციალური გამძლეობა და სოციალური მიზიდულობა აქვს.

რწმენა-წარმოდგენების განსხვავებული რელიგიური გამძლეობა სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით გამოიხატა — 25 წლის ასაკამდე ორივე სქესის ახალგაზრდათა აბსოლუტურ უმრავლესობაში რელიგიური რწმენა, როგორც ასეთი, არ არსებობს (აქ არ იგულისხმებიან სოფ. სამთა წყაროს მცხოვრებნი — ინგილოები, რომლებთანაც ამ მხრივ შესამჩნევი განსხვავებაა, რაც ოჯახური რელიგიური ტრადიციების მეტი გამძლეობის შედეგია).

მაშ, როგორ ავხსნათ მათი ჯგუფური „რელიგიური ქცევა“. გაირკვა, რომ ქცევის ჩვევად გადაქცევას საფუძვლად ედო და ახლაც ხელს უწყობს, ის, რომ ახალგაზრდობას ორგანიზებულად თავშეყრის, გართობისა და დროს გატარების ლოკალიზებული, საზოგადოებრივად აღიარებული ადგილი (ცენტრი) აქვს.

ამ ჩვევის შეცვლაზე ფიქრი და მისი რეალიზაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება, მაგრამ გაუმართლებელი იქნება, რომ ანგარიში არ გავუწიოთ ახალი ეკვივალენტური, თუმცა თვისებრივად განსხვავებული, ჩვევების შემოღების და დამკვიდრების საჭიროებას. საუბარი ბუნებრივად გადადის რაიონის თანამედროვე სოციალურ გარემოზე, მის სტრუქტურაზე, შესაძლებლობებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს.

რაიონის სოფლების სამივე ჯგუფში ხუთი დიდი თანამედროვე

კულტურის სახლი გვაქვს სოფ. ზემო მაჩხაანის, სოფ. გამარჯვების, თვით წითელწყაროს, სოფ. ჯაფარიძის და ზემო ქედის (შენობა ახლა უნდა დამთავრდეს). მათი განსაკუთრებით აღნიშვნა იმიტომაც დაგვჭირდა, რომ ფაქტიურად ისინი არქიტექტურული და შიდამოწყობილობის თვალსაზრისით კულტურის სასახლეები არიან.

კულტურის ამ სახლების, ჩვენი მიზანდასახულობით, შემოწმებამ, რაც ზემოთ მოხსენებული ფაქტორული ანალიზის პროგრამით მოხდა, წარმოაჩინა ამ სახლების მეტად უმნიშვნელო სოციალური მიზიდულობის ძალა. წრეობრივი მუშაობა, რომელიც ამ სახლების მასობრივი საქმიანობის ფაქტიურად ერთადერთი ფორმაა, ვერც მასშტაბებით და ვერც შინაარსობრივი მიზიდულობით ვერ განიხილება საყოველთაო დაინტერესების რეალურ ფორმად. კულტურის სახლებს მეტ-ნაკლებად ორგანიზებული და მუდმივი სტუმრები არა ჰყავს, რაც მთავარია, ახალგაზრდობა, ამავე დროს თვით ამ სოფლების მცხოვრებთა საზოგადოებრივი აზრის დონეზე გაისმის საყვედურები, რომ ახალგაზრდობას თავშეყრისა და თავისუფალი დროს გამოყენების პირობები და შესაძლებლობა არა აქვს.

ამ საკითხების მოგვარება უპირველესად ადგილობრივ კონკრეტულ პირობებში უნდა მოხდეს კომპლექსური, გეგმაზომიერი მუშაობით. კულტურული ორიენტაციის ახალი ჩვევების ჩამოყალიბება, რასაც თანმიმდევრული და მოთმინებითი მუშაობა სჭირდება, ბევრად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის ჩამოშორებას რელიგიური ფორმალობისაგან, რაც ერთ-ერთი რეალური ქმედითი გამოხატულება იქნება რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლისა. სოციალური ინფორმაციის მასალები თავისებურ შუქს ფენს ასეთ დღეობათა სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. უთუოდ ანგარიშგასაწევია, მაგალითად, ხაწშიშესულთა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლის ასეთი განმარტება: „ძველი დღეობები ხალხს აკავშირებდა. გვარიც, ნათესაობაც, ადამიანობაც, ნამუსიც — ყველაფერი თითქოს ნამდვილი იყო. მივიდოდა, დროსაც გაატარებდა, მოილხენდა, აუცილებლად უნდა მისულიყო. ვერ გააცდენდა, ვაი, თუ დავისაჯოო. ეხლა სულ მოუცლელობაა, მაგრამ გული მაინც მიუწევს“.

საკითხი ჩამაფიქრებელია და პირველ ნაწილში საყურადღებო ვითარებაზედაც მიუთითებს — სახატო დღეობები მარტო ეთნოგრაფიული ნიშნით კი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ამას ჩვენ დღეს ვაკეთებთ, არამედ სოციოლოგიური კუთხითაც—დღეობა არის

საზოგადოებრივი თავშეყრა. ადამიანი სოციალური არსებაა და მისთვის ასეთი თავშეყრა აუცილებელი მოთხოვნაც არის. ასეთი თავშეყრა წინათ ოჯახური შემადგენლობით ხდებოდა, ოჯახური შემადგენლობა და ოჯახური კავშირი კი ახლო და შორეული ნათესაური კავშირის გამოხატულებაც არის. ნათესაური კავშირები სოციალურობის ერთ-ერთი რელიეფური და არსებითი ფორმა იყო. თანამედროვე პირობებში ნათესაური კავშირების შესუსტება სოციალური ღირებულებათა ახალი სისტემებით არის კომპენსირებული. ზოგიერთ ხალხში (მათ შორის ქართველებში) ნათესაური კავშირების შენარჩუნება ეთნიკური მთლიანობის შენარჩუნების სურვილს ემსახურება. საზოგადოების ცალკეული ფენების საზოგადოებრივი აზრის მონაცემებიც ადასტურებენ ამას. მაშასადამე, ხატობა-დღეობების სოციალური შინაარსი გენეზისის თვალსაზრისით თუ ადრინდელია და რწმენა-წარმოდგენების სისტემებს თავისებურად ასახავს, რაშიაც ვარიაციული სხვაობით თავს იჩენს ხოლმე ეთნიკური და ტერიტორიულ-კუთხური თავისებურებანი, ამავე ხატობა-დღეობების სოციოლოგიური თავისებურება საზოგადოების თავშეყრის ზოგადი მოთხოვნის რეალიზაციას წარმოადგენს. საზოგადოების ამ რიგის თავშეყრა ძნელადღა განიხილება რელიგიური რწმენის უშუალო და ერთადერთ გამოხატულებად, თუმცა ხალხის გარკვეული ნაწილი სახატო დღეობასთან დაკავშირებულ წესსა და რიგს ისევ რწმენის საფუძველზე აღასრულებს.

ნათქვამიდან იმ ზოგადი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სახატო დღეობებში ხალხის სიარული საზოგადოებრივი კავშირების ფორმების ტრადიციულ გამოხატულებასაც წარმოადგენს და ასეთი კავშირების დღევანდელ პირობებში შენარჩუნების სურვილსაც. სოფლად სოციალურ-კულტურული მშენებლობის დღევანდელი პროცესი და ღონისძიებები, სრულიად აშკარაა, ბევრად ჩამორჩება სასურველ დონეს. როგორც ითქვა, სოფლის კლუბი თუ კულტურის სახლი ადამიანთა სოციალურ ღირებულებათა და მოთხოვნილებათა დონეზე ჯერ კიდევ ვერ იქცა საზოგადოებრივი თავშეყრის ნამდვილ ცენტრებად. ხატსა და ეკლესიას შერჩათ სოციალური მიზიდულობის ძალა, ზოგან ძალზე ძლიერადაც.

სოფლის კლუბისა თუ კულტურის სახლის დღევანდელი საზოგადოებრივი ფუნქცია, როგორც ითქვა, შეზღუდულია როგორ მრავალფეროვნადაც არ უნდა გამოიყურებოდეს მისი შინაგანი მუშაობა. საქმე ის არის, რომ ამ მუშაობის ძირითადი და, ალბათ,

ერთადერთი ფუნქცია წრეობრივ საქმიანობაში გამოიხატება. შექმ-
ნილია სხვადასხვა წრე. ამ წრეებს თავისი წევრები ჰყავთ. შემადგენ-
ლობა ყველა შემთხვევაში გარკვეულად განსაზღვრული და შეზღუ-
დულია. ამავე დროს გარკვეული პროფესიული მიდრეკილების
მქონე პირთა (ძირითადად ახალგაზრდობის) აქტიურ მონაწილეო-
ბას გულისხმობს. ეს წრე თავისებურად შეზღუდულია, სოფლის მო-
სახლეობის ფართო მასისათვის მიუწვდომელია. მიუწვდომლობა
სურვილების შეზღუდვით კი არ არის გამოწვეული, არამედ სურვი-
ლების უქონლობით, წრეობრივი საქმიანობა ხომ არც ყველა ასაკის
პირთათვის არის შესაფერი.

რჩება გადასაწყვეტი ყველაზე მთავარი პრობლემა — თავისუ-
ფალი დროის პრობლემა. მართალია, თავისუფალი დრო სამეურნეო
ციკლის მაღალი რიტმულობის პერიოდებში სოფლის ცხოვრებაში
გარკვეულ ელფერს ღებულობს, ხშირად რეალურად გამქრალია
კიდეც, მაგრამ რაც არის და როცა კი შეიძლება მისი ნამდვილად
გამოყენება, ეფექტურობა აკლია.

რით უნდა მივაღწიოთ თავისუფალი დროის გონივრულად და
სასარგებლოდ გამოყენებას? ამ საკითხს არა მარტო შესასწავლი რე-
გიონისათვის, არამედ საერთოდაც, პირველ რიგში სჭირდება მოგვა-
რება სოციალურ ჭრილში. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, ასევე
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ფასეულობითი ორიენტაციის
ცვლილებანი ამის რეალური საფუძველი უნდა გახდეს. ერთი ასეთი
მაგალითიც.

ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის მცხოვრებთა ის ნაწილი, რო-
მელთა ახლო წინაპრები თუშეთიდან არიან აქ ჩამოსახლებულნი
და ამ სოფლების ორ მესამედზე მეტს შეადგენენ, ბარული ცხოვ-
რების წესის სრულ „გამოვლინებას“ ახდენს. „ბარული ცხოვრების
წესს“ რაიმე განსაკუთრებული და განსხვავებული ნიშნით კი არ
ვხმარობთ, არამედ ვგულისხმობთ საწარმოო დასაქმების ამ გარე-
მოსათვის შესაფერ სტრუქტურას, რაც პირველ რიგში მრავალდარ-
გოვან მიწათმოქმედებაში გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკური
ბაზისა და მექანიზაციის შესაფერი დონით.

სამეურნეო-საწარმოო ბრიგადებში ადგილზე წარმოებული პი-
რადი დაკვირვებით, აგრეთვე სამიწათმოქმედო საქმიანობაში ჩაბ-
მულთა გამოკითხვით გაირკვა საქმის კარგ ცოდნაზე დამყარებული
თვალსაჩინო შრომითი აქტივობა, ფართო წვდომა ადგილობივი მი-
წათმოქმედების ტექნოლოგიურ და ეკონომიურ ასპექტში, სამი-

წათმოქმედო მანქანური ტექნიკის უფრო ფართოდ გამოყენებისა-მი მისწრაფება, ტექნიკური ცოდნის სრულყოფის სურვილი[8]. ამის გამო, სრულიად კანონზომიერი ჩანს სასაუბრო მასალაში (ინტერვიუ) თანამედროვე ტექნიკური ლექსიკის საკმაო მრავალფეროვნება, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი გაფორმებით ისინი ქართული ენის სასაუბრო ნორმებს ძნელად ემორჩილება, ბუნებრივია აქ დავინახოთ ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცოდნის დიფერენცირებული გავრცელება არა იმდენად მწიგნობრულ ბაზაზე, რამდენადაც საკუთარი საწარმოო გამოცდილებით.

რაც შეეხება უშუალოდ სამიწათმოქმედო პროცესების აგრობიოლოგიურ ცოდნას, ესეც ძირითადად ხალხურ საწარმოო ემპირიკაზეა დამყარებული, თუმცა ცალკეულ პრაქტიკულ განსაზღვრებებში თანამედროვე მეცნიერული ცოდნის ელემენტებიც შეიმჩნევა, რომელთა აქ არსებობა სამიწათმოქმედო ტექნიკის ფართო შემოღწევასთან უნდა იყოს დაკავშირებული. დაკვირვება გვიჩვენებს ამ მოვლენის განვითარების ტენდენციებს განსაკუთრებით სოფლის მშრომელ ახალგაზრდობაში. მოსალოდნელი სოციალური შედეგი კი შემდგომ სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ქართული მეცხვარეობის მთა-ბარულობა ამ დარგის ძირითადი სპეციფიკა და საარსებო პრინციპი იყო და არის. ეს პრინციპი მდგომარეობს ცხვრის ზაფხულისა (ალპური) და ზამთრის (დაბლობის ველები) საძოვრების რეგულარულ კალენდარულ მონაცვლეობაში. ტერიტორიული მონაცვლეობა დროთა განმავლობაში სივრცობრივი ცვლის კანონზომიერ გამოხატულებად იქცევა. საწარმოო-ეკონომიურ და სოციალურ ჭრილში ეს კანონზომიერება უკვე ერთგვარი სისტემაა შინაგანი ურთიერთმოქმედი კომპონენტებით.

ტერიტორიული მონაცვლეობა მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის სამეურნეო-გეოგრაფიულ გარემოში თანაბრად აყენებს საკვების, გზის, უსაფრთხო მოძრაობის, ბიო-ფიზიოლოგიური ცვლილებების, შრომის სოციალური ორგანიზაციისა და სხვა პრობლემებს.

ხანგრძლივ საწარმოო საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო პრაქტიკაში ეს პრობლემები ემპირიულად წყდება. ყალიბდება ემპირიული სამეურნეო ტრადიციები მნიშვნელოვანი და საყურად-

---

[8] В. П. Жеженко, Н. Е. Овчинников, Х. Шарипов, Техника, труд и человек, М., 1963.

ღებო მატერიალური და სოციალურ-კულტურული ასპექტებიდან. თავისთავად ეს პროცესი დიდ სიძნელეებს ხვდება, ხშირად რთულს და არცთუ იოლად გადასაჭრელს, რაც დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და სხვა ხასიათის პრობლემებთან და სიტუაციებთან.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თვით თუშეთი, რომლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მთელი ისტორია, როგორც ეს ამ კუთხის ისტორიიდან ჩანს, ფაქტიურად ზამთრის საძოვრებისათვის ბრძოლაა ჯერ კიდევ დიდი ხნიდან გალმა მხარში, ალაზნის მარცხენა ნაწილში, ალვანის ველზე, ხოლო ამ ადგილებში მათი ჩამოსახლების შემდეგ კი — შირაქში.

მომთაბარული მეცხვარეობის ეს დარგობრივი სოციალურ-ეკონომიური სპეციფიკა, რაც მისი ტერიტორიულ-მოძრავი ხასიათიდან გამომდინარეობს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ მომენტებსაც უკავშირდება და გამოხატავს.

პირველ რიგში აღსანიშნავია მიკრო და ზოგჯერ მაკრო-სამეურნეო და სოციალური გარემოს იძულებითი ცვლა, რაც, სხვათაშორის, არც ერთი ძირითადი სამეურნეო პროფილის სხვა დარგისათვის არ არის დამახასიათებელი.

სამეურნეო გარემოს ცვლა მარტო გეოგრაფიული მოვლენა არ არის, სოციალურადაც მას ბევრი თანმხლები მომენტი სდევს.

აღსანიშნავია სოციალურ-ფსიქოლოგიური სიძნელეები „საკუთარი" სამეურნეო და საცხოვრისი გარემოდან გასვლისა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სამარშრუტო მანძილის დაფარვის სიძნელეებს, ნაწილობრივ კი — ახალ სამეურნეო გარემოში მოწყობის სპეციფიკას. ძველ დროში ეს პროცესები სოციალურ-პოლიტიკური დონის მოვლენებსაც უკავშირდებოდა, რაშიც ისევ თუშეთის მაგალითით ვრწმნუდებით, ხოლო ასეთი პროცესების სპეციფიკა და სოციალურ-ეკონომიური არსი საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მასალაზე მკაფიოდ აქვს ახსნილი და შეფასებული ივ. ჯავახიშვილს[9].

სოციალისტური მეურნეობისა და წარმოების წესის პირობებში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. სამეურნეო-რეგიონალური კავშირურთიერთობები ახალ პრინციპზეა დამყარებული. წარ-

---

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1918.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიშვა ახალი, თვისობრივად განსხვავებული სოციალ-ეკონომიური კავშირები, ურთიერთგაგება, ურთიერთდახმარება.

ამასთან ერთად ვიცით, რომ საქართველოში ბევრი საწარმოო-სამეურნეო დარგი ისევ ტრადიციულ ფორმებს და პრინციპებს ემყარება.

ეს პირველ რიგში მთის ზოლის სამეურნეო სფეროებს ეხება და განსაკუთრებით კი მთურ მესაქონლეობას, რომელმაც ბევრი რამ ტრადიციული საკუთრივ ბარულ მესაქონლეობასაც შემატა.

ასეთ პირობებში საგრძნობი სიმწვავით იჩინა თავი ტრადიციული ფორმების შემდგომი რაციონალიზაციისა და განვითარების საჭიროებამ, მეორე მხრივ, ზოგიერთი ტრადიციული ფორმის შეცვლის მიზანშეწონილობამ, თავის მხრივ, სამეურნეო-ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისა და განვითარების აუცილებლობამ, რაც საერთო წინსვლის, პროგრესის აუცილებელი პირობაა[10].

რამდენადაც ასეთ ზოგად საკითხებზე მსჯელობა ამ შემთხვევაში მეცხვარეობის საკითხებს დაუკავშირდა და ამ დარგის მდგომარეობა უნდა წარმოაჩინოს შესასწავლი რეგიონის მაგალითზე, ჩვენ უშუალოდ შევეხებით კონკრეტულ მონაცემებს დოკუმენტური მასალებისა და საკუთრივ სოციალური ინფორმაციის მიხედვით, რაც ადგილზეა მოპოვებული.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საჭირო, უკეთ საჭირბოროტო როგორც ეკონომიური, ისე სოციალური მნიშვნელობით ცხვრის ტრასების საკითხის ცალკე გამოყოფა.

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში იყო რამდენიმე ცდა ცხვრის ფარების ტრანსპორტირებისა მექანიზებული საშუალებით, ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე, და პირიქით, ცხვარი სართულებად მოწყობილი ავტომანქანებით გადაჰყავდათ. იყენებდნენ სარკინიგზო ტრანსპორტსაც (1974 წლის აპრილ-მაისში წითელწყაროს რკინიგზის სადგურზე პირადად ჩვენ რამდენჯერმე დავესწარით სატვირთო ეშელონში ცხვრის ფარების შეყვანას, შირაქის ზამთრის საძოვრებიდან აქ თავისი ფეხით ჩამოყვანილი ცხვარი რკინიგზით მარნეულამდე გადაჰყავდათ, საიდანაც ცხვარი გაირეკებოდა მიჩენილ საზაფხულო საძოვრებზე მესხეთ-ჯავახეთის მიმართულებით).

---

[10] В. П. Жеженко, Н. Е. Овчинников, Х. Шарипов, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვრის მექანიზებული წესით ტრანსპორტირება ახალი, დღევანდელი განვითარებისათვის შესაფერი წესია. ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება საერთო განვითარებას უწყობს ხელს. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს ახალი წესი ტრადიციულ წესთან დაპირისპირებაში არსებით ნაკლს შეიცავს, რის გამო უპირატესობა ძველ ტრადიციულად გამოცდილ წესს დარჩა.

მაგრამ ეს ტრადიციული წესიც, რომ დღევანდელი განვითარების საერთო ფონზე შეცვლას, შევსებას მოითხოვს, ესეც ფაქტია.

მაშასადამე, პრობლემა გადასაწყვეტი რჩება.

რა სიძნელეებია დასაძლევი? როგორც ჩანს, უმთავრესად იმის გამო, რომ თუშეთს ფართო და საუცხოო ალპური საძოვრები აქვს, ხოლო მეცხვარეობის პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა ამ გზით უფრო შესაძლებელია, ძალაში დარჩება მეცხვარეობის ტრადიციული მთა-ბარული ფორმა.

ვერტიკალური ზონალობის სიმკვეთრე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზაფხულის საძოვრებისა და ზამთრის საძოვრების გეოგრაფიული, განსაკუთრებით ზღვის დონიდან სიმაღლეთა ამპლიტუდა დიდია (საშუალოდ 600—3500 მ.) ძალაში სტოვებს ცხვრის ბიო-ფიზიოლოგიური ადაპტაციის სიძნელეებს. ტრადიციული ემპირიკა გვაჩვენებს, რომ სიმაღლეთა ასეთი სხვაობის დაძლევა ცხოველის ორგანიზმისათვის მხოლოდ თანდათანობით არის შესაძლებელი და გამართლებული და არა უცბად.

თანდათანობით დაძლევა ორგანიზმის თანდათანობით შეჩვევას, შეგუებას გულისხმობს სიმაღლის ცვლილებებით გამოწვეულ გარე პირობების ნაირგვარობასთან.

თუშეთიდან შირაქისაკენ გარეკილი ცხვარი გზაში 10—12 დღე იმყოფება. ბარიდან მთაში აყვანას კი ბევრად მეტი სჭირდება.

მოძრაობაში გამოყენებული ეს დრო ხალხური დაკვირვებით საჭიროა ცოცხალი ორგანიზმის ადაპტაციური ცვლილებებისათვის (გადარეკვის სეზონის მოსვლისას ბარში ერთ ადგილას დიდხანს გაჩერებული ცხვარი, რომელიც შედარებით სწრაფად აიყვანეს მთაში, შესაძლებელია, როგორც აქ იტყვიან „ნაბარევი“ ანუ „ჩასიცხული“ იყოს და ვერც გაუძლოს მთის ჰაერისა და წყლის უცბად მოხვედრას).

ავტოტრანსპორტით ცხვრის გადაყვანას ზემოთქმულთან ერთად ის ნაკლიც აღმოაჩნდა, რომ მოძრაობის დროს ცხვარი ერთმანეთს ეხეთქება და ზიანდება (იბეჟებიან და იხოცებიან).

აქვე გასათვალისწინებელია, რომ რელიეფური სიძნელეების გამო ვერ ხერხდება ცხვრის მიყვანა დანიშნულების ადგილამდე, ე. ი. ბოლომდე, ეს განსაკუთრებით შეეხება საზაფხულო საძოვრების რეგიონებს.

არის სხვა სიძნელეებიც, რომელთა ერთად გათვალისწინება მნიშვნელოვნად ჩრდილავს ტრასპორტირების ტექნიკური საშუალებების სიკეთეს მეცხვარეობაში.

მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობა ცალმხრივ ხასიათს მიიღებდა, რომ აქვე არ იყოს განხილული და შეფასებული მეორე მომენტიც, რომელიც დღევანდელი განვითარების პროცესებს უშუალოდ უკავშირდება და მისგანვე გამომდინარეობს: საკითხი ეხება მეცხვარეობის ძველი, მომთაბარობის პირობებში, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს, საცხვარე გადასარეკი ტრასების პრობლემას — ტრასების ფიზიკურ მდგომარეობას და პრაქტიკული გამოყენების ეფექტს.

სოციალური ინფორმაციის მთელი მასალა, რომელიც ამ საკითხზე სულ სხვადასხვა გარემოშია მოპოვებული (ახმეტა, ზემო და ქვემო ალვანი, უშუალოდ თუშეთი, აგრეთვე წითელწყარო, კასრის წყალი — ელდარი) ერთხმად მიუთითებს ერთ-ერთ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაზე — ცხვრის ტრასების მდგომარეობასა და ვარგისიანობაზე ცხვრის მოძრაობისათვის.

ეკონომიკურ, ზოოტექნიკურ და სხვა ხასიათის ლიტერატურაში ეს საკითხები სათანადოდ არის შესწავლილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ამ საქმის რეალური მდგომარეობა ჩვენი დაკვირვების სფეროში შემავალ საკითხებთან და ტერიტორიებთან დაკავშირებით.

მეცხვარეობის დარგის საწარმოო სფეროში ჩაბმული მუშაკების, სპეციალისტების საერთო აღიარებით საცხვრე გადასარეკი ტრასები მძიმე მდგომარეობაშია, ზოგან აღარც არის. ტრადიციულად ეს ტრასები თავისი გარკვეული და დადგენილი მარშრუტით იყო ცნობილი, რომლის ნაპირა საზღვრები მტკიცედ გამოკვეთილი არ იყო. ამ ტრასაზე მიმავალი ცხვარი გზაშივე იკვებებოდა ბალახით და ისვენებდა. დღეს ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად შეცვლილია, რადგან ტრასების ეს ფართობი, ტერიტორია ადგილობრივი სამეურნეო მიზნებით არის ათვისებული — მოხნულია, გაშენებულია სამეურნეო კულტურები. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, დამუშავებულ ფართობებს მავთულხლართი აქვს შემოვლებული. გასავლელი ცხვრისათვის ვიწრო ზოლიღაა დატოვებული და ჩვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებრივ იგი შარაგზას ან ასფალტს მიუყვება. ძველად ტრასებზე დასასვენებელი ადგილები იყო. მაგალითად, თელავის ბოლოზე, გურჯაანის ბოლოზე, ჩუმლაყის ბოლოზე, წნორთან, ვაქირის ბოლოზე, ეს ადგილები დღეს სულ მოხნულია და ცხვარი მშიერი მიდის, ამასთან ერთი ვიწრო გზით მარტო მტვერში სიარული ცხვრის დაავადებას იწვევს.

წიგნის დასასრულ ნაწილში წარმოდგენილი ეს მასალა, რომელიც ეთნიკური ტრადიციების კონკრეტულ-ეთნოგრაფიული და სოციალური შესწავლის შედეგებს მიეძღვნა, ცხადია, სრული არ არის არც თემატიკურად და არც საკვლევი მოცულობით, რადგან თვით პრობლემაა ამოუწურავი. ამას ემატება კვლევის სირთულეებიც.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მასალები, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებ წარმოდგენას შეგვიქმნიან ეთნიკურ ანუ ხალხურ ტრადიციებთან დღევანდელი მეცნიერული დამოკიდებულების სპეციფიკაზე და ასევე მეტ-ნაკლებად აღძრავენ კვლევის პროგრამის სრულყოფისა და გაუმჯობესების კონკრეტული გზების ძიების საჭიროებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЭТНИЧЕСКАЯ КУЛЬТУРА И ТРАДИЦИИ
(Методические и практические аспекты)

Резюме

В советской науке разработка этносоциальных проблем особенно за последнее десятилетие приобрела важное научное и практическое значение.

Выделяется как значительное научное достижение разработка самой теории этноса, что одновременно создает благоприятные условия методологически правильно нацелить многосторонние изыскания во многих сферах и аспектах этносоциальных проблем, большинство из которых находится, как теперь принято говорить, на стыке наук.

Сознавая всю сложность работы в этой области, мы все же осмеливаемся выделить здесь для рассмотрения два значительных раздела проблемы — этническая культура и этнические традиции.

Актуальность проблемы возрастает и тем, что сегодня общественность нашей республики, как никогда раньше, заинтересовалась состоянием народных традиций и ищет пути и способы практического отношения к ним. Сильный толчок всему этому дала развернувшаяся в последние годы в Республике целенаправленная партийно-общественная деятельность и особенно специальное постановление Центрального Комитета КП Грузии (ноябрь, 1975 г.). «Об усилении мер по борьбе с вредными традициями и обычаями».

Книга ставит целью рассмотрение методических и практических аспектов постановленной проблемы и это тем более важно, если учесть, что работ такого характера на грузинском языке весьма мало.

Вместе с тем совершенно очевидны сложность проблемы и трудности решения входящих в нее вопросов именно в методическом и практическом аспектах. Эти трудности порождены не столько новизной темы и непроторенностью дороги, сколько методологическими трудностями самой постановки этого вопроса. И этническая культура и этнические

традиции и обычаи относятся к сферам не только исторических, но и социальных наук, а многочисленность отраслевых интересов и разность научно-методического подхода к изучаемому предмету и порождают эти трудности.

Назревшие вопросы практического отношения общества к функционирующим традициям, как предмету социального управления, требуют реального разрешения и осуществления отраслевого кооперирования междисциплинарных научных знаний и деятельности в этой области.

Учет трудностей и отсутствие личной возможности справиться с ними, естественно, заметно сковывают автора и заставляют ограничиться во многих случаях лишь постановкой вопросов. Порою же, в книге для анализа привлекается материал собственных наблюдений и разысканий автора без должного сравнительного обобщения, что бессомненно, накладывает на эту работу печать односторонности.

Так вынужден поступить автор, при изложении материалов подготовительной работы по составлению комплексного перспективного плана социального развития одного из административно-территориальных районов республики — Цителцкаройского района. План был разработан по заданию руководящих органов при участии различных министерств, ведомств, научных организаций. Затронув вопрос о перспективных комплексных планах социального развития, тут же следует коротко указать о значении современных этнографических наблюдений в подготовке комплексных долгосрочных планов социального развития отдельных административно-территориальных районов. Этноисторическая и этнокультурная характеристика, особенно сельских регионов, должна преследовать цель определения этнического состава населения, характера расселения, специфики и стабильности культурно-бытовых традиций. Эти данные во многом будут способствовать определению перспектив территориальной и социальной организации района, уточнению специфики демографического поведения населения. особенно, характера механического и естественного прироста населения, социальных аспектов рождаемости, мотивов миграционного поведения, социальной роли семьи и квартала в системе расселения, социальных аспектов соседства, особенностей разделения и возникновения новых семей, степени религиозности населения и много других.

В книге показаны процессы становления и пути развития этнической культуры с использованием исследовательских выводов советской специальной науки и привлечением в качестве иллюстративного материала конкретных данных

разработки этнокультурных и культурно-исторических проблем Грузии.

Главная цель, в данном случае, общая характеристика внешней и внутренней структуры этнической культуры и показ основной и ведущей роли материально-производственной основы в конкретно-историческом проявлении сложных процессов становления этой культуры в целом.

Это особо наглядно на историческом и этнографическом материале, носящем на себе глубокий отпечаток взаимовлияния в отношениях человека с природой.

Считая основным и направляющим фактором в созидании этнической культуры производственную творческую деятельность человека, мы более подробно рассматриваем проблему взаимоотношения человека и природы в разных ее аспектах.

Марксистско-ленинская наука правильно определила и оценила место человека в природе. Вопрос взаимоотношения человека и природы не простой абстрактно-познавательный, или только производственно-технический вопрос, а прежде всего — социально-исторический, содержание которого выражает общественные условия деятельности человека. Опровергнув объяснение явлений общественной жизни непосредственным воздействием природной среды, марксизм вместе с тем преодолел метафизическое противопоставление природы и общества. В активном воздействии природы на человека различается несколько сторон, которые соответственно, объединяются в физических и психологических факторах. Но если правомерно говорить о различии, например, психологии горного, степного, приморского, сельского и др. жителей, здесь на первый план выступает результат и следствие опосредствованного воздействия природы на человека через производственную деятельность последнего. Необходимо вспомнить известную оценку Марксом объективной закономерности зарождения и развития капитала в том географическом ареале, где для развития производительных сил имелись соответствующие условия, и что родиной капитала не могли служить тропическия или другие широты местообитания человека, где отсутствовали условия умножения и разнообразия его трудовой деятельности, производственных навыков.

Поверхностное описание и оценка социальных явлений, к которым относится и этническая культура, без раскрытия и учета конкретно-исторических условий их возникновения и внутренних закономерностей развития, оставляет в стороне и фактически приводит к игнорации таких важных для

социально-культурного развития факторов, как конкретные экономические отношения, связанные с территориальным разделением труда, обусловленным в свою очередь характером и особенностями природных условий и степенью их освоения, уровнем развития производительных сил. Сумма этих факторов, как известно, воздействует на порождение этноисторической специфики быта и культуры.

Территориальное разделение труда связано с географическим размещением производства, что само собою является одним из главных факторов становления этноса и его культуры, но ни одно, ни другое нельзя отнести к категориям, подчиненным природно-естественным объективным законам развития. Обе они представляют собою одну из форм общественного разделения труда. Поэтому они — явления социальные главным ингредиентом и движущей силой которых остается человек. Но, поскольку естественной основой территориального разделения труда является дифференцированность природных условий — рельеф, климат, почвы, гидрография и др., а также — начальное размещение сырьевых и энергетических ресурсов, природный фактор в общественном производстве остается на первом месте, как сфера и объект общественного производства, следовательно, как основной фактор этнического культурного созидания.

Разносторонность и разнообразие природно-хозяйственных условий в которых на протяжении длительного исторического времени протекало становление и развитие грузинского этноса, бессомненно, являются первопричиной внутреннего территориально-локального многообразия единой материальной и духовной этнической культуры грузинского народа.

Тоже самое в равной мере можно сказать в отношении этнических традиций и обычаев.

В соответствии с одной из главных целей в книге предпринимается попытка показать социальную природу и характер этнических (народных) традиций.

Понимание этнической традиции, как способного к развитию явления, следует в известной мере приравнивать к утвердившемуся в советской этнографической науке пониманию этноса, как динамического социально-исторического явления.

Рассмотрение этнической традиции с социально-исторической точки зрения, как проявления переходящего группового действия и поведения людей, должно быть противопоставлено ошибочному пониманию этнической традиции, когда традиция объявляется лишь механизмом преемственной

передачи в поколениях жизненных явлений будь это в т. н. «традиционном» или «нетрадиционном обществе» или же в традиции усматривается признак поведенческого стереотипа, лишенного гибкости и способности к внутреннему своему развитию. Диалектическая социальная природа этнической традиции выражается с одной стороны в ее стабильности а с другой — гибкости. Вместе с тем, этническая традиция как социальное явление и в современном процессе развития продолжает принадлежать двум различным, но взаимосвязанным системным сферам — этнической и социальной (в узком смысле) среде и трудность их изучения, естественно, заключается в равнозначном комплексном и эффективном применении как исторического так и социального методов.

Применяемый в первую очередь историко-этнографический подход должен давать исходный материал для определения основного генетического и функционального механизма народных традиций. Такое глубинное исследование обеспечивается лишь необходимой правильной ориентацией в этнографическом микромире и научной реализацией требований и способов системных этнографических наблюдений. Это тем более важно, если учесть, что в современных условиях ускоренно происходит своего рода «растяжение» и «разжижение» этнических традиций под воздействием различных социальных факторов как то миграционные процессы, социальная мобильность и т. д. способствующие изменению ценностной ориентации людей.

Качественное определение исторического свойства традиций выступает необходимой предшествующей ступенью социологических измерений современного функционального механизма традиций, соотношения их формы и содержания, установления степени выражения их модификации или трансформации. Это необходимо также для правильного сочетания в социальном измерении выборки, процедур непосредственного измерения и количественного и качественного анализа, измерения функциональной значимости этнических традиций в соотносительности ценностной ориентации и этнопсихологических поведенческих характеристик людей различных социально-демографических групп. В данном случае недостаточна статистическая интерпретация фактов для построения эмпирического знания, равно как и корреляционное, многофакторное изучение только на уровне анкетного опроса общественного мнения.

Постановка вопроса о социальном измерении этнических традиций выдвигает также частный вопрос о необходимости уточнения в этнографическом понятийном аппарате и слова-

ре терминов «этническая традиция» и «пережиток» и четкого определения их взаимности или расхождения. Следует учесть, что понятие «Пережиток» кроме своего неполноценного современного общественного звучания (не говорим, напр., «Народные пережитки» или «добрые пережитки», «лучшие пережитки») таит в себе трудности постижения его внутренней структуры, стало быть, затрудняться раскрытие его современного функционального механизма.

Если в т. н. «традиционных обществах», представляющих собою отставших в своем социально-экономическом и культурно-историческом развитии общности людей, роль основного фактора и регулятора хозяйственно-материальной и духовной жизни играют традиции, то в отличие от них в развитых обществах, испытанные временем и закрепившиеся в жизни людей традиции — производственные навыки, опыт общественных отношений, многогранное проявление духовной культуры действуют с заметно измененной социальной ролью и выступают главным образом в качестве наследственной информации о деянии предыдущих поколений.

Вместе с тем эти традиции в зависимости от конкретно-исторических условий своего проявления в разной степени сохраняют за собою социальные функции и нередко превращаются в объект социального управления или же, в воздействующий на общественные процессы, сильный социальный фактор. Необходим учет того важного свойства традиций, что они сохраняются и поддерживаются силой общественного мнения.

Диалектическая природа этнических традиций — стабильность и гибкость, с другой стороны исторический опыт общественного развития, создают возможность и условия современного активного отношения к традициям как предмету социального управления. Становится возможным социальное измерение этнических традиций, а дифференцированный и комплексный подход делает необходимым научное отраслевое кооперирование в теории и практике этой области. На пути осуществления этих задач выступают трудности методологического и методического характера, а в первую очередь трудности научного приближения и объединения исследовательских программ исторических и социальных дисциплин—экономики, права, психологии, философии и др. Отсутствие практического научного опыта в этой сфере ставит вопрос о выработке первоначальной методики осуществления комплектности и кооперирования научного знания и усилий.

С другой стороны, поскольку современная наука рассматривает этнос как историко-динамичный организм, стало

быть и этническая культура и традиции должны рассматриваться постоянно развивающимися категориями. А если в современных условиях изучение этнической культуры и традиций кроме исторического подхода требует применения методов социальных наук, перед этнографией ставится задача обогащения ее научно-методологического и методического арсенала.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძიებელი

ადათ-წესები 30, 33, 164
ადამიანთა ერთობა 128
„ მოქმედების ჯგუფური
„ თავისებურებანი 29
„ ქცევა (გადაზრდილი ჩვევებში, ზნეში) 11, 32
ადამიანი 29, 30, 32, 34, 161
ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედება 32, 60, 67
ადაპტაცია 32, 33, 66
ანთროპოლოგიური იზოლაცია 36
„ ტიპები 36
არეალობრივი ჯგუფები (ადამიანებისა) 36
არამონათესავე ტომები 26
ასიმილაცია (ეთნიკური) 8, 45, 118
ახლობლები 31

ბიო-სოციალური კატეგორია 35, 38
ბიოქიმიური პროცესები 34
ბიოცენოზი 30, 33
ბუნებრივი საწარმოო ძალები 69

გენეტიკური ბარიერი ეთნოსისა 34
გეოგრაფიული გარემო 30, 32, 60
გვარი (gens-ი და familia) 123
გლოვა 79

დემი 36
დისპერსიული ანალიზი 37
დროს გატარება 15, 183
დღეობა 182, 185
დღესასწაული 183

ეთე (ἦθη)-ზნე 23
ეთნიკური ანთროპოლოგია 35, 37
„ ერთობა 20, 47, 50, 58
„ თვითშეგნება (როგორც ეთნიკური ნიშანი) 24, 25, 35
„ თვითშეგნების მიმღეობითი მემკვიდრეობა 34, 35
„ კოლექტივის სიმყარე 26, 27
„ კულტურა 35, 68, 83, 108
„ კულტურის ტრადიციები 3, 11, 32
„ მიკუთვნებულობა 34, 46
„ ნიშანი 24, 32
„ სპეციფიკა (კულტურისა) 50
„ ტერიტორია (როგორც ეთნიკური ნიშანი) 26
„ ფსიქოლოგიის ნორმები 31
„ ცხოვრების სტილის (II ყოფა) 30
ეთნოგენეზი 23, 37, 57, 110
ეთნოგრაფია 83, 144, 173
ეთნოგრაფიული ჯგუფები 40, 112, 116
ეთნოლინგვისტური ერთობა 25
ეთნოსი 3, 5, 20, 21, 24, 25, 29, 34, 42, 48
ეთნოსის ევოლუცია (II ეთნოგენეზი) 26, 27
ეთნისის საწარმოო აქტივობა 62
ეთნოსის სტრუქტურული სისტემა 30
ეთნოსის შინაგანი მთლიანობა 39
ეთო (ἔθω) ჩვეულება მაქვს 23
ეკზოგამია 26
ეკზოგამიურობა (გვარისა) 26
ენა (როგორც ეთნიკური ნიშანი (30, 45, 46, 47, 48, 49
ენდოგამია 26, 31, 34, 114
ენდოგამიურობა (ტომისა) 26, 38, 114
ერთი ენის დიალექტები 26

ვერტიკალური კლასიფიკაცია (ეთნიკური ერთობებისა) 25

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზნე 30, 122
ზნე-ჩვეულება 13, 30, 33, 72, 122

თავისიანები 31
თავისუფალი დრო 186

იზოლატი ეთნოსი 29
ინტერნაციონალური ერთობა 17, 28

კლასობრივი საზოგადოება 27
კოლექტივისა და ინდივიდის ურთიერთობათა ნორმა 160
კოლექტიური ეპონიმურობა 34
კომუნისტური იდეოლოგია 132
კონკრეტულ-ისტორიული კვლევა 84, 151
კულტურა (როგორც ეთნიკური ნიშანი) 7, 26, 32, 80, 117
„ განვითარებული შრომა 30
კულტურათა დაახლოება 17, 134, 138
„ ურთიერთგამდიდრება 17, 127, 134, 138
კულტურის ათვისება 80
„ დიფუზია 80
„ ერთობა 28
„ იზოლაცია 17, 80 137
„ ნაციონალური ფორმები 132, 136
„ ნიველირება 138
“ ტექნოლოგიური ასპექტი 32
„ სოციოლოგიური ასპექტი 32
„ იდეოლოგიური ასპექტი 32
„ ქმნადობა 30
კულტურული გავლენა 29, 81
„ კონტაქტები 29, 84
„ სესხება 80, 81, 134
კულტურულ-ყოფითი განსხვავებანი 129

ლხინი 11

მელითონეობა 38, 86, 87
მემკვიდრეობითობა თაობიდან თაობაში 35
მესაქონლეობა 38
მეტალურგია 38, 86, 92
მიბაძვა კულტურული 135
მიწათმოქმედება 9, 38, 125
მოდა 135, 136
მოდიფიკაცია 30
მოლხენა 15
მონათესავე ტომები 26
მორალი 82
მრავალერიანი ისტორიული ერთობა 131
მყარი ლანდშაფტი 30
მშობლიური ენა 7, 41, 44, 50

ნაციონალური თვითშეგნება 27
„ პროვინციალიზმი 138
ნორმა (სოციალური) 6

ოიკუმენა (ეიკუმენა) 33
„ორი ნაცია თითოეულ ნაციაში“ 28
ოჯახი 124, 142, 143
ოჯახური ტრადიცია 14

პასიონარობა 34
პიროვნება 49, 82
პოპულაცია 36
პროფესიულობა (და ტრადიციულობა) 133, 138

რასობრივი ნიშნები 35
რელიგიური დღესასწაული 15
რელიქტური ეთნოსი 29
რუსი ხალხი 5, 22, 119, 128
რუსული ენა 28

საბჭოთა ხალხი 28, 51
საერთო ნათესაური წარმომავლობა 34
საერთო წარმოშობა (როგორც ეთნიკური ნიშანი) 26
საზოგადოებრივი აზრი 12, 154, 158, 164
სამეურნეო დაგეგმვა 9
საქორწინო ჩვევები 26
საწარმოო ჩვევები (ტრადიციები) 9, 109
სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობა (როგორც ეთნიკური ნიშანი) 24

სისხლის ნათესაური კავშირი (ნამდვილი და მოჩვენებითი) 20, 26
სოფელი 11, 15, 36
სოციალისტური საზოგადოება 13, 41, 117
სოციალური გამძლეობა 179
„ განვითარება 151
„ განშრევება 175
„ ერთობა 29
„ მართვა 187
„ ნიშანი 174
„ ნორმა 159
„ ორგანიზაცია 159, 160
„ სპეციფიკა (კულტურისა, ყოფისა) 137
„ ურთიერთობათა ტრადიცია 175
„ ფსიქოლოგია 31, 188
„ ფუნქცია 15, 152
„ ჯგუფი 157
სოციოგენეზი 35
სტაბილიზება ეთნოსისა 31, 33
სტერეოტიპი 13
სტუმარ-მასპინძლობა 11
სტუმართმოყვარეობა 148
სჯული (რჯული, რჩული, შჯული) 78

ტომი (თავდაპირველი ეთნიკური უჯრედი) 26, 80, 111, 112
ტომობრივი (პირველდაწყებითი) ეთნიკური ერთობა 26
ტრადიცია 5, 10, 13, 38, 40, 140, 143, 144
ტრადიციის სოციალური გაზომვა 12
ტრადიციული საზოგადოება 7, 172

ფაქტორი გეოგრაფიული 23
ფაქტორული ანალიზი 175
ფეიქრობა 103, 104, 105, 107
ფსიქიკური სტერეოტიპი 24, 31
„ წყობა (როგორც ეთნიკური ნიშანი) 24, 31

ქართველი ხალხი 5, 16, 22, 38, 52, 57, 83, 120.
ქორწილი 11
ქორწინება 121
ქცევა (ჯგუფური) 5, 11, 29, 30, 79, 124, 157

ლირებულებითი (ფასეულობითი) ორიენტაცია 11

შერჩევა (შერჩევის მეთოდი) 174, 179

„ჩვენ“ და „არა ჩვენ“ 31
„ჩვენ“ და „ისინი“ 31
ჩვევა 6, 156, 157, 163, 184
ჩვეულება 79, 156, 163

ცხოვრების სტილი 25, 30, 45, 85
„ წესი 25, 45, 46, 85

წარმოების წესი 65
წესი 78, 79, 164
წეს-ჩვეულება 6,15, 122, 151, 153, 154, 163

ხალხი 5, 7, 21, 22, 24, 25, 35
ხატობა 15, 183

ჰორიზონტალური კლასიფიკაცია (ეთნიკური ერთობებისა) 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 5
ეთნიკური ერთობანი 20
ეთნოსი 21
ენა და ეთნოსი 45
ბუნებრივი გარემო და საზოგადოებრივი განვითარება . . 58
ეთნიკური კულტურა 80
ეთნიკური კულტურის აღნაგობა 84
ქართული ეთნიკური ნომენკლატურის საკითხები . . . 109
ეთნიკური და ეროვნული (ნაციონალური) კულტურა და ეროვნულ
კულტურათა განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი 127
ეთნიკური ტრადიციები 140
ბუნება და აღნაგობა 140
ეთნიკური ტრადიციების შესწავლის მეთოდური საკითხები . 149
ხალხური ტრადიციებისადმი თანამედროვე დამოკიდებულების პრობლემები 172
ზოგადი საკითხები 172
ეთნიკური ტრადიციების კონკრეტული ეთნოგრაფიული და სოცია-
ლური შესწავლა 176
Резюме 193
Საძიებელი 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Предисловие 3
Введение 5
Этнические общности 20
Этнос 21
Язык и этнос 45
Природная среда и общественное развитие 58
Этническая культура 80
Структура этнической культуры 84
Вопросы грузинской этнической номенклатуры . . . 109
Этническая и национальная культура и процесс развития и взаимообогащения национальных культур 127
Этнические традиции 140
Сущность и строение этнических традиций 140
Методические вопросы изучения этнических традиций . . 149
Проблемы современного отношения к народным традициям . . 172
Общие вопросы 172
Конкретное этнографическое и социальное изучение этнических традиций 176
Резюме 193
Указатель 200

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 12.5.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.2.78;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 12.75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.67;
უე 01013; ტირაჟი 1700; შეკვეთა № 1986
ფასი 1 მან. 35 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

МИХАИЛ КИРИЛЛОВИЧ ГЕГЕШИДЗЕ

ЭТНИЧЕСКАЯ КУЛЬТУРА И ТРАДИЦИИ
(на грузинском языке)

ეროვნული
ბიბლიოთეკ

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა შემდეგი წიგნები:

1. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიიდან.
2. ნ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის ისტორიიდან.
3. ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა